
MS MICHAIL KALININ
1975
1 САЗ
XXI
СЪЕЗД
ДВ ПАРОХОД
А. В. ФЕДОСЕЕВ
СОВЕТСКИЙ ПОСТАВОЧНЫЙ АНТАРКТИЧЕСКИЙ
ГАМОМՇՕՆԵԼՈՒԱ
ԻՆՏԵԼԵՔՏԻ


ლაშარ ფულარიანი
TERRA AUSTRALIS INCOGNITA
16к.
ანტარქტიდა
სამხრეთის იდუმალი მიწა

ლაშარ ფულარიანი

ანტარქტიდა - სამხრეთის იდუმალი მიწა

(მეორე გამოცემა)

2017 წ.

ISBN 99928-871-2-5

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2002

© ლაშარ ფულარიანი

მეორე გამოცემა, 2017

პირველი მკითხველისაგან

ჩემთვის, როგორც ერთ-ერთი რიგითი მკითხველისათვის, უდიდესი სიამოვნება იყო გავცნობოდი ლაშარ ფულარიანის ამ, მეტად საინტერესო ნამუშევარს, რომელშიც ის ასეთი მშვენიერი ენით გადმოგვცემს ჩვენთვის ყველაზე შორეული კონტინენტის რეალიებს და გვაზიარებს ყველაზე ახლობელის - საკუთარი სულის სამყაროს. ანტარქტიდაზე სულ რამოდენიმე ქართველმა დააბიჯა ფეხი და, რა თქმა უნდა, მეტად საინტერესოა თითოეული მათგანის გამოცდილება, რადგან ანტარქტიდა, ეს მართლაც და იდუმალი ადგილია, რომელზედაც მოხვედრას უამრავი ადამიანი ოცნებობს მთელ მსოფლიოში, მაგრამ ამ ოცნების ასრულება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. იქაური პირობების გაძლება მეტად რთულია ყველა თვალსაზრისით, მაგრამ ადამიანები იტანენ ყოველივე ამას და უდიდეს მსხვერპლზეც მიდიან ამ საოცარი ოცნების აღსასრულებლად. ამდენად, ანტარქტიდაში მოგზაურობა ადამიანის სულის წიაღში მოგზაურობას წააგავს, იმ მოგზაურობას, რომელსაც თავისუფლებამდის მივყავართ. ყოველი ჩვენგანის ცნობიერი თუ არაცნობიერი და ხშირად აუხდენელი ოცნებაა ისეთი თავისუფლების მიღწევა, სადაც ჩვენ არანაირი რეჟიმი, არანაირი საზოგადოებრივი ნორმები და არანაირი ტირანია არ დაგვიმორჩილებს. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა იმ ტრანსფორმაციისათვის თვალის გადევნება, რომელიც ავტორის ცნობიერებაში, და, ალბათ, თვოთოეულ ჩვენგანშიც, მოხდა ბოლო 30 წლის განმავლობაში, მას მერე, რაც ბ-ნ ლაშარის მოგზაურობა შედგა.

ეს ის დრო იყო, როცა ჩვენი სულიერების გამოცოცხლება დაიწყო და ამ ხნის მანძილზე ჩვენ ბევრი საშიში და მტკივნეული პროცესი გადავიტანეთ, მაგრამ ნებისმიერი სვლა თვითდამკვიდრების, სილამაზის აღქმის, სრულყოფილების

მიღწევის, თავისუფლების მოპოვების გზაზე ხომ აღსავსეა ფათერაკებით და აღმატებული ღირებულებისა არაფერი არ მიიღწევა ტკივილისა და შიშის გარეშე. მეორეს მხრივ - ჩინელებისა არ იყოს - „იქნებოდა განა რაიმე საინტერესო, საშიში რომ არ იყოსო“ და იქნებ ერთ-ერთ ამ მამოძრავებელ ძალათა შორის იმის ეშხიც არის, რომ საფრთხეში გამოვცადოთ საკუთარი თავი დიდი მიზნისაკენ სწრაფვისას. ბ-ნ ლაშარის ანტარქტიდაში მოგზაურობაც ხომ ეს არის. აქ ჩვენ ვხედავთ უამრავ ფათერაკს, მაგრამ, ამავე დროს, ვხედავთ არაჩვეულებრივად ლამაზ სამყაროს, რომელშიც ყოფნის უფლებაც ღმერთმა გვიბოძა სულ რამოდენიმე ხნით. ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრების მიზანიც , ალბათ, ის არის, რომ ვეზიაროთ ადამიანური იდეალების კეთილშობილებას და სასუფეველში წავიღოთ ის საუკეთესო სულიერი აღტკინება, რაც თავისუფლებასა და სილამაზეს მოაქვს. სამხრეთ პოლუსზე მისვლას დიდი თავდადება და შრომა სჭირდება, ისევე როგორც თავისუფლების და სილამაზის დანახვას, ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ შორსაა სამხრეთი პოლუსისაგან, მაგრამ იმედია ლაშარ ფულარიანის წიგნის წაკითხვა სწორედ ამ იმედს აჩენს.

მე მინდა მკითხველს ისევე არაჩვეულებრივი მოგზაურობა ვუსურვო, როგორიც მე განვიცადე, როდესაც ბატონი ლაშარის ამ, მეტად საინტერესო ნაშრომს ვკითხულობდი.

ირაკლი კაკაბაძე

წინათქმა

მკითხველს ვთავაზობ წიგნის მეორე გამოცემას და გულახდილად ვაღიარებ, რომ მიჭირს ცალსახად ამის განსაზღვრა, თუ რამ გამაბედინა მკითხველისათვის ამდენი ხნის შემდეგ მისი შემოთავაზება - პატივმოყვარეობამ, ამბიციურობამ? ნამდვილად, არა! ალბათ უფრო იმის შეგრძნებამ, რომ დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სამშობლოსთან ერთად, ყველას გვინდა მსოფლიოს თანასაზოგადოების ღირსეულ წევრად ვიგრძნოთ თავი, გვინდა სხვასაც დავანახოთ რომ არაფერი საერთო საკაცობრიო ჩვენთვის უცხო არ არის, რომ ჩვენც შეგვიძლია ვიდგეთ იქ, სადაც სხვა დგას და ვაკეთოთ ის, რასაც სხვა აკეთებს. თუ ამ დღიურების წაკითხვამ თქვენში ეს რწმენა ოდნავ მაინც გააღვივა, ან, მითუმეტეს განამტკიცა, ბედნიერად ჩავთვლი თავს - ტყუილად არ გავრჯილვარ!

თავის დროზე, სამოცდაათიანი წლების შუა პერიოდში, ამ დღიურის წარმოებისას ფიქრადაც არ გამივლია მისი ოდესმე გამოქვეყნება და, ამდენად, იგი თითქმის უცვლელად არის აქ წარმოდგენილი. ჩანაწერები, ძირითადად, საექსპედიციო ყოველდღიურობას ასახავს, პიროვნებებისა და მოვლენების სუბიექტურ შეფასებებს შეიცავს და, შესაბამისად, არ აცხადებს პრეტენზიას მეცნიერულ განზოგადოებებზე.

მეორე მხრივ, ადამიანი ვერ აიძულებს თავის თავს გადაიქცეს უსულო რობოტად, სამუშაოს ოდენ მექანიკურ შემსრულებლად, მისი გონება მუდამ აღიქვამს და აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას. ოღონდ ის კია, რომ ასეთი ანალიტიკური მუშაობის გამოვლინების ფორმა და ხასიათი ყოველთვის ინდივიდუ-ალურია. მეც სულ ვაპირებდი „ჩავჯდომოდი და თაროებზე „ჩამომეწყო“ ცხოვრების მანძილზე ნანახ-განცდილი. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე. მხოლოდ ერთხელ, ამჯერად კუბაში „მომიარა“(!)

მუზამ და ვცადე ჩემი მრწამსი, ჩემი შეხედულებები ქაღალდისათვის გამენდო. ვიფიქრე, რომ ამისათვის ყველაზე მოხერხებული იქნებოდა „ინტერვიუს“ ფორმა, რომელშიც მე თვითონ დავუსვამდი ჩემს თავს იმ კითხვებს, რომელთა პასუხებიც მიღრღნიდა სულს - მაშინაც და ეხლაც, როდესაც დღიურების გამოქვეყნება გადავწყვიტე, „ინტერვიუ“ და მოგვიანებით ჩემში ჩამოყალიბებული მოსაზრებები და მოგონებები დავურთე, რადგან ჩავთვალე, რომ მისი მეშვეობით მკითხველი თვალს გაადევნებდა ჩემში იმ „ცენტრიდანული“ ძალის დაგროვებას, ანტარქტიდამდე და ანტარქტიდის შემდგომ პერიოდში - დღემდე რომ მომიყვანა და გარკვეულწილად პოლარული ყოველდღიურობის აღქმასაც გაუადვილებდა მას.

ასეთი თანმიმდევრობით დავალაგე კიდეც ჩემი ნანახ-განცდილი თავდაპირველად, მაგრამ მერე ეჭვი შემეპარა ამის სისწორეში. ვითომ ამ ქვეყნის დამლაგებელმა დაალაგა კი ეს ქვეყანა? ან, თუ დაალაგა - მისი დალაგებული სჯობს კი დაულაგებელს, ან სხვაგბარად დალაგებულს? ასეთი ეჭვებით შეპყრობილმა ვარჩიე განწყობისათვის მიმეცა ნება. მითუმეტეს, რომ ჩემი პირველი მკითხველის, კეთილშობილი ირაკლი კაკაბაძის მოსაზრებები, რომლებიც ამ წიგნის ახალგაზრდა მკითხველის ზოგად მოსაზრებად მივიჩნიე, ჩემთვის, უკვე პირველი გამოცემისას, გადამწყვეტი აღმოჩნდა. ამდენად, მკითხველს ვთხოვ - ნუ გააკვირვებს ქრონოლოგიური თვალსაზრისით მოულოდნელი ჩანართები.

ავტორი

ორი პინგვინი

ლაშარ ფულარიანი



საიპრრატორო პინგვინი

ანტარქტიდა - სამხრეთის იდუმალი მიწა

- ანტარქტიდა - დედამიწის უკიდურეს სამხრეთში მდებარე მკვდარი, ცივი, ყინულოვანი კონტინენტია, რომლის ფართობიც 15 მლნ კვ. კმ.-ს შეადგენს და ევროპას ერთნახევარჯერ აღემატება.

ჩვენშიც და საზღვარგარეთ ძალზე პოპულარულია თეორია, რომლის მიხედვითაც გეოლოგიურ წარსულში სამხრეთ ნახევარსფეროს კონტინენტები: ანტარქტიდა, აფრიკა, სამხრეთ ამერიკა და ავსტრალია ერთ მთლიან ხმელეთს - „გონდვანას“ - წარმოადგენდა. ამ ხმელეთის მნიშვნელოვანი ნაწილი შემდგომში დაიძირა, დედამიწის ბრუნვასთან დაკავშირებით კონტინენტები ერთმანეთს დაშორდნენ და დღევანდელი სახით განლაგდნენ. ამას გვაფიქრებინებს სამხრეთ ამერიკის ანდების, აფრიკის კაპის მთების, ავსტრალიის ზეგანისა და ანტარქტიდის სანახევროდ ყინულით დაფარული მთის მასივის გეოლოგიური მსგავსება. ამის ერთ-ერთი ნიშანი ისიც არის, რომ ანტარქტიდაში ქვანახშირისა და

რკინის საბადოების გარდა დადასტურებულია ურანის, ოქროს, მოლიბდენის, ვერცხლის, თუთიის, ტიტანისა და გრაფიტის გამოვლინებანი, რომელთაგანაც ყველა ეს წიაღისეული მეზობელ კონტინენტებზეც მოიპოვება. მთის ქანებში აღმოჩენილი ცხოველთა და მცენარეთა ნამარხები გვაფიქრებინებს ახლო გეოლოგიურ წარსულში, ასე, 30-60 მლნ წლის წინ, სიცოცხლისათვის შესაფერისი პირობების არსებობას.

ანტარქტიდის მკვლევარ გეოლოგების თეორიის მიხედვით ამ პერიოდისათვის დედამიწის ღერძი ეკვატორის ახლოს გადიოდა და ანტარქტიდა თბილ ტროპიკულ სარტყელში იყო მოქცეული. შემდგომ დადგა გამყინვარების პერიოდი და კონტინენტი მთლიანად ყინულით დაიფარა. სადღეისოდ ყინულის საშუალო სისქე 2 კმ-მდეა და ცენტრალურ ანტარქტიდაში კი 4 კმ-საც აღემატება. 25 მლნ. კუბ. კმ ყინულის დაწოლამ ანტარქტიდის ქვიანი მასის 30%-ზე მეტი ოკეანეში ჩაძირა, ხოლო ზოგან ყინული 2,5 კმ-ის სიღრმეში ეყრდნობა ქვიან საფუძველს.

ყინულის მთელი ეს მასა რომ გადნეს, ამას შეიძლება ნახევარი ცივილიზაციის დაღუპვა მოჰყვეს, რადგან ოკეანის დონე 60-70 სანტიმეტრით აიწევს. ეს, რასაკვირველია, თეორიული გაანგარიშებებია. გაყინული წყლის ეს უზარმაზარი ფარი, რომელშიც აკუმულირებულია დედამიწის მტკნარი წყლის მთელი მარაგის 80%-ი, თავისი ცენტრალური ნაწილიდან პერიფერიისაკენ თანდათან დაბლდება, გარშემო ზღვას აწყდება და თითქმის მთელ მატერიკიზე 15-60 მეტრის სიმაღლის ბარიერს ქმნის. ყინულის მოძრაობის სიჩქარე განსხვავებულია და წელიწადში რამოდენიმე ათეული მეტრიდან 1 კმ-მდე აღწევს. მოწყდება ყინულის მასა ნაპირს და აისბერგებად ან ყინულის ნატეხებად განაგრძობს ცურვას ჩრდილოეთისაკენ, სანამ ოკეანის თბილ რაიონებს არ მიაღწევს და არ გადნება. უზარმაზარი აისბერგების არსებობა,

რომელთა სიგრძე ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმე ასეულ კილომეტრს შეადგენს, არა ერთ წელს გრძელდება. ბევრ ადგილას ყინულის მასა შელფურ მყინვარად იქცევა ანუ ისე განაგრძობს ცურვას, რომ თავის საფუძვლით ზღვის ფსკერს ეყრდნობა. მათ შორის უდიდესია როსისა და ფილჰნერის შელფური მყინვარები, რომელთა საერთო ფართობი საქართველოს ტერიტორიას შვიდჯერ აღემატება.

ყინულისაგან თავისუფალ კლდოვან ნაწილებს კონტინენტის სულ 1% უკავია (უმთავრესად სანაპირო ზოლში) და მათ „ოაზისებს" უწოდებენ.

ანტარქტიდაში საცხოვრებლად და სამუშაოდ მკაცრი კლიმატური პირობებია და ამაში „ბრალი" დაბალ ტემპერატურებს, ძლიერ ქარებს, ძლიერ სიმშრალეს, სეზონური და დღე-ღამური პერიოდიკის უკან სვლას მიუძღვის. კონტინენტის სიღრმეში, მაგნიტურ და სიცივის პოლუსზე, სადაც საბჭოთა სადგური „ვოსტოკია" განლაგებული, ზამთარში ტემპერატურა ჩვეულებრივ მინუს 80^0-ზე დაბალია. აქვე, 1960 წლის აგვისტოში მინუს $88,3^0$, 1983 წლის ივლისში კი მინუს $89,2^0$ აღირიცხა, ხოლო ყველაზე მინიმალური ტემპერატურა დედამიწის ზურგზე ამერიკელმა მკვლევარებმა დააფიქსირეს კონტინენტის სიღმეში, 2010 წლის აგვისტოს - მინუს $93,2^0$.

ასეთ ტემპერატურულ რეჟიმში ნავთი მყარდება, რკინის კასრს ნაჯახის ერთი დარტყმით ძირი ძვრება, ციგის დამსხვრევა შეიძლება ჩაქუჩის რამდენიმე დარტყმით. მარტის თვეში, იქაური შემოდგომის დასაწყისში, მზიან უქარო ამინდში ტემპერატურა მინუს 50^0-ს აღწევს, მაგრამ მზის რადიაცია იამდენად ძლიერია, მისი არეკვლა ყინულოვანი ზედაპირიდან იმდენად დიდი, ხოლო ჰაერი იმდენად გამჭირვალე, რომ წყლის დასამზადებლად თოვლის ხერხვის დროს ტანთ გავიხადეთ. აღსანიშავია, რომ ასეთ

პირობებში შავი საგნები (მათ შორის კლდოვანი მასივები) +40^0-მდეც კი ხურდება.
კონტინენტის სიღრმეში ქარები სულ არ ქრის, ან სუსტად ქრის, რაც ცხოვრების პირობებს ასატანს ხდის. რაც შეეხება სანაპირო ზოლს, აქ ასეთი მკაცრი ყინვები არ იცის - ზამთარში ტემპერატურა მინუს 30^0, იშვიათად მინუს 40^0-ს აღწევს, ზაფხულში კი 0^0-მდე მატულობს, სამაგიეროდ ქარები, რომლებიც კონტინენტის სიღრმეში იღებენ სათავეს, სანაპიროსთან მაქსიმალურად ძლიერდებიან და მათი სიჩქარე 50-60, ზოგ შემთხვევაში კი 90 მეტრს აღწევს წამში. ასეთი ქარი თავის გზაზე აყირავებს 250 კგ-იან კასრებს, ჰაერში ატრიალებს მძიმე ყუთებს, წყვეტს და ფრთებს ამტვრევს დაბმულ თვითმფრინავებს და შეუძლებელს ხდის მოძრაობას ბაზის ტერიტორიაზე. თუ გადაადგილება აუცილებელია, ეს მხოლოდ ფორთხვით ხერხდება. ამავე დროს ქარს კონტინენტის სიღრმიდან მოაქვს თოვლის მასა, რომლის სიმკვრივე და მოცულობა იმდენად დიდია, რომ მოწმენდილ მზიან ამინდშიც კი სულ 100-150 მეტრის სიმაღლეზე ატყორცნილი თოვლი მზის სხივებს არ ატარებს. ქარის მოქმედების გამო თოვლის კრისტალები სილასავით მკვრივი და წვრილია, თვალში მოხვედრისას ძლიერ ტკივილს იწვევს.

ავსტრალიელმა მკვლევარმა დუგლას მოუსონმა ადელის მიწაზე წლის განმავლობაში 340 ქარიშხლიანი დღე დაითვალა. თუმცა ამ მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობა 240-270 დღეს შეადგენს, ზამთარში პრაქტიკულად ყველა დღე ქარიშხლიანია.

კონტინენტური ქარებისა და დაბალი ნალექიანობის გამო ანტარქტიდის სანაპიროზე ჰაერი ძლიერ მშრალია, რის გამოც აქ მომუშავე ადამიანებს სითხის მიღების მოთხოვნილება მეტად გაზრდილი აქვთ. ამიტომაც არის რომ ექსპედიციები წვენებითა და მინერალური სასმელებით განსაკუთრებით უხვად მარაგდებიან.

არ შეიძლება ადამიანის წინაშე არ წამოიჭრას კითხვა - რით იზიდავს ანტარქტიდა სხვადასხვა ქვეყნის მკვლევარებს, რატომ ხარჯავენ სახელმწიფოები ასეთ მნიშვნელოვან თანხებს მის გამოსაკვლევად? უპირველეს ყოვლისა ანტარქტიდის გამორიცხვა შეუძლებელია ჩვენი პლანეტის გეოგრაფიული, გეოლოგიური და გეოფიზიკური პროცესებისა და მოვლენების გლობალური შესწავლისას. ამას გარდა, გამოსაკვლევია ანტარქტიდის ჰაერის მასების გავლენა დედამიწის დაშორებული რაიონების კლიმატზე. კონტინენტის ყინულოვანი საფარი საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ ზომიერ სარტყელში ძველი გამყინვარების პირობები. და ბოლოს - ანტარქტიდა სხვა კონტინენტებზე არანაკლებ მდიდარია მინერალური და წიაღისეული რესურსებით, რისი სამრეწველო გამოყენებაც მომავალშია მოსალოდნელი.

კონტინენტის შესწავლის პროგრამა მეტად ფართო და მრავალფეროვანია. შეისწავლება ჰაერის მასების შეცვლა და გადაადგილება; მყინვარების სისქე, მათი მოძრაობის სიჩქარე და მიმართულება; მთის ქანები, მათი გეოლოგიური შემადგენლობა; მაგნიტური მოვლენები, დედამიწის დენები, პოლარული ციმციმი, რადიოტალღების გავრცელება, მიწისძვრები; ზღვის გამყინვარება, ოკეანის დინებები და მისი ბიოლოგია; მოზამთრეებზე მედიკო-ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური დაკვირვებები და სხვა

ანტარქტიდა, მკაცრი სანაოსნო პირობების გამო, კონტინენტებს შორის ყველაზე გვიან აღმოაჩინეს.

ევროპელი ზღვაოსნების ცდას მიეღწიათ სამხრეთ განედებში განლაგებულ „სამხრეთი იდუმალი მიწისათვის“ („ტერა აუსტრალის ინკოგნიტა“) დიდხანს წარმატება არ მოჰყოლია და გამოჩენილმა ინგლისელმა მოგზაურმა ჯეიმს კუკმა 1772-75 წლებში მაინც მოახერხა მიახლოვებოდა ანტარქტიდის ნაპირებს, მაგრამ ყინულებში შესვლა ვერ შესძლო.

კონტინენტის აღმოჩენა მხოლოდ 50 წლის შემდეგ მოხერხდა. აღმოჩენის დღედ ითვლება 1820 წლის 28 იანვარი, როცა რუსულმა ექსპედიციამ ბელინსჰაუზენისა და ლაზარევის მეთაურობით მიაღწია ანტარქტიდის ნაპირებს, რამდენჯერმე მიუახლოვდა ყინულოვან ბარიერს და კონტინენტს ირგვლივ შემოუარა.

1840-44 წლებში იგივე გაიმეორა ინგლისელმა მკვლევარმა ჯეიმს როსმა.

მეტად ნაყოფიერი იყო ამავე პერიოდის ექსპედიციები დიუმონ-დიურვიელის, უილკსის, ბისკოსა და კემპის მეთაურობით.

1897 წელს კონტინენტზე პირველად იზამთრა ნორვეგიელმა ბუნებისმეტყველმა კარსტენ ბორხგრევინკმა.

პერიოდი 1902-დან 1912 წლამდე სამხრეთი გეოგრაფიული პოლუსის დაპყრობისათვის ბრძოლის პერიპეტიებით იყო სავსე. ინგლისელი ერნესტ შეკლტონის ექსპედიციამ სულ 180 კმ-ით ვერ მიაღწია პოლუსამდე შიმშილმა და სიცივემ აიძულა მისი მონაწილეები, სასწრაფოდ უკან დაბრუნებულიყვნენ. 1911 წლის დეკემბერს პოლარული სამყაროს ცნობილმა ნორვეგიელმა მკვლევარმა რუალ ამუნდსენმა მიაღწია სამხრეთ გეოგრაფიულ პოლუსს და მასზე თავისი ქვეყნის დროშა ააფრიალა. სულ ერთი თვის შემდეგ პოლუს მიაღწია შესანიშნავმა ინგლისელმა კვლევარმა რობერტ სკოტმა, მაგრამ მისი და მისი ოთხი მეგობრის დასაბრუნებელი გზა ტრაგიკული აღმოჩნდა - სიცივემ, შიმშილმა და ძლიერმა ქარებმა მამაც მოგზაურებს ძალა გამოულია და სიკვდილმა სასურსათო საწყობიდან სულ 20 კმ-ის დაშორებით მოუსწრო. სკოტის დღიურები, რომელიც შემდგომ იპოვეს, მეგობრობის, ვაჟკაცობისა და თავგანწირულობის ღაღადისია.

შემდეგი პერიოდის მნიშვნელოვანი გამოკვლევები ეკუთვნით გამოჩენილ ავსტრალიელ მკვლევარ დუგლას მოუსონს და ამერიკელ ადმირალ რიჩარდ ბერდს.

1957-58 წლები საერთაშორისო გეოფიზიკურ წლებად იქნა გამოცხადებული. ანტარქტიდაში ამ პროგრამით დაიწყო ინტენსიური სამეცნიერო კვლევა 12 სახელმწიფოს მონაწილეობით. 1959 წელს კი ვაშინგტონის კონფერენციაზე დაიდო პირველი, ფართო მასშტაბის საერთაშორისო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ანტარქტიდის მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით გამოყენებას და კრძალავს მის ფარგლებში ყოველგვარი სამხედრო ღონისძიებების ჩატარებას. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს: ავსტრალიეამ, აშშ-მა, არგენტინამ, დიდმა ბრიტანეთმა, იაპონიამ, ნორვეგიამ, საბჭოთა კავშირმა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ, საფრანგეთმა და ჩილემ.

საბჭოთა კავშირმა დიდი წვლილი შეიტანა ანტარქტიდისა და სამხრეთ ოკეანიის შესწავლაში ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე.

ანტარქტიდის შესახებ საბჭოთა შრომების მასშტაბები, ექსპედიციების ტექნიკური და მატერიალური აღჭურვილობა, მიღწეული სამეცნიერო შედეგები დიდ მოწონებას იმსახურებს მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში. თუ დასავლეთ ანტარქტიდის თანამედროვე გამოკვლევების დიდი წილი შეერთებულ შტატებზე მოდიოდა, აღმოსავლეთ ანტარქტიდის შესწავლის საქმეში საბჭოთა კავშირის უპირატესობა აშკარა იყო.

პირველი საბჭოთა ექსპედიცია ანტარქტიდაში 1955 წლის დასასრულს გაემგზავრა. მას ხელმძღვანელობდა გამოჩენილი რუსი პოლარელი, მიხეილ სომოვი, რომლის სახელიც შემდგომში ერთ-ერთ სამეცნიერო ყინულმჭრელს დაერქვა.

1956 წლის იანვარში გაიხსნა პირველი საბჭოთა სამეცნიერო ობსერვატორია „მირნი“. იმავე წელს, სანაპიროდან 375 კმ-ზე,

სადაც პირველი შიდაკონტინენტური სადგური „პიონერსკაია“ გაიხსნა, სადაც იზამთრა სამმა მამაცმა პოლარელმა, დოქტორ გუსევის ხელმძღვანელობით.

მას შემდეგ ყოველწლიურად იგზავნებოდა ახალი ექსპედიციები, იზრდებოდა სადგურების რიცხვი, ფართოვდებოდა სამეცნიერო პროგრამები, შიდაკონტინენტური სატრაქტორო მარშრუტები და კონტინენტის გამოკვლევის არე.

წლების მანძილზე ანტარქტიდის ბუნების შესახებ უძვირფასესი მონაცემებია მიღებული სადგურებზე: „მირნი“, „პიონერსკაია“, „კომსომოლსკაია“, „ვოსტოკი“, „სოვეტსკაია“, „მიუწვდომლობის პოლუსი“, „ლაზარევსკაია“, „ნოვოლაზარევსკაია“, „მოლოდიოჟნაია“, „ბელინსგაუზენი“ და „ლენინგრადსკაია“. ამ სტაციონალურ სადგურებზე ჩატარებული გამოკვლევების გარდა ტარდებოდა ლაშქრობები სამეცნიერო მუხლუხა-მატარებლებით კონტინენტის შიდა ნაწილებში, მათ შორის უმაგალითო მარშრუტებითაც „მირნი“ – სამხრეთი პოლუსი – „მირნი“; „მირნი“ – მიუწვდომლობის პოლუსი“ – „მოლოდიოჟნაია“ და იგივე მარშრუტი „ნოვოლაზარევსკაიამდე“.

მე-20 ექსპედიცია, რომელსაც ნიკოლოზ კორნილოვი ხელმძღვანელობდა და რომელშიც 280-ზე მეტი კაცი შედიოდა, ლენინგრადიდან 1974 წლის ოქტომბერ-დეკემბერში, 4 გემისა და ერთი ტანკერის შემადგენლობით ანტარქტიდის კონტინენტისაკენ გაემგზავრა.

ჩვენი სამეცნიერო გემის - „პროფესორ ვიზეს“ - მარშრუტი ბალტიის ზღვაზე, კანარის კუნძულებზე, ატლანტიკის ოკეანეზე და ავსტრალიაზე გადიოდა. გზაში მეტად საინტერესო შეხვედრები მქონდა ექსპედიციასთან დაკავშირებულ პირებთან. მათ შორის იყო ორი ქართველი მეზღვაური - „პროფესორ ვიზეს“ კაპიტნის პირველი თანაშემწე, ლენიგრადელი დიმიტრი ნათაძე და ვეტერან სამეცნიერო ყინულმჭრელ „ობის“ უფროსი

მოტოროსტი, ფოთელი გიორგი მიმინოშვილი, რომელიც 1974 წელს ყინულებში ოთხი თვის მანძილზე „ობის“ იძულებითი დრეიფის დროს გამოჩენილი სიმამაცისა და საზრიანობისათვის მთავრობის ჯილდოთი აღინიშნა. ჩემთან ერთად იმოგზაურა და სადგურ „ნოვოლაზარევსკაიაში“ იზამთრა მზარეულმა, ამჟამად ლენინგრადში მცხოვრებმა კასრაძემ.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩვენი შესანიშნავი თანამემამულენი, წინა წლების ექსპედიციების მონაწილენი - გეოგრაფი გარსევან კურდღელაიძე, რომელიც მეორე ექსპედიციაში სადგურ „პიონერსკაიაზე“ ზამთრობდა და მოსკოველი გეოფიზიკოსი პავლე მაისურაძე, რომელიც ამავე ექსპედიციაში სადგურ „ვოსტოკზე“ მუშაობდა; მე-15 ექსპედიცი-აში მონაწილეობდა და იმავე სადგურ „ვოსტოკზე“ მუშაობდა მოსკოველი გეოფიზიკოსი თემურ გრიგორაშვილი.

როგორც ვხედავთ, არც თუ დიდია ანტარქტიდის ქართველ მოზამთრეთა რიცხვი. სამწუხარო კი ის არის, რომ ბოლო 40 წლის მანძილზე არცერთ ქართველს არ მიუღია მონაწილეობა არცერთი ქვეყნის, არცერთ ანტარკტიდულ ეწსპედიციაში, არა და ეს ის ქვეყანაა, სადაც კონკურენცია არ არის მთავარი, მითუმეტეს ასეთი აგრესიული და დაუნდობელი, როგორიც დღევანდელია! - ანტარქტიდაში გონი და შრომისმოყვარეობაა მთავარი და არა უღირსი ბრძოლა თვითგადარჩენისათვის სხვის გადაურჩენლად!


ანტარქტიდა
ბუენოსაიერესი (სსრ)
პალმერი (აშშ)
ბალბოა (ბრაზ)
ხუნერალ-ბელგრანო (არგ)
ბელინსგაუზენი (სსრ)
ბელინგსჰაუზენის ზღვა
ბელინგსჰაუზენის ბანი
ბელინგსჰაუზენის ნაპირი

31 ოქტომბერს ჩამოვიდნენ ჩემები. მე და რუსუდანი ისეთი სიამაყით ვაჩვენებდით ბავშვებს ისაკის ტაძარს და ერმიტაჟს, თითქოს ჩვენი აშენებული ყოფილიყოს. ჩემების აქ ყოფნამ დიდი სიხარული მომანიჭა, მაგრამ რაც უფრო მოახლოვდა განშორების ჟამი, მით უფრო მეკუმშება გული. განსაკუთრებით ამაფორიაქა უშუალოდ გამოთხოვებამ - საწყალი ბავშვები სულ გაითოშნენ, ძალიან რომ შესცივდებოდათ, მანქანაში სხდებოდნენ და მინებს აკრულნი დიდი თვალებით მომჩერებოდნენ. ამის შემყურე ისევ და ისევ მომიტრიალდებოდა ხოლმე მტანჯველი ფიქრი - შეცდომას ხომ არ ჩავდივარ? ჩემი ეს ოცი წლის სურვილი უბრალოდ აკვიატებული იდეა ხომ არ არის? მითუმეტეს, ვიცი, უჩემობა სახლში ძალიან გაუჭირდებათ. ბედნიერი ვარ, რომ ყველა ჩემმა ახლობელმა, პირველ რიგში კი დედამ და მეუღლემ სწორად გამიგო და, პირიქით, ხელი შუეწყო ამ ოცნების ხორცშესხმას. ახლა უკვე მე მათ დიდხანს ვერაფერში დავეხმარები და მთავარია დედა ჯანმრთელად იყოს და რუსუდანმა იყოჩაღოს - მძიმე ტვირთი დავუტოვე სატარებლად...

16 ნოემბერი

11 ნოემბერს ტალინში შევიარეთ, წამოვიღეთ ტვირთი. 15-ში ღამით გავიარეთ ზუნდის სრუტე, მარცხნივ დანიაა, მარჯვნივ - შვედეთი. მთელი სანაპირო ნეონით არის განათებული. ჭოგრიტით კოპენჰაგენი დეტალებში „წავიკითხეთ “.

გუშინ ექსპედიციის უფროსმა ნიკოლოზ კორნილოვმა კმაყოფილება გამოთქვა ექსპედიციის დაწყების, მისი წევრების ერთსულოვნების, საქმისადმი შეგნებული დამოკიდებულების გამო. რაც არ უნდა იყოს, გემზე ექსპედიციის 150-ზე მეტი და ასამდე ეკიპაჟის წევრია.

დამთავრდა ჩრდილოეთის ზღვა და საღამოს პა-დე-კალე გავიარეთ. საფრანგეთისა და ინგლისის სანაპიროები განათე-

ბულია, უცხო თვალისათვის დიდებული სანახავი, თუმცა ისე ახლოს არ არის, როგორც დანიის სანაპირო.

გამეცნო შავგვრემანი, ახალგაზრდა კაცი, დიმიტრი ნათაძე, გემის კაპიტნის პირველი თანაშემწე.

იგრძნობა სითბოს მომატება. გადავკვეთეთ ცივი და თბილი ჰაერის საპირისპირო დგომის არე. მალე კაიუტაში დაცხება, უნდა გავშავდეთ, თორემ წელიწადნახევარი კანი მზეს ვეღარ ნახავს.

23 ნოემბერი

სამი დღე ლას-პალმასში ვისვენებდით. დიდებული კურორტია, საბანაო სეზონი მთელი წელი გრძელდება. პლაჟზე უმთავრესად ჩამოსული დამსვენებლებია: სკანდინავიელები, გერმანელები და ინგლისელები. ქალაქი შედარებით პატარა საპორტო ობიექტია, გაშენებულია კანარის კუნძულებიდან ერთ-ერთზე. დასახლებულია ესპანელებით, გარეუბნებში და პორტის უბანში სამხრეთ აზიიდან გადმოხვეწილი ფერადკანიანები და შავკანიანი აფრიკელები ჭარბობენ. ჩანს, რომ ქალაქი ტურიზმით არსებობს. ბევრია ახალი, ერთმანეთისაგან განსხვავებული არქიტექტურული ნაგებობა, ისეთივე სურათია თბილისის ძველ უბანში სახლი რომ დაინგრევა და მის ადგილზე ინდივიდუალური იერ-სახის არატიპიურად დაპროექტებულ სახლს ააშენებენ-ხოლმე.

კუნძულები ვულკანური წარმოშობისაა. ვნახე ჩამქრალი ვულკანის კრატერი. საინტერესოა კოლუმბის სახლ-მუზეუმი. ქუჩები ვიწროა, მაგრამ სიმეტრიული. მოძრაობა ყველა ქუჩაზე ცალმხრივია. მანქანები უამრავია, სულ სხვადასხვა მარკის. მათ შორის “ფიატის” ფირმა სჭარბობს. მძღოლები იმდენად თავაზიანები არიან, რომ ქუჩაზე გადასვლისას გზას აუცილებლად დაგითმობენ. ხალხი ლამაზია და ენერგიული, ზოგი ქალი პირდაპირ მომხიბვლელია. მათ უეჭველად გაარჩევ ჩამოსული

ტურისტებისაგან. სახის სწორი ნაკვთებითა და მოქნილობით - ჩვენ ხალხს მაგონებს.

უამრავი მაღაზიები, დუქნები, რესტორნები, ბარები, რეკლამები - ერთი სიტყვით, ქალაქის ცენტრის პირველი იარუსი ამ ორგანიზაციებს უკავია. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს მთელი ქალაქი ვაჭრობს და მეტს არაფერს აკეთებს. ვაჭრობენ ყველაფრით - თვითმფრინავებიდან დაწყებული საღეჭი რეზინით დამთავრებული. საქონელი ძირითადად ამერიკული, იაპონური, გერმანული, ესპანური და საბჭოთაა (საბჭოთა უმთავრესად ფოტო, კინოაპარატურა და საათებია).

ყველა ბავშვი ლამაზია, სასკოლო ფორმაში გამოწყობილი. ერთ-ერთ სკოლაში ქუჩაში გასასვლელი კარი ღია იყო, ოთახში შევიხედე - ოცი-ოცდახუთი, ალბათ პირველკლასელები, კისერწაგრძელებული უსმენდა მასწავლებელს. სიტუაცია ისეთი თბილი და უჩვეულო იყო, რომ კარებს ავეყუდე და უხერხულობა რომ არა, მთელ გაკვეთილს ასე გავატარებდი - იქვე, სულ ახლოს, საროსკიპოა, და ეს არავის აფიქრებს, ყველა თავის ცხოვრებით ცხოვრობს.

10-11 წლის ბიჭს ვკითხე - სკოლაში რატომ არა ხარ მეთქი? მაგან ოთხი კლასი დაამთავრა და ეყოფა, ახლა ფული უნდა აკეთოსო - მითხრა დუქნის მეპატრონემ. მაგრამ მგონია, რომ ასეთი შემთხვევები მაინც ცოტაა.

ზღვა შედარებით ცივია, ქვიშა - წვრილი და სასიამოვნო, პლაჟები - კეთილმოწყობილი. ჩვენთან, სანაპიროზე სიცოცხლე რომ ჩქეფს ხალხის სიმრავლისაგან, აქ ასე არ არის. ბუნებით აუღელვებელი, დისციპლინირებული ჩრდილოეთევროპელები, თევზებივით არიან ჩალაგებული ხის საწოლებში. სიტუაციის მონოტონურობას მზისაგან გახურებული გვერდის შეცვლა ან ყავისა და ნაყინის გამყიდველი ესპანელი ბიჭის ჭყიპინა ხმა თუ არღვევს - ხანდახან.

ახლა აქ ზამთარია და ტემპერატურა 24-26^0-ია - ამბობენ წელს ცივი ზამთარიაო!

წუხელ საღამოს დავიძარით. ექვსი დღის შემდეგ ეკვატორია.

29 ნოემბერი

თავს ვირთობთ სპონტანურადაც და ორგანიზებულადაც დაიწყოპირველობა ცხრა გუნდს შორის მაგიდის ჩოგბურთს

დაფრენბურთში (თოკზე მიბმული ბურთით!). ვუყურებთ კინოფილმებს. საუბარი ყველასთან სასიამოვნო და საინტერესოა. მოსაყოლი ყველას ბევრი აქვს.

სადამკვირვებლო კვლევის გეგმა ზომიერად მიმდინარეობს, თუმცა ვმუშაობთ მსუბუქი გრაფიკით - საღამოს 11-დან 3 საათამდე. აეროლოგები კარგი ბიჭები აღმოჩნდნენ, იუმორის გრძნობით. გემზე თუ კაცი ენამოსწრებული არ არის - დაიჩაგრება. წუხელ 4 საათსა და 17 წუთზე გადავკვეთეთ ეკვატორი, სწორედ ამ დროს ოთხმა „ბებერმა“ (რომელთაც ეკვატორი რამდენჯერმე აქვთ გადაკვეთილი) მაგრად გამაქანეს და შუა აუზში მისროლეს, ასე რომ უკვე „მონათლული“ ვარ. მერე ცხრა ბიჭმა, რასაკვირველია არაოფიციალურად, კარგად აღვნიშნეთ აღსანიშნავი.

დღეს დილიდან საზეიმო განწყობაა, სადილის შემდეგ უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი გემის ბოლო ნაწილში, სადაც აუზია. „ნეპტუნმა“ მიიღო კაპიტნის ძღვენი და ნება დაგვრთო გადაგვეკვეთა ეკვატორი. შემდეგ, ჯერ გემის შემადგენლობის ახალბედები გადაყარეს წყალში, მერე კი ექსპედიციის ახალბედა წევრები ეახლნენ ნეპტუნს სადგურების მიხედვით: „მოლოდიოჟნაია~“, „მირნი“, „ვოსტოკი“, „ნოვოლაზარევსკაია“, „ბელინსჰაუზენი“ და „ლენინგრადსკაია“. ყველა სადგურის თავკაცი ლექსად სთხოვდა, რომ გადაეშვა მისი ხალხი სამხრეთ ნახევარსფეროში. ამის პასუხად ნეპტუნის ამალის 10-15 „ეშმაკი“, საოცრად გათხუპნული და მორთული, ცეკვითა და ყიჟინით

ისროდა ახალბედას აუზში, მაგრამ ამის წინ აუცილებლად გათხუპნიდა და დუნდულაზე კარგა მოზრდილ ბეჭედს დაარტყამდა, ერთ მაგარ ჭიტლაყსაც ამოჰკრავდა და მონათლული იყო.

ჩემი მდგომარეობა გართულდა იმით, რომ მე, თურმე დალაქად ვყოფილვარ გამწესებული ნეპტუნის ამალაში, მიუხედავად ჩემი უარისა. ამ დროს კი მე სწავლულების კაპელაში „ვმოღვაწეობდი“, სათანადოდ გამოწყობილი. დიდებული კაპელა იყო! სამ თუ ოთხ კუპლეტ ლექსს ვმღეროდით, ღმერთმა უწყის რომელ ხმასა და ტონალობაში. ერთი სიტყვით უნიჭოთა კრებული იყო, მორთულები კი ლამაზად ვიყავით. ხოდა, ჩემს პირველ „თანამდებობაზე“ უარი რომ ვთქვი, ნეპტუნი დამემუქრა - შენ განსაკუთრებულად გაწამებო.

ვიმღერეთ და წყალში გადაგვყარეს, ამოვედით მეორე მხარეს და იქ კათხა წყალწყალა ღვინით (აბა, 250 კაცს რა ღვინო ეყოფოდა!) გაგვიმასპინძლდნენ. შემდეგ იყო ცეკვები, მანჭვა-გრეხვა და ნეპტუნის სურვილით ხალხის მონათვლა. ცვივოდა ხალხი ტანსაცმლიანი და ტიტველი. მე კინოაპარატი მიჭირავს და კადრისათვის უკეთეს ადგილს ვეძებ, ამ დროს ჩემი გვარი გამოაცხადა ნეპტუნმა. საშინელება მოხდა: მთელი ეს 15 „ეშმაკი“ დამედევნა. გავიქეცი რაც ძალა მქონდა და კაიუტაში დავიმალე. ოთახი კაპიტნის გასაღებით გააღეს და გამომათრიეს. ამიყვანეს სცენაზე და, რასაკვირველია, ძალით დამაჩოქეს ნეპტუნის წინაშე. მიუხედავად ჩემი თავგანწირული წინააღმდეგობისა წამაქციეს და გამთხუპნეს ტალახითა და საღებავებით. ერთს კი ვცდილობდი, ისე არ მოვეხელთებინე, რომ შარვალი ჩაეხადათ. გადავრჩი - გამაქანეს და მისროლეს.

საღამოს თითო ბოთლი ღვინო ჩამოგვირიგეს ვახშამზე და მოწმობები მოგვცეს, მანქანის ტარების უფლების მსგავსად, რომ ამიერიდან ეკვატორის გადაკვეთის უფლება გვაქვს.

4 დეკემბერი

ოთხ საათზე შემოვედი კაიუტაში. ვალოდიას და საშას სძინავთ. გავუშვით რადიო-ზონდი, ტელეტაიპზე მე დავბეჭდე. თუმცა ეს უკვე მეორედ გავაკეთე, შეცდომები მაინც მქონდა - გამომთვლელმა მანქანამ არ მიიღო. მერე 6 კაცი ვასწორებდით: ორი პროგრამისტი და 4 აეროლოგი. ბევრი ვიცინეთ: „შენ, გეტყობა, ქართულად დაბეჭდე და რუსული მანქანა არ იღებსო“. რადიოზონდის სიმაღლე 34 კმ იყო. დეპეშა რადისტებს წავუღე და იქიდან ჰიდროლოგებთან შევიარე. იური შახოვი მორიგეობდა. დიდ ხანს მიხსნიდა ექოლოტისა და სხვა ხელსაწყოების მოწყობილობას.

დღეს ფრენბურთის პირველობა დასრულდა, ცხრა გუნდში მესამე ადგილზე გავედით. დღესვე დაიწყო პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. რამდენიმე ბიჭი ისე ძლიერად თამაშობს, რომ მოგეწონება. 1-ში გემს 7 წლის იუბილე შეუსრულდა და ყველანი ვერტმფრენის მოედანზე შევიკრიბეთ. კაპიტანმა ბრძანება წაიკითხა და ეკიპაჟს კარგი მუშაობისათვის მადლობა გამოუცხადა. ექსპედიციის სახელით კორნილოვმა მიართვა ბარელიეფი, რომელზეც ჩვენი გემია გამოსახული. რუსუდანმა სუვენირად ქართული ლამაზი დოქი გამომატანა. სერიოჟა ვასილევმა წამიწერა: „1/XII. საქართველის ჰიდრომეტეოროლოგი-ური სამსახური“. გუშინ კაბინეტში ვეახელი და გადავეცი. დიდი მადლობა გადამიხადა.

გუშინწინ ამაღლების კუნძულებს ჩავუარეთ. მთიანი კუნძულებია, თუმცა არე-მარე ბურუსში იყო გახვეული, მაგრამ 800 მ.-მდე აჭიმული მთები კარგად ჩანდა, ვულკანური წარმოშობის კუნძულებია, კლდოვანი ქანებით ნაშენი, ერთი ყველაზე მაღალი მთის (ყოფილი კრატერის) გარდა, რომელიც ტყით არის შემოსილი.

სადგურ „ვოსტოკის“ ექიმი სერგეი ივანოვი ხვალ მაგნიტოფონზე ჩამაწერინებს საუბარს სამედიცინო-ბიოლოგიური პროგრამისა და ამოცანების შესახებ. ძალზე საინტერესო მუშაობა გველის.

7 დეკემბერი

დღეს კორნილოვმა თითქმის საბოლოო უარი მითხრა სამეცნიერო ექსპედიციაში მონაწილეობაზე. რადგან მე-19 ექსპედიციიდან ჩვენ კოლეგებს ახალ სეზონზე არ ტოვებენ, მოგვიხდება რადიოლოკატორის დამონტაჟებაც და ძველ ლოკატორზე მუშაობაც, ეშინია, რომ ხალხი არ ეყოფა. ექსპედიციაში მზარეულად ექიმის გაგზავნას აპირებენ. გლაციოლოგად თუ გიმუშავიაო, მკითხა. მოვუყევი, რომ გერგეთის მყინვარზე 2 წელი გლაციოლოგიურ სამუშაოებს ვასრულებდი და თოვლის აგეგმვა ბევრჯერ მაქვს ჩატარებული. რაღაცას ორჭოფობს. ეტყობა იმედი მთლად გადაწურული არ არის. ადგილზე რომ ჩავალთ, იქ გამოჩნდება ყველაფერი.

გავიარეთ სამხრეთ განედის 45-ე პარალელი, დღე კიდევ თბილოდა, მაგრამ ღამე ტემპერატურამ 5^0-მდე დაიწია. მორჩა თბილი დღეები. წვერის მოშვებას ვაპირებ.

17 დეკემბერი

მესამე დღეა რაც წინ თითქმის ვეღარ მივდივართ - გაყინულ ზღვას ყინულმჭრელი „ობი“ ვერაფერს აკლებს. „მოლოდიოჟნაიამდე“ კი 215 კმ-ია დარჩენილი. ყინულმჭრელი ლენინგრადიდან ჩვენზე 20 დღით ადრე გამოვიდა, 55-ე პარალელზე უნდა შევხვედროდით. ასეც მოხდა, მან მოზამთრეები რიო-დე-ჟანეიროში 3 დღე დაასვენა, შემდეგ შეიარა ანტარქტიკის ნახევარკუნძულზე, სადგურ „ბელინსჰაუზენზე“, ჩამოსვა იქაური მოზამთრეები, დაუტოვა ტვირთი და ჩვენ შეგვიერთდა. შემდეგ მისი დახმარებით უნდა მივიდეთ სადგურ „მოლოდიოჟნაიამდე“. „მირნის“, „მოლოდიოჟნაიას“ და „ნოვოლაზარევსკაიას“ ტვირთს

ორივე გემიდან ნაპირზე გადავიტანთ, ამ სადგურების ხალხი გემებიდან ჩამოვა, ჩვენ და „ლენინგრადსკაიას“ ხალხი „ობზე“ გადავჯდებით და გზას „მირნისაკენ“ განვაგრძობთ, რასაც ვარაუდით 12 დღეს მოვუნდებით. შემდეგ „ობი“ „ლენინგრადსკაიაში“ მივა, მოზამთრეებს გამოცვლის, ჩამოვა ისევ ჩვენთან, წაიყვანს ძველი მოზამთრეების ნაწილს და სეზონით ჩამოსულ ხალხს, გაივლის „მოლოდიოჟნაიაში“ და წავა სახლისაკენ. მანამდე კი ჩვენი გემი „პროფ. ვიზე“ ჩვენგან განთავისუფლებული, ჩავა ავსტრალიაში (ალბათ ახალი წლისათვის), შეიძენს პროდუქტებს, ჩამოვა ჩვენთან, „მოლოდიოჟნაიაში“ და ძველი მოზამთრეების ნაწილით უკან დაბრუნდება. მესამე გემი „პროფ. ზუბოვი“ - უკვე ჩავიდა „ბელინსჰაუზენში“, ჩაიყვანა ხალხი, ორი თვის განმავლობაში დრეიკის სრუტეში შეასრულებს საერთაშორისო - სამეცნიერო პროგრამა „ტროპექსით“ გათვალისწინებულ სამუშაოებს, დაბრუნდება „ბელინსჰაუზენში“ და ძველი მოზამთრეებით სახლისაკენ გასწევს. ლენინგრადიდან სამგზავრო გემი „ვანდარები“ წლის ბოლოსათვის აიღებს კურსს ანტრაქტიდისაკენ. ამას გარდა, ოდესიდან გამოვა ტანკერი, რომელიც ჩვენს სადგურებში საწვავს ჩამოიტანს, მოზამთრეების დარჩენილი ნაწილი მას გამოჰყვება. სახლიდან წერილებს ამ გემებით მივიღებთ. 1976 წლამდე წერილების მიღების სხვა არაფერი საშუალება არ იქნება.

ეს, რაც ვთქვი, ყველაფერი გეგმაა, ოპტიმალურად (და არა მაქსიმალურად) ნავარაუდევი. გეგმას ზოგჯერ ნორმალურ პირობებში სახლშიც ვერ ვასრულებთ, აქ რას გახდები!?

57-ე პარალელი პატარა, საწყლად მოცურავე ყინულის ნაჭრებით დაიწყო, მერე ნელ-ნელა ზომამ იმატა, აისბერგებიც გამოჩნდა. წინ მიმავალი „ობი“ ყინულის მინდორს არღვევს და საკმაოდ წარმატებითაც. მსგავსი სანახაობა ჩემმა თვალებმა

პირველად ნახა, ხოლო აზრმა გაუმაძღარი სიამოვნებით აღიქვა ჩემთვის უჩვეულო სურათები - ყინულის მოზრდილ და საშუალო ზომის ნაჭრებზე ჯგუფებად წამოწოლილი ზღვის ლომები აბსოლუტურად არავითარ დაინტერესებას არ იჩენდნენ ჩვენს მიმართ: წყალში ჭყუმპალაობდნენ, კოტრიალობდნენ, შეყვარებულები კი თავაწეულები ეფერებოდნენ ერთმანეთს. პინგვინები, ეს ადამიანების შემდეგ ყველაზე ცნობისმოყვარე არსებანი, ჩამწკრივებულნი, „სმენაზე“ გაჭიმულები, თითქოს საზღვაო აღლუმს იღებენ ჩვენგანო, ისე გვაცილებდნენ. ადელის ჯიშისანი, ზომით პატარები არიან, მოძრაობა ძალიან სასაცილო აქვთ. ერთი სიტყვით, ასე გემრიელად, რაც სახლიდან წამოვედი, არ მიცინია.

მერე ყინულის სისქემ უფრო იმატა და ჩვენი მოძრაობაც შენელდა, იმდენად, რომ ერთი პატარა პინგვინი 4-5 საათის განმავლობაში მოგვსდევდა, ხან ხტუნვით, ხან მუცელზე ხოხვით. როცა დაიღლებოდა და არისტოკრატულ ნაბიჯზე გადავიდოდა, დავუსტვენდით და ისიც გამოიქცეოდა. ეტყობა ძალიან ცნობისმოყვარე იყო, თორემ პინგვინები, როგორც წესი, ორნი ან ჯგუფებად დადიან ხოლმე. მე სტვენისაგან ტუჩები ამტკივდა.

უკვე მესამე დღეა „ობი“, სულელი კაცი კედელს თავს რომ ურტყამს ისე, გამოქანდებოდა, დაეჯახებოდა ყინულს, გააპობობდა რამდენიმე მეტრს, დაიხევდა უკან და ისევ... მალე საწვავი შემოელია, ჩვენ გადავუსხით, ახლა გვერდი-გვერდ ვდგავართ. ყინულზე ფიცრები გააგეს, ხალხი ერთმანეთთან გადადის.

გემის მარჯვენა ბორტიდან, 1-2 კმ-ში, სამწვეტიანი ულმამაზესი აისბერგი მოჩანს: ცოტა დიდხანს თუ დააკვირდები და წარმოდგენას ძალას დაატან, თვითმფრინავიდან ღრუბლიან ამინდში კავკასიონის მწვერვალები რომ ჩანს - ისეთი სურათია.

ადამიანები, სადაც მიდიან, იდეების გარდა სიბინძურეც მიაქვთ. ბიჭებმა ბორტიდან გადამახედეს - საჭმლის ნარჩენები, ბოთლები, ქაღალდები, რა არ გინდა გემის გარშემო რომ არ ეყაროს!.

დღეს „ვოსტოკის“ გახსნიდან 17 წელი გავიდა. ექსპედიციისა და ამ სადგურის უფროსს მიღება ჰქონდათ. ჩვენს შორის ბევრი ყოფილი „ვოსტოკელიც“ არის, იხსენებენ ბევრს სასიამოვნო ამბავს, ბევრ ტანჯვა - წამებასაც.

დღეს ხელმძღვანელობა თათბირობს, თუ რა გზას დაადგნენ. საქმე იმაშია, რომ ჰაერით „მოლოდიოჟნაიას“ ვერ დავუკავშირ-დებით, რადგან მფრინავები ჩვენს გემებზე არიან ორი დაშლილი თვითმფრინავით. ხოლო თავად თვითმფრინავები და ვერტმფრე-ნები კი „მოლოდიოჟნაიაში“ - უმფრინავებოდ. ახლომახლო დიდი აისბერგებიც არ არის თვითმფრინავები რომ გადაიტანო და ააწყო.

20 დეკემბერი

ბოლო ორი დღეა, „ობი“ წინ და ჩვენ კი უკან, კუს ნაბიჯებით მივღოღავთ. საათში 3-4 კვანძი - მეტს ვერ ანვითარებენ. „ობი“ ყინულმჭრელია და ჩვენზე მეტი მანევრირების უნარი აქვს. ეძებს ყინულებში სუსტ ადგილებს და ზიგზაგებით დადის, ჩვენ გვიჭირს, გვიხდება წინ და უკან სიარული.

გუშინ დილით 4-დან 8 საათამდე გემბანზე ვიყავი, არ მეძინებოდა. „ობმა“ ყინულებს შორის არხი ნახა და შედარებით სწრაფად გასწია წინ. ყველას გვიხაროდა - მალე ნაპირს მივადგებითო... მერე გავიგეთ, - დიდი წრე დაგვირტყია და ისევ ძველ ადგილზე მივსულვართ. გუშინ საღამოს „ობმა“ ყინულის მოსწორებული მინდორი ნახა, გადმოიღეს დაშლილი „ან-2“ - ლამაზი თვიმთრინავი. მიესია ავიატორთა ჯგუფი (12 კაცი), 5-6 საათში ააწყვეს და ჰაერში ააფრინდნენ. ისე, რომ გუშინ და დღეს ჩვენი მფრინავი წინ დაფრინავს და გზას გვიჩვენებს. დაიღლება,

წავა „მოლოდიოჟნაიში“, დაისვენებს და ისევ... ბოლო 50 კმ ძნელი გასავლელი გამოდგა. დავიწყეთ წყლის ეკონომია - დღეში თითო საათით ორჯერ მოდის ონკანში.

მოზამთრეების განწყობილება მშვენიერია. დღეს ზვიგენების დიდი ჯგუფი გამოჩნდა გემის წინ, ყინულისაგან თავისუფალ ადგილზე და ორ-სამ წუთში გემის მარცხენა ბორტზე ყველა 150 მოზამთრე მოგროვდა. სანამ ზვიგენების ზურგები ყინულების იქით არ დაიმალა, კინო და ფოტოაპარატების გაუთავებელი ჩხაკუნი ისმოდა.

კარგ განწყობილებას უფრო ხშირად ჩვენ თვითონვე ვიქმნით. გამორიცხულია ყოველგვარი უხეშობა, მბრძანებლობა, მეტიჩრობა, წუწუნი. შეიძლება ზოგიერთ ჩვენგანში არის კიდეც მსგავსი საწყისები, მაგრამ ატმოსფერო ამის გამომჟღავნების არავითარ პირობას არ ქმნის. პრინციპში კი ხალხი შემოწმებულია ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც, კბილებიდან დაწყებული და ბაროკამერით დამთავრებული. მახსოვს, ლენინგრადში თერაპევტი ჩამაცივდა - გინდა თუ არა თავის ქალა გაბზარული გაქვსო და სურათი უნდა გადაიღოო. მართალი რომ ვთქვა, დავეჭვდი, მართლა გაბზარული ხომ არ მაქვს და ტვინმა ხომ არ გამოჟონა და იმით ხომ არ მატყობს - მეთქი. ყველაფერი კარგად დამთავრდა. მართალია, ყველა ჩვენთაგანს თავისი სისუსტეები აქვს, მაგრამ ვცდილობთ ზომას არ გადავაჭარბოთ - ვიცინით, ვხუმრობთ, მაგრამ არა ვინმეს წყენისა და დამცირების ხარჯზე.

კოლია იაკოვლევს ლაბორატორიაში ანტარქტიდის რუკა ეკიდა, რომელზეც ჩვენი გემის მარშრუტი იყო დატანილი. ვთხოვე და მომცა. მერე ოთხი დღის განმავლობაში თან დამქონდა და ყველას ავტოგრაფს ვთხოვდი. ორასორმოცდაათამდე კაცმა მომიწერა ხელი და ყველამ სიამოვნებით. მსგავს საქმეს ჩემს სიცოცხლეში პირველად ვაკეთებ და თავიდან ვშიშობდი, ჩემი თხოვნით უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავიგდო თავი-მეთქი.

მაგრამ, არა! ხალხის დიდი ნაწილი სიამოვნებით აწერდა ხელს, ზოგი იმ ადგილს ეძებდა, სადაც მოზამთრედ იყო. კოლია ფიშევმა და გენადი ჟირკოვმა ავტოგრაფები როგორც კინოვარსკვლავებმა ისე მომცეს - დაფიქრებისა და ადგილის ამორჩევის გარეშე, ხელის სწრაფი და ლამაზი მოძრაობით, შესაბამისი კომენტარებით. გემის კაპიტნის უფროსმა მოადგილემ უკან დახევა დაიწყო. მერე მიხვდა, უწყინარს რომ ვთხოვდი და გადაასხვაფერა: ავსტრალიიდან რომ ჩამოვალთ, მერე არ გირჩევნიაო? გავეცალე, გამაჩერა და ხელი მაინც მომიწერა, თუმცა უკვე სულაც აღარ მინდოდა. გარი სლესარენკომ, ჩემმა კოლეგამ, ცოტა უცნაურმა და ძალზე კეთილმა კაცმა, ცივი უარი მტკიცა - ჩემი ხელმოწერა ამათის ფასისა არ გეგონოსო, ხელს „მირნიში“ მოგიწერ, წლის ბოლოს, საზეიმო ვითარებაში, ნახევარლიტრიანი მომზადებული გქონდესო!

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ დროთა განმავლობაში ჩვენი ხასიათი ტრანსფორმირებას დაიწყებს, მძიმე პირობების, ერთფეროვნების, სახლიდან ინფორმაციის სიმცირისა და სხვა გარემოებათა გამო. საინტერესოა ამ მიმართულებით ჩემზე და სხვებზე რეგულარული დაკვირვება.

22 დეკემბერი

დღეს კაიუტ-კომპანიაში ფრენკ სტელსარტი ვნახე და გამახსენდა, რომ ავტოგრაფი არ მოუცია. კაიუტაში წავიყვანე, ხელი მოვაწერინე ინგლისურად და რუსულად. 40-45 წლის წყნარი, თავაზიანი ამერიკელია. ამბობენ, თავის საქმის კარგი სპეციალისტიაო. ატმოსფეროს ფიზიკაში მუშაობს.

გუშინ ნაპირს 30-35 კმ-ით მივუახლოვდით. ყინულის სისქე დიდია, გემი ვეღარ ერევა. დილას ნაპირზე გავედით ყველა და თვითმფრინავის ასაფრენ, დროშებით შემოფარგლულ, ბილიკს შევესიეთ. ყინულის ტოროსები ორ-სამ საათში გავასწორეთ. გემიდან მეორე თვითმფრინავი გადმოიღეს და ააწყვეს. მერე ორივე ასაფრენ ბილიკზე დაცურავდა თოვლის დასატკეპნად.

ბილიკის ბოლოში რომ მივიდოდა, შიგ მსხდომი 10-12 კაცი სწრაფად გადმოხტებოდა და ცალ ფრთას დაეკიდებოდა. თვითმფრინავი მაქსიმალურ გაზს მისცემდა და მობრუნდებოდა. ხალხი ისევ თვითმფრინავში შეხტებოდა და, ასე, მრავალჯერ. მერე ტრაქტორი გადმოიღეს და მან დაიწყო თოვლის გაკვალვა გემებს შორის. მუშაობით გახურებული, მალე ხალხის ნახევარზე მეტი, ტანშიშველი დავდიოდით. შუა მუშაობაში სტუმრად პინგვინები გვეწვივნენ, ასამდე იქნებოდნენ. ერთ მეტრზე ახლოს არ გაგიკარებენ. გაეკიდები - გარბის, გაჩერდები - გაჩერდება და გაშტერებული გიყურებს. ადამიანის შიშის გრძნობა აბსოლუტურად არა აქვს. გვერდზე ბიჭებმა წრე შეკრეს და ერთი დაიჭირეს. ისეთი პანიკური კივილი ატეხა, რომ სასწრაფოდ გაუშვეს. გაუშვეს თუ არა, კი არ გაიქცა, შემობრუნა და წინ გაეჭიმა. ყველა ადელის ჯიშისანი არიან. მერე ცალკე „იმპერატორი“ მოვიდა, ის გაცილებით დიდია, უფრო სერიოზული და ნელი. ახლოსაც გიშვებს. ხელის დაკარებამდე არ ინძრევა. ხელს დაადებ თუ არა, შეხტება და ისევ შენსკენ შემობრუნდება.

თვითმფრინავებმა „მოლოდიოჟნაიაში“ ხალხის გადაყვანა და ბარგის გადაზიდვა დაიწყეს. 10 კაცამდე ან 1 ტონამდე ტვირთის ზიდვა შეუძლიათ. დღეს ვერტმფრენიც მოვიდა „მოლოდიოჟნაიადან“ და მანაც რამდენიმე გზა გააკეთა.

23 დეკემბერი

გუშინდელი ბაკურიანის ამინდიდან ნამცეციც არ დარჩა - ბურუსი ჩამოწვა, ქარიც უბერავს. ვნანობ, კინოფირზე გუშინ ბევრი რამ რომ არ გადავიღე. საღამოს ვახშამზე ცოტანი ვიყავით - ჩვენ, „ვოსტოკისა“ და „ლენინგრადსკაიას“ ხალხი. ასმა კაცმა დაგვტოვა ერთი წლით მაინც. ბევრს შევეჩვიე 42 დღის განმავლობაში, გული დამწყდა, რომ მიდიოდნენ. ვანია ივანოვსა და ტოლია ეფიმოვს ჯერ კიდევ კურსებიდან ვიცნობდი, გამომთვლელი მანქანის

ინჟინრები იური დოროფეევი და კოლია ნოვიკოვი, თანამგზავრის ლოკაციის სპეციალისტი პაშა ნოვიკოვი, „ჰიდრომეტხელსაწყოს“ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე საშა სოსნინი, პროგრამისტი გენადი არტემიევი, აერომეტეოროლოგიური ჯგუფის უფროსი ვლადიმერ ბელოვი, ექიმები ლეონიდ ლაპშინი, ვალოდია ფოტიევი, ვიქტორ დიაჩკოვი, რადისტების უფროსი ბორის ჩერნოვი, რადიოინჟინერი კოლია კარპოვი, სიმპათიური, სათვალეებიანი რადისტი ვადიმ ტეფტელევსკი, და, რასაკვირ-ველია, ექსპედიციის უფროსი, საქმიანი და, თავის ჭკუაში ვითომ მკაცრი, ნიკოლოზ კორნილოვი - შესანიშნავი ხალხია.

ორ-სამ დღეში მე-19 ექსპედიციის მოზამთრეებს გადმო-იყვანენ ჩვენს გემზე. ალბათ გულის ფანცქალით ელოდებიან ამ საათს. ერთი სული აქვთ, როდის ჩავლენ სახლში. ჩვენ ხვალიდან ტვირთს გადავიტანთ „ობზე“ და მასზე გადავსახლდებით. უკვე გაგვანაწილეს კაიუტებში. მერე, როგორც შემოვედით ყინულებში, იმავე გზით წავალთ - „პროფესორი ვიზე“ ავსტრალიაში - პროდუქტებზე, ჩვენ კი „მირნისაკენ“.

25 დეკემბერი

გუშინ „მოლოდიოჟნაიაში“ ვიფრინე ვერტმფრენით, 80 კმ-მდე მანძილი 40-45 წუთში დავფარეთ. პატარა ქალაქია - ასფალტისა და ქალების მეტი ყველაფერია, რკინის ბოძებზე შეყენებული 30-მდე ალუმინისა და პლასტმასის სახლი დგას. რკინის ბოძებზე იმიტომ, რომ დიდი ქარების დროს თოვლმა არ დაფაროს. ყველა სამსახური ცალკე შენობაშია განთავსებული: აეროლოგები, მეტეოროლოგები, ჰიდროლოგები, რადისტები, მაგნიტოლოგები, თანამგზავრის ლოკატორი, რაკეტის გასაშვები დიდი მეურნეობა, გამომთვლელი მანქანა, ასტრონომები, გეოლოგები, აბანო, თბოელექტროსადგური, აეროდრომი 6 თვითმრინავით, ყველგანმავლები და ტრაქტორები, სასადილო და

კლუბი. 107 მოზამთრე სასამსახურო ან საცხოვრებელ შენობაში ცხოვრობს, უმეტესად კარგად მოწყობილ ოთახებში. ორმა შენობამ განსაკუთრებით გამაკვირვა თავისი კომფორტითა და სისუფთავით. მშენებლებს არც ფული დანანებიათ და არც მონდომება. შენობა დიდი და ნათელია. ექვს დიდ ფანჯარასთან ყუთებში კიტრისა და პამიდვრის ნამდვილი ბაღია. ფანჯარასთან ჭერის ცენტრამდეა მისული ძაფებს გადევნებული ფოთლები. წელს ორ მოსავლად 25 კგ ნაყოფი მოუკრეფიათ და ცოტა კიტრი და პამიდორი ყოველ დღე ჰქონდათ. შენობაში კარგი რემონტი და ავეჯია, იდეალური სისუფთავე. ძველი მოზამთრე ახალს ასწავლიდა ყვავილების დამტვერვას.

შენობის ნახევარი აბანოს უჭირავს, მეორე ნახევარში სამრეცხაოა. ისეთი ნამდვილი რუსული აბანოა თავი ბურახით, ორთქლით, სავარძლებით, სარკეებით, ქოშებით, გასაგრილებელი ოთახებით, რომ ძალიან ბევრ დიდ ქალაქშიც არ იქნება.

მერე ლოკატორი ავამუშავეთ, ვნახეთ როგორ მოეწყვნენ ჩვენი ბიჭები და ის იყო სასადილოში მივდიოდით, რომ, ვხედავთ, ხალხი შეკრებილა და ზემოთ იყურება: „ილ-14“-ს წინა მარჯვენა თხილამური გადატეხია და დაფრინავს ჩვენს თავზე. თურმე უკვე 2 საათია ასე არტყავს წრეებს და უცდის სანამ დასაფრენ ბილიკზე ექიმები, სახანძრო მოწყობილობა და სხვა დამხმარე საშუალებები მოგროვდება. მერე ბენზინი გადმოღვარა უკანასკნელ წვეთამდე და დაეშვა, დაეშვა მაგრამ არა უცებ - მარცხენა თხილამურით შეეხებოდა მინდორს და ისევ აიწევდა. ასე გააკეთა იმდენჯერ, სანამ სიჩქარე კარგად არ დაკარგა. მერე გატეხილი თხილამურითაც შეეხო თოვლს და ისეთი ბუღი დადგა, რომ რამდენიმე წუთი არაფერი ჩანდა. უამრავმა მოგროვილმა ხალხმა გადაწყვიტა, რომ შიგ მსხდომნი - ექსპედიციის უფროსი კორნილოვი, „ობის“ კაპიტანი ვოლკოვი, ორი ჰიდროლოგი, სინოპტიკოსი და ეკიპაჟი - ყველანი დაიღუპნენ. მერე გამოჩნდა ცხვირითა და ცალი ფრთით თოვლში ჩარჭობილი თვითმფრინავი.

ჩვენ მისვლამდე თვითონ გადმოვიდნენ გაფითრებულნი და საღები. დაფრენის წინ შვიდივე, მფრინავების გარდა, კუდში გაწოლილან იატაკზე გარდიგარდმო, ერთმანეთს ჩახუტებულები. ეჭვიც არ მეპარება თითოეული მათგანის გამბედაობაში, მაგრამ მათი ნათქვამი - „დიდი არაფერი მოხდარაო“ - უფრო დაფრენის შემდეგ კმაყოფილების გამოხატვად ჩავთვალე. მფრინავი კი მართლაც კარგი სპეციალისტია, ვიცნობ - კარგი ბიჭია!

27 დეკემბერი

უშინ ხელმეორედ გავფრინდი „მოლოდიოჟნაიაში“ და დღეს შუადღეს ჩამოვედი. ღამე ძველ ნაცნობებთან დავრჩი, იმდენი საინტერესო ამბები გაიხსენეს, რომ შემოგვათენდა. აქ შემოთენება კი იცით, რას ნიშნავს? როცა მზე ერთი ფანჯრიდან საწინააღმდეგო ფანჯარაში შემოაჭყიტებს!

დასასახლებლად ადგილი კარგად არის შერჩეული. შენობები კლდის გამონაფენზე დგას. ჩრდილოეთით 50 მ-მდე სიმაღლის ქედია აღმართული, რომელიც ეღობება მოძრავ ყინულებს, მთელ კონტინენტზე რომ არიან „მოდებულნი“ და აისბერგების სახით ზღვაში იტეხებიან. ამ კლდის წყალობით კი ყინული დასახლებას მარჯვნიდან და მარცხნიდან უვლის. სამხრეთით ადგილი დაფერდებულია ზღვისაკენ და 1-2 კმ-ის მერე თეთრი სისწორეა, ვერ გაარჩევ სად სანაპიროა და სად გაყინული ზღვა. ქედის გადაღმა სისწორე დასაფრენ ბილიკამდეა. მაღალი კლდიანი ადგილები ლოკატორისათვის და ანტენებისათვისაა მოხერხებული. სხვა ადგილებისაგან განსხვავებით აქ წყლის პრობლემაც არ დგას, ყინულს კი არ ადნობენ, აღმოუჩენიათ მოხდენილი ტბა, რომელიც სქელი ყინულით არის დაფარული, მაგრამ იმდენად ღრმაა, რომ წყალი ფსკერამდე არ იყინება. გაუხვრეტიათ ყინული, ჩაუშვიათ შინ მილი და რამდენიც უნდათ იმდენ წყალს ქაჩავენ.

6 საათზე მეტეოროლოგიური რაკეტის სტარტი იყო დანიშნული. საყურებლად მთაზე ავედით 50-მდე ცნობისმოყვარე, უმეტესად ფოტო და კინომოყვარული. „ოთხი, სამი, ორი, ერთი“ და... ისეთი სისწრაფით ავარდა, არა მგონია, ჩემს ფირზე რაიმე იყოს აღბეჭდილი. რაკეტა სამსაფეხურიანია, შედარებით პატარა, მაგრამ 120 კმ-ზე ადის ატმოსფეროში, მერე იხსნება პარაშუტი და საზომი მოწყობილობა მინიატურული გადამცებების საშუალებით ლოკატორს გადმოსცემს გარკვეულ ინტერვალებში ჰაერის ტემპერატურას, წნევას, სინოტივეს, ქარის მიმართულებასა და სიჩქარეს, მზის რადიაციას, ოზონის შემადგენლობასა და სხვა პარამეტრებს.

მერე სასადილოს წინ მე-19 ექსპედიციის უფროსმა იგნატოვმა საზეიმო სიტყვა გვითხრა და დაუშვა ექსპედიციის დროშა. ჩვენმა უფროსმა საპასუხო სიტყვა თქვა და მე-20 ექსპედიციის დროშა აღმართა. იყო ტაშის გრიალი.

ჩამოვფრინდი თუ არა „მოლოდიოჟნაიადან“, იმ წუთშივე „ობს“ მივაშურე. კაიუტაში ოთხი განვთავსდით, აეროლოგები: კომაროვი, სლესარენკო, მარინსკი და მე. აქ ის არ არის, რაც „ვიზეზე” იყო. კომფორტი ნაკლებია. სამაგიეროდ ბებერი გემი ანტარქტიკული სულითაა გაჟღენთილი. წყალიც გვაქვს, ხალხიც უფრო მიწიერია, გამობრძმედილი და გამოცდილი. სალონებისა და სასადილოს კედლები ვისი გინდა საჩუქრებით არ არის მორთული. სხვათა შორის, ოთარ კობერიძის კარგად, ქართულად მოჭედილი მეზღვაურის სურათიც ჰკიდია. ჩრდილოეთში კინოფილმ „წითელი კარავის“ გადაღებაზე უმოგზაურია ამ გემით. მუზეუმივით გემია, ცოდვა კია, გაისად, ჩამოწერას უპირებენ თურმე, და მის მაგივრად უფრო დიდი და კომფორტული გემი ივლის ამ მხარეშიო.

2 იანვარი, 1975 წელი.

ახალი წელის შეხვედრა ნამდვილად რუსულ ყაიდაზე, გულღიად, ბოლომდე დაგეგმილის შესაბამისად ჩავატარეთ. დიდი მზადება იყო, მერე - კონცერტი, თოვლის ბაბუა, მისი თანმხლები ფიფქია, სადღეგრძელოები, საჩუქრები, ვიქტორინა, ლატარია, მილოცვები, დეპეშები, ვახტანგურად შამპანიურის სმა, ცეკვები ოფიციანტ და დამლაგებელ ქალებთან (185 კაცი და 9 ქალი!). ზეიმის დასკვნითი ნაწილი გამომრჩა, რადგან... სავარძელში ჩამეძინა. მერე ჟორა მიმინოშვილმა გამაღვიძა (მეზღვაურია, შუახნის სასიამოვნო კაცი), მის კაიუტაში კარგა ხანს ვიჯექით, კონიაკს ვსვამდით და ბევრი რამეც მოვიგონეთ.

4 იანვარი

მეოთხე დღეა ადგილზე ვდგავართ. 29-ში რომ დავიძარით, ორი დღე აქაური პირობებისათვის ნორმალურად ვმოძრაობდით - დღეში 20-25 კმ გავდიოდით. სუფთა ზღვაში ამ მანძილს 1 საათზე ნაკლებ დროში გადის გემი. მეტრზე მეტი სისქის ყინულებში სუსტი ადგილების ძებნით კი ყინულმჭრელი მეტს ვერ ახერხებს. მიუხედავად თვითმფრინავით ყინულის მდგომარეობის დაზვერ-ვისა, ხისტად გავიჩხირეთ – 31 დეკემბრიდან დღემდე 100 მეტრითაც ვერ წავიწიეთ წინ. „ვიზე“ ყინულმა სულ ჩაჭედა, ვუვლით გარშემო და ვამტვრევთ ერთხელ უკვე დამტვრეულ ყინულებს, რომ სულ არ ჩაიყინოს.

მანქანები განუწყვეტლივ მუშაობენ, გემი გამუდმებით მოძრაობს წინ და უკან. ბუზი რომ მინას აწყდება, ისე მოგვდის. არადა სუფთა ზღვამდე 50-მდე კმ-ია. ჩვენთან წყალი კიდევ მოდის, „ვიზეზე“ ხვალ აღარ ექნებათ. იქ წყლის გამომხდელი მხოლოდ დიდ სიჩქარეზე მუშაობს. ნაპირთან რომ ვიდექით, გემის მთელი შემადგენლობა ვედროებით თოვლს ეზიდებოდა. აბა, როდემდე ეყოფოდათ? ახლა მთავარია ქარი ამოვარდეს და ყინულები ცოტა

მიმოფანტოს, არადა თბილი, მზიანი ამინდებია, შუადღის ტემპერატურა 10^0-ს უახლოვდება.

ჩვენი კაიუტები კუდშია მოთავსებული, ისეთი ხმაური და ძაგძაგია გადატვირთვების გამო, როგორც თვითმფრინავში - სტარტის წინ. უკვე შევეჩვიეთ, აღარ ვრეაგირებთ. როგორც იტყობინებიან, „მირნის“ ნაპირებზე ყინულის სისქე 40 სმ-ს არ აღემატება, ასეთ ყინულს კი გემი თავისუფლად აპობს. დღის პერიოდი თანდათან მცირდება. 15 იანვრისათვის „მირნიდან“ ექსპედიცია უნდა გავიდეს „ვოსტოკ - I“- საკენ. მივალთ კი ამ დროისათვის? ამ თვალსაზრისით „მირნიდან“ „მოლოდიოჟნაიაში“ ცენტრის გადატანა შეუფერებელია. ეს გამოცდილი ხალხის აზრია. ყინულები იქ გაცილებით მიუდგომელია, ვიდრე ამ რაიონებში.

7 იანვარი

დღეს დილით თავი დავაღწიეთ ყინულებს - მივდივართ ჩრდილო-დასავლეთით. ჯერ კიდევ გუშინ ამის არავითარი პერსპექტივა არ იყო. ჩვენი გემები ყინულებმა დრეიფით საწინააღმდეგო, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით გადა-იყვანა. ძველ ადგილს 18 კმ-ით დავშორდით. თვითმფრინავები საათობით ზვერავენ ჩვენთვის მარშრუტს, მათ შორის ლაპარაკს ვუსმენდი. თვითმფრინავის ეკიპაჟი „ობის“ კაპიტანს თხოვდა, როგორმე სამი-ოთხი კორპუსით წაიწიე წინ და მერე მოზრდილ ბზარს გაყვები, 5-6 კმ-ში ყინულები დაბზარულია და სუსტი, სუფთა ზღვამდე მერე შეუფერხებლად ივლითო. მართლაც დღე-ღამის მუშაობის შემდეგ ეს მანძილიც გავიარეთ და შედარებით სუსტ ყინულებში მოვხვდით. დილით ადრე დერეფნებში ჩოჩქოლი შეიქმნა, თურმე სუფთა ზღვა გამოჩნდა კაპიტნის ხიდიდან. ყველა გარეთ გავედით. ძალზე ლამაზი სანახავი იყო ყინულებისა და ზღვის საზღვარი. ყინულების თავზე ცა მოწმენდილი იყო, ზღვის თავზე კი ძლიერი ღრუბლები

შექუჩულიყო. ჯერ თეთრ ფონზე შავი ჰორიზონტი ჩანდა, მერე შავი თანდათან ლურჯად იქცა და მეტი ადგილი დაიკავა. აქამდე თუ ყინულები აბსოლუტურად უმოძრაოდ იყვნენ, ახლა ზღვის ღელვის გამო რამდენიმე კილომეტრში მათი მოძრაობა ერთად უფრო თამამი გახდა და ბოლოს ეს ამხელა, გიგანტური მასა, ზღვის ტალღების მოძრაობას იმეორებდა. უყურებ და გიკვირს, - რა ენერგიის პატრონია დედამიწა?

ყინულებისა და ზღვის გასაყარი საოცარი სილამაზისაა, მხატვრის თვალით დანახვა სჭირდება მას - ყინულის კვადრატები, რომბები, ელიფსები, მრავალკუთხედები თანდათან პატარავდე-ბიან, გასაყართან მათ შორის მანძილი იმდენივეა, რაც თვითონ არიან. თვალი ჰორიზონტამდე ღია და მუქი ფერის ერთმანეთში გადასვლას ხედავს. აბსოლუტური ჰარმონიაა. მერე საწინააღ-მდეგო ხდება, ზღვის სილურჯეში ყინულის ნაჭრები უფრო იშვიათად მეორდება და ბოლოს კანტი-კუნტად, აქა-იქღა დაცურავს მარტოდ. ამ ფონზე დიდი აისბერგები პროპორციულად არიან განლაგებული ორივე მხარეს.

დაინახა თუ არა ღია ზღვა უმადურმა „ვიზემ“ ჩართო სიჩქარეები და ავსტრალიისაკენ მოკურცხლა. მისი 18 კვანძი სიჩქარე ჩვენი გემის 12-თან შედარებით, რომ ჩაგვიქროლა, მაშინღა აღვიქვით.

10 იანვარი

დღეს „ვოსტოკის“ სადგურის უფროსი ვლადიმერ ავსიანი-კოვი მაგნიტოფონზე ჩავიწერე. უკვე მაქვს კოროტკევიჩის, სამუშკინის, ივანოვისა ჩანაწერებიც. ხვალ კინოოპერატორთან ვისაუბრებ. ჩვენთან ერთად კინოჯგუფი მგზავრობს. მოსკოვის სამეცნიერო კინოსტუდიიდან. საქმე ბევრი მაქვს, სამ დღეში კი „მირნიში“ უნდა ვიყვეთ. მანამდე ჩემი სიმპათიური მოხუცი ვიქტორ ტკაჩოვი შემპირდა - ბევრ რაიმეს მოგიყვებიო. კაპიტნის პირველი მოადგილეა, ანტარქტიდაში პირველი რეისიდანვე

დაცურავს, ცოცხალი მატიანეა. ხმის თბილი ტემბრი, ჯენტლმენობა, მეზღვაურის ოდნავ უხეში მანერები, კბილებში გამუდმებით ბოლომდე დასული, ჩამქრალი „ბელომორი“, განსაკუთრებულ იერს გვრის.

11 იანვარი

საერთოდ ჩვევა მაქვს - გვიან ძილი, მაგრამ წუხელ უძილობა დილის 6 საათამდე გამიგრძელდა, მერე კი შუადღის ოთხის ნახევრამდე მეძინა. ჩაის ძლივს მივუსწარი, ვახშამიც უხეიროდ ვჭამე. ისეთი გრძნობა მქონდა თითქოს დილა იყო და საკვებს ორგანიზმი ჯერ არ ითხოვდა. მერე დავფიქრდი, და მივხვდი, რომ მიზეზი დროის აღრევა იყო - სამ დღეში გემის აღმოსავლეთით მოძრაობის გამო, დრო 4 საათით გადავიწიეთ წინ, ორგანიზმი კი დროის ასეთ ცვალებადობას ერთბაშად ვერ შეეჩვია. საათი თუ შუადღეს აჩვენებდა, ჩემი ორგანიზმისათვის ჯერ კიდევ დილა იყო. ერთი-ორი საათი კიდევ ვიკითხავ, დავღლი სხეულს და მერე დამეძინება. მითუმეტეს, რომ ორი ფინჯანი კარგი ბრაზილიური ყავა მაქვს დალეული ტკაჩოვთან. საღამოს ვეწვიე, ბევრი საინტერესო ამბები მომიყვა - ჩავიწერე. შეყვარებულია თავის გემზე. მართლაც, - „ობს“ დიდებული ისტორია აქვს! თვითონ პირველი დღიდანვე კაპიტნის მოადგილეა. სამის გარდა ყველა რეისში მიუღია მონაწილეობა. ოთხი კაპიტანი გამოიცვალა, უთვალავი ამბის მომსწრეა: ანტრაქტიდაში პირველი ჩასვლა, დედამიწის გარშემო პირველი სამეცნიერო ექსპედიცია, სადგურების გახსნა, აღმოჩენები, ქვეყნები, საინტერესო ხალხი. წელს ექიმებმა ჯანმრთელობა რომ ვერ დაუწუნეს, სამოცი წლის ასაკი მოუმიზეზეს. ძლივს დაიძვრინა თავი. გაისად თბილ ქვეყნებში ჩვეულებრივ რეისებში მომიწევს მოგზარუობაო - სინანულით ამბობს. შარშან „ობი“ ყინულებში რომ გაიჩხირა, უამრავი საქმე გაუჩნდა. ხალხის ფსიქიკა გადაგვარების გზაზე იდგა, უჩვეულო სიძნელეები და გაურკვეველი მომავალი ეკიპაჟს

მორალურად ასუსტებდა, პასიურს ხდიდა. საჭირო იყო სასწრაფო ზომები, წინამძღოლობა. ყველაფერი კარგად დამთავრდა. ნახევარი წლის ტყვეობის შემდეგ მოდრეიფე ყინულებმა „ობი“ გაანთავისუფლა. სამაგიეროდ ტკაჩოვი, ამ და ძველი დამსახურებისათვის, ორდენით დაჯილდოვეს. სხვათა შორის მასთან ერთად ეს ჯილდო ჩვენმა მიმინოშვილმაც მიიღო. აქ ჟორა ყველას უყვარს, რატომ-მეთქი, რომ შევეკითხე და სიკეთე აქვს დათესილი ბევრიო. 13 წელია „ობზე“ მუშაობსო.

სასადილოში, მაგიდასთან ჩემს წინ მიკრობილოგი ზის. საღამოს თავის სპეციალობაზე მიყვება ამბებს, მერე სინანულით და რაღაცნაირი მობოდიშებით აღნიშნა, რომ საქართველოში მიკრობიოლოგია, როგორც ეკადრება ისე არ არის განვითარებულიო. სომხებს, უზბეკებს, ლატვიელებს, ტაჯიკებს საგრძნობლად ჩამორჩებითო, რომ არაფერი ვთქვათ მოსკოვზე, უკრაინასა და ლენინგრადზეო. მართალი რომ ვთქვა, შეკამათება ვერ გავბედე ამ დარგში არაკომპეტენტურობისა გამო, მაგრამ მის ობიექტურობაშიც ეჭვი ვერ შევიტანე, რადგან წლების განმავლობაში მოსკოვის მიკრობიოლოგიის ინსტიტუტში მუშაობს, ერთ ხანს სწავლული მდივანიც იყო და სამუშაოთა კოორდინაციის საქმის კურსშიც ყოფილა.

15 იანვარი

ორი თვის მგზავრობა დამთავრდა - ჩამოვედით „მირნიში“, ეს ობსერვატორია ოცი წელია არსებობს, როგორც წარმომედგინა დაახლოებით ისეთია. მესამე დღეა აქა ვართ. გარეგნულად აბსოლუტურად ქაოტური მდგომარეობაა - 50 კაცის ნაცვლად სამჯერ მეტნი ვართ, ძველებიც აქ არიან, სეზონზე მომუშავეებიც, „ვოსტოკის“ ძველი და ახალი ხალხიც. თავშეყრის ძირითად ადგილზე - სასადილოში, ყველა ერთმანეთში ირევა. მერე ყველა

თავის სახლებში ნაწილდება და საქმით ან უსაქმურობით არის დაკავებული.

...გემზე კინოს ვუყურებდი, როცა ჩემი გვარი გამოუცხადებიათ ვერტმფრენით მესამე რეისით გადაფრენაზე - გვიან გავიგე, ფაცა - ფუცით ავიკარი გუდა - ნაბადი და გამოვფრინდი. გემიდან, რომელიც 13 კმ-ში მოადგა ნაპირს, მხოლოდ ხალხი და მსუბუქი ტვირთი გადმოზიდეს. ახლა საჭიროა, რომ გემი კუნძულს ან რომელიმე მყარ ნაპირს მიადგეს, რათა მძიმე ტვირთი გადმოტვირთოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველგანმავალი და მისთანანი გადმოუტვირთავი დარჩება. რასაც „ობი“ დღემდე აკეთებს, ჯერჯერობით შედეგი არ მოჰყოლია - მხოლოდ 2 კმ-ით წაიწია წინ. ციკლონს ველოდებით, იქნებ ყინულები გაარყიოს. მანამდე ვერტმფრენის პილოტები ჩემთან ერთად ატარებენ დროს ბილიარდის თამაშში.

იცოცხლე, აქ რომ ქარი სცოდნია. მყინვარწვერზე 20-25 მ/წამში სიჩქარის ქარს შეჩვეული ვიყავი, იყო იშვიათი შემთხვევები, 40 მეტრამდეც მიუღწევია, მაგრამ აქ ისე ლაპარაკობენ 30-50 მეტრზე, ვითომ არაფერია. მართალია ეხლა 20 მ.-მდე უბერავს, მაგრამ შენობიდან რომ გადიხარ, თითქმის მიწაზე უნდა წაწვე, თორემ მორენაში გადაგისვრის. მის გაბმულ ზუზუნს შევეჩვიე.

„მირნიში“ კეთილმოწყობის თვალსაზრისით - ძველი და ახალი ნაგებობები საკმაოდ განირჩევა ერთმანეთისგან. ძველი - ეს, 5-6-ოთახიანი სახლებია, რომლებიც თავის დროზე ყინულზე დადგეს. სითბომ და დრომ ისინი ყინულში 10-15 მეტრზე ჩაიტანა. არის სახლები, რომლებიც მერე იგივე სახლებს ზევიდან დაადგეს, ისინიც ჩაფლულია და ახლა მათ ადგილზე პატარა ჩასასვლელი კარი ჩანს ყინულის მინდორზე. გარშემო ანტენებია. ციგებზე დადგმული სასამსახურო სახლები, ძველი და ახალი ტრაქტორები, ათასნაირი ტიპის კაბელების ესტაკადა, საწვავის

უზარმაზარი ჭურჭლები, სამშენებლო მასალა, ნაგავი, შორს - თვითმფრინავების სასაფლაო, დასაფრენი ზოლი ახალი თვითმფრინავებით. ამ გარემოში გამოირჩევა ორი ახალი ორსართულიანი, ლამაზი, სამფერად შეღებილი, ალუმინისა და პლასტმასის, ოჩოფეხებზე შემდგარი შენობა. დერეფნის ორივე მხარეს 9-15 $მ^2$ ზომის ოთახებია, ახალი, დიდებულად შეკეთებული, ყოველნაირი სათავსოებით. მეორე სართულის მარჯვენა კუთხეში ჩვენ - აერომეტეოროლოგთა ჯგუფი - მოვთავსდით, ექვსი კაცი ვართ. ორ სამუშაო ოთახში ლოკატორის მონტაჟი დავიწყეთ, ყველას თითო ოთახი მოგვიჩინეს. სანამ ავეჯი „ობზეა“, ფირფიცრებით თაროები და სკამებად ყუთები მოვაწყვეთ, საწოლებად „ლეჟანკები“ გამოვიყენეთ. მეორე შენობაც ამავე ტიპისაა, შარშან შევიდა ექსპლოატაციაში. ზემო სართულზე საავადმყოფო და საცხოვრებელია, ქვემოთ - სასადილო, კინო-დარბაზი და მასობრივი თავშეყრის ოთახები.

დილიდან ღამემდე ლოკატორის მონტაჟს ვუნდებით, მშენებლებმა საქმე გაგვიადვილეს - ანტენა სახურავზე უკვე აუტანიათ, ეს კი ნახევარ სამუშაოს ნიშნავს. სამუშაოს მწარმოებელი კოლია - ოქრო ბიჭია. რუსია, ყუბანელი, აზერბაიჯანში გაზრდილი. მშობლები ახლაც იქ ჰყავს. კავკასიური ჩვევები, მისი სიყვარული, ფართო მხრები, დიდი წვერები, ხალხთან ლაპარაკის სურვილი, გულღია კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. დრო არ ითმენს - ძველი ლოკატორი, რომელიც 700 მეტრში ყინულის კედელზე დგას, უნდა მოაშორონ აქაურობას, რადგან გაისისათვის მესამე სახლი უნდა დადგან, ამიტომ მიწის სამუშაოები (კედლის აფეთქება და მოსწორება, საძირკველი, ბოძების დამონტაჟება) წელს, ანუ ერთ თვეში უნდა დამთავრდეს. ე.ი. შემდეგ წელს მთელი „მირნი“ ყინულიდან ამოვა და ახალ სახლებში იცხოვრებს. მდებარეობა „მოლოდიოჟნაიასაგან“ სრულიად განსხვავებულია. აქ - ზღვის ყინული, აისბერგები, სამი

პატარა კლდოვანი კუნძული, თავად „მირნის“ ყინულოვანი ტერიტორია კლდოვანი გორაკით, მორენა, კონტინენტიდან ყინულოვანი დაქანება - ყველაფერი ერთმანეთშია არეული. მაგრამ მე აქ უფრო მომწონს - ვგრძნობ, რომ სწორედ ეს არის ანტარქტიდა. გუშინ კი, მთიდან წამოსული უზარმაზარი ყინულოვანი მასა ჩამოწყდა ნაპირს და აისბერგებად იქცა - ბევრნი არიან ასეთები, ჩამწკრივებულნი.

ვერტმფრენიდან კუნძულ ხასიელზე სასაფლაო დამანახვეს (ერთი კმ-ით არის დაშორებული, ზამთარში ფეხით შეიძლება მისვლა). ჩუგუნოვი გამახსენდა, საწყალი ბიჭი. 1961 წელს გაზით მოიწამლა. მისი ობლად დარჩენილი ერთი ციცქნა გოგო იმხელა გაზრდილა, რომ უკვე გათხოვილა. როგორ გადის დრო! (სულ რომ წლოვანი ხალხის სახმარი მეგონა - ეს სიტყვები მეც ვიხმარე).

18 იანვარი

როგორც იქნა „ობი“ მოადგა ტოკარევის კუნძულს. დილას პირველი ბრიგადა გავუშვით სამუშაოდ.

ღამის 3 საათი იყო და მე კი, არ მეძინა - საბოლოო საცხოვრისის დაკონკრეტებამ ოცნება „დაამიწა“ და პრაქტიკული ხასიათის ფიქრებით შეცვალა. როგორ ჯობია მოვაწყო ჩემი მიკროცხოვრება, რომ ეს წელი მალე გავიდეს? ჯერ ერთი, მთავარია სამუშაოთი დატვირთული ვიყო. გუშინ, ერთი მეუბნებოდა - აქ ხალხი სამუშაოთი დატვირთული რომ არ იყოს, ფსიქიატრიული განყოფილების გახსნა იქნებოდა საჭიროო. მეორე, როცა ფიქრებში ჩაეფლობი, საჭიროა გადაწყვეტილად, სწრაფად ადგე, ტანზე ფიცხლად ჩაიცვა და გარეთ გახვიდე - ქარი იმ წუთშივე გაგიგრილებს ტვინს. მესამე - რაც გაინტერესებს ის უნდა აკეთო და არა რაც გჭირდება. იმიტომ, რომ ერთი კვირაა ერთ წიგნს ვკითხულობ და პარალელურად სხვა რამეზე ვფიქრობ. შევამოწმე - მართლაც ასეა, აბზაცისა და ფიქრის შინაარსს ორივეს ვიხსენებ.

ადამიანს გარემოსთან შეგუების საოცარი უნარი გააჩნია - ბიჭები ყვებოდნენ: „ნოვოლაზარევსკაიას“ სადგურიდან ერთმა მოზამთრემ განცხადება დაწერა კიდევ ერთი წელი დამტოვეთო. ამბობს თურმე - ცოლი მომიკვდა, შვილები არ მყავს, აქ მირჩევნია ყოფნაო. მეორე წელს ჯერ არასდროს არავინ დაუტოვებიათ და იმასაც უარი უთხრეს.

„ვოსტოკიდან“ ჩამოსული მოზამთრე გამაცვნეს. როგორ გადაიტანე მეთქი?.. ნორმალურადო, ესაა წონაში 17 კგ დავიკელიო (ასი კგ ყოფილა). ჩემი წონა (84 კგ) ჯერ მყარია, არ იცვლება.

ადრე ოთახში ორი-სამი კაცი ცხოვრობდა, მერე ამერიკელებმა, გინდა თუ არა ცალკე ოთახში მოზამთრის ცხოვრება ფსიქოლოგიურად და ჰიგიენურად უფრო გამართლებულიაო და „მაკ-მერდოში“ და „ამუნდსენ-სტოკში“ ცალ-ცალკე ცხოვრობენ. ჩვენებმა, რასაკვირველია, აიტაცეს მოწინავე აზრი - ჩვენც უნდა გადმოვიღოთო. ახლა შენობებს ამ ვარაუდით აშენებენ. მაინტერესებს ერთი წლის შემდეგ ჩემი აზრი ამის შესახებ. ერთმანეთში ურთიერთობის ხარისხზე ჯერ ლაპარაკიც ზედმეტია - აქ ზოგი დღეს ჩამოვიდა, ზოგი ორი თვის წინ, ზოგი სხვა სადგურებზე მიდის. ყველას თავისი უტრიალებს თავში. ურთიერთობა ზედაპირულია, გარეგნული. ამას საერთოდ ვამბობ, თორემ პატარა ჯგუფები უკვე ჩამოყალიბდნენ. საჭმელზე ერთად ჯდებიან, ერთმანეთს უცდიან, ერთმანეთში ხუმრობენ. ამ ხალხში მე მგონია ჩვენ და “ვოსტოკელები” გამოვირჩევით. მფრინავებიც კარგი ბიჭები არიან. ჩვენ ყველაზე ხმაურიანი და გვიან მოძილე ხალხი ვართ. სლესარენკო გვაკლია, გემზე დატოვეს, თორემ ყველას აიკლებდა. სამაგიეროდ ჩვენ ოთახი მოვუმზადეთ, თეთრეული, საწოლი, ყუთები ავეჯად და ერთი სული გვაქვს როდის ჩამოვა.

22 იანვარი

გუშინ სამუშაოდ მე-7 კმ-ზე ვიყავით. 17 კაცმა და ორმა ტრაქტომა 5-6 ტონა ხორცი გადავზიდეთ ერთი საწყობიდან მეორემდე (სამუშაო მძიმე იყო, ხორცის ნაწილს სუნი ასდიოდა). 10-15 მ-ზე ყინულია გათხრილი, გადახურულია ფიცრებით და თოვლით არის დაფარული თავისი პატარა, დაქანებული ჩასასვლელით - ასეთ საწყობს ცივ საწყობს ეძახიან. ახლად აგებული ჭერი ჯერ გაყინული არ იყო და იქ შეტანილ ხორცს წყალი ესხმებოდა, ამიტომ საჭირო შეიქმნა ძველ, კარგად გაყინულ (-10-12^0) საწყობში მისი გადატანა.

დღეს 8-დან 4-მდე შეუსვენებლივ, ვერტმფრენით მოტანილ ტვირთს ვაბინავებდით. დღის ბოლოს ისეთი შევიქმენით, რომ სასადილომდე ძლივს მივლასლასთით. ფიზიკურად ბევრი მიმუშავია, მაგრამ ასე არასდროს დავღლილვარ. მე რა, ორი მექანიკოსი, რომელთათვისაც ფიზიკური მუშაობა უცხო არ არის, სიქაგამოცლილები იყვნენ. არიან ადამიანები, რომელთა სხეული ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს. უნდა მუშაობა და სიამოვნებითაც აკეთებს ამას. ერთი „კოსმიკი“ გვყავს გვარად ბაკუნინი, რომ ჩაერთვება, ბოლოში ისე გავა, პატარა შესვენებაც არ უნდა. შენ ცოტას დაისვენებ, სიგარეტს გააბოლებ, გადასძახებ: „თავს ნუ იკლავ მაქსიმე, ყუთს მარტო ნუ ზიდავ“, ის კი ამ დროს დადის მარტო, უხმოდ ეჭიდება ყუთებს, გადააქცევს, გადმოაქვს, ერთმანეთზე აწყობს, ზოგს ისეთს აკეთებს, რაც საჭირო არ არის - ერთი სიტყვით გაუთავებლად მუშაობს. მის ქცევაში აშკარად არა, მაგრამ მეტიჩრობა მაინც ჩანს, ეტყობა ბუნებას სხვა განსაკუთრებული ნიჭით არ დაუჯილდოვებია, თორემ აუცილებლად გამოამჟღავნებდა. ხოდა, ასეთი კაცი, რომელიც მეგონა არასდროს დაიღლებოდა - ისიც კი გატყდა, ბოლოს სამუშაოს ერიდებოდა. ამას რომ აკეთებდა რცხვენოდა, თავის თავზე ბრაზდებოდა - რატომ დავიღალეო.

საღამოს, მეორე ცვლამ რომ დაიწყო მუშაობა, ისეთი ქარი ამოვარდა, გარეთ ფეხს ვერ გაადგამდი. ფრენა და სამუშაოები შეწყდა.

24 იანვარი

ქარი წამში 25 მ სიჩქარით უბერავს. გადმოტვირთვა შეჩერებულია. ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ - ლოკატორის მონტაჟს ვაგრძელებთ.

25 იანვარი

ჩემი და აეროლოგების ურთიერთობა რთულდება. დღეს მცირედი ინციდენტი მოხდა. მე 7 კმ-ზე ვიყავით საწყობში პროდუქტების ჩასაზიდად. მე იქ შემთხვევით მოვხვდი. წუხელ ღამით კომაროვმა გამაფრთხილა, რომ დილით სამუშაოზე გავალთო, სად - არ უთქვამს, დილას ერთი ტრაქტორი წავიდა ხალხით, მეორეს მე გავყევი. ადგილზე რომ მივედით, იქ ჩემი ბრიგადის წევრები არ დამიხვდნენ. ისინი თურმე ვერტმფრენის დაცლაზე იყვნენ. რას ვიზამდი, ვიმუშავე მათთან ერთად 3 საათამდე, ქანცი გაგვძვრა. სამუშაოდან მობრუნებული ხელს ვიბან და მეზობელი მეუბნება: უსოვს (ბრიგადირია) შენზე ხელების ქნევა და ლანძღვა არ დაუკლია, მართლა დაიმალე და სამუშაოდ არ გახვედიო? უსოვი ყვირილით შეგვხვდა, გამოსავალი უფრო ხმამაღალ ყვირილში ვნახე. მთელი დღე ხმა არ გამიცია. საღამოს ოთახში შემოვიდა და გრეხვითა და პრანჭვით ხუმრობისა და ბოდიშის ნარევის მტვერი დააყენა. მოვუსმინე და ძალიან მკვეთრად და კატეგორიულად ვუთხარი, რომ არავის მოვუთმენ ყვირილსა და უსამართლო დამოკიდებულებას. ვუკრძალავ საერთოდ ჩემზე ჭორაობას და უპატივცემულო მოპყრობას. ასე დავშორდით. ეშმაკი კაცია, თუ ფეხქვეშ მოექეცი, წიხლს დაგაჭერს.

საერთოდ აქ უმთავრესად ორი კატეგორიის ხალხი მუშაობს. პირველი - ეს პროფესიონალი მოზამთრეებია, რომლებიც წლიდან წლამდე ექსპედიციებში დადიან ან აქ, ან არქტიკაში, რადგან

შესაბამისი პროფილის ინსტიტუტების თანამშრომლები არიან და სხვა სამუშაო ადგილი მათთვის არ არსებობს და მოზამრთეები, რომლებიც სხვა ორგანიზაციებიდან არიან, უმთავრესად პირველად წამოსულები. მათი უმთავრესი ინტერესი ფულის შოვნა არ არის, ისინი ან მეცნიერული იდეის რეალიზაციის, ან ახლის ნახვის, ან ძნელ პირობებში ცხოვრებასთან ბრძოლის, მოცემული შესაძლებლობების გამოცდის სურვილით არიან წამოსულნი. მათი მოქმედება უფრო თავისუფალი და დამოუკიდებელია, მლიქვნელობას და შიშს მოკლებული, ინტერესები - შეუზღუდავი, ახლის შეგრძნებისაკენ მისწრაფება - დაუოკებელი. ეს ხალხი აქ მეორედ, როგორც წესი, აღარ ჩამოდის. პირველების მდგომარეობის განსაზღვრა, თუ არ გადავჭარბებ, ასე შეიძლება: სამუშაოს დაკარგვის შიში, რაც უფროსის (უშუალო ან ზემდგომის) უსიტყვო, „სალდათურ“ მორჩილებაში გამოიხატება. ასეა სლესარენკო კომაროვის მიმართ, კომაროვი უსოვის მიმართ და უსოვი არტემიევის მიმართ. ამ ურთიერთობის დარღვევა - საკუთარი აზრის ან უკმაყოფილების გამოხატვა, შემდეგ ექსპედიციაში არწამოსვლას ნიშნავს. ამიტომ მათი მოქმედება განისაზღვრება ტაქტიკით - რაც შეიძლება ნაკლები აკეთო და მეტი მოაჩვენო; სხვაზე იჭორაო, რომ საყვედური შენ იქნებ ნაკლებად შეგეხოს; უფროსის არასწორი ბრძანება უსიტყვოდ მიიღო, რომ მისი წასვლის შემდეგ ასევე გულგრილად შეასრულო და ერთი მაგრად შეუკურთხო. დედის გინება აქ ჩვეულებრივი სიტყვის მასალაა, გაგიკვირდება, როგორ ახერხებს ზოგი, ყოველ მეორე სიტყვაში მის ჩართვას (როგორც დაცვითი რეაქციის გამოვლინება, მე ამას ყურადღებას აღარ ვაქცევ).

დაგვჭირდა ოსტატი კედელზე კრონშტეინების დასამაგრებლად. უფროსისა და მშენებლობის უფროსის ბრძანებებმა არ გაჭრა, ათასი რაიმე მოიმიზეზა, მერე სპირტი შევპირდით და სასწრაფოდ მოგვევლინა, 10 დღის გაჭიანურებული საქმე ორ

საათში გააკეთა. პავილიონისა და სააგრეგატოს აშენება ვერ ხერხდება. ძველები არ აშენებენ - მივდივართო, ახლებს ჩვენთვის დრო არა აქვთ, სახლის აწყობა უნდა დაიწყონ დიდ ქარებამდე. ჩვენი უფროსი, როგორც ჭორაობენ, წყვიტავს და ვერ გადაუწყვეტია სად დადგას პავილიონი. მერე წინადადება მისცა პატარა უფროსებს (პასუხისმგებლობის აცილების მიზნით) კოლექტიური დეპეშა გავგზავნოთ ლენინგრადში ადგილის არჩევის შესახებო. უსოვის მოქმედებაც ოსტატურია, „ავრალში“ სულ 3-4-ჯერ მიიღო მონაწილეობა: გემზე უფროსობის, მერე თავისი საქმით დაკავებულობისა და, ბოლოს, ფეხის მსუბუქი ტრამვის მიზეზით და ეს ყველაფერი ისე ოსტატურად წარმოადგინა, რომ შეიცოდებდა კაცი.

გადმოზიდეს ავეჯი ჩვენი სახლისათვის. თქვენზე განაწილდებაო - გვითხრეს. ვხედავთ საღამოს ტრაქტორისტმა, გვარად ფრანცმა, თავის სახლში მიზიდა და იქ გაინაწილეს. მეორე დღეს ჩვენთვის ტუმბების გადაზიდვა ვთხოვეთ, ისეთი კანონის დამცველის პოზა მიიღო, რომ ბიჭებმა თავი გაანებეს. საღამოს ისევ მოაყენეს ტრაქტორი და ისევ დაინაწილეს დარჩენილი. ისე კი ამბობენ - მერე გადანაწილდებაო - მაგრამ გვეეჭვება.

მფრინავებმა მზარეულებს შეუტიეს საჭმელის თაობაზე (მართლაც დამპალი ხორცი გვაჭამეს). იცოცხლე, დაფაცურდა ჩვენი ღიპიანი მომმარაგებელი, რაც საჭმელს მაშინვე დაეტყო - ჯერჯერობით არა უშავს.

27 იანვარი

სერიოჟა გუსევმა - ვერტმფრენის პირველმა მფრინავმა, შემომთავაზა ტოკარევის კუნძულზე გაფრენა. სამი გზა წყალბადისა და ჰელიუმის ბალონები უნდა გადმოეტანა და მტვირთავები სჭირდებოდა. წამოდი, იმუშავებ, კუნძულსაც ნახავ და პინგვინებსაც გადაიღებო. სიამოვნებით დავთანხმდი. კუნ-

ძულზე ბალონები ბადეში ჩავტვირთეთ, ვერტმფრენს დავკიდეთ, გამოვატანეთ და კუნძულს შევუყევით სამი კაცი. დაახლოებით 150 მ სიგრძისა და მისი ნახევარი სიგანის კლდოვანი კუნძული ადელის ჯიშის პინგვინებითა და მათი პატარა, უსუსური ბარტყებით იყო მოფენილი. ხუთი ათასი მაინც იქნებოდა, უმთავრესად ბავშვები. ისინი ჯგუფებად არიან თავმოყრილი, თითოეულში რამოდენიმე ათეული და ორ-ორი უფროსი დარაჯობს. ზოგჯერ ნისკარტსაც ჩასცხებენ დამნაშავეს. დედები ნაპირთან თევზებს არიან ჩასაფრებული და ამით კვებავენ პატარებს. ამდენი პინგვინი ერთად რომ დავინახე ახლის შეგრძნების სასიმოვნო ჟრუანტელმა დამიარა. პინგვინები კვერცხებს ზამთრის ბოლოს დებენ, სითბოს დადგომამდე გამოჩეკავენ, მერე იანვარ - თებერვალ - მარტში, უსუსურები მომძლავრდებიან და ზამთრის დადგომისათვის უკვე დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევიან. ჯგუფებში დავდიოდით, ხელს ვკიდებდით ბარტყებს, სუსტ, ბუმბულიან, სიცივისაგან აკანკალებულ პატარებს. ზოგი ძალიან სუსტია, ჯგუფის შუაგულში მიძვრება, სხვებს ეხუტება. ზოგი ჯანმრთელი, გამაძღარი, ლამაზი, მხიარული გამოიყურება. როგორც მიუახლოვდები, ზედამხედველი გამოქანდება და კორტნას დაგიწყებს. ახლო მიკარების ნებას არ რთავს უცხოს. დიდები ზურგშავი და გულთეთრები არიან, პატარები თაგვისფერები, მსუბუქი - ბამბასავით ბუმბულით. ვერტმფრენი კიდევ ორჯერ მოფრინდა, ორჯერ დავტვირთეთ, თან ვსეირნობდით და ვიღებდით ფირზე.

1 თებერვალი

ამ წლის ერთი თვეც გაილია. დღეს გარი და საშა მოფრინდნენ გემიდან. დამთავრდა გადმოტვირთვა-გადატვირთვა. იარაღების ყუთში ჩაყოლებული არაყი მოიტანეს, წავედით მე-15 სახლში და სმას შევუდექით. ეს ჩემი მეგობრები ცოტას რომ

დალევენ, ისეთი თბილები, გულღიები, კეთილები ხდებიან, რომ გინდა თუ არა ფიქრობ: იმიტომ უყვართ დალევა, რომ ჩამალული გრძნობების ამოტივტივებას საშუალება მისცენო. ლაპარაკ - მოყოლაში ვიყავით, ერთი კაცის დამახასიათებელი უსიამოვნო ხმა მეცნო, მაგრამ ვერაფრით ვერ გავიხსენე პატრონი. მითხრეს მე-19 აერო-მეტეო ჯგუფის უფროსია, "მოლოდიოჟნაიადან" მოფრინდაო. გავიხსენე - წინა ექსპედიციისათვის გამზადებული ვიყავი, ათჯერ შეპირებულ გამოძახებას ველოდი. თურმე კადრებში მოულაპარაკებიათ სათადარიგოდ ვიყოლიოთ და არ გავაფრთხილოთო. ბოლოს, უარი რომ გავიგე, ლენინგრადში გავფრინდი და ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, ანტარქტიდის გამგებლის კოროტკევიჩის განმარტება მოვისმინე. აღიარა, რომ არასწორად მოიქცნენ დროზე რომ არ შემატყობინეს რეზერვში ჩარიცხვა. მერე მდგომარეობის გამოსწორების მიზნით იქით-აქეთ დარეკა, რაღაც დაადგინა და შემომთავაზა - ჯერ ექსპედიცის უფროსს და აქ მყოფ ტიპს მოვლაპარაკებოდი და მერე დამატებითი სამედიცინო კომისია გამევლო (მგონი ვიღაცას უარს ეუბნებოდნენ, თუ თვითონ ვერ მიდოდა, ერთი სიტყვით დღესაც არ ვიცი რანაირი ვარიანტი იყო). ამ უსიამოვნო ხმის პატრონს ერთი-ორი წუთი ველაპარაკე და საკმარისი იყო, რომ მისი ხმა ყურში ჩამრჩენოდა - "ჩემი ჯგუფი დაკომპლექტებულია, კოროტკევიჩს თუ გადაადგილება უნდა, მაშინ თვითონ წავიდეს ჩემს მაგივრადო". მისი მოსაზრება სწორი იყო, მაგრამ ეს ისეთი წრიპინა ხმითა და ნერვიული, შეშფოთებული კილოთი იყო ნათქვამი, რომ დამამახსოვრდა. ჰოდა, დღეს ვუთხარი, სახით ვერ გიცანი, მაგრამ შენი ხმა გამახსენდა-თქო. აცქმუტუნდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, არ მოელოდა ხალხში ჩემს შემოტევას. პროფესიონალი მოზამთრეები შეჩვეული არ არიან სუბორდინაციის დარღვევას. მე კი ტკბილად დავიძინებ ამაღამ.

2 თებერვალი

ჩამოსვლისთანავე დაიწყო მარშრუტზე ტრაქტორების მატარებლის გასასვლელად მზადება. გუშინ საღამოსათვის მორჩნენ ყველაფერს. დღეს შუადღეს გავაცილეთ. ლებედევს - მატარებლის უფროსს, ძველ ტრანსპორტელსა და მოზამთრეს, 18 დღის განმავლობაში მოჰყავდა თავის მოტორისტებთან ერთად წესრიგში ტრაქტორები, ციგები, ჭურჭლები, საწვავი, ტვირთი და ათასი წვრილმანი; რადიოფიზიკოსებს დიდი ჯაფა დაადგათ, სანამ ტრაქტორზე აპარატურას გამართავდნენ; ემზადებოდნენ მაგნიტოლოგებიც, რომლებმაც გზადაგზა ავტომატური მაგნიტური სადგურები უნდა დაედგათ; თავის ბურღებს ლესავდნენ მბურღავები და, რასაკვირველია, ემზადებოდა „ბეთხოვენაც“ (აქ უყვართ ზედმეტი სახელების შერქმევა) - სლავა ეფიმოვი. მისი აქ ჩამოსვლა ორ მიზანს ემსხურება: იმოგზაუროს კონტინენტის სიღრმეში და მათემატიკურ საწყისებზე აგებული თავისი თეორია გემოვნების მიხედვით შეაზავოს თვალით, გონებითა და ტანით ნაგრძნობი „სანელებლებით“. იმედი გვაქვს, რომ გემრიელი, გლობალური და ზუსტი საკვები გამოუვა პროგნოზების თეორიაში. მეორე, იმუშავოს „მოლოდიოჟნაიაში“ გამომთვლელ მანქანაზე - თავისი თეორიის პროგრამირებაზე.

დღეს დილიდან 15 ტრაქტორი გავიდა მორენაზე, თვითთოეულმა ჩაიბა თითო ციგა ზედ დადგმული 25-ტონიანი ცისტერნით ან საწვავის 20-მდე კასრით. ერთმა ჩაიბა მოძრავი სასადილო-კაიუტკომპანია, ერთმაც - საძილე ოთახი. 27-ე კილომეტრზე მოგროვდნენ პროდუქტების საწყობთან, დაიტვირთნენ გაყინული პირველი კერძით და სხვა პროდუქტებით, დაიწყო გამომშვიდობება, თხუთმეტამდე კაცი გამოვემშვიდობეთ მძიმე გზაზე მიმავალ ყოჩაღ ბიჭებს. მანამდე ყველა ისინი ჩვეულებრივი მოზამთრენი იყვნენ, ამ წუთში კი ჩემს თვალში ისინი დიდ ადამიანებად იქცნენ. ყველას გამბედაობის

გამოვლენა და გაჭირვების გადატანა მოუხდება. თვენახევარზე მეტი, ორი-სამი კილომეტრი სიჩქარით, მოძრავ სახლებში იცხოვრებენ და იმუშავებენ. გზაში ჯგუფი ოთხად გაიყოფა: ლებედევის დიდი ჯგუფი საწვავს მე-800 კმ-ზე, დახურულ სადგურ „ვოსტოკ-I“-ზე მიიტანს იმისათვის, რომ წლის ბოლოსათვის ეს საწვავი „ვოსტოკზე“ მოხვდეს; ბორის კუდრიაშოვის ჯგუფი მაგნიტოლოგიურ სამუშაოებს შეასრულებს მე-600 კმ-მდე; რადიოფიზიკოსები და მბურღავებიც გაიყოფიან. ყველას თავისი რადიოსადგური აქვს და თავისი რადისტი ჰყავს. ძალიან მინდოდა მეც გავყოლოდი, მაგრამ არ გამომივიდა...

გამომშვიდობებისას თითო პატარა ჭიქა სპირტი გადავკარით, მჟავე კიტრი დავაყოლეთ, ხელი მაგრად ჩამოვართვით ერთმანეთს და ყველამ თავისი მანქანისაკენ გასწია. უჰორიზონტო ქათქათა თოვლზე, მზიან უქარო ამინდში ძრავების ისეთი გრუხუნი ატყდა, რომ გრანდიოზულობისა და უჩვეულო მოგზაურობის დაწყების ულამაზესი სიტუაცია შეიქმნა. გული მეკუმშებოდა პატარა ბავშვივით, გულდაწყვეტილს კინაღამ ცრემლებიც მომერია და მოზღვავებული ემოცია კინოაპარატის განუწყვეტელ ტრიალში დავხარჯე. მერე დარჩენილები ჩვენი პატარა ყველგანმავალით გავვარდით და წინ დავხვდით ამ გიგანტურ, ფართომუხლუხუბიან, ერთ რიგად ჩამწკრივებულ ტრაქტორებს დიდხანს ვუქნევდით ხელს. მატარებელი 200-300 მეტრზე გაიწელა. აღმართზე მოჩანდა შავი ფიგურები მუხლუხებისაგან ატყორცნილი თოვლისა და ყინულის ბუღით.

9 თებერვალი

გადაწყდა - მივფრინავ „ვოსტოკზე“. 4 საათზე (ორ საათში) მფრინავები გამაღვიძებენ. ყველა რომ დაწვა, გავაღვიძე უსოვი - ჩვენი რაზმის უფროსი და ვუთხარი - მივფრინავ, ვიპარები, უფროსმა არ იცის, რომ გაიგოს, „სკანდალი“ ატყდება, შენ წაყვანას

ერთი ზედმეტი ყუთის წაღება ჯობიაო. კაცმა რომ თქვას, მართალიც იქნება. თვითმფრინავები მთელ ტვირთს, ალბათ, ვერ გადაზიდავენ და დარჩენილის, წლის ბოლოს, ტრაქტორებით წაღება მოუხდებათ. მესმის ყველაფერი მაგრამ ამ შემთხვევას ხელიდან ვერ გავუშვებ, როგორც არ უნდა დამსაჯონ. მთავარია ჩემი სიმპათიური მფრინავები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს დავითანხმე, უხერხულ მგომარეობაში არ ჩავარდნენ. უსოვმაც ვითომ არაფერი იცის, ისე უნდა მოიქცეს. რომ გახმაურდეს, მოსწავლეებს სკოლის დირექტორი რომ ვერ გატეხავს, ისე მოვიქცევი - ბოდიშს მოვუხდი და შევპირდები, რომ აღარ გავიმეორებ.

არ მეძინება. ბავშვობაში რაღაცას რომ გადაწყვეტ მოსამოქმედებლად და მშობლების გეშინია არ გაიგონ, ისეთ სიტუაციაში ვგრძნობ თავს. დერეფანში ვინმე რომ გაივლის - ვისუსები, ერთი სული მაქვს გავფრინდე მალე. ვალოდიამ კი გამაფრთხილა - იქ ჩასულს, ამინდი რომ გაფუჭდეს და იქ გაიჩხირო, იცოდე, განგაში ატყდებაო! თუმცა მანაც „А вообще, игра стоит свеч!“-ო დააყოლა.

10 თებერვალი

მეორე დღეა „ვოსტოკზე“ ვარ. გუშინ შუაღდღეს ჩამოვფრინდი. დღეს თვითმფრინავი არ ბრუნდება უამინდობის გამო. არ ვიცი რამდენ ხანს დავრჩები. გადავიღე კაიუტ-კომპანია, დასასვენებელი ოთახი, აერო და მეტეოლაბორატორია, რადისტები, ექიმები, გეოფიზიკოსები, იონოსფეროს ლაბორატორია, მბურღავები, მაგნიტოლოგები და, რაც მთავარია ხალხი - ნამდვილი, ვაჟკაცი ხალხი. ყოჩაღ, გარსევან კურდღელაიძე, პავლე მაისურაძე და თემურ გრიგორაშვილი! სამივე სხვადასხვა დროს ზამთრობდა „ვოსტოკზე“. როგორი მოკრძა-

ლებული კაცია გარსევანი - რამდენჯერ გვისაუბრია მის აქ ყოფნაზე, ყველაფერს ყოველდღიურად, ჩვეულებრივად წარმო-მიდგენდა ხოლმე, არა და რამდენი გამძლეობა მართებს, თურმე აქ მყოფს.

ბიჭებს შორის ყველა ნაცნობია. განწყობილება საუკეთესო მაქვს, ალბათ იმიტომ, რომ დროებით ვარ. ზოგის განწყობილებაზე საუკეთესოს ვერ იტყვი - ბევრს სიმაღლეზე ყოფნა უჭირს პირველ ხანებში, ეშინიათ, რომ ვერ გაძლებენ. აკლიმატიზაციის პერიოდი ჯერ არ გაუვლიათ. ნერვიულობენ, რომ მთელი ბარგის გადაზიდვა თვითმფრინავით ჯერ ვერ ხერხდება, გეგმები ერღვევათ. ექიმ ივანოვს შეიძლება პროგრამა ნახევრად ჩაეშალოს. აეროლოგებსა და მაგნიტოლოგებსაც ბევრი ბარგი დარჩათ გადმოსაზიდი. რადიოლოკაციის ინჟინერი, მრგვალი, ლამაზი სახის იგორ ნიკაშინი პირველად ვერც კი ვიცანი. შეუთავსებლობის გამო სიცხეებს აძლევს, მერე ყბაყურაც დაემართა, გახდა ერთი 10 კგ-ით მაინც. სიმხნევე აქვს დაკარგული. ვიტალი პროზოროვი - ენამოსწრებული მეტეოროლოგი აქ მეორედ ზამთრობს, მხიარულებას არ იშლის, მაგრამ ძალიან სუსტად კი გრძნობს თავს. საერთოდ, ჩემი გამოცდილებითაც კარგად ვიცი ტანად პატარები და გამხდრები გაცილებით სწრაფად ეგუებიან სიმაღლეს და უკეთესად იტანენ პირობებს. პატარა ფიშევი ბევრს მიყვება გრიგორაშვილზე, ერთად ყოფილან აქ. კარგის მეტი არაფერი მახსოვსო. სულ მეპატიჟებოდა თბილისში, მაგრამ ხომ იცი ექსპედიცია, ოჯახი, ათასი სხვა მიზეზიო. ორი მასპინძელი საქართველოში ჩემნაირი ცოტამსმელი კაცისათვის ძალიან ბევრი იქნება თუ ჩამოვედიო.

მე, ვადიმ ალეინიკოვმა, სერიოჟა ივანოვმა და კოსტია პროცენკომ, თოვლის 420 ნაჭერი დავხერხეთ ხერხით, დაახლოებით 50-70 სმ სიგრძე, სიგანე სიმაღლისა. 1000 ნაჭერი უნდა დამზადდეს დიდი სიცივეების დადგომამდე. ნახევარი საქმე

თითქმის გაკეთებული გვაქვს. ყველა ცდილობს ყოველდღიურად ცოტ-ცოტა იმუშაოს, რადგან 3500 მ.სიმაღლეზე მუშაობა ამ განედებში ფიზიკურად ძლიერ დამქანცველია, - 40-45^0-ან ყინვას ჰაერის საშინელი სიმშრალეც ემატება. პირით რომ სუნთქავ, გრძნობ, როგორ ჩადის ფილტვებში ცივი ჰაერი. ცხვირით სუნთქვა აუცილებელია, მაგრამ ჭირს, ორთქლი ნესტოებში კრისტალდება და სუნთქვას გიშლის. ყინული წვერ-ულვაშზე ლოლუებად გეკიდება, თოვლის ბაბუას ემსგავსები. ენას გამოყოფ ხოლმე, რომ გრძელი ყინული მოტეხო, ამისათვის ხელის აწევა არც ღირს. მზეს თუ უყურებ, რადიაცია იმდენად დიდია, რომ სახეს გითბობს. ამიტომ არ უნდა იმოძრაო, რომ ჰაერი არ აამოძრაო და სხეულის რომელიმე მხარე გაათბო, თუმცა, მაშინ სიცივე მეორე მხრიდან მოგეპარება! ყველას ჯობია ნორმალურ ტემპში იმოძრაო (იმუშაო). მე „უნტები“ არ მაცვია, ფეხები გამეყინა. ბევრი ვიხტუნავე ცოტა რომ გამეთბო. წარმომიდგენია ზამთარში, 70-80^0-იან ამინდში როგორი ძნელია გარეთ ყოფნა.

ავსიანიკოვს ჯერ გაუკვირდა, რომ დამინახა, მფრინავებსაც უსაყვედურა ჩემ წამოყვანაზე, მაგრამ მერე შეეგუა ჩემს აქ ყოფნას. სტუმარ-მასპინძლობის ყველა წესს იცავს.

საღამოს ჩემი მასპინძელი გეოფიზიკოსი ვადიმ ალეინიკოვია. 5 კაცი შევიყარეთ, სერიოჟამ სპირტი მოიტანა. ექიმების გარდა ამის საშუალება სხვას არა აქვს. მასპინძელმა საბჭოური სანოვაგით, ამერიკელი გეოფიზიკოსის დატოვებული დაკონსერვებული ლუდითა და ძეხვით, კოკა-კოლათი, თხილით, მხიარული მუსიკითა და ლამაზი ქალების სურათებიანი ჟურნალით გაგვიმასპინძლდა. „ვოსტოკზე“ რეგულარულად ზამთრობს ერთი ამერიკელი და „მაკ-მერდოში“ ან „ამუნტსენ-სკოტში“ კი ერთი ჩვენი სპეციალისტი. წელს გაცვლის პროგრამა შეფერხდა, არ ვიცი რატომ. ყოველ შემთხვევაში დარწმუნებულ ვარ, რომ შეფერხება ტექნიკური მიზეზებით ან სამეცნიერო

მოსაზრებებითაა გამოწვეული და არავითარ შემთხვევაში მას პოლიტიკური სარჩული არ უდევს.

ჩვენი საუბარი აქაურ პრობლემებზე გადავიყვანეთ. ყველას თავისი სიძნელეები აქვს, ერთმანეთთან შეგუების პროცესში არიან. ძნელი პერიოდია. ერთისათვის მეორის ხასიათი უცხოა, ჯერ მიუღებელი, მესამესათვის კი სავსებით მისაღები. ბევრს სხვის დაუხმარებლად თავისი თვისებების გადასინჯვა მოუხდება, ზოგისათვის სხვისი დახმარება იქნება საჭირო. მაგრამ ჩვენ საუბარს სათაურად კეთილგანწყობა, მეგობრობა და ერთად მუშაობის სურვილი აქვს წამძღვარებული. ყველანი სერიოზული, გამოცდილი, თავის საქმის კარგი მცოდნე და ფიზიკურად მომზადებული ხალხია. კარგად აქვთ შეგნებული, რომ აქ შენი ქალაქი არ არის, სადაც თუ სიტუაცია არ მოგეწონა, დაწერ განცხადებას და განთავისუფლდები, ანდა სამსახურის შემდეგ ოჯახში ან შენ მეგობრებში წახვალ და გულს გადააყოლებ. რამდენი ჯანმრთელი აზრი გამოითქვა! ასეთ ხალხში უარეს პირობებშიც კი შეიძლება არსებობა. დანარჩენებიც ასეთები არიან - დარწმუნებული ვარ. როგორ შეიძლება, მაგალითად, ალეინიკოვმა სიტყვითა და საქმით ყველაფერი არ გააკეთოს შენთვის, თუ გაგიჭირდა.

საღამოს კაიუტ-კომპანიაში ვივახშმეთ, ფილმს ვუყურეთ, მერე სიგარეტის ბოლში ათასი მხიარული ამბის მოყოლით დავამთავრეთ დღე. ღამის გასათევად ბევრი მეპატიჟებოდა თავისთან, მაგრამ ლოგინი იქვე, რბილ დივანზე გავშალე და დაძინებამდე განცდილის ანალიზს შევუდექი. სასიამოვნო საღამო იყო... მათთან ყოფნისას, ჩემი თავით სულ უკმაყოფილოს, ჩემი თავი კინაღამ მეც მომეწონა.

მოწოლილი ფიქრების მორევში ჩავიძირე - ემოციების და სიმაღლის გამო ძილგამფრთხალს (ნახეთ ხუთი თანხმოვანი როგორ მღერის!), მიმოფანტული ფიქრებით დაღლის კვალობაზე

მოგონებების აურ -ზაური ამიტყდა და მის მოსაწესრიგებლად ჩემ თავს კითხვების დასმა დაუწყე, მაგრამ, მაინც კუბაში დასმული კითხვების პასუხები მირჩევნია რომ გავახმოვანო. ვნახოთ ერთი რა გამოვა? თუ გამოვიდა რამე, იქნებ გავბედო და თქვენც გაგიმხილოთ...

- ვინა ხარ?

- ჩემი გვარი ერთ-ერთი უძველესია ქვემო სვანეთში. არსებობს ისტორიული ცნობა იმის შესახებ, რომ მე- 15 საუკუნის დასაწყისში ერთ - ერთ მათგანს, როგორც ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომშია (საქართველოს სიძველენი - ტომი მე 2) აღწერილი, მეფის კარზეც კი უმოღვაწია ციხისთავად. ჩვენი შტო კი იმერეთში გადმოხვეწილა. ჩემი უშუალო წინაპრები ძალიან ლამაზ სოფელ ქვედა დომში დასახლებულა, თუმცა ჩემს შვილებს ბაბუა თბილისელი ჰყავდათ. ერთ ინგლისელს უთქვამს - ჯენტლმენი ის არის, ვისი ბაბუაც ჯენტლმენიაო - ასეა თბილისელობაც და მე ეს მიხარია.

- რატომ?

- თბილისელს თავისი ფილოსოფია, განსაკუთრებული შემწყნარებლობა და სისადავე აქვს თანდაყოლილი. ამ გენოფონდის აღრევა ან დაკარგვა დანაშაულია, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს რომელიმე კუთხე წაართვა, ან ხალხი წაართვა და უცხო დაასახლო.

- ბუნებით რას წარმოადგენთ?

- მოხეტიალეს, მიუხედავად იმისა, რომ სიღრმეში ღრმა კონსერვატიულობასაც ვგრძნობ.

- მაშ რაშია საქმე?

- რომ ვთქვა გენებში-მეთქი, არ იქნება სწორი, რადგან გაუგებარი დარჩება, მაშ რატომ არ უყვართ ჩემს შვილებს მთა და ასფალტს ტკეპნიან, მიუხედავად მუხლმაგრობისა.

- ალბათ, მაინც რაღაცამ განაპირობა თქვენი ასეთი მისწრაფება?

- მამაჩემის შემდეგ, არსებობს კიდევ ერთი ადამიანის ხსოვნა, რომელიც ჩემთვის მისი სიცოცხლის მაგალითზე არანაკლებად მნიშვნელოვანია. ეს - ყოვლათშემკული მამულიშვილი ლევან გოთუა იყო. ჩემი წამოჩიტვის კვალობაზე არ წასულა ექსპედიციაში, მე რომ თან არ წავეყვანე. სულით სპეტაკმა უერთსიტყვოდ შემაყვარა მთა და წინაპართდანატოვარი. გვიანღა მოვიდა ჩემამდე - ჩემისთანების წვრთნით უნდოდა გაეგრძელებინა თავისი არსი. ვერაფერი შვილი - მოწაფე გამოვადექი, თუმცა ვერც კარგი მოვიდოდა მასთან.

- მაგალითი იყო ის, ალბათ, თქვენთვის?

- საოცარი და ნათელი. მე მისთვის საშინლად ტრაგიკული ამბების პირველწყარო ვიყავი, რადგან ხელისუფლება 1956 წლის მარტის დღეებში გარეთ გამოსვლას უკრძალავდა, და ფაფარაყრილ ლომს იყო დამსგავსებული. 9 რიცხვს, იმ საზარელი ამბების მოყოლა რომ დავუმთავრე, საშინლად განიცადა, შუბლი მაგრად აიკრა პირსახოცით, გამიწყრა ამ ამბებს ასე იოლად რომ ვუყურებდი (სწორიც გამოდგა - მეორე დღეს თავგაჩეხილი მოვედი სახლში) და რადიომიმღები ჩართო. ჩვეულებრივ მოვისმინეთ „ამერიკის ხმა“ და მუსიკის დაწყებისას მიმღები გამოვრთე. „ყმაწვილო გეკადრება გამოთიშვა, როცა შენისთანებისთვის ლოცულობენ და გალობენ ქართველებიო!“, ეტყობა ეს შენიშვნა ჩემთვის განმსაზღვრელი იყო - მერყევი კომკავშირელი რომ გავმხდარიყავი და გავხდი კიდეც.

- მერე მერყევ კომკავშირელს რაღა გინდოდათ პარტიაში?

- ცხოვრების სხვა გზა უპერსპექტივო იყო და იმიტომ. ის კი არა და, გული იმაზე მწყდება, რომ სულ ახლახან, ერთი სათნო, მრავალშვილიანი ყმაწვილი კაცი შევაცდინე - მუშაობდა თავაუღებლად საპროექტო ინსტიტუტში და, პარალელურად, -

თეატრში მხატვრად. ხელშეკრულებით საპროექტო სამუშაოებს ასრულებდა ჩვენთვის. ჩემი კოლეგა მოადგილის (მშენებლობის დარგში) ადგილი განთავისუფლდა ჰიდრომეტსამსახურში და იმდენად მომეწონა მისი თვისებები, რომ ჩვენთან გადმოსვლა შევთავაზე. ბევრი იცინა, რადგან უპარტიო აღმოჩნდა და არც არასდროს უფიქრია კომუნისტობა, ამ პირობის გარეშე კი შეთავაზებულ თანამდებობას ვერ დაიკავებდა. იმდენი ვუჩიჩინე, რომ დავითანხმე და ერთი წლის სანაცვლოდ, ერთ კვირაში პარტიაშიც შევიდა. მერე ჩვენი მმართველიც გამოვიდა საავადმყოფოდან და საქმე მანამდე რომ ვერ მიდიოდა - ყველაფერი კარაქივით წავიდა. ჯობდა თუ არა ასე, იმან უწყის - მე კი არა!

ამდენად ადამიანის უფლებების ასეთი არაკონსტიტუციური შეზღუდვა აპრიორად მიღებული და თავისთავად ნაგულისხმევად იყო მიჩნეული. მაშინ ამაზე ფიქრიც კი საშიში იყო, მაგრამ ახლა, ალაბათ უკვე შეიძლება იმაზე მსჯელობა, თუ რატომ არის კომუნიზმი არაბუნებრივი მოძღვრება? ძირი მისი არაბუნე-ბრიობისა ძევს ადამიანის მოქმედების უნარის, მისი ნიჭის და ჩვევების გამოყენების შეუფასებლობაში. ადამიანს აქვს მიდრეკილება თავისი უნარი მაქსიმალურად გამოავლინოს მოღვაწეობის იმ სფეროში, რომლისკენაც მისი არსება მიილტვის, ხშირად მისგან დამოუკიდებლად, მიღებული განათლებისა ან სპეციალობის მიუხედავად.

მარქსიზმ-ლენინიზმისეული მოძღვრება ზღუდავს ადამიანის მოქმედების საზღვრებს, განსაკუთრებით კერძო საკუთრებაზე დამყარებულ მოქმედების სფეროში, ადამიანების უმრავლესობისათვის კი ამ სფეროში მოქმედების უნარი თანდაყოლილი, უკვე გენური ჩვევაა წინაპართაგან ათასწლე-ულობის მანძილზე გამომუშავებული. პროზაულ სინამდვილეში ფრიად ნიჭიერი პიროვნება იძულებულია სახელმწიფო მოხელე

გახდეს, რათა მიაღწიოს ამ გზაზე კარიერის მწვერვალს - მინისტრთა საბჭოს, სადაც, როგორც წესი, საშუალო კლასის ხელმძღვანელად ან რეფერენტად დაამთავრებს მოღვაწეობას, ანდა მოეწყოს კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად, რომ განყოფილების გამგე მაინც გახდეს, და ყველაფერ ამისათვის კომუნისტურ პარტიაში შესვლას აიძულებენ - მიუხედავად სხვაგვარი მრწამსისა. ბევრ მათგან, ვისაც ქუდი რომ შეუგდო, მაინც არ შევა პარტიაში და იძულებული ხდება ბედი ან აკრძალულ ეკონომიკაში სცადოს აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით, ან რიგითს სახელმწიფო ორგანიზაციაში უპერსპექ-ტივო ყოველდღიურობას შესწიროს თუკი რამ გააჩნდა ნიჭი და მიდრეკილება. ყველანი ერთად კი - მიუხედავად მდგომარეობის გარეგნული განსხვავებულობისა - ცხოვრების უკმაყოფილონი და იმავდროულად არაგულწრფელნი არიან.

- თუ არის თქვენთვის რაიმე ისეთი ყველა გრძნობას რომ აერთიანებს?

- მეგობრები!

- რა გაგიკეთებიათ ყველაზე სასარგებლო?

- მონაწილე ვარ რამდენიმე კაცის სიცოცხლის გადარჩენისა მთაში და ერთი მოზრდილი ჯგუფისა ანტარქტიდაში - დიდი მადლიანი შრომაა. საუბედუროდ ზოგი ჩემი და ზოგიც სხვისი მიზეზით რამდენიმეს დროზე ვერ მივეშველეთ. უცხო თვალმა ვერ შეამჩნია, ალბათ, რომ უფრო სწრაფად შეიძლებოდა მოქმედება, მაგრამ მე ხომ ვიცი. ერთადერთი ნუგეში ის იყო, რომ გაწამებულ პატრონს ცხედარს მაინც ჩამოვუყვანდით - ხოლმე. არც ეს არის ნაკლებმადლიანი შრომა, მაგრამ მშველელისათვის - უმოწყალო.

- გამოდის, რომ ჯერ კიდევ სტუდენტობისას სამუშაო გქონდათ ასეთი?

- დიახ. ოცნებად მქონდა გადაქცეული ანტარქტიდის ექსპედიციაში მოხვედრა, ამიტომ უნივერსიტეტის გეოგრაფია-

გეოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე ბატონმა ლევან გოთუამ და ქალბატონმა ალექსანდრა ჯაფარიძემ (ღმერთო მაღალო, უმრავლე მსგავსი ქალები საქართველოს!) მომკიდეს ხელი, ჰიდრომეტეოროლოგიურ სამსახურში მიმიყვანეს და სთხოვეს ხელმძღვანელს - რაც შეიძლება რთული საქმე მიეცი, იქნებ მეტი გამოცდილება შეიძინოსო. გამამწესეს ყაზბეგის მაღალმთიან (3700 მ) ჰიდრომეტსადგურში სამუშაოდ და მას მერე ამ სისტემაში ვმუშაობ, აგერ უკვე, ნახევარ საუკუნეზე მეტია.

- შვილებისათვის თუ მოგიყოლიათ ეს ამბები?

- კანტიკუნტად, მაგრამ, მგონი, უნაყოფოდ. ყველაფერს თავის დროს აქვს, ალბათ!

- მაშ არავისთვის გაქვთ მოყოლილი?

- თითქმის არავისათვის, სათუთ სფეროდ მეჩვენებოდა ადრე.

- ახლა რატომღა ყვებით?

- იქნებ გამოადგეს ბრძოლასშეჭიდებულ ერთ ახალგაზრდას მაინც.

- კუბაში რა გინდოდათ?

- პარტიის ცკ-ს ერთი განყოფილების გამგეს, კაცად უვარგისს და ბრიყვ ფუნქციონერს, განვუცხადე - არც თქვენი სამსახური მინდა და პარტბილეთსაც გადავხევ - მეთქი. შეიქმნა არეულობა, გამოიძახეს ჩვენი სისტემის თითქმის ყველა ხელმძღვანელი გამოსაკითხად. მერე ითათბირეს, „შემიცოდეს“ და მითხრეს - წადი და განაგრძე მუშაობაო. კი განვაგრძე, მაგრამ იმ სამსახურზე გული აღარ მიმდიოდა. მერე ახალი უფროსი მოგვიყვანეს და ძველი, დანიავებული ხელმძღვანელობიდან მე დავრჩი მარტო. ეტყო-ბოდა, რომ უფროსს არ ვაწყობდი, ხელს ვუშლიდი სამსახურში მაღალი პირადულ-ოჯახური იდეების განხორციელებაში. ორჯერ დავუწერე განცხადება - გამანთავისუფლე, შენ შენი ხალხი გჭირდება მეთქი. არ ქნა, დღესაც ვერ მიმხვდარვარ რატომ. ბოლოს

მაინც წავეკიდეთ ერთმანეთს - აუტანელი კაცი ვარ! გამოსავალი კუბაში გამწესება აღმოჩნდა.

- აქ რას საქმიანობთ?

- მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მრჩეველი ვარ ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს დაცვის დარგში.

- რაიმე სარგებლობა თუ მოგაქვთ კოლეგებისათვის?

- როგორც თვითონ ამბობენ - კი.

- თქვენი ოჯახისათვის?

- ჯამაგირზე გაზრდილ, მე და ჩემ ცოლ-შვილს თავი მდიდრებად გვეჩვენება, არმად ნაშოვნი ფულის მფლობელებს, ჩემი შრომის საზღაური, შეიძლება სასაცილოდაც კი არ ეყოთ.

- სხვა ქვეყნებში თუ ყოფილხართ?

- დიახ, ანტარქტიდაში.

- მერე, ანტარქტიდა ქვეყანაა?

- არა, სამოთხე!

- სამოთხე?

- ადამიანს თუ თავის გამოცდა უნდა, უკეთესს ვერც ინატრებს.

- კუბაზე, რაღას იტყვით?

- ფეხით არა, მაგრამ მანქანით კი მოვიარე მთელი კუბა. ეს არის უწყინარი, თბილი, ლამაზი ხალხით დასახლებული მოშიმშილე კუნძული, რომელიც ბუნებრივი პირობების მიხედვით, მართლაც, სამოთხის სადარია.

- ექსპედიციაში და კუბაში ცხოვრებამ დიდი გამოცდილება შეგძინათ, ალბათ, ორივეგან რუსულ გარემოცვაში მოგიწიათ ცხოვრება და მუშაობა. რა აზრისა ხართ მათზე?

- რუსი ინტელიგენტი უაღრესად კეთილი, უღვარძლო, უშურვო, ველიკოშოვინისტური და აგრესორული კომპლექსისაგან თავისუფალი ადამიანია... სიმთვრალეში!

- საით იყურებით?

- ახალგაზრდებისაკენ, რადგან მომავლისაკენ რეალურად ისინი იყურებიან მხოლოდ და კი არ იყურებიან - მიაბიჯებენ კიდეც. მომავლისაკენ ჩვენც კი ვიყურებოდით, მაგრამ ნაბიჯს რომ გადავდგამდით წინ, ორს უკან ვიხევდით. ის ერთი ნაბიჯი თუ კაცურ კაცზე მოდიოდა, ორის უკან გადმოდგმას ბეჯით და ერთგულ კომკავშირელებს ვაბრალებ - უმთავრესად. ბევრჯერ მითქვამს ეს მათთვის პირში, ეხლა რაა და, მაშინ!

ერთ ამბავს ვიხსენებ სასაცილოსაც და საშიშსაც. ამ ამბის შემდეგ ვაჟა ინწკირველს - ჩემს მეგობარსა და შეუპოვარ კაცს - აუტანელი სიმთვრალის მქონის სახელი შეარქვეს იმ ამბის მომსწრეებმა და მისი საქციელით შეურაცხყოფილებმა. ერთ ღრეობაზე, სადაც ერთი-ორი საშუალო და ბობოლა ფუნქციონერიც მონაწილეობდა, ვაჟამ - ფხიზელს რაც გონებაში აქვს, მთვრალს ენაზე აკერიას პრინციპით - გააღო პირი და შესძახა „კომუნისტებო, თქვენი დედა... ყველანი დასახვრეტი ხართო!“. რამდენი დააფარეს პირზე ხელი - აუჰ! ეს რა თქვიო! - იმდენი მეტი იძახა. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, სხვაგან რომ არ შექმნილა. ყველაფერი ჩაიშალა.

- ვაჟა კი ყოფილა „მაგარი“ ხასიათისა თქვენ თუ ხართ მტკიცე ხასიათის?

- არა, მერყევის. როგორც კი წონასწორობა ირღვევა, სუსტისაკენ ვიხრები!

- ვინ გიყვართ, გასაგებია. რა გიყვართ ყველაზე უფრო?

- ჩემი ქალიშვილის, მეუღლის, მშობლების და ჩემი უდროოდ დაღუპული მეგობრების საფლავები (ეს ფრაზა - დღევანდელია).

- მერე ამით შველით მათ რამეს?

- მათ, ალბათ, არა. ჩემს შთამომავლებს და მათ თანატოლებს ვშველი.

- კიდევ რით შველით?

- მაგალითით. ქცევის წესებით და არა ქცევის შეგონებით. ახალგაზრდებს აზანზარებს მორალის კითხვაზე. შენს მომდევნო თაობას შენგან შენი სული და საქციელი უნდა და არა მორალის კითხვა. მორალს კითხულობს უმთავრესად ის, ვინც თავის საქციელს მუდამ ამართლებს და სხვა არა ენაღვლება რა.

- უცნაურია ქართველი კაცი, არა?

- კი, დიდად. ნამეტნავად ერთ რამეში - მისთვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, ზღვარგადასული სტუმართ-მოყვარეობა და შემწყნარებლობა, მეორე მხრივ კი - ტრაბახი და შინაურის არდანდობა ასეთი თვისებები არც სხვას აკლია, მაგრამ დამოუკიდებელი, ერთიანი და ურყევი საქართველო მაინც ყველა ქართველის ოცნებაა. სულის ეს ლტოლვა ციდან არ ჩამოვარდნილა. ისტორიამ გამოგვიმუშავა. საუკუნეების მანძილზე ყველას შიში ის იყო, რომ რომელიმე დიდ მეზობელს არ გავესრისეთ. ამის წამალს ერთიანობაში და სახელმწიფოს გონივრულ მართვაში ვხედავდით. კუთხურობა რომ ჩვენთვის დამანგრეველი იყო, დრომ კარგად შეგვაგნებინა. ასე ფიქრობდა ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობა და დღესაც ასეა, მაგრამ ყველაზე საინტერესო და ფრიად სასარგებლო ამ მოვლენაში, ჩემის აზრით, ის არის, რომ წინაპართაგან ნაბოძები ეს მისწრაფება, რადგან მასში კუთხურობის წინააღმდეგ ბრძოლის დიდი გამოცდილება დევს - ახლო მომავალში უპარტიო საზოგადო-ებამდე მიგვიყვანს.

- რას ამბობთ? პარტიებით აგრე რიგად „დახუნძლულ“ საქართველოს შეუძლია განა უპარტიო საზოგადოების შექმნა, ეს ხომ მსოფლიოსათვის სოციალურად ეტაპობრივი საკითხია?

- ჯანმრთელი ქვეყნის საშენებლად ზეპარტიული საზო-გადოება გვჭირდება იმიტომ, რომ საზოგადოების პარტიულმა ნაწილმა არ იცის ეს საქმე, ან თავისთვის იცის და ხალხის კონსოლიდარული აზროვნების გამო, თითქმის უსარგებლოა - მაშ

წავიდეთ წინ და შევქმნად ზეპარტიული ქვეყანა! მაგრამ მანამდე, 21 საუკუნით, ცუნცულით უკან დავიხიოთ და ვკითხოთ პერიკლეს - შე კეთილშობილო გონიერებავ! - მართლა თქვი, რომ ქვეყანას ზეპარტიული საზოგადოება გადაარჩენსო? თუ თქვი, მაშინ ისიც გვითხარი - ჩვენ როდის მივხვდებით?

- რა არის მორჩილება?

- ერთი ტელევიზიის მუშაკის პანაშვიდზე მაშინდელ ცკ-ს მდივანს, მისი მისვლით აღფრთოვანებულმა ერთმა კაცმა წინ გაუსწრო კიბეებზე და გზადაგზა ჩურჩულით, მაგრამ ყველას გასაგონად იძახდა მოდის, მავანიო! ის კაცი დღეს რა მელოდიაზეც არ უნდა ჟღურტულებდეს, მის თანდაყოლილ მონობას არაფერი ეშველება, გარდა იმისა, რომ მის პანაშვიდზე მისულ ახალ მავანს ხმას ვეღარ გასცემს! ჩვენ, ცოცხლებმა კი, ეს პანაშვიდური მონამორჩილობა, მეტნაკლებად ყველას რომ გვაქვს გამჯდარი სისხლში, უნდა მოვიშოროთ, ომი უნდა გამოვუცხადოთ ჩვენივე თავს და როცა ამ მანკიერებას დავძლევთ, მაშინ გავიმარჯვებთ. ვინც ამას ვერ შეძლებს, მონადაც დარჩება და მორჩილადაც.

ყოვლისმომცველი სიტყვა თუ იცით?

ყოვლისმომცველი ცნება ვიცი, ორსიტყვიანი - „წესიერი კაცი“

- რატომ ვართ ასეთები?

- ასეთები იზოლაციის, საბჭოთა იზოლაციის გამო ვართ. ცივილიზაციისაგან იზოლაციამ კი პატრიოტიზმის ქურქში გახვეული მძვინვარება იცის. ამის გამო აღიგავა პირისაგან მიწისა აფრიკის ყველაზე მძვინვარე, ველური ტომი - მურსი. ევროპელებიც სასტიკნი და მძვინვარენი იყბნენ ერთმანეთის მიმართ - ერთ დროს, ახლა კი მუსულმანურ სამყაროს და რუსებს შეეყარათ ეს სენი, ჩვენი არ იყოს...

- რა ემუქრება მსოფლიოს?

- სიზარმაცე, ან უაზრო შრომა.

- როგორ გგონიათ - სიკეთეს მარილი უნდა მოაყარო?

- ადამიანის გონება ვერ უმკლავდება სუსტ ჩვევას, თორემ სიკეთეს რომ აკეთებ - შენზე მინდობილ მოხუც - უპოვარს რომ უვლი, უხანგრძლივებ სიცოცხლეს და იმავდროულად სხვის თვალში და ყურში ამადლი - ნუთუ ვერ გრძნობ, რომ ამ მადლიან საქმეს შენივე სიტყვით ამახინჯებ?! ამ შენმა აქამდე მოვლილმა, რომ გაიგოს შენი დამადლებული მოვლა და გისაყვედუროს, ან სულაც უარი თქვას შენ მოვლილ სიცოცხლეზე - არ გეშინია? თუ აკეთებ, მოაყარე რაღა - მარილი!

- რას თვლით თქვენს ცხოვრებაში ყველაზე დიდ უაზრობად?

- ჩემი 17 წლის უფროსი ძმის დაღუპვას სტალინგრადის ბრძოლებში.

- როგორ უყურებთ არაქართველების ქართველებთან თანა-არსებობის პრობლემას?

- ჩვენი მხარის აბმა მათ აწყობთ, მათი ეს მოწყობა ჩვენც გვაწყობს, ჰოდა, რაც იმათ აწყობთ, ის უნდა ვუკეთოთ. ჩემი ცხოვრების მანძილზე ქართული ორიენტაციის ბევრ უცხოელსა ან საქართველოში მცხოვრებ არაქართველს შეგხვედრივარ. მე მათ, მათდა გასაკვირად, მერე კი სასიამოვნოდაც, თითქმისქართველებს ვეძახი. მსოფლიოში ბევრი მონათესავე ერია ერთმანეთის გამტანი და მშველელი, ჩვენ არა გვყავს ასეთი, ამიტომ გარე სამყაროში ჩვენთვის საყრდენი ძალა სწორედ ეს ქართველებია - ცდა არ უნდა დავაკლოთ მათ მომრავლებას. რაც შეეხება ქართველ და არაქართველ უკეთურებს, მითუმეტეს მოძალადეებს - ბრძოლაა საჭირო, ჩვენი თუ არ ეყოფა, მომდევნო თაობებისა. აფხაზებთან და ოსებთან ჩვენი კონფლიქტი სულაც არ არის პოლიტიკური ხასიათისა. კონფლიქტის არსი სოციალური ხასიათის უსამართლო პრივილეგიების ხელში ჩაგდების მისწრაფებაა, რაც სხვის ხარჯზე „სეირნობას“ გულისხმობს. რუსის მოტყუება და მის ხარჯზე ცხოვრება ადვილად გამოსდით

(თავხედის ფილოსოფია), ჰგონიათ რომ სულ ასე იქნება. ამიტომაა მათ დამსგავსებას რომ ცდილობენ და მათ ენასაც ეწაფებიან. მათ ჩვენზე მეტად არც ისინი უყვართ, მაგრამ ის კი იციან, რომ მათ ხარჯზე „ბაირამობა“ უფრო შეიძლება, ვიდრე ჩვენზე, იმას კი ვერ მიმხვდარან, რომ რუსებს ჯერ სძინავთ. აი, როცა გაიღვიძებენ, ჩვენი კონფლიქტიც მაშინ დამთავრდება, მაშინ გავხდებით მათთვის ძმები.

- ამისთვის რა უნდა ვიღონოთ?

- ქართველები რუსებზე და აფხაზებზე უკეთეს პოსიციაში ვართ იმიტომ, რომ ვიცით - რასაც რუსები გვიკეთებენ, ის უნდა გაუკეთოთ აფხაზებს, ხოლო რასაც აფხაზები ჩვენ გვიკეთებენ, ის უნდა გავუკეთოთ რუსებს.

- დამოუკიდებლობას დაცვა სჭირდება, გვაქვს კია ამის ძალა?

- ერთ ჩემს მეგობარს გენერალი ბიძა გარდაეცვალა. პანაშვიდებზე ბევრი სამხედრო ტრიალებდა. მივიდა მასთან ერთი მოხუცი გენერალი - „კაცო! სად არიან გენერლებიო“. „ერთი კუბოში წევს, მეორე შენა ხარ და მესამე აქვეა სადღაც გასულიო“ აი, ეს არის ჩვენი სამხედრო ძლიერება. დიდმა ძმებმა გენერლებმა - თქვენ ერთი დიდი გენერალი გყავდათ და გეყოფათო - და სულ აიღეს ხელი ჩვენი გენერლების გაზრდაზე. არადა დღეს გენერალზე, ანუ განსწავლულ სამხედროზეა დაყრდნობილი მსოფლიო. რაოდენობა ისტორიამ ჩაიბარა, ახლა ხარისხია მთავარი, სახელმწიფოს ეკონომიურ ძლიერებაზე დამყარებული. ამ საქმეში ებრაელთა პატარა ქვეყანამ ბევრი რამ ასწავლა მსოფლიოს და ახლა საბჭოელებსაც ასწავლიან მათდა სასიკეთოთ, თუ ისწავლეს.

- თუ არ ისწავლეს?

- ან სწავლამდე დაიშლებიან, ან ისწავლიან. თავად განსაჯეთ, დღეს საბჭოთა სახელმწიფოში არავის არაფერი აერთიანებს, რუსეთისა და მუსულმანური რესპუბლიკების გარდა. ეს

ერთსულოვნებაც და ერთიანობაც დროებითია და სულაც არ არის ერთ მიზანზე დამყარებული. პირველს ძველი საზღვრების შენარჩუნება სურს, მეორეს კი იმ მიწების დაბრუნება, თავისად რომ მიაჩნია. პირველი, მეორის საამებლად, პრომუსულმანურ პოლიტიკაზეა შემდგარი, მეორე დემოგრაფიული გზით მოქმედებს, რომელიც სტრატეგიულად უფრო გამართლებულია. ამ გზების დაპირისპირება მოგვიანებით აფეთქებას გამოიწვევს. საქართველოს მდგომარეობა ახლა ხომ რთულია, მაშინ კიდევ უფრო გართულდება. ასე, რომ თავის დაცვა - უპირველეს ყოვლისა!

- ისე ლაპარაკობთ, მგონი თავი პოლიტიკოსად მიგაჩნიათ?

- სულაც არა. ჰკითხეთ რომელსაც გნებავთ ქართველ გლეხს იგივე და იგივეს გიპასუხებთ.

- ადამიანის თვისებებიდან რა მიგაჩნიათ ყველაზე საინტე-რესოდ?

- თვითდაჯერება. რაც სამყარო ასე თუ ისე ცივილიზებული გახდა, მის ყველა თაობას და მათ შორის ბოლო თაობასაც. ჰგონია, რომ მხოლოდ მან იცის ყველაფერი და ამიტომ მან უნდა გადაწყვიტოს ყველა საკაცობრიო საკითხი. აქედან და ჩვენ სოფლამდე მრავალკილომეტრიანი მანძილი რომ ერთი წერტილია სამყაროში, ამას ვერ ვხედავთ, იმის გამოისობით, რომ თვალთახედვის რაკურსი არ გვაძლევს ამის საშუალებას - აქედანაა თვითდაჯერება. მეორე მხრივ, ამ სოფლიდან იმ სოფლამდე (ამჯერად წუთისოფელი მაქვს მხედველობაში) დროის მცირე მანძილი გვაქვს მოზომილი და ამიტომაც ვცდილობთ ყველაფრის მოსწრებას და ჯერაც ვერ მოგვისწრია. ვერ მოვასწარით ადამიანის მკურნალობის ელემენტარული მეთოდებიდან სრულყოფილ მეთოდებზე გადასვლა, სამყაროს წესების საფუძვლების შესწავლა, ღატაკი ქვეყნების ბავშვების შიმშილისაგან ხოცვის თავიდან აცილება; ვერ მოვასწარით იმის შეგნება, რომ ჩვენი აგრესიული

საქციელით ჯანს ვართმევთ ერთმანეთს და სიცოცხლესაც ვუსწრაფებთ - იმიტომ, რომ თვითდაჯერებულები ვართ უვიცობის გამო.

- რა არის დემოკრატია?

- დემოკრატია ერთმანეთის ანგარიშია გაწევაა!

- დაიღალეთ კითხვებზე პასუხის გაცემით?

- მე კი არა, ჩემი მკითხველი დაიღალა!

- მაშ გადავდოთ და მერე გავაგრძელოთ.

- გეთანხმებით.

11 თებერვალი

აქ მზე სულ არ ჩადის, გარშემო დაგვტრიალებს. თოვლი ძალზე სუფთაა, მიუხედავად იმისა, რომ ათასი და ათიათასი წლისაა. დაბალი ტემპერატურის გამო მისი ფიზიკური სტრუქტურა შეცვლილია - იფშვნება, სილას მოგაგონებს. თვის ბოლოსათვის ტემპერატურა -50^0 -ს მიაღწევს და საფრენი ბილიკი ასფალტს დაემსგავსება. თვითმფრინავებს აფრენა ძალზე უძნელდებათ, ამიტომ ტვირთის გადმოზიდვას ვერ ახერხებენ. მაგრამ ამინდს კარგი პირი უჩანს და ავსიანიკოვს იმედი აქვს, რომ მოსკოვი ნებას დართავს დამატებით რეისებზე.

ცა თითქმის სულ მოწმენდილია. თბოსადგურის ძრავების ბოლი მცირე ქარის დროს ღრუბლებს ქმნის. წყარო თუ არ იცი, გაგიკვირდება - საიდან გაჩნდა აქ ღრუბლები. დიდი ქარები აქ საერთოდ არ იცის. ჰორიზონტი გაყინულ ოკეანეს მოგაგონებს. სადგური სწორ პლატოზე, ყველაზე დაბალი ტემპერატურისა და მაგნიტური პოლუსის რაიონში მდებარეობს. სიმაღლე 3488 მ-ია (გეოგრაფიული პოლუსი, სადაც ამერიკელების სადგური - „ამუნდსენ = სკოტი“ მდებარეობს, გაცილებით დაბალ სიმაღლე-ზეა). აშენებულია ორი ახალი, ერთსართულიანი, პანელებიანი სახლი ხიმინჯებზე, კაიუტ-კომპანია და ელექტროსადგური. დანარჩენი - ფირფიცრისა და სითბოგაუმტარი მასალისაგან 15-18

წლის წინათ აშენებული, სხვადასხვა ზომის სახლებია, თოვლში ნახევრად ჩაფლული. ყველა, სადაც მუშაობს იქვე ცხოვრობს. ლაბორატორიები ახალი და უახლესი დანადგარებითაა დაკომ-პლექტებული. აეროლოგები რადიოზონდებს „მალახიტ-22“ სის-ტემით ამუშავებენ, თითქმის ყველაფერი დისტანციურ მართვაზე აქვთ მოწყობილი. გეოფიზიკური ლაბორატორია, რომელიც იონოსფეროსა და გეოსფეროს დენებს ირკვევს, ამერიკული თვითწერებითა და მაგნიტოფონებით არის მოწყობილი, არეომეტრიული დაკვირვებებითა და მიკროპულსირებით რადიოტალღების გამავლობის დადგენა ხდება.

იონოსფეროს ლაბორატორია კინო და ფოტოდანადგარებით აფიქსირებს იონოსფეროს ფენების მდგომარეობას. დანადგარები ავტომატურია და მხოლოდ კასეტების შეცვლას მოითხოვს პერიოდულად.

ვლადიმერ ბარანოვი პროფესიით უკვე შეიძლება ითქვას, რომ ჯერ მოზამთრეა და მერე მაგნიტოლოგი, რადგან „ვოსტოკზე“ მესამეჯერაა - მე-9, მე-15 და მე-20 ექსპედიციებშია ნამყოფი. ამას გარდა, მე-12 ექსპედიცია „ნოვოლაზარევსკაიაში“ გაატარა, ხოლო მე-17 – „ლენინგრადსკაიაში“. ხმელი, მაღალი, ორმოცდაათ წელს მიღწეული, ენამწარე, ალბათ, სამართლიანი და მარტოობას მიჩვეული კაცია. შეიარაღებულია ფოტოკამერებით, თვითმწერე-ბით, გასამჟღავნებელი მოწყობილობით და სწავლობს დედამიწის მაგნიტური ველის გადაადგილებას, მის აქტივობას, პოლარულ ციმციმს, საპლანეტაშორისო სტრუქტურას. როგორც სხვების, მისი პროგრამაც ოპერატიული და საერთაშორისოა.

საინტერესო ექსპერიმენტს ატარებს აკადემიის მიკრობიო-ლოგიის ინსტიტუტის კოსმოსური მიკრობიოლოგიის ლაბორა-ტორია - შესაძლებელია თუ არა მიკროორგანიზმებისა და სპორე-ბის გადაადგილება კოსმოსურ სივრცეში და მათი მოხვედრა ერთი პლანეტიდან მეორეზე? თეორიულიად შეიძლება, ექსპერიმენ-

ტული მონაცემები კი ჯერ არ არსებობს. ჭკვიანმა თავებმა იფიქრეს - თუ ჩვენ პლანეტაზე ოდესმე, გინდაც მილიონობით წლების წინ ან უფრო ადრინდელ ხანაშიც მოხვედრილია მიკროორგანიზმები სხვა პლანეტიდან, ისინი ჯერ ატმოსფეროს სულ ზედა ფენების ჰაერის მასებში შეაღწევდნენ, შემდეგ ატმოსფეროსვე მოძრაობის წყალობით მოხვდებოდნენ დედამიწის ზედაპირზე. მაგრამ მათი აღმოჩენა დღეს, ალბათ, შეუძლებელია, რადგან ისინი შეუთავსდნენ სხვა მიწიერ მიკროორგანიზმებს, აკლიმატიზაციის შედეგად ფართოდ გავრცელდნენ და მათი წარსულის დადგენის საშუალება ამჟამად არ არსებობს. მეორე მხრივ, თუ სხვა პლანეტიდან „შემოპარული“ მიკროორგანიზმი იზოლირებულად, ანაბიოზურ მდგომარეობაში, სადმე არსებობს ჩვენს პლანეტაზე - ეს ადგილი მხოლოდ ანტარქტიდა შეიძლება იყოს. ანტარქტიდაში 3-4 კმ სისქის ყინული მატერიკულ ქანებზე ნელ-ნელა გროვდებოდა ასეულობით მილიონი წლის განმავლობაში და თუ კი უცხო ორგანიზმი ჩვენ პლანეტაზე საერთოდ შემოსულია, იგი აუცილებლად ამ კონტინენტზეც მოხვდებოდა და ყინულთან ერთად დაკონსერვდებოდა. დაბალი ტემპერატურა და ნაკლები ჟანგბადი მიკროორგანიზმების სიცოცხლისათვის საშიში არ არის. ამდენად მათ მოსაპოვებლად საჭიროა ყინულის სტერილური ბურღვა. შექმნეს სპეციალური თერმობურღი და ყინულის ფენებიდან სინჯების ასაღები სპეციალური მოწყობილობა. ყველაფერი ეს 1973 წელს გემით გამოგზავნეს ანტარქტიდაში, მიიტანეს „ვოსტოკზე“ და დაამონტაჟეს. 1974 წელს გამოგზავნეს ამ საქმის სპეციალიტი აბიზოვი, ფრიად განსწავლული, წყნარი, ზრდილი და თავის საქმეში შეყვარებული კაცი - შუავოლგელი თათარი.

მე მის ლაბორატორიაში ვარ - თავისთავად ძალზე საინტე-რესო ამბებზე ძალზე საიტერესოდ მიყვება. ლაბორატორია 500-600 მეტრითაა მოშორებული ისედაც სტერილურ სადგურს. სანამ

ბურღვა დაიწყება, ბურღს სტერილიზაციას უკეთებენ სპეციალური სანთურებით - ახურებენ 2500^0-მდე რის შემდეგ იწყება ყინულის ბურღვა. სინჯები თანმიმდევრულად ამოაქვთ სხვადასხვა სიღრმიდან. ნიმუშებს იღებენ კერნის ცენტრული ნაწილიდან და მკვებავ ნივთიერებიან კოლბებში ათავსებენ. კოლბებს ჰერმეტულად ადუღებენ და მოსკოვში გასაგზავნად ამზადებენ. შედეგები მოსკოვში ჩატარებული ანალიზის შემდეგ იქნება ცნობილი. აბიზოვს მოთმინება არ ჰყოფნის, ანალიზის მონაცემები სასტიკად აინტერესებს - ამაზეა დამოკიდებული ისინი სეზონურად იმუშავებენ თუ მოზამთრედ გამოგზავნიან ვინმეს. მთხოვს, სინჯები „მირნიში“ რომ ჩამოვა, ყურადღება მივაქციო. მე კი დრო აღარ მრჩება, თვითმფრინავი „მირნიდან“ უკვე გამოფრინდა და გადავწყვიტე უკან გავბრუნდე. მის ჩამოსვლამდე „ავრალია“ გამოცხადებული. თოვლის კუბები უნდა მოვზიდოთ ელექტროსადგურში. აბიზოვს ფირს ვუტოვებ და ვთხოვ თავისი აპარატით გადამიღოს აქაურობა და ჩამომიტანოს - სიამოვნებით მთანხმდება.

კაიუტ-კომპანიაში ვიკრიბებით. დრო ვიხელთე და კუთხეში მომწყვდეულ ავსიანიკოვს, სხვების დაუნახავად, ჩემი სამმართველოს სახელით ირაკლი ოჩიაურის ხევსური ქალის ჭედურობის ასლი გადავეცი. ძლიერ გაეხარდა, ყველას უჩვენა და იქვე სტენდზე, სადაც ათამდე სხვადასხვა ქვეყნისა და ორგანიზაციების საჩუქრებია ჩამოლაგებული, საპატიო ადგილას მოათავსა. გული დამწყდა, რომ ასლი გადავეცი და არა დედანი - განა უკეთესი არ იქნებოდა. დედამიწის განაპირას გარიყულ ნამდვილ მამაკაცებს შორის მოხვედრილი ოჩიაურის ხელიდან გამოსული ეს განუმეორებელი სილამაზე, მართლაც განუმეო-რებელი, მხოლოდ მათი აღტაცების საგნად დარჩენილიყო, რადგან მათში დავინახე მე ქალის სილამაზის ნამდვილი დამფასებლები!

ტყავებში და ბუშლატებში ჩამძვრალები, ხელებზე ორ-ორი წყვილი ხელთათმანით, გარეთ გამოვედით. ოცზე მეტი კაცი რიგში ჩავდექით და ერთმანეთში გადაწოდებით თოვლის ნაჭრებით დიდი მანქანის ძარისოდენა ციგა დავტვირთეთ, მერე ზოგი ტრაქტორს, ზოგიც ციგას შეახტა და ელექტროსადგურთან მივედით. იგივე გავიმეორეთ და მომავალი წყალი გადმოვტვირ-თეთ. საათნახევარი მოვუნდით და -56^0-მა გვაგრძნობინა, რომ სახლში უნდა შევიდეთ და გავთბეთ. ხორხი ამტკივდა, ფილტვებიც. აქ არ შეიძლება გარეთ დიდხანს ყოფნა პირბადის გარაშე, რადგან ნესტოები ღია ჰაერზე გამოსვლისთანავე ყინულით იჭედება და იძულებული ხარ პირით ისუნთქო ეს გაცივებული, მშრალი ჰაერი. პირის ღრუ მის გათბობას ვერ ასწრებს და, რაც გარეთ არის, თითქმის იმავე ტემპერატურისას ისუნთქავ. თუ გამოცდილი არა გაქვს, ძნელია მთელი სისრულით წარმოიდგინო სტრესული დატვირთვის ის მაშტაბები, რომელსაც განიცდის ადამიანის ორგანიზმი ასეთ პირობებში. ეს განსა-კუთრებით ზამთარზე ითქმის, როდესაც ტემპერატურა ლამის 90^0 აღწევს ნაფურთხი, სანამ მიწას დაეცემა, ყინულად ქცევას ასწრებს!

გავთბით, წარბებზე, წამწამებზე, წვერ-ულვაშზე ყინული შეგვადნა და ისევ წავედით სამუშაოდ. კიდევ ორი გზობა თოვლი მოვიტანეთ და დაღლილ - დაქანცულები კაიუტ - კომპანიაში შემოვლასლასთით. მზარეული ბორისი გემრიელი საჭმელებითა და სხვადასხვა წვენებით გაგვიმასპინძლდა. ჩემი მეგობარია - ნამდვილი, კარგი ბიჭი, გემზე და ლას-პალმასში კარგი დრო გვაქვს გატარებული.

რადისტი აცხადებს, რომ თვითმფრინავი უკვე დაეშვა და დასაფრენადაც გამზადებულიაო. ყველამ ჭამას მოუჩქარა, მე წამოვხტი და სერიოჟა ივანოვის სახლში გავვარდი. ბარგი მაქვს ჩასალაგებელი და მეშინია არ დავრჩე, თორემ ნამდვილად გამაგდებენ ექსპედიციიდან. აქ ხომ შევფერხდი, ამას კიდევ მეორე

შეფერხება დაემატა, ჩემი ქართული უწესრიგობით გამოწვეული, მაგრამ რა ვქნა, საფოსტო მარკები და კონვერტები სამხრეთ გეომაგნიტური პოლუსის შტემპელით რომ არ დავამოწმო, მსოფლიოს თუ არა ქართველი ფილატელისტები მაინც გამიწყრებიან! ასეც ვიქცევი და რაც მარკები და კონვერტები მაქვს, ყველას ვამოწმებ სასწრაფოდ. პროფესიონალები ამბობენ - ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და რაც უფრო მეტი დრო გავა, ეს რელიკვია უფრო ფასეული გახდებაო.

სირბილის და ფაციფუცის გამო გული ამომიჯდა - უფრო იმიტომ, ალბათ, რომ ჰაერი აქ ძლიერ გაიშიათებულია და ჟანგბადი დეფიციტური. ასე იყო თუ ისე, დათქმული დროის კუდს მაინც მიუსწარი!

თვითმფრინავის ძრავები მუშაობს, მფრინავები ძირს არ გადმოდიან, უნდათ რომ ბარგი მალე დაცალონ და დროზე ავფრინდეთ. ყველა გამეტებით მუშაობს - ბარგს ციგაზე ვაწყობთ. საჩქაროდ ვემშვიდობები ყველას, უფრო ახლობლებს - ვეხვევი, ვატყობ გული წყდებათ, მე ხომ მათთვის ბოლო „უცხო“ კაცი ვარ შემდეგ წლამდე.

14 თებერვალი

თვითმფრინავს აქ ყოველთვის უჭირს აფრენა. ჩვენიც ადგილიდან ძლივს დაიძრა, მერე ძალიან მაღალი გაზით ყინულზე გასრიალდა, ასაფრენი ბილიკის ბოლოს როგორც იქნა წელი ასწია და ჰაერში აიჭრა. შვებით ამოვისუნთქე, სხვებს შევხედე, ყველას მშვიდი სახე აქვს, არა მგონია შინაგანად რომ მაინც არ ღელავდნენ, თუმცა ეს მათთვის ჩვეულებრივი სამუშაოა. შემოვბრუნდით და კურსი ჩრდილოეთით, „მირნისაკენ“ ავიღეთ. რად მინდა სხვების მოყოლა, მე თვითონაც კარგად ვხედავ 45-წელს მიტანებული ვლადიმერ ზავარზინი რა დიდი გამოცდილების მფრინავია, პოლარულ ავიაციაში 1963 წლიდანაა, ანტარქტიდაში მესამედაა. კარგია, როცა თანამშრომლებს თავისი

უფროსი ასე უყვართ და მათთვის ხელშეუხებელი ავტორიტეტია. ერთი კარგი ადამიანური თვისებაც აქვს ზავარზინს - ხმას არ უწევს, ყველაფერს წყნარად, დამაჯერებლად ლაპარაკობს და, რაც მთავარია - აკეთებს. თვითმფრინავის ბინადარნი კი იგივეს ვაკეთებთ, რასაც „მირნიდან“ გამოფრენისას: ზავარზინი და პეტია ნიკონოვი შტურვალს უსხედან. შტურმანი ვალენტინ ლეტაშოვი კურსს ადგენს მზის კომპასის საშუალებით და ხშირად შემორბის სალონში სიმაღლის გასაზომად, რადისტი ვასილი ვოლჩენკოვი, ორმოც წელს გადაცილებული ბევრთეთრთმიანი, სულ მომღიმარი კაცი, რადიოსეანსს ამთავრებს „ვოსტოკთან“; მე და დიდწვერება „ბაბუა“, წლოვანებით ყველაზე უფროსი, ბორტმექანიკოსი ანატოლი სმირიაგინი ჩვენი საქმითა ვართ დაკავებული - კარტოფილს ვფცქვნით, გაყინულ სუკის ნაჭრებს ვალღობთ და ქათამს ვასუფთავებთ მოსახარშად. „ბაბუა“ თავის დროზე ქუთაისში ყოფილა ჯარში გაწვეული, ქართულთან დაკავ-შირებულს, ყველაფერს დაწვრილებით და სიამოვნებით მიყვება. ეს ბრგე და, დიდი ტანის კაცი არაჩვეულებრივი სიკეთის განსახიერებაა. მისი მოქმედება, ლაპარაკი იქითაა მიმართული, რომ სიამოვნება მიანიჭოს გვერდზე მყოფს. ხურდათ სიყვარულსა და პატივისცემას უბრუნებენ მფრინავები. როგორ ომობდა, პოლარული ავიაციის გაჭირვება 1964 წელს, სახლში როგორ არიან - ყველაფერ ამას მრავალ სიტყვაობითა და გულუბრყვილობით ყვება.

კურსი აღებულია, რადიოკავშირი აღარ არის, ერთი პილოტის გარდა საქმე ყველას შემოგველია. ვოლჩენკოვი რაღაც ქსოვილიდან ქუდს კერავს, ლეტაშოვი ხატავს. ყველას სადილზე ვიწვევთ. მე, ზავარზინის ნებართვისა და პეტიას მოწვევით პირველი პილოტის სავარძელში ვჯდები და თვითმფრინავის მართვის იმიტაციას ვახდენ. პეტია მიხსნის ათასი ღილაკის დანიშნულებას, „ილ-14“-ის თვისებებს, მიყვება ახალი მოდელის

თვითმფრინავებზე. ჩვენი თვითმფრინავი კლასით ახლებს ჩამორჩება, მაგრამ იმდენად გამძლეა და პოლარულ პირობებს ისე კარგად არის შეგუებული, რომ ანტარქტიდისათვის ჯერჯერობით შეუცვლელია. თვითონ პეტია ახალგაზრდაა, 1943 წელს არის დაბადებული. ფრენა „დოსააფის“ ავიაკლუბში უსწავლია. სწავლასთან ერთად იქვე ინსტრუქტორად დაუწყია მუშაობა. ავიაციაზე შეყვარებულმა, პროფესიითაც მფრინავობა აირჩია. გაიარა სათანადო გზა და უკვე 6 წელია მეორე პილოტია. პოლარულ ავიაციაში 1972 წლიდან მუშაობს.

„ბაბუა“ შემოდის და გვეუბნება, რომ ზავარზინმა მარშრუტს გადაუხვია და ტრაქტორების კვალს მისდევს, მალე ტრაქტორებსაც გადავუფრენთო. თავი გაზნექილ ილუმინატორში გავყავი, შტურმანისათვის რომ არის მოწყობილი და თეთრ უსაგნო მინდორზე „ვოსტოკ-I“-საკენ მიმავალი, საწვავით დატვირთული ტრაქტორების კვალი ნათლად დავინახე. მომაგონდა, რომ „ვოსტოკზე“ ბიჭებმა მაღალი მგრძნობიარობის კინოფირი მაჩუქეს, წინა წლებიდან შემორჩენილი და ახლა აპარატში ამ ფირის ნახევრად გახარჯული კასეტა მიდევს.

ზავარზინს ვეკითხები - სანამ ტრაქტორებს გადავუფრენთ ახალი კასეტის დატენას თუ მოვასწრებთ-მეთქი, ალბათ მოასწრებო. სასწრაფოთ დავცალე ძველი - ყველაფერს ვიღებდი უმიზნოდ და უსისტემოდ, რომ მალე გახარჯულიყო. მერე ახლის დატენისას, როგორც ყოველთვის, როცა ჩქარობ, ფირი ორჯერ გამიწყდა, დავამთავრე კიდევაც და მითხრეს, ტრაქტორებს უკვე გადავუფრინეთო. გული დამწყდა, ამ სულელურად აკვიატებულ გადაღებას ვინ ჩივის, მენახა მაინც ზევიდან როგორები არიან. მერე თვითმფრინავი აყირავდა და შემობრუნება დაიწყო. ვერაფერს მივხვდი, მითუმეტეს ამ უორენტირო სივრცეში ძნელად თუ რამეს მიხვდები კაცი. ვიფიქრე, ახალ მარშრუტს დაადგა-თქო. პეტია კი მეუბნება - ხომ ხედავ, შენი გულისათვის უკან ბრუნდებაო.

საშინლად ამიჩუყდა გული და მფრინავებმაც ჩემი ბრიყვული ღიმილი მადლიერების გამოხატვად ჩამითვალეს. ერთი სიტყვით, უკან შემოვტრიალდით და ისევ ტრაქტორების კვალს დავადექით. მერე ორ ტრაქტორს გადავუფრინეთ. გარეთ არავინ გამოვიდა და ხელს არ გვიქნევდა, რასაც ასეთ დროს ყოველთვის აკეთებენ ხოლმე მარშრუტზე მყოფნი. ერთი კვალი გვერდზე მიდიოდა, ეტყობა მბურღავები იყვნენ, სამი ტრაქტორით რომ არიან წასულები. ალბათ ერთში გადასხდნენ, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავდით და იქ საქმიანობენ. ყინულის ამ უკიდეგანო სამეფოში ორი ტრაქტორი საცოდავად, უპატრონოდ, უმწეოდ გამოიყუ-რებოდა. დიდი მისწრაფებისაა ადამიანი, თორემ რა თავი ტკივა ამ უკაცრიელ ყინულეთში რომ დაეხეტება.

გეოფიზიკური მონაცემებით ანტარქტიდის ხმელეთური საფუძველი ბაზალტებითა და გნეისებითაა აგებული. დასავლეთ ნაწილს აღმოსავლეთისაგან ანტარქტიდის ქედი და დედოფალ მოდის მასივი ყოფს. ანტარქტიკის ნახევარკუნძულის მთების, ბელინსჰაუზენის, გამბურცევის, ელსუორტის, ვერნადსკისა და პრინც ჩარლზის მთებთან ერთად ამ მასივებს, ზოგ ადგილას, ყინულებიდან თავი აქვთ „ამოყოფილი“, ქარისაგან დაღარული, დატეხილი, შიშველი კლდეების სახით, რომლებზეც თოვლი ფეხს ვერ იკიდებს. ლოდებით შემოფარგლულ ასეთ მოშიშვლებულ ადგილებს „ოაზისებს“ ეძახიან. მათი ზედაპირი უცნაურად დატეხილი და დაბზარულია, იმიტომ, რომ, თუმცა. ანტარქტიდა მზის რადიაციის მაღალი დონით გამოირჩევა, მაგრამ ასევე მაღალია თოვლისა და ყინულის ზედაპირიდან მზის სხივების არეკვლის სიდიდე. ამის საწინააღმდეგოდ, უთოვლყინულო, გაშიშვლებულ ადგილებში. ზაფხულში, როცა ჰაერის ტემპერატურა მაინც უარყოფითია, კლდის შავი ზედაპირი +36^0-მდე ცხელდება. ნაპრალებში, ღრმულებში გამდნარი წყალი დგება, მერე ღამით, მზე რომ ჩავა, წყალი ისევ იყინება, ფართოვდება და

კლდეს ხეთქვას. აქედანაა ქანების უცნაური ფორმა და აგებულება. მაგრამ გაშიშვლებული ადგილები მთელი ტერიტორის მხოლოდ 1%-ს თუ შეადგენს, დანარჩენი კი 2-3 კმ-ის სისქის ყინულის ერთიანი გლუვი ზედაპირითაა დაფარული. კონტინენტის ფორმა, ელიფსი რომ შუაში გაჭრა - ისეთია. სანაპიროდან 150-200 კმ-მდე სიმაღლე ჯერ სწრაფად, მერე კი ნელ-ნელა მატულობს და გეომეტრიულ ცენტრში, შეფარდებითი მიუღწევლობის პოლუს-თან, - 4 კმ-მდე აღწევს. ეს უზარმაზარი ყინულს მასა, ყოველი მიმართულებით, ნელ-ნელა ნაპირისაკენ მიცურავს, სადაც აისბერგებად ჩამოიტეხება. თუ ყინული ღარში მოძრაობს, ეს უკვე მყინვარია, და მისი სიჩქარე 200-700 მეტრია წელიწადში, თუ არა და 20-25 მ სიჩქარით მოძრაობს. ადამიანებისაგან დაუსახლებელ ამ კონტინენტზე ნიადაგი, როგორც ასეთი, არ არსებობს, მცენარე არ ხარობს და სანაპიროზე სტუმრად მყოფი პინგვინების, სელაპებისა და ქარიშხალების გარდა სულიერი არსების ჭაჭანება არ არის. რასაკვირველია, ჩვენნაირი, ჩამოსული „პინგვინების“ გარდა.

თეთრ ფონზე ლურჯი, სუფთა ოკეანე ძალიან შორიდან გამოჩნდა - აქ ხომ ჰაერი იშვიათად სუფთა, უღრუბლო და გამჭვირვალეა. მერე „მირნის“ შავი ლაქები დავინახეთ და ზღვაში უამრავი, ათასი ფერის აისბერგი. სადგურს გადავუფრინეთ, კუნძულ ხასიელთან წრე დავარტყით და ზღვის მხრიდან აეროდრომზე დავეშვით.

15 თებერვალი

„ვისტოკზე“ ჩემს გაფრენასთან დაკავშირებული აურზაური დამთავრდა. თუმცა ნაწყენი ვარ ჩვენი ჯგუფის ბიჭებზე (გარდა კოლია მარინსკისა) - რომ გავფრინდი, იმ დღესვე მიურბენინებიათ ამბავი ობსერვატორიის დირექტორისათვის. მერე რომ ვკითხე, რატომ გააკეთეთ-თქო - შეგვეშინდა, ჩვენ არ მოგვხვედროდაო. სიტყვებით ამას ამბობდნენ, მაგრამ აზრი კი, ალბათ ის იყო, რომ

ჩვენ მეორედ და მესამედა ვართ „მირნიში“ და ერთხელაც ვერ შევძელით „ვოსტოკზე“ მოხვედრა, შენ კი, ვიღაცამ, გაბედე და საკუთარი რისკით გაფრინდიო. ამან შექმნა, ალბათ, საბაბი ამბის მიტანისა, წესრიგი რომ დავარღვიე და უნებართვოდ გავფრინდი.

შედეგისათვის სავსებით მომზადებული ვიყავი და შეკრებაზე უფროსთან საუბარში, ბოდიში მოვიხადე ჩადენილი საქციელისათვის. მზად ვიყავი მიმეღო ყოველგვარი სასჯელი, ისიც აღვნიშნე, ჩვენების გასაგონად, რომ მლიქვნელობა და ეგოიზმი კარგს ბევრს ვერაფერს მოუტანს ადამიანს, მითუმეტეს მოზამთრეს. მერე ისიც ვკითხე უფროსს - რომ მეთხოვა, გამიშვებდითო? როგორ გეკადრება, არავითარ შემთხვევაშიო - სასწრაფოდ მომახალა.

ამ სიტუაციისათვის უებარი წამალი მუშაობაა, ისეთი მუშაობა კი, რომელიც აქ მესამე დღეა დაიწყო, არავითარ დროს არ გიტოვებს საფიქრელად. დაყოფილი ვართ ორ, 12-15 კაციან ბრიგადად. ვმუშაობთ 12 საათს. დღესა და ღამეს მაინც არა აქვს მნიშვნელობა, მზე სულ თავზე დაგვტრიალებს. ორ ვერტმფრენს განუწყვეტლივ მოაქვს ბარგი ყუთებში, კასრებში და რა ვიცი კიდევ რაში არა. ყველა ყუთს თავისი ნიშანი აქვს თუ ვის ეკუთვნის - აეროლოგებს, გეოფიზიკოსებს, ტრანსპორტელებს, ელექტროსად-გურს, სახელოსნოებს თუ საწყობს, სადაც მთელი საკვები, საკანცელარიო და სამეურნეო ტვირთი მიდის. ამას გარდა, ცალკე მოდის ტვირთი მშენებლობისათვის. მათ შორის პანელებიანი, ასაკრეფი სახლები და უამრავი სამშენებლო მასალა და ტვირთი „ვოსტოკისათვის“, რისთვისაც ცალკე ბრიგადებია შექმნილი მათი ხალხისაგან.

ჩვენი ბრიგადა საღამოს 8 საათიდან გადის სამუშაოდ. მოფრინდება ვერტმფრენი დიდ ბადეში ჩამოკიდებული 2-4 ტონა ტვირთით. მივესევით და ასი მეტრის მოშორებით განლაგებულ ფიცარნაგზე ვაწყობთ. მერე, სანამ მეორე მოფრინდება, ვათავსებთ

დიდ ციგაზე და ტრაქტორით მიგვაქვს დანიშნულების მიხედვით. უკან რომ მოვბრუნდებით, ვერტმფრენს უკვე ორჯერ მოუტანია ტვირთი. აბა, ისევ დახარისხება და ციგაზე დალაგება და ასე 12 საათი. მარინსკი ბრიგადიდან გავათავისუფლეთ - ლოკატორს ამონტაჟებს. იქაც ბევრი სამუშაოა. მორჩება ტვირთის გადმოზიდვა და ჩვენც იქ გადავინაცვლებთ.

...არ მეძინება, გამთენიისას ჰეგელის „გონების ფილოსოფიის“ ბოლო ნაწილის კითხაც დავასრულე და ჩაძინების წინ დავასკვენი: კაცობრიობას ჰარმონია თუ გადაარჩენს, მაგრამ ამისათვის მას ერთიანი ენის, ერთიანი სარწმუნოების შექმნა და ეროვნული მარილის მოყრა დასჭირდება. კაცმა რომ თქვას, ამის განხორციელებას არც ისე დიდი დრო უნდა, ჩვენ რომ გვგონია, ოღონდ ეს შეიძლება მხოლოდ მას მერე მოხდეს, როდესაც სიღატაკეს მოეღება ბოლო.

16 თებერვალი

დღეს დილას გადმოტვირთვა დამთავრდა. თავისუფლები ვართ. ბრიგადები დაიშალა. ბოლო რეისით „სტრატეგიული“ ტვირთი - არაყი, შამპანიური, რუმინული ღვინო და ერთი კასრი სპირტი გადმოიტვირთა, ყველაფერი თბილ საწყობში ჩავზიდეთ და ფრთხილად დავაბინავეთ. გარდა ამისა, საწყობში შევზიდეთ უამრავი. კარგი ხარისხის. ყველანაირი პროდუქტი.

ხვალ წინა ექსპედიციის ხალხისათვის ბოლო დღეა - ვინც სეზონზე არ რჩება გემზე გადაბარგდება. უკანასკნელ დღეებში, მე-19-ის ხალხს დანარჩენისაგან გაზეთილი, ძველი ტანსაცმლით, ფერდაკარგული სახითა და მხიარული (რას ნიშნავს სახლში რომ მიდიან!) ხასიათით გამოარჩევ.

ბევრი წერილი, 12 ხვია ფირი კარგად შევკარი და მიშა ბელოვს ვატან ლენინგრადამდე, მერე ფოსტით გაგზავნის სახლში. მიშა კარგი ბიჭია, მხიარული, ენა მოსწრებული, „ნოვოლაზა-

რევსკაიაში“ იყო მოზამთრედ. შემცვლელი რადიოინჟინერი რომ მოვიდა, მიშა გემს ვერ გაყვა, ხალხისათვის უნდა ესწავლებინა და გაეცნო თავისი ლოკატორი. სწავლამ რამოდენიმე დღე გასტანა და ნაყოფიც გამოიღო - ჩვენი რადიოინჟინერი მარიინსკი კმაყოფილი დარჩა ნიუანსების გაცნობით.

ჩვენ კი - არარადიოინჟინრებს, ფიზიკური შრომისგან დაღლილებს, პარტკომმა პარტიული სწავლების ორსაათიანი კურსი შემოგვთავაზა და ისიც დააყოლა: თქვენი დასვენების ყველაზე კარგი საშუალება იქნებაო - რა ქნას თავისი გეგმაც ხომ უნდა შეასრულოს! ცივზე ცივი უარი შევაგებეთ და წინადადება მივეცით ფიქტიური ოქმი შეედგინადა, შიგ რაც სურდა ის ჩაეწერა. იჯუჯღუნა კი, მაგრამ მაინც დაგვთახმდა და მოგვეშვა. როგორც კი დაგვთახმდა, იმ წუთში ის გავიფიქრე - აბა ასეთი პარტკომის ხელში კომუნიზმს როგორ ააშენებს კომუნიზმის მშენებელი ხალხი?! ეხლა მან შეადგინა ფიქტიური ოქმი, ხვალ მეორე შეადგენს... და თანდათან დაიკარგება იდეისადმი რწმენა, განსაკუთრებით მომდევნო თაობებში - თორემ ჩვენი თავი წყალს წაუღია!

ამიტომ უფროსი თაობა გამუდმებით უნდა ზრუნავდეს მომდევნო თაობის სწავლაზე და გაწვრთნაზე. ეს აუცილებელია! სხვაგვარად როგორ შეიძლება? მაგრამ აქ მთავარია, მის გამზრდელ, უფროს თაობას დაუფასდეს თავისი გარჯა, ისე როგორც ამას შესანიშნავად აკეთებს ჩემი თაობის ქართველი კომუნისტები თავისი ნორჩი კომკავშირლების მიმართ, იმაზე გაცილებით კარგად და დახვეწილად, ვიდრე წინა თაობები!

ერთხელ ჰიდრომეტეოროლოგიურ სამმართველოში, სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურსაც რომ კურირებდა - ერთ წვიმიან დილას, ერთმა მთლად უფროსმა კომკავშირის ცკ- ს მდივანმა დარეკა და კატეგორიულად მთხოვა, რომ ბრძანება გამეცა სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის ყველა ქვეგანაყოფისათვის, რაკე-

ტული დანადგარები და ზარბაზნები მცხეთისაკენ მოებრუნებიათ და მის თავზე მძიმე, წვიმის ღრუბლები გაეფანტადთ - შუადღის 3 საათისათვის, რადგან ამ დროისათვის, კომკავშირის დიდ ღონისძიებაზე, კომუნისტური ცკ-ს პირველი მდივანი უნდა ჩამოსულიყო და ღრუბლებს თუ არ გავფანტავდით შეიძლება დასველებულიყო. ჩემგან უკმაყოფილომ, მაინც დაიფარა თავისი მამა და მასწავლებელი წვიმისაგან - მანქანიდან ჩამოსვის თანავე, ცუნცულით უკან რომ მიყვებოდა ქოლგით ხელში - ვიდრე მანქანაში დაბრუნებამდე. ხომ არის ეს მკაფიო მაგალითი ზრუნვაზე მადლიერების გამოხატვისა კეთილშობილი უფროსი თაობის მიმართ!!? ის დროც მოვა, როცა მადლიერი კომკავშირელი და მისი პატრიოტი კოლეგები სათავეში ჩაუდგებიან დამოუკიდებელ ქვეყანას და კეთილდღეობას არ მოაკლებენ თავის თავს, თავის პატრონებს და თუ დარჩა რამე, გატანჯულ და დამშეულ ხალხს - საუკუნის აქეთა და იქეთა მიჯნაზე. შემდგომში არც ის იქნება საშიში, ამ ძალებს თუ მათი ოპონენტები შეცვლიან - იქაც ხომ ბლომად არიან ამ პლეადიდან! ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მერე რა გვეშველება, ისინი რომ დაიხოცებიან?

ისიც მახსოვს, ერთ-ერთი მადგანი, მომავალში რეგიონის ხელმძღვანელი, საგიჟეში რომ მოათავსეს - ამბიციის ქუჩაზე, მისი უფროსი კი, ღრმა სიბერეში, პირჯვარს გამუდმებით და უმიზეზოდ იწერს დღესაც, მაინც, ყოველი შემთხვევისათვის.

17 თებერვალი

გავაცილეთ ძველები. ყველამ იცოდა რომელი რეისით მიფრინადა გემზე, მაგრამ მაინც ადრიანად თავისი ბარგი - ბარხანით ასაფრენ მოედანზე მოგროვდა. კარგი დღე იყო, უქარო, თბილი. ყველას საექპედიციო ტომარა პირამდე სავსეა, მიაქვთ ძველი ტანსაცმელი და პინგვინის კვერცხები, ლამაზი ჭრელი ქვები და თავისი ხელით გაკეთებული ათასნაირი სუვენირი.

მიაქვთ იმიტომ, რომ ყველაფერი ძვირფასია მათთვის და, ალბათ, რაც უფრო დრო გავა კიდევ უფრო ძვირფასი გახდება. ბევრი, მე-20 ექსპდიციიდან რომ მეგონა, მე-19-სი აღმოჩნდა - გაფრენის წინ მივხვდი. კაიუტ-კომპანიაში 200 კაცამდე ვირეოდით, ზოგი ახალი, ზოგიც ძველი, სეზონის ხალხი, „ობისა“ და „ვიზეს“ მეზღვაურები და რას გაარჩევ, ვინ რომელია. ჩვენს დერეფანში მცხოვრები რადიოსადგურის უფროსი რომან უსკატოვი თურმე ძველი ყოფილა, დღეს გავიგე. ვემშვიდობებით ერთმანეთს, ისინი კარგ, უქარო ზამთრობას გვისურვებენ, ჩვენ - კეთილ მგზავრობას. ჩამორჩენილი კოლია იაკოვლევი ძლივს შევტენეთ დილის რეისზე. ხელს ვუქნევდით და, ალბათ, ყველას ჩემნაირად წყდებოდა გული, ჩვენ გაფრენამდე ხომ ერთი წელია კიდევ. მაგრამ არა უშავს, სამაგიეროდ დავლაგდებით, ყველა ჩვენ-ჩვენს საქმეს მივხედავთ. დავუახლოვდებით და გავიტანთ ერთმანეთს გემების მოსვლამდე. ორივე გემი გაბმული საყვირით გვემშვიდობება. ნაპირი რაკეტების სროლამ გააყრუა, როგორც ჩანს მათი დიდი მარაგი გვაქვს. „ვიზემ“ სახლისაკენ აიღო გეზი, „ობი“ კი ახალ ზელანდიაში ჩავა, მერე „ლენინგრადსკაიაში“ ჩაიყვანს მოზამთრეებს და ისევ გვესტუმრება კარტოფილი, ხილი და წვენები რომ ჩამოგვიტანოს და სეზონზე დარჩენილი ხალხი წაიყვანოს.

22 თებერვალი

დღეს ტრაქტორებით ბოლო ტვირთი მივიტანეთ საწყობში. ტრაქტორისტს ვთხოვე - წამაყვანინე მეთქი. ჩაიჩოჩა და თავისი ადგილი დამითმო. ამიხსნა, როგორ უნდა მემართა და ადგილიდან დავძარი. ადვილი სამართავია, ერთი-ორი კილომეტრი ვატარე და უკან გადავჯექი.

საღამოს ჩავედი მფრინავებთან, გამოვემშვიდობე. ხვალ მიფრინავენ საბოლოოდ „მოლოდიოჟნაიაში“, იქ თვითმფრინავებს

დატოვებენ და თვითონ გემს გაჰყვებიან. აქ ყველა სამუშაო შეასრულეს, რაც მთავარია, „ვოსტოკზე“ მთელი ტვირთი გადაზიდეს.

25 თებერვალი

გემები წავიდნენ და მშენებლებმა ჩვენთვისაც მოიცალეს. გუშინ და დღეს ლოკატორის ანტენას პლასტმასის უშველებელ, 3 მეტრი დიამეტრის სფეროს ვადგამთ. დიდი ყუთი გავხსენით და სეგმენტები თოკებით ავზიდეთ სახურავზე. იქ ორ-ორი შევუერთეთ ერთმანეთს და ანტენის გარშემო აწყობას შევუდექით. დიდი საწვალებელი საქმე კი ყოფილა. თითქმის არც ერთი ნახვრეტი არ უდგებოდა ერთმანეთს. ელექტრობურღით დავბურღეთ ხელმეორედ, მერე რკინის სადგარზე 200-მდე ნახვრეტი გავბურღეთ და ქანჩებით დავამაგრეთ. თითქოს არ თუ ძნელი სამუშაო იყო, მაგრამ 7 კაცი ორ დღეს მოვუნდით. კიდევ კარგი, რომ ძლიერი ქარი არ ამოვარდა, თორემ ყველაფერს ძირს გადაგვიყრიდა. ახლა არც ჩვენს ანტენასა და არც მარინსკის ქარისა აღარ ეშინიათ.

ცისფერთვალება, კეთილი, პატარა ბიჭს რომ ჰგავს, მიშა კოროლიოვი და დიდ წვერება მომღიმარი ვასია ატისკოვი, სულ ერთად რომ დადიან, ჭამენ და სვამენ, დიდებული მომუშავენიც ყოფილან. ისინი რომ არა, შეიძლება საქმე სხვანაირად წასულიყო.

28 თებერვალი

ლოკატორის მონტაჟი, ძირითადში, დამთავრდა. საჭიროა ბლოკების გაწმენდა, გაკონტროლება, რადიონათურების შეცვლა და აწყობა. ესეც ძნელი საქმეა, რადგან ლოკატორი ორი წელია თოვლში ეგდო და მიუხედავად იმისა, რომ კარგად იყო შეფუთული, ყუთებში ქარმა თოვლი შეიტანა და ზოგ ადგილას დეტალებმა ჟანგი მოიკიდა. გუშინ მორენიდან სამი სხვადასხვა

ზომის 200-200 მ. კაბელი ამოვიტანეთ, რადიო, ელექტრო და სატელევიზიო ხაზები უნდა გავიყვანოთ გაზსაგენერატორამდე და გარდამქმნელამდე. ამას ვაკეთებთ ოპერატიული მუშაობის დამთავრების შემდეგ, კიდევ კარგი, რომ ძველი აეროლოგები სეზონზე დატოვეს, თორემ გაგვიჭირდებოდა.

რადიოზონდირება დღე-ღამეში ორჯერ ხდება - დილის და საღამოს 5 საათზე. მორიგეობის გრაფიკი მსუბუქია, რადგან 4-ის ნაცვლად შვიდნი ვმუშაობთ. დღეს საშუალო ქარი იყო (20 მ/წმ). 50 მ-იან მილში გავაძვრინეთ ორი კაბელი და ძველ რადიოსადგურის შენობამდე მივიყვანეთ. იქ ერთი ოთახი გამოგვიყვეს, სადაც გარდამქმნელს დავდგამთ. არ ვიცი, ამ პატარა ოთახში თითქმის მისივე ზომის გარდამქმნელს როგორ შევიტანთ. მანამდე კი სახლის წინ, ღია ცის ქვეშ დავდგით, რომ ლოკატორი ჩავრთოთ და გამოვცადოთ.

საინტერესო ამბავი მომივიდა! სახლის ქვეშ შევძვერი და კაბელის წვერს შენობის ძირიდან ნახვრეტში ვაწვდიდი კომაროვს - ორი კაბელიდან ერთი მივაწოდე დასამაგრებლად, მერე მეორესაკენ მოვბრუნდი და... კაბელი არ არის, გაქრა! ჩამოვჯექი და ვიხსენებ - ნამდვილად ორივე კაბელის წვერი აქ იყო, ერთი მივაწოდე, მეორე არ არის. მის შუატანს 10-15 მ-ის მოშორებით ვხედავ, წვერი კი არ ჩანს, არ ვჩქარობ ავდგე და შევხედო, სად არის. ისევ ვფიქრობ - ნამდვილად აქ იყო წვერი, თუ მომეჩვენა? იქნებ ვინმემ გაქაჩა, მაგრამ გარშემო რომ არავინ არის! ავდექი, მივედი, კაბელის წვერი თოვლში დევს, კვალზე ეტყობა, რომ გაუნძრევლად დევს. დავუბრუნდი სიტუაციის გახსენებას, კარგად მახსოვს, რომ ორივე კაბელის წვერი აქ იყო. ასეთი რამ პირველად მომდის. თავი და ბოლო ვერ მოვუნახე მიზეზს. საქმეს ვაგრძელებდი და იმაზე კი ვფიქრობდი, როგორ მოხდა ეს, ხომ ნათლად მახსოვს ამოყოფილი კაბელი! ეტყობა ძალიან მინდოდა, იქ რომ ყოფილიყო.

მშენებლები პანელებით სახლის აწყობას ამთავრებენ. ჩქარობენ, 12 საათს მუშაობენ, რომ დიდ ქარებამდე გარეთა სამუშაოების დამთავრება მოასწრონ. მერე ჩვენი პავილიონი აქვთ ასაგები. გეოფიზიკოსებიც თავის საქმეში ცხვირით არიან ჩაფლული - გადააქვთ პავილიონი და აპარატურა, ამატებენ ახალს, ტრანსპორტელები ექსპედიციაში არიან. მექანიკურ საამქროში ხალხმრავლობაა. ყველას რაღაცის გამოჩარხვა, გაბურღვა, მიდუღება უნდა. მექანიკოსები ყველაფერს ვერ ასწრებენ და, ამიტომ, შემკვეთები თვითონ აკეთებენ როგორც შეუძლიათ. მე ელექტროფარის კარკასი გავაკეთე - ნახევრად ნორმალური; სლესარენკომ - მილები მოღუნა და დაჭრა; უსაქმურად ექიმი პროტოსენიაა. მეორე ექიმი ექსპედიციაშია - მზარეულ-ექიმად, ის კი ტრაქტორით წყლის ზიდვაში ეხმარება`მეთულუხჩეებს. დღეს ამ წლის მეორე თვეც დამთავრდა.

1 მარტი

კაიუტ-კომპანიაში რამდენიმე კაცი გვიანობამდე შევრჩით. ამწე-კრანის მექანიკოსი ალიკ ხლოპაჩევი შემოვიდა, ალბათ, ყველაზე ღონიერი და სულ მომღიმარი, 35 წელს მიღწეული ახალგაზრდა კაცი - წამოდით, რასაც დაგანახვებთ, არასდროს გექნებათ ნანახიო! გავეხვიეთ ქურთუკებში და გარეთ გავედით.

ჰოი, საოცრებავ! მთავრეს ბოლო ჰქონდა ჩამოდებული ოკეანის ჰორიზონტზე და, რომ არ მოვიტყუო ჩვეულებრივ ზომაზე, ათჯერ უფრო დიდი, შიგნით შინდისფრად, წითლად, მერე ალისფრად კაშკაშებდა! ახლო არე-მარე ამ მსუბუქი ტონებით იყო განათებული, უფრო შორი კი ლურჯ-ცისფერ ფერებში გადადიოდა. ამ წუთში მეტი სილამაზე ვერც წარმომედგინა - დიდებულია, ლამაზი, ძალიან ლამაზი და აქამდე უნახავი, უცხო. მარტო ამ სილამაზისათვისაც კი ღირს რომ ჩამოვიდეს კაცი ანტარქტიდაში. მერე, სახლში რომ შევბრუნდით, კიდევ დიდხანს

ვუყურებდი აივნიდან, გაქვავებული. მსგავსი რამ, შთაბეჭდილების გრანდიოზულობით, ჩემთვის მეორეა. პირველი მყინვარწვერის მწვერვალზე განვიცადე, მეორე თუ მესამე ასვლის დროს, იდეალურ, მოწმენდილ ამინდში (რაც მყინვაწვერზე იშვიათი რამ არის) სამხრეთი ჰორიზონტი თბილისამდე ნათლად ჩანდა. თეთრ კლდეებში და ყავისფერ მთებში მწვანე ბარი იკარგებოდა ძალიან სათუთად და ბოლოში ცისფერ ცას უერთდებოდა - თბილისთან.

3 მარტი

დილიდან კიდევ ერთი კაბელი გავჭიმეთ ესტაკატაზე, ლოკატორიდან რადისტების ძველ სახლამდე. შემდეგ ჩვენი მშენებლების, მიშა კოროლიოვისა და ვასია ატისკოვის ხელმძღვანელობით ერთ კედელში ელექტროხერხით უზარმაზარი ღიობი გამოვჭერით - 2X2 მ-ზე, გარდამქმნელი ამ ღიობამდე ტრაქტორით მივათრიეთ, მერე 15 კაცამდე ერთად მივესიეთ და ოთახში შევაცურეთ. კედელი ღიობს ისევ მივადგით და „მივაკერეთ“. ხუმრობაში, სიცილსა და, რაც მთავარია, - მუშაობაში 7 საათიც შესრულდა და საკმაოდ დაღლილები სავახშმოდ გავემართეთ.

ვახშმის შემდეგ ოთარ იოსელიანის ფილმი „იყო შაშვი მგალობელი“ შემოგვთავაზეს. გაცილებით ბევრს მოეწონებოდა და წინასწარ სიამოვნებისათვის განვეწყვე. კარგად არც კი იყო დაწყებული, ყვირილი მოგვესმა - მეჩვიდმეტე სახლი იწვისო! ყველა წამოვცვივდით და გარეთ გავვარდით. ჩვენგან 700-მდე მეტრით დაშორებული სახლის კუთხიდან ბოლი ამოდიოა. რაც ძალა და ღონე მქონდა გავრბოდი სხვებთან ერთად და თან ვიღაცისაგან მონაყოლი ამბავი გამახსენდა მეხუთე ექსპედიციაში ერთ-ერთი სახლის ხანძარმა როგორ იმსხვერპლა 7 ადამიანი.

როგორც იქნა მივირბინეთ - ორი კაცი, უკვე ღონეგამოცლილი ცეცხლზე თოვლს აყრის. გავიქეცით ირგვლივ განლა-

გებულ სახლებიდან ცეცხლმქრობების მოსატანად. ზოგი ადგილზე დარჩა და რაც ხელთ მოხვდა იმით აყრის თოვლს. ცეცხლმქრობების ჭავლებიც მივაშველეთ, მაგრამ ცეცხლის განელება უკვე ვერ ხერხდება.

თვითონ შენობა საკმაოდ ღრმად, თითქმის 4 მეტრამდეა, ყინულში ჩამარხული. სხვენზე ოთახებია მოწყობილი, რომლებშიც განლაგებულია მაგნიტომეტრული და იონოსფერული ლაბორა-ტორიები. სახურავზე მიმღებ - გადამცემი და სადამკვირვებლო მოწყობილობაა დამონტაჟებული. სახურავი ერთი მეტრით თუ იქნება ამოცილებული თოვლის ზედაპირს. შენობა დაპრესილი მუყაოს, ნახერხისა და ფიცრის პანელებისაგან არის აგებული, სახურავი კი ალუმინისა აქვს. როგორც საერთოდ ანტარქტიდაში, ისე აქ ყველანაირი მასალა ისეა გამომშრალი, რომ ასანთით კუნძსაც კი შეიძლება ცეცხლი მოუკიდო. ამიტომ იყო, რომ ხანძარი თვალის დახამხამებაში ისე გაღვივდა, რომ წყლის ავზიანი ტრაქტორისა და ბულდოზერის მოსვლამდე, სახურავის ორი მესამედი ძლიერ ცეცხლში იყო უკვე გარხვეული.

მოსვლისთანავე დავაზუსტეთ, რომ შენობაში არავინ იყო, მაგრამ ვხედავდით, რომ იწვოდა ძვირფასი აპარატურა, ავეჯი, სამუშაოს შედეგები, პირადი ნივთები და თავი არ დაგვიზოგავს ყველაფერი ამის გადასარჩენად. ლიპოვი გვიყვირის - იქნებ სახურავზე დამაგრებული ფოტოაპარატურა მაინც გადავარჩი-ნოთო. სასწრაფოდ ავბობღდი, დავიწყე ქანჩების მოშვება, ნახევარი საქმე გაკეთეული მქონდა, ყვირილი ატეხეს - არიქა, სახურავი ინგრევაო და ძირს ჩამომაგდეს. ამასობაში სახლისაკენ მიმავალი ელექტროხაზი გადაეჭრათ, კომპრესორიც ჩაერთოთ და სახანძრო მილით წყალიც წამოვიდა; ბულდოზერიც გამუდმებით აყრიდა შენობას თოვლს, ხალხიც თავს არ ზოგავდა, მაგრამ ცხადი ხდებოდა, შენობას ვერაფერს ვუშველიდით, რადგან ქარი გაძლიერდა და ჩვენი თავგანწირვის შედეგი ნულზე დაიყვანა. ასე

გავიდა კარგა ხანი - ჩვენ ჩვენსას ვაკეთებდით, ქარი თავისას არ იშლიდა. ბოლოს სახურავი ჩაინგრა, გამოჩნდა. რომ შუა ჭერიც იწვოდა, წყალიც გათავდა, ჩვენც გავჩერდით. ბოლოს ბულდოზერმაც დაყარა ფარ-ხმალი. სტიქიის წინაშე ადამიანები უძლურნი აღმოვჩნდით.

...ვიტალი კაზარინი, 50 წელს გადაცილებული, გამოცდილი მოზამთრე, გეოფიზიკოსების ჯგუფის უფროსი, იმ დღეს სასადილოში მორიგეობდა. ვახშამი რომ დამთავრდა, ჭურჭელი დარეცხა, კაიუტ-კომპანია დახვეტა, ყველაფერი მიალაგ-მოალაგა და დაღლილმა სახლისაკენ გასწია... ლიპოვის ბედზე!

მერე გვიყვებოდა - თქვენ რომ კინოს საყურებლად მეპატიჟებოდით, კი მინდოდა დარჩენა, მაგრამ გულმა რატომღაც სახლისაკენ გამიწიაო. ჩასასვლელში ბოლი შემომეგება. სახლში შევვარდი, მაგრამ ბოლის მიზეზი ვერ აღმოვაჩინე, შემოვირბინე ოთახები და ერთში მძინარე ლიპოვს წავაწყდი. გამოვარდნილან გარეთ - სახლის კუთხეს გარედან ცეცხლი უკიდია, შიგნიდან კი მხოლოდ ბოლი ტრიალებს. ტელეფონი არ მუშაობდა თურმე. ჯერ გადაწყვიტეს, სანამ ვინმეს დავუძახებთ, იქნებ ჩვენვე ჩავაქროთ ცეცხლიო, რომ ვერაფერს გახდნენ, ერთ-ერთი გაქცეულა მეზობელ სახლში და შეუტყობინებია თავს დატეხილი უბედურების შესახებ.

ლიპოვს თურმე ღამე აპარატურა გაფუჭებია და შუადღემდე მის შეკეთებას მოუნდა. დაღლილს ისე მაგრად დასძინებია, რომ ვახშამისთვისაც კი ვერ გაღვიძებია.

მომხდარმა ყველა საშინელ გუნებაზე დაგვაყენა. მერე შეიქნა ბჭობა და ცხარე კამათი ხანძრის შესაძლო მიზეზებზე, ხანძარსაწინააღმდეგო მიღებულ თუ არმიღებულ ზომებზე, ვკამათობდით, ვმსჯელობდით, ვცხარობდით და ვამშვიდებდით ერთმანეთს. ბოლოს დაღლილობამ გვძლია, კამათიც დაცხრა და ყველა იმ დასკვნამდე მივედით, რომ ანტარქტიდაში ერთ-ერთი ყველაზე საშინელი მოვლენა - ხანძარია.

დღეს 9 მარტია – ზოგისათვის 9 მაისია მნიშვნელოვანი, ზოგისათვის 9 აპრილი, ზოგისათვისაც 9 მარტი. ჩემთვის და ჩემი თაობისათვის 1956 წლის 9 მარტია მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ ის საშინელი ღამე 5-დღიანი, გაუთავებელი, სადღეღამისო სიტყვების წარმოთქმის, ლექსების დეკლამირების, მოთხოვნების წამოყენების შემდეგ ტრაგედიით დამთავრდა. ბრბო კი არა, ერთი მიზნით გაერთიანებული, კეთილშობილი, 15-20 წლის გოგო-ბიჭები ეკვეთნენ ტელეგრაფის შენობას რუსთაველზე და მიიღეს კიდევაც საკადრისი. შენობის სადარბაზოდან, ფანჯრებიდან და ახლო-მახლო სახლების სახურავიდაინ სროლა დაიწყო წითელმა ჯარმა...

-ნუ გეშინიათ! „ხალასტოით'' ისვრიან! არ დაიხიოთ! ყვიოდა იმათზე უფრო წითელი ხალხი და წინანებს აწვებოდა სადარბაზოს კიბეებთან რომ იჭყლიტებოდა. მერე ვიღაცამ დაიყვირა „რაზრივნოი'' ტყვიებია, ჩაწექითო. ახლა კი შიშმა აგვიტანა და ჩაწოლა დავიწყეთ. მე და ნოდარ ეკიზაშვილი შუა პროსპექტზე აღმოვჩნდით – ზედ ტელეგრაფის წინ. ჩვენს ზურგს უკან კი ტროლეიბუსი იდგა მგზავრებით სავსე.

ხალხი ჩაწვა და ჩვენც მათთან ერთად, მაგრამ დაწოლილს მეტი ფართობი სჭირდება ვიდრე მდგომარეს და მე და ნოდარი ტროლეიბუსის ქვეშ აღმოვჩნდით. რადგან უკვე მივხვდი, რომ ხალხს ხოცავდნენ, კიდევაც გამეხარდა მის ქვეშ ყოფნა – თითქოს ბუნკერში ვიყავით. ამ დროს ტროლეიბუსი დაიძრა, მისი უკანა საბურავი ნოდარის თავს მიუახლოვდა რამდენიმე ათეულ სამტიმეტრში და კვახივით გახეთქავდა, რომ არ გაჩერებულიყო – ხალხის ყვირილმა გააჩერა.

წამოვდექით, მოვკიდეთ ერთმანეთს ხელი და უკან, ალექსანდრეს ბაღის გაზონებისაკენ დავიხიეთ. სროლის ხმაც შენელდა და ხალხიც ტოვებდა ბრძოლის ველს, მაგრამ მათ

შორის – განსაკუთრებით სადარბაზოს კიბეებიდან - ბევრი ვერ იძროდა. ერთი კი გამიელვა თავში – ალბათ დახოცილები არიან, მეთქი...

მერე, ბაღის თავში იმ ჯგუფს შევუერთდით, ქალაქის მილიციის უფროს ძრიელიშვილისათვის ალყა რომ შემოერტყათ და იარაღს სთხოვდნენ. მამაშვილურმა ტონმა ვერ უშველა და ჩხრეკა დაუწყეს – ამაოდ, რაც არ ჰქონდა, რას მისცემდა.

ეხლა, ცოტა მარჯვნივ, სასტუმრო „ინტურისტისაკენ'' დავიწიეთ. ვიღაც ყვიროდა – მანქანის ტარება ვინ იცისო? უპატრონო ლიმუზინი იდგა - „ზილი'' – ოთხივეკარებგაღებული. ხალხი შიგ მკვდრებს ტენიდა და მანქანის წაყვანას მოითხოვდა. ჩვენ, როგორც მანქანის „დიდი სპეციალისტები'', მივიჭერით და წაყვანა მოვინდომეთ – საავადმყოფოში. ჩავჯექით, ნოდარი საჭეს მიუჯდა, მაგრამ უკან რომ გადავიხედეთ და ოთხი-ხუთი უსულო ბიჭი დავინახეთ, მათ შორის ერთს თავი რომ ჰქონდა გადაჩეხილი და ტვინი გადმოღვრილი, ცუდად გავხდი და იქაურობას გავეცალენით – მაგრამ კარგი ხანი გულის რევ ვერ შევიჩერე.
მერე, ვიტრინებჩამსხვრეულ სასტუმრო „ინტურისტში'' შევედით, აღზნებულები. სასტუმრო ჰოლში ერთი რუსი – სამოქალაქო პირი, ტელეფონში ვიღაცას ელაპარაკებოდა რუსულად. კი არ ელაპარაკებოდა ყვიროდა და დედას აგინებდა, მოითხოვდა ცეცხლოს შეწყვეტას. თანაც უხსნიდა, რომ ასობით ხალხი დაიხოდა... ვიღაცამ თქვა – ეს რუსი „კაგებეშნიკია'' და მოდი „დავბრიდოთო''. უმეტესობა არ დაეთანხმა და ჩვენც შევაწიეთ „პატიების'' ხმა იმ „კაგებეშნიკს''.

ცოტა ხანში ხალხს გავყევით მთავრობის სახლისკენ და რუსთაველის კინოთეატრის წინ აღმოვჩნდით. წინ, მთავრობის სახლის ფასადის ყოველ მონაკვეთში ჯარისკაცები იდგნენ, ურთიერთმიჯრით, ავტომატებით. ოველ 5 მეტრში ტყვიამფრქვევი იდგა - უბრალო ტყვიამფრქვევი კი არა, კინოში

რომ გვინახავს, იმაზე დიდი, გრძელლულიანი და შიშისმომგვრელი.
უცბათ ვხედავთ – რამდენიმე ბიჭი მიეპარა ჩიტაძის ქუჩიდან ფასადის კუთხეში მდგარ ტყვიამფრქვევეს და გადმოითრია. სალდათი გაუსხლტათ ხელიდან, მაგრამ ტყვიამფრქვევი რუსთაველის კინოსაკენ გამოაქანეს თავისი ვაზნებით.
ერთმა გონიერმა თქვა – შენობის ბოლო სართულზე ავიტანოთ და იქიდან ვესროლოთო. თქვა თუ არა ვიღაც მეორემ კინოს შესასვლელის ვიტრინა ჩაამტვრია.
ტყვიამფრქვევის მფლობელთ ისღა დარჩენოდათ, რომ მეტყვიამფრქვევე ეშოვნათ და დაიძახეს – ვინ იცის სროლაო? პირზე ხელის აფარება ვერ მოვასწარით, რომ რეზო ჯანჯღავამ – მე ვიცი, ჯარში ვარ ნამყოფიო – დაიკივლა და ტყვიამფრქვევს ეცა. ჩვენც ვეცით რეზოს – ჩვენსკენ ვქაჩავთ და ვუხსნით ორგანიზატორებს, რომ ტყუილს ამბობს. მერე ცოტა სიტუაცია რომ დაწყნარდა, ერთმა, უფრო გონიერმა, თქვა – ამ საქმის გაკეთება არ ივარგებს იმიტომ, რომ აქედან ერთხელაც რომ გავისროლოთ, ნაღმტყორცნით ამოგვბუგავენ და მსხვერპლს მსხვერპლი მიემატებაო. აღზნებულები კი ვიყავით, მაგრამ თავის გადარჩენის ინსტიქტი ყოველ ჩვენგანში მუშაობდა, მითუმეტეს ნანახის ფონზე. ტყვიამფრქვევი ბარიერის იქით, კინოთეატრის ვესტიბიულში მოისროლეს, ხოლო ვიღაცამ ვაზნები თან წაიღო. მერე ატყდა სროლა საწინააღმდეგო მხრიდან. დაიწყებოდა სროლა თუ არა, ჩავრბოდით ფეხმარდად კინოთეატრის გასწვრივ, – ფურცელაძის ქუჩაზე. შეწყდებოდა თუ არა სროლა – ზლაზვნით, უხალისოდ ამოვიდოდით პროსპექტზე და ისევ იწყებოდა თავიდან. განსაკუთრებით გვეშინოდა ტრასირებული ტყვიებისა, სხვადასხვა სახურავებიან რომ ისროდნენ გარდი-გარდმო – ალბათ იმიტომ, რომ ნათლად ჩანდა როგორ მოძრაობდნენ.

ბოლოს დავიღალენით სირბილისა და განცდებისაგან – გამთენიის ხანს დავიშალეთ, იმ პირობით, რომ მეორე დღეს ერთად ვიქნებოდით უბნელები.

ხალხმა მეორე დღესაც დაიწყო შეკრება ლენინის მოედნიდან მთავრობის სახლამდე მონაკვეთში. ბლომად რომ მოგროვდნენ, ერთმა თქვა – ცეკა-ში მივიდეთ და მთლად უფროსს მჟავანაძეს დაველაპარაკოთო.. რაღაცისმთქმელი ვიღაცეები წინადღეებშიც ბევრი იყო სტალინის ძეგლთან. წამოაყრანტალებდა ვიღაცა რაღაცას – ზოგი გულწრფელად და ზოგიც, ეტყობა - დავალებით და აყვებოდა შეურაცხყოფილი ხალხი – უკლებლივ ყველა:

- გაეროში ვუჩივლოთ;
- მოლოტოვი ჩამოვიყვანოთ;
- სხვა რესპუბლიკებს შევატყობინოთ და მოგვეშველებიან;
- ქუთაისში მდგომი ქართველებისგან შემდგარი ჯარი გამოვიძახოთ (იმ დღიდან დაშალეს „ნაცმენებისგან'' შემდგარი ჯარის ნაწილები რესპუბლიკაში);
- ჩინელებს შევატყობინოთ სასწრაფოდ – ჯარით მოგვეშველონ.

მოითხოვდნენ წითელ-ყვითელი ინტელეგაციის იმ ნაწილს, ვინც სტალინისათვის თავს დებდა და ახლა ჩირგვებში იყო ჩამალული, გორში წასვლასაც მოითხოვდნენ, ან გორელების ჩამოსვლას.

ამ და სხვა მოთხოვნებიდან ორი შესრულდა სრულად – გორში მართლაც წავიდა ხალხის ნაწილი და, რაც მთავარია - იქიდან ჩამოვიდა ხალიჩაგადაფარებული, ღია საბარგო მანქანა – ზედ რომ ლენინი და სტალინი იდგნენ – გაუნძრევლად, გაშეშებული, ერთი, ხელში კეპით და ჟილეტზე მეორეხელჩამოდებული და მეორე, ჩიბუხით და კიტელზე მეორეხელჩამოკიდებული.

შუადღიდან შუაღამემდე შემოიარეს ამ დიდებულმა მსახიობებმა თბილისის მთავარი ქუჩები – ტრაგედიამდე ერთი დღით ადრე – მერე შეძახილებით, ოვაციებითა და დგომით დაღლილები სახლებში წავიდნენ.

მესამე მოთხოვნაც შეუსრულა – ტელეგრაფიდან დეპეშების გაგზავნის თაობაზე – ხალხმა დამკვეთებს, რომლებმაც იცოდნენ, რომ ეს ამბავი ტრაგედიით დამთავრდებოდა და

დამთავრდა კიდეც... იქნებ არც ეყოთ სამი-ოთხი ათეული კაცის სიკვდილი!

მომდევნო დღეს, იმ ტიპსაც შეუსრულა ხალხმა სურვილი მჟავანაძის მონახულების თაობაზე და ჩიტაძის ქუჩას შეუდგა – ცკ-ს მიმართულებით. ხალხით გადაჭედილი ქუჩა მოითხოვდა მჟავანაძის გამოსვლას. დიდი ხნის ყვირილის შემდგ, ხალხის მოთხოვნას ვიღაც მაღალჩინოსანი დაემორჩილა. გამოვიდა სადარბაზოს თავზე არსებულ აივანზე, ხელები ზევით აღმართა და სიტყვის თქმა დაიწყო. იმან კი დაიწყო, მაგრამ ხალხმა არ აცალა – მჟავანაძეს მოითხოვდა. სიტყვის წარმოთქმის მრავალმა ცდამ ამაოდ ჩაიარა და ისიც გაქრა აივნიდან.

ცოტა ხანში მჟავანაძე გამოჩნდა აივანზე და ტაშმაც იგრიალა. იმანაც ხელები აღმართა იქაურობის დასაწყნარებლად და რუსულად დაიწყო. დაიწყო, მაგრამ ხალხმა იმასაც არ აცალა – სიტყვის წარმოთქმას ქართულად მოითხოვდა. ბოლოს მჟავანაძემაც აგვუსრულა ოცნება და გურულნარევი ქართულით დაგვიწყო ჭკუის სწავლება. უმეტესად იმას გვთხოვდა, რომ დავშლილიყავით და სახლებში წავსულიყავით. არაფერი არ გამოუვიდა... - აბა ჩვენ სახლში წამსვლელები ვიყავით? პირიქით, ახალ ლოზუნგებს ველოდით და იმანაც არ დააყოვნა – ერთი ახმახი შეხტა ღობეზე, ხალხის ყურადღება მიიპყრო – მჟავანაძეს რომ აღარ უგდებდა ყურს და ყველას გასაგონად განაცხადა – კრწანისში წავიდეთ ჯუ დესთან, ის ნაღდად გვიშველისო.

ჯუ დე, როგორც მახსოვს, ჩინეთის თავდაცვის მინისტრი და მთავრობის თავჯდომარის მოადგილე, ვიზიტის ბოლო, საპურმარილო ნაწილით იყო ჩამოსული საქართველოში (როგორც ყოველთვის ყველა სტუმარი) და ამ ორომტრიალში შემთხვევით მოხვდა.

მოწოდების დედააზრი ის იყო, ალბათ, რომ სტალინის და საქართველოს მეგობარ, მაო ძე დუნის ჩინეთთან კავშირის დამყარების შესანიშნავი შანსი გვიჩნდებოდა და ეს შანსი,

ეტყობა, ბოლო უნდა ყოფილიყო ჩვენთვის და, როგორც ვთვლიდით, ყველასგან განწირული საქართველოსთვის.

ეს წინადადებაც მოეწონა ხალხს – როგორც წინანი და დაიძრა ლენინის მოედნისაკენ. მოედანზე განუკიტხაობა დაიწყო... აჩერებდნენ ყოველ დიდ მანქანას – ავტობუსს, საბაგიროს თუ სხვა რამ ტევადს. მძღოლების ნაწილი ემორჩილებოდა ბრბოს მოთხოვნას, ტრანსპორტს პირით ორთაჭალისაკენ აბრუნებდა და მანქანებიც წამში ხალხით იტვირთებოდა. ზოგი მათგანი უარს ამბობდა წაყვანაზე და მაშინ იწყებოდა გამოკითხვა – ვის შეუძლია მანქანის მართვა. ასეთები ბლომად იყვნენ და ეს ტრანსპორტიც ხალხითა და მძღოლით კომპლექტდებოდა. შეგროვდა თუ არა 20-30 მანქანა, ისევ ვიღაცის ბრძანებით, დავიძარით კრწანისისაკენ, ჯუ დეს რეზიდენციისაკენ.

ორთაჭალასთან კოლონა შეჩერდა და ჩოჩქოლი ატყდა. ჩამოვცვივდით მანქანებიდან და წინ გავეშურეთ იმის გასაგებდად, თუ ვინ გვიშლიდა მოძრაობაში ხელს. აღმოჩნდა, რომ ორ ათეულ სამხედრო მანქანას გადაეღობა ქუჩა, მათ წინ ჩამწკრივებული უთოფო სალდათებით. სხვა გზა არ იყო და შევებით ამ სალდათებს საჩხუბრად. ატყდა დიდი ძიძგილაობა და გაწევ-გამოწევა. ბევრ მათგანს მუშტი და წიხლიც მოხვდა – სანამ ქვების სროლა დაიწყებოდა უკნიდან. ქვების სროლა რომ დაიწყო, თანდათან ინტენსიური, იკადრეს დაშავებულმა სალდათებმა პირის შებრუნება და მანქანებში თხაპათხუპით შეყრა, შეყრა და გაქცევა.

მე, ეტყობა ამ ორომტრიალში წინა ხაზზე აღმოვჩნდი და რუსსალდათისათვის გამიზნული დიდი ქვა თავში მომხვდა. დამარეტიანა და ძირს დამცა.

გონს გზაში მოვედი, იქვე ახლოს პოლიკლინიკისაკენ რომ მიმათრევდნენ. გაწი-გამოწიეს მომლოდინენი და მაგიდაზე დამაწვინეს. მომხვდურების შიშით ექიმებმა სწრაფად დამადეს ნაკერები, ნემსებიც გამიკეთეს და მთხოვეს – რამდენიმე ხანი გაუნძრევლად ვყოფილიყავი წამოწოლილი. მერე გვარიც იკითხეს რეგისტრაციაში გასატარებლად და მაშინ

ამოტრიალდა ყველაფერი. ჩემმა ბიჭებმა ლანძღვა-გინება დაუწყეს ექიმებს – გვარს როგორ კითხულობთ, ამას ხომ იცით რაც მოყვებაო და ჩემი იქ დატოვება არ ისურვეს.

ჩვენ წინ ხალხი კიდევ მიუყვეობდა კრწანისის აღმართს. მათთან მიერთების სურვილით შეპყრობილმა ჩემმა თანმხლებმა ბიჭებმა, ჩემს თხოვნას – სახლში წავეყვანე – ყური არ ათხოვეს და წინ წამიმძღვარეს, სისხლში ტანსაცმელგათხვრილი, თავგაბინტული და დარეტიანებული მეც ავუყევი მათთან ერთად აღმართს.

ჩვენი მისვლისას კრწანისის აგარაკის ტერიტორია უამრავი ხალხით გაჭედილი და სრულიად გადათელილი დაგვხვდა. მივიწევდით და ყველა გზას გვითმობდა – ჩემი შემხედვარე. წინ დემურ რუსაძე და ნოდარ ბაქრაძე მოგვიძღოდა შემახილებით: ჯუ დესთან მიგვიშვით. ჩვენ ვიცით რაც უნდა ვუთხრათო... გვერდზე, ხელკავით ნოდარ ეკიზაშვილი მომყვებოდა. უცებ ვიღაცამ ერთი დიდტარიანი და ალისფერი დროშა შეაჩეჩა. იმანაც ჩემს ტარებას, ამ დიდტარა დროშის ტარება არჩია და ორივე ხელით ჩაებღაუჭა – კიდევ კარგი, რომ გვერძე მდგომებმა შემაშველეს ხელი. ცოტა ვიარეთ, თუ ბევრი, ერთი კოტეჯის წინ აღმოვჩნდით, სადაც, ეტყობა, ჯუ დე ცხოვრობდა.

მთელი ამ ხნის მანძილზე და ჩვენს მისვლამდეც, ხალხი ერთი ხმით ხმააწყობილი, გამუდმებით ერთს გაიძახოდა: - ჯუ დე, ჯუ დე, ჯუ დეო და მასთან შეხვედრას მოითხოვდა.
ხალხი კი მოითხოვდა, მაგრამ ჯუ დე არ ჩანდა. კარებჩაკეტილ შესასვლელის წინ, მედგრადმდგომი, ერთი ათეული ჰალსტუხიანი, ქართველი პროფესიონალი ახმახი იყო ატუზული. მათ ხელმძღვანელებში ვიღაცამ გიორგაძე ამოიცნო, რომელიც მონდომებული შრომისათვის მოსკოვში რომ ჰყავდათ დაწინაურებული მოსკოველებს – უკვე თუ მერე – აღარ მახსოვს და გაიძახოდა: -ხალხო, ჯუ დე აქ არ არის, დილას გაფრინდა მოსკოვშიო.

ჰოდა, აღმოჩნდა ნოდარი თავისი დიდი, წითელი დროშით ამ გიორგაძის წინ და სხვებთან ერთად აწვებოდა დამცველებს, რომ შენობაში შეეშვათ – გასაკონტროლებლად. დიდი ხანი იძიძგილავეს განსაკუთრებით დროშიანმა ნოდარმა და გიორგაძემ და ბოლოს უთხრა გიორგაძემ ნოდარს: მე კომუნისტი ვარ, აქ მოვკვდები კომონისტურად და არ გაგატარებო. ის-ის იყო ნოდარი და მისი გვერძე მდგომნი თავზე დაფხრეწვას უპირებდნენ მგზნებარე კომუნისტს თავის კომუნისტობას, რომ მეორე სართულის აივნის კარი გაიღო და ერთი ჩია, თვალებჭუტალა კაცი გამოჩნდა. ისეთი ოვაცია გაიმართა, რომელსაც სტალინის გაცოცხლება თუ გამოიწვევდა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ კიტელში იყო გამოწყობილი. ჯუ დე რომ ხმადაბლა გრძელ წინადადებებს წარმოთქვამდა, მისი რუსი თარჯიმანი მოკლედ გვითარგმნიდა - არ მოგვეწონა. არ მოგვეწონა იმიტომ რომ ჩვენთვის საამო სიტყვებს არ გვითარგმნიდა - ჩვენის მოსაზრებით. არმოწონება თანდათან უკმაყოფილებაში გადაიზარდა და კიდევ ერთი წინადადება წამოაყენა ვიღაცამ – ამჯერად უკანასკნელი: - ხალხო, ვინ იცით ჩინური, აქეთ წამოდითო! არ გვინდა ეს თარჯიმანი, ყველაფერს არ გვითარგმნის და, ალბათ, ტყუილებსაც გვეუბნება – დაიშალეთ და სახლში წადითო. სწორია, სწორია – აღელდა ხალხი და დაიწყო ქართველჩინოსებში ქართველჩინუროსნის მოძიება, მაგრამ ამაოდ – ქართველჩინუროსანი, არც ქართველჩინოსნებში და არც ხალხში არ მოიძებნა, რომელსაც რუსულის გაგონება არ ენდომებოდა და ჩინურიც ეცოდინებოდა...

ცოტა ხანში ჯუ დეც დაიღალა, და ხალხმაც ნელ-ნელა დაშლა დაიწყო, იმ იმედით, რომ ამ უბედური და უმწეო ხალხის მშველელი კაციშვილი არ არის ამ დედამიწის ზურგზე.

12 მარტი

გავიდა 36 დღე და 8 მარტს, შუადღეს დაბრუნდა სატრან-სპორტო ექსპედიცია. სამხრეთ ჰორიზონტისაკენ ვიყურებოდით

და თეთრ ფონზე შავ წერტილებს ვეძებთ. მერე წერტილების მაგივრად ცა შეიბოლა. მწკრივად მოდიოდნენ. ჩვენამდე ორი საათი მაინც მოუხდებოდათ სიარული. ბოლოს მორენაზე გაჩერდნენ, ციგები დატოვეს და ისევ მწკრივად წამოვიდნენ სახლისაკენ. მოახლოებასთან ერთად გასროლილი რაკეტების რაოდენობა მატულობდა - რვა კაცი რევოლვერით ისროდა, ერთი სპეციალური თოფით, ერთი თვითნაკეთი მილით! „ფოტოკორეს-პოდენტი“ ბევრი იყო, მეც ვიღებდი.

ბოლოს ორიათასხუთასი კილომეტრგავლილი ტრასნპორტი მოგვიახლოვდა. ხელს გვიქნევდნენ მხიარული და ბედნიერი სახეებით. მერე პირველი სახლის წინ ყველა გროვად გაჩერდა და დაიწყო ხალხმა კაბინებიდან გადმოსვლა.

ასეთი სხვაობა ჩემს წარმოდგენასა და სინამდვილეს შორის იშვიათად მახსოვს. წარმომედგინა გადმოვიდოდნენ დაღლილი, წვერმოშვებული, შეცვლილი ადამიანები. მაგრამ ასეთი? ჯერ ერთი, ძალიან გამიჭირდა მათი ამოცნობა, სულ სხვანაირები იყვნენ. ტანსაცმელი სულ შავი, მთლიანად მაზუთში გათხვრილი, დახეული. თურმე შეიძლება ტანსაცმელს ასე მოექცე, როცა მისი დარდი არა გაქვს და მას მხოლოდ იმ მოთხოვნას უყურებენ, რომ მხოლოდ გაგათბოს, დღეც და ღამეც, ძილშიც და მუშაობაშიც, ტრაქტორშიც და ტრაქტორს გარეთაც. მეორე, - მოშვებული და ჭუჭყისაგან მიწებებული თმები და წვერი. მესამე, - გამხდარი, ნაწვალები და ბედნიერი სახეები.

მეც გულით გამეხარდა, რომ დაუმთავრდათ ეს წვალება. იყო ხვევნა-კოცნა, მისალმება, დიდხანს ხელის ჩამორთმევა, რუსული პური-მარილი თეთრ სუფრაზე, შამპანიურის ბათქი.

მერე აღმოჩნდა, რომ რამდენიმესათვის არ იყო განსა-ზღვრული სად უნდა ეცხოვრა. მე სიამოვნებით დავუთმე ორ მათგანს ჩემი 15 $მ^2$-იანი ოთახი. „ლეჟანკები“ ვიპოვეთ, ლეიბებიც, ერთი ზეწარიც. გვიან ივახშმეს და მხიარულ ხასიათზე ოთახში

შემოვიდნენ. მათი სახეებისათვის არაყს ფერი მიუცია, მაგრამ დაღლილობის კვალი მაინც ემჩნეოდათ. ბორის კუდრიაშოვი, ორმოც წელს გადაცილებული, ლენინგრადის სამთო ინსტიტუტის პროფესორია, იურა მურაევი იმავე ინსტიტუტში მუშაობს ინჟინრად. ბორია პირველად არის ანტარქტიდაში, იურამ კი ერთხელ უკვე იზამთრა „ვოსტოკზე“.

სიტუაცია ისეთი შეიქმნა, რომ მათაც უნდათ მოყოლა და მეც მინდა მოსმენა. პირველ ყოვლისა მაინტერესებს სიცივეში დიდხანს მუშაობასთან დაკავშირებული პრობლემები, უმთავრესად ხელებისა, მითუმეტეს რომ არსებობს ისეთი სიტუაციები როცა ხელთათმანი უნდა გაიძრო; როგორ მოქმედებს ადამიანზე ტრაქტორის გამუდმებული რყევა, ისეთი, რომ ყოველ წუთს შეიძლება სკამიდან და საწოლიდან გადმოვარდე, სვლის დროს კითხვის შეუძლებლობა; როგორ გვარდება ტუალეტის, ჭუჭყის მოცილების პრობლემა; და მერე - სად იყვნენ, რა სამუშაო შეასრულეს, სად რა გაუფუჭდათ, ჩვეულებრივ პირობებში ხალხისათვის შეუმჩნეველი რა ჩვევები და სისუსტეები გამოვლინდა და ა.შ

2 თებერვალს ჯგუფი 12 მანქანით - სამი „ხარკოვჩანკა“ (N 21,22,23) და 9 ტრაქტორი „ატტ“ (N 40, 52, 64, 70, 71, 72, 73, 74, 77) და ათი სატვირთო (თვითოეულზე 20 ტონა საწვავით), ერთი საცხოვრებელი და ერთი სამზარეულო მისაბმელით, 3-5 კმ/სთ სიჩქარით გზას გაუდგა სამხრეთისაკენ, კონტინენტის სიღრმეში. მიზანი სამგვარი იყო: მთავარ ჯგუფს უნდა მიეღწია „კომსომოლსკაიამდე“ და იქ საწვავი დაეტოვებინა, რომ მეორე ზაფხულის დასაწყისში „ვოსტოკისაკენ“ რომ წავლენ, იმისათვის საქმე გაეადვილებინათ; კუდრიაშოვი „ვოსტოკ-I“-ზე (250 კმ „კომსომოლსკაიამდე“) ბურღვას შეასრულებდა თავისი პროგრამით; შალიგინი თავისი ჯგუფით მარშრუტიდან

გადაუხვევდა და ყინულის სისქის რადიოგაზომვის პროგრამას გააგრძელებდა, რაც ყოველწლიურად ხდება.

პირველი ორი დღის კარგი ამინდის შემდეგ ამინდი შეიცვალა - ქარი, ამოვარდა, აცივდა. 77-კმ-ზე N72 ტრაქტორი, ისედაც ძველი, რომლის იმედი არცა ჰქონდათ, გაჩერდა. დატოვეს, მისი მისაბმელი სხვა ტრაქტორს ჩაუბეს. შურა ფედოტოვი, ახალგაზრდა, მხიარული ბიჭი უსაქმოდ დარჩა. 135-ე კმ-ზე N77-მაც გააფრთხო სული. ისიც დატოვეს, თავისი ცარიელი მისაბმელით, რადგან მასზე დატვირთული საწვავის „ჩაყლაპვა“ ტრაქტორებმა, უკვე გზაშივე, მოასწრეს.

პირველი 100 კმ დიდი აღმართია და ტრაქტორებს ძალიან უჭირდათ, მხოლოდ პირველი სიჩქარით მოძრაობდნენ. მერე შალიგინი განზე წავიდა და მზარეულიც თან წაიყოლა, უფრო დიდ ჯგუფს საჭმელებს ექიმი და შურა უმზადებდათ.

ხშირად ტყდებოდა მუხლუხას ღერძები და მისი რემონტი წამება იყო.

...შურა საცხოვრებელ მისაბმელში უსაქმოდ იყო და წიგნის კითხვას ცდილობდა. ერთხელ „სოლიარის“ ღუმელი დაანთო, იქნებ გაყინული ოთახი გავალღო და ძვლებიც გავითბოო. თურმე „სოლიარი“ წვეთავდა ღუმელის ქვედა ძირზე და მაშინღა შეამჩნია ცეცხლი იატაკს რომ მოედო. წამოხტა, წყალი არ არის, დაიწყო ხელებისა და ტანსაცმლის ქნევა, მერე რაც ფალასი მიაფარა, არაფერმა უშველა. ოთახი სულ გაშავდა. გარეთ გამოვარდა და ტრაქტორს დაეწია. გააჩერეს. ცეცხლმქრობები მიუშვეს, თვითონაც დაითუთქნენ, მაგრამ მაინც ჩააქრეს. ზოგი რამ ტანსაცმელიც დაიწვა. ოთახი გაწმინდეს, ზედმეტი გადაყარეს და ამის მერე ასეთ ღუმელს აღარ ანთებდნენ.

მძღოლი საშინლად იღლება 12-14 საათის განმავლობაში საჭესთან ჯდომით, რასაც ზოგჯერ გაუთვალისწინებელი შედეგი შეიძლება მოჰყვეს - კოლია ნაზაროვის ტრაქტორი წინაზე იყო

ჩაბმული და ორივე ერთად ექაჩებოდა დაწყვილებულ მისაბმელს. პირველს გაჩერება მოუნდა. გაჩერდა, ხედავს - კოლიას ტრაქტორი არ ჩერდება, უახლოვდება, საცაა დაეჯახება. გავარდება ისევ წინ, გაჩერდება, ის კი ისევ ეჯახება. ამ წვალებაში ჩაუქროლეს 22 ნომერს, გაუგონარ ხმაურში პირველი ანიშნებს N 22-ს - უთხარით, გაჩერდესო! უყურებენ - კოლია შავ სათვალეებში აუღელვებლად ზის და... ძინავს.

ამასობაში გაიარეს „პიონერსკაია“ და „ვოსტოკ-I“-ზე მივიდნენ. კუდრიაშოვი, მუსაევი, სახაროვი და ორი მძღოლი - შურა ფედოტოვი და სმირნოვი - იქ დარჩნენ საბურღავად.

ექსპედიციის ხელმძღვანელი ლებედევი, განთქმული პოლარელი, ხუთჯერ აქ ნამყოფი, ენერგიული, სერიოზული და ენამოსწრებული კაცი, დანარჩენი ტრანსპორტით წინ წავიდა „კომსომოლსკაიამდე“. ამ კაცს ანტარქტიდაში ტრაქტორებით გადაადგილებით სისწრაფის რეკორდი აქვს დამყარებული და ეხლაც შეჰპირდა დარჩენილებს ხუთ დღეში დაბრუნებას. ნამდვილად საეჭვო ამბავიაო - ყველა ასე ფიქრობდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის ინჟინერ-გამომცდელს სცოდნია თავისი საქმე - ხუთ დღეში გაიარა 500 კმ, დატოვა იქ სამი ტრაქტორი, საწვავით სავსე სამი მისაბმელი და 23 თებერვალს, ყველას გასაკვირად დაბრუნდა „ვოსტოკ-I“-ზე. იმ დღეს ეს ამბავი ისე აღუნიშნავთ, რომ მეორე დღეს საქმისათვის აღარავინ ვარგოდა თურმე.

უკან სვლა უფრო ადვილი იყო. დაღმართზე ცარიელი მისაბმელებით უფრო მეტი სისწრაფის განვითარება შეიძლება. გაჭირვებაში ის არის, რომლის მისაბმელსაც მყარი შემაერთებელი გაუტყდა და ტრაქტორს „ტროსით“ არის მიბმული. ზოგ ადგილას მისაბმელი ისე გამოქანდება, რომ ტრაქტორს ეჯახება უკნიდან. ამ დროს სიჩქარეს უნდა მოუმატო, რომ მუხლუხოები არ მოგიმტვრიოს, თორემ ისევ ყინვაში გარეთ მუშაობა...

კუდრიაშოვის ორი მანქანა კიდევ ერთი დღით დარჩა სამუშაოს დასამთავრებლად. ორი 100 მ-იანი ბურღილი გაბურღა, კერნები მოაგროვა და სასწრაფოდ გამოეშურა მთავარი ჯგუფის დასაწევად. გზაში ერთი ტრაქტორი გაფუჭდა, ვერ აამუშავეს და მეორეს გამოუბეს. სიჩქარემ იკლო, ასეთი სვლით კი მთავარ ჯგუფს ვერ დაეწეოდნენ. რადიოკავშირი 25 კმ-ზე მეტ მანძილზე ვერ მყარდებოდა, ისინი კი უფრო შორს იყვნენ. მორზეს ანბანით რაღაცას ახლაფორთებდნენ, მაგრამ ერთადერთი რადისტი ვალოდია ბელოკუროვი წინ იყო და, თურმე, რას გადმოსცემდნენ, ვერ გაარჩია. გადაწყვიტეს - ორ-სამ დღეში თვითონ მიხვდებიან საქმე რომ კარგად არა გვაქვს და უკან დაბრუნდებიანო. მაგრამ საოცრება მესამე დღეს მოხდა, როდესაც ღამე, კინაღამ ტრაქტორებს დაეჯახნენ! თურმე, წინა ჯგუფსაც გაფუჭებოდა მანქანა და გაჩერებულან. „პიონერსკაიამდე“ გზაში შალიგინის ჯგუფიც შემოუერთდათ, გაზომვები, რაც დაგეგმილი ჰქონდათ, შეუსრულებიათ. ჩემმა პარტნიორმა ჭადრაკში და ფრენბურთში - სლავა ჩეჩუროვმა, ახალგაზრდა კაცმა, მოსკოვის დედამიწის მაგნეტიზმის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკმა გამოსაცდელად მარშრუტზე რამდენიმე ავტომატური სადგური დააყენა. მის ჯგუფს და ინსტიტუტს დიდი იმედი აქვს, რომ სადგურები მთელი წელი იმუშავებენ და შემდეგი წლისათვის მზა-მზარეულ მასალას მიიღებენ.

მერე ყველანი ერთად წამოვიდნენ. ერთხელაც, ტრაქტორს მოწყვეტილ, ეულად შთენილ მისაბმელს წააწყდნენ. რას იზამდნენ, აიღეს და ჩაიბეს. კილომეტრზე მეტი გაიარეს - ხედავენ უმისაბმელო ტრაქტორი თავქუდმოგლეჯილი უკან მორბის. ჩაუქროლა ქარავანს და მერე დაინახა, რომ მის მისაბმელს ესენი მიათრევენ. თურმე ისე გაიარა მთელი კილომეტრი უმისაბმელოდ, რომ ვერც კი მიხვდა.

მარშრუტის ბოლოს, 70-ე კმ-ზე ისეთი ზურგქარი ამოვარდა, რომ არაფერი არ ჩანდა. ქარს თოვლის მტვერი წინ მიჰქონდა, მხედველობა ნული იყო. იძულებული იყვნენ ერთი დღე გაჩერებულიყვნენ.

ღამის 2 საათზე ლებედევი ყველას აღვიძებს - სასწრაფოდ ადექით, მივდივართ, ეფიმოვმა თქვა მალე ქარი ჩადგებაო. მართლაც მოემზადნენ, გაზქურებით გაახურეს ძრავები და დაიძრნენ. ქარიც ჩადგა. ყველა გაკვირვებული იყო სლავას წინასწარმეტყველებით. საერთოდ სლავა ყველას შეუყვარდა. გონიერი, შრომის მოყვარე, ყოველდღე, ყველანაირ ამინდში 3-4 საათი გარეთ იყო და დაკვირვებებს აწარმოებდა. მექანიკოსებსაც ბევრს ეხმარებოდა, სამაგიეროდ ლოყამოყინული ჩამოვიდა.

25-კაციანი ექსპედიცია მშვიდობით დაბრუნდა. პროგრამა შეასრულეს და მიუხედავად გვიან გასვლისა, დროზე ჩამოვიდნენ. ორასი ტონა საწვავიდან „კომსომოლსკაიაში“ 60 ტონა ჩაიტანეს, დანარჩენი თვითონ დასჭირდათ. ექსპედიციის წარმატებაში დიდი როლი ითამაშა ლებედევის ტაქტიკამ. საერთოდ, მოგზაურებს ღამე სძინავთ და დღე მოძრაობენ, სამაგიეროდ დილას ძრავების გათბობა, მითუმეტეს კონტინენტის სიღრმეში, ძალიან ძნელდება და ზოგჯერ შეუძლებელიც კია დაბალი ტემპერატურის გამო. ლებედევმა კონტინენტის სიღრმეში შემოატრიალა რეჟიმი - დღე იძინებდნენ და საღამოს, სანამ ტემპერატურა ძალიან დავარ-დებოდა, იწყებდნენ სვლას.

დღეს ჩემი სტუმრები მთელი დღე ემზადებოდნენ და საღამოს ვერტმფრენით „ობზე“ გადაბარგდნენ - უხაროდათ რომ მიდიოდნენ. იურას წერილები და ფირები გავატანე სახლში გასაგზავნად - თხოვნა არ მინდა, ყველაფერს ჩასვლისთანავე გავა-გზავნიო. ორივეს ჩემი მისამართები მივეცი და მათი დავიტოვე. კარგი ხალხია, ენამოსწრებული, გონებაგახსნილი. ერთნაირი

თვისებები მათ დაახლოებას ხელს უშლის და ერთის არყოფნაში მეორე რომ პირველის უცნაურ ხასიათზე მელაპარაკება - მეცინება.

14 მარტი

დავითვალე, გუშინ დილის 9 საათამდე 4-ჯერ გამოვიცვალე ტანსაცმელი: - ექვსის ნახევარზე ავდექი, საშინაო ტანსაცმელი ჩავიცვი, პირი დავიბანე, რადიოზონდი მოვამზადე, გადავიცვი ტყავის შარვალი, ჯემპრი, ჩავიცვი ჩექმები და წავედი გაზსაგენერატოროში. მოვედი, ისევ გამოვიცვალე, ორი საათის შემდეგ ტექსტი გადავეცით „მოლოდიოჟნაიაში“ ტელეტაიპით - ისევ გამოვიცვალე. სასაუზმოდ წავედი, ვისაუზმე, მოვედი, ისევ გამოვიცვალე, დასაძინებლად მოვემზადე, დაგვიძახეს - მშენებლებს დახმარება სჭირდებათო და ისევ გამოვიცვალე. გამეცინა, ჩემი პარტნიორები დილას ჩექმებში და ტყავის შარვალში რომ გამოეწყობიან, დაძინებამდე იმაში არიან. არასდროს არ მიყვარდა ჩექმა, არასდროს ჩამიცვია, მითუმეტეს ასეთი თბილი და მძიმე, ყველაფერს შეჩვევა უნდა!

საღამოს დიდი ბანკეტი გვქონდა, ობსერვატორიის გახსნის დღეს ავღნიშნავდით. მხოლოდ ჩვენ ვიყავით, ძველები უკვე გემზე არიან. ერთი უცხო კაცი გვერია მხოლოდ - ტანკერ „გელენჯიკის“ კაპიტანი. მაგიდაზე ყველაფერი კარგად მომზადებული და გემრიელი იყო. სასმელიც გვქონდა - ღვინო, შამპანური, არაყი, კონიაკი, მაგრამ განსაზღვრული რაოდენობით. თავიდან მეტი ყურადღება, უფრო დალაგებული და მოკლე სადღეგრძელოები იყო. მერე საქმე აირია და შეკრებილებმა მთხოვეს - ქართველი კაცი ხარ, კარგი ქართული სადღეგრძელო გეცოდინება და გვითხარიო - მეც სიყვარულის სადღეგრძელო შევთავაზე და იმ მომენტში და სხვა დროს უსისტემოთ ნაფიქრალი, ეტყობა ერთ ჯაჭვად ჩამოყალიბდა. ნასვამები იყბნენ და მოეწონათ, რაღა დაგიმალოთ, მეც კმაყოფილი დავრჩი და ვეცდები აღვიდგინო...

... ყოველი სულიერი სიყვარულს რომ უმღერის, გასაგებია. რა არის სიყვარული ესეც მეტ-ნაკლებად ცნობილია, მაგრამ, თუ რატომ არის ეს გრძნობა ასე ძლიერი - ამის ახსნას შევეცდები ჩემებურად და ჩემი სადღეგრძელოც ეს იქნება მეთქი - ასე დავიწყე:

სიყარული განსაკუთრებული გრძნობაა და ორი თუ არა, ერთი თავით მაღლა დგას სხვა გრძნობათა შორის (თუმცა, ზოგიერთისათვის მომხვეჭელობა უფრო მაღალი რანგისაა), როცა ღმერთმა - სამყაროს შემქმნელმა და გამგებელმა - სამყაროს ჩამოყალიბება დაამთავრა, მის ზოგიერთ სისტემაში სიცოცხლის შექმნას შეუდგა, მაგრამ - უსიყვარულით. ჯერი მზის სისტემაზე რომ მიდგა, დედამიწა იგულა ამ საქმისათვის და სიცოცხლისათვის ობიექტებიც აირჩია - ერთუჯრედიანი, ადამიანი და მათ შორის მყოფი ყველა არსება. გათვალა ყველაფერი წვრილად და ბოლოს, რადგან სივრცე და ობიექტი არჩეული ჰქონდა, დროის განსაძღვრას შეუდგა. გადაწყვიტა უსასრულო დრო განესაზღრა სიცოცხლისათვის, მაგრამ ის არ მოეწონა, რომ ადამიანები (სხვებს არაუშავს) დაუმთავრებელი სიცოცხლის გამო, უსასრულო დროს არარაციონალურად და ხშირ შემთხვევაში ბოროტად გამოიყენებდნენ, იზარმაცებდნენ, ილოთებდნენ, პრივილეგიას სხვას არ დაუთმობდნენ, სიცოცხლეს მოიბეზრდებდნენ - ერთი სიტყვით გადაგვარდებოდნენ (ხომ იცოდა ვისთან ჰქონდა საქმე) და დაადგინა სიცოცხე უწვრილეს ნაწილაკებად დაეყო. მან ადამიანი და სხვა არსებანიც გააჩინა და იქვე მოკლა, სამაგიეროდ იქვე გააჩინა მისი მსგავსნი და ისიც მოკლა. მერე კიდევ და მერე კიდევ... და ასე უსასრულო წერტილები ჩასვა იმ გრძელ ხაზში, ეთმანეთის გამეორებას და თავის თავში თავისი თავის აღმოცენებას რომ გულისხმობდა. ამას რომ მორჩა, ეხლა იმის ფიქრით იმტვრია თავი, რა მექანიზმი მოეძებნა ისეთი, რომ ეს წერტილები ერთმანეთს გადაბმოდენ და

ვინმეს ეს ჯაჭვი არ გაეწყვიტა. იფიქრა, იფიქრა და მოიგონა... სიყვარული - ბუმბერაზი რამ, თანაც იცოდა, რა ეგოისტიც იყო ადამიანი და გამრავლების ფუნქცია არ გაუმხილა, უთხრა - შენ გასართობად მოვიგონეო. მას შემდეგ ერთობა ადამიანი, პარალერულად აკეთებს შვილებს და არ წყვეტს სიცოცხლის ჯაჭვს. მერე ადამიანებს ტვინი რომ გაუდიდდათ, დაიწყეს ამ სიყვარულიდან წარმოებული სხვა სიყვარულების შექმნა - მშობლების, შვილების, მოყვასისა და მტრის. ამან სიკეთე წარმოქმნა და ცხოვრობს ადამიანი არხეინად და განცხრომით.

აი, სამშობლოს სიყვარული კი წარმოებული არ არის და ღმერთის ბოძებულია. მას თავიდანვე განსაზღვრული ჰქონდა, წარმოშობის თანავე ადამიანს და სხვებს ხელი (თათი, ფარფლი, ფრთა) უნდა გაენძრიათ და თავისი თავი ერჩინათ, ასეც იქცეოდნენ და ირჩენდნენ თავს უკონკურენციოთ, მაგრამ, რომ მომრავლდნენ ტერიტორიის დასაკუთრება დაიწყო ყველამ - მგელმა, ფრინველმა,საქონელმა, ძაღლმა, ზვიგენმა, რეკეტიორმა, ოკუპანტმა და კიდევ ვინ იცის ვინ! ადამიანებმა ჯერ გაინაწილეს დედამიწა, მერე მისი გადანაწილება დაიწყეს. ზოგ გაუმაძღარს თავისი აღარ ეყო და სხვას დაუწყო წართმევა (ეს რომ ვთქვი, ერთმა წამომაძახა -აბა, აბა... ამით რა გინდა თქვაო?). წამრთმევს რომ წართმევის ხალისი გაფუჭებოდა ღმერთმა, ვისაც ართმევდნენ, იმას უთხრა - აჰა, შენ სამშობლის სიყვარული და თავი დაიცავიო. აქედან მოყოლებული, ამ გრძნობით გულანთებულებისაა საბოლოოდ გამარჯვება.

18 მარტი

ოთხი დღეა „მწარედ“ ვმუშაობთ. ასე გადაბმული მუშაობა მგონი არასდროს დამჭირვებია - დილის 5 სთ-ზე ვიღვიძებთ, 9-მდე ჩვენს საქმეს ვაკეთებთ - რადიოზონდს ვუშვებთ, საუზმის შემდეგ გაზსაგენერატოროში მივდივართ, ახლის რომ დაიწყეს

მშენებლებმა. მათი ძირითადი საქმე ახალი სახლის აწყობაა დიდ ქარებამდე, მაგრამ ჩვენიც უნდა მოასწრონ და ნაწილი ხალხისა აქეთკენ გადმოისროლეს. ჩვენც, შეპირების თანახმად - ვეხმარებით, ოსტატებივით ვმუშაობთ. ყოველ შემთხვევაში დურგალზე ნაკლებად არ ვაკრავთ ფანერის დიდ პანელებს ჭერზე და კედლებზე. ეს კია, ლურსმანი ჭერზე უხერხული მისარტყმელია და ხშირად იღუნება. ხუთისათვის სასწრაფოდ ვტოვებთ მშენებლობას და ისევ ჩვენ საქმეს ვაკეთებთ - ცხრამდე. ცხრის ნახევარზე ზონდს ვუშვებთ დ ვახშმის კუდს ძლივს ვუსწრებთ.

„გელენჯიკის“ კაპიტანი ჯერაც აქ არის. ცოტა ხნით მოფრინდა - საწვავის მიღების აქტებზე ხელის მოწერა იყო საჭირო და დღესაც აქ ზის. არა და ქარი არ ცხრება ვერტმფრენი რომ მოფრინდეს „ობიდან“. „ობი“ ამდენი დღეა თავისი მგზავრებით „გელენჯიკს“ ელოდება, რომ ყინულებში გაიყვანოს. ის კი ბარიერსაა მიმდგარი - ცისტერნებში მილებით საწვავს ასხავს. მგონი დღეს მორჩა გადასხმას, ფანჯრიდან რომ გადავიხედე, ბარიერს მოშორებული იყო. ერთი კვირაა რაც ბიჭები გამოგვემშვიდობნენ, გემზე არიან და ჯერაც არ წასულან.

სროლა მომესმა. გარეთ გავედი, თურმე გემები მიდიან, ჩვენები რაკეტებს ისვრიან, ისინი საყვირებს აყვირებენ. წეღან ქარი ცოტა რომ ჩადგა, ვერტმფრენი მოფრენილა და კაპიტანი წაუყვანია. უკაპიტნოდ რომ შეძლებოდათ წასვლა, დილას წავიდოდნენ თურმე.

მორჩა - შემდეგ წლამდე არავითარი სულიერი, საიმპერა-ტორო პინგვინის გარდა, არ გვეწვევა. სახლთან კავშირი მარტო დეპეშებით გვექნება. გემს „მოლოდიოჟნაიამდე“ ლიპოვი გაჰყვა. კარგი ბიჭია ალიკა. „შეთავსებით“ პოეტია და არც ცუდი. აქ საქმე აღარ დარჩა და იქ გამოუძებნიან, ალბათ, რამეს.

21 მარტი

დღეს საღამოს პირველი კრება შედგა. ბევრი საკითხი სწრაფად გადავწყვიტეთ, ერთი გაჭიანურდა მხოლოდ - არაყი როგორ გავანაწილოთ! ჩვენ - ჩვენი წილი როგორც გვინდა ისე მოვიხმაროთ, თუ საერთო სუფრაზე ყველას ერთნაირად ჩამოურიგოთ?

ხალხი ისე აღელდა, იმდენი სხვადასხვა აზრი იყო და ისე იცავდნენ თავისას, რომ იმედი მომეცა - ადამიანებს არ განელეზიათ ცხოვრების ინტერესი და არ დაუკარგავთ შემოქმედებითი აზროვნების უნარი!

23 მარტი

დღეს ჩემი დაბადების დღეა. პირველი დღეობა აღინიშნა დარჩენილებს შორის. მზარეულმა ყველაფერი მომიმზადა, დიდი ტორტიც გამომიცხო. 12 კაცი ვიყავით, ჩემს ოთახში კარგად დავეტიეთ. მშვენიერი დრო გაატარეს ჩემმა სტუმრებმა. ობსერვატორიის დირექტორმა სმულის „ანტარქტიდის დღიური“ მომართვა ყველა მოზამთრის ავტოგრაფითა და თბილი სიტყვებით. კოლია დრეერმა და ვოვა ბარიშევმა თავიანთი ნახელავი ჭედურობა მაჩუქეს. ჩემი კოლეგა აეროლოგები დილიდან ფუსფუსებდნენ, თურმე სურათებს ბეჭდავდნენ. მომიტანეს დიდი ფორმატის, ძალიან კარგი ხარისხის ანტარქტიდის, უცნაური სილამაზის, ფოტოსურათები. ბევრი ამბავი მოვყევით, ბევრიც ვიცინეთ, ვიცეკვეთ, ვიმღერეთ. თავისებური სილამაზე აქვს რუსულ სუფრას, თუმცა ჩვენგან განსხვავებულს. სუფრის წევრები გულღიები, თბილები, მხიარულები და დარდიანები ხდებიან. თითქოს ადამიანის დამალული ნაწილის დანახვა აქ შეიძლება.

ყველაზე სასიამოვნო საჩუქარი ბელოკუროვმა მომიტანა, ცოტა მოგვიანებით მოვიდა მორიგეობიდან და კონვერტი გადმომცა უამრავი დეპეშით. მივხვდი, რომ გრძნობებს ვერ

მოვთოკავდი, ბოდიში მოვიხადე და სამუშაო ოთახში გავედი. ჩვენების გულთბილმა მოლოცვებმა მართლაც გული ამიჩუყა...

25 მარტი

კიდევ ბევრი დეპეშა მივიღე, მხიარული დავაბიჯებ. ბევრი ხუმრობით მეუბნება - რა ამბავია ამდენი დეპეშა, რადიოხაზი სულ შენ გიკავიაო. ზოგის ხუმრობაში დიდი სევდაც ჩანს.

გაგვაცნეს სამედიცინო კომისიის შედეგები, როგორც ჩანს, ჩემი ფიზიკური მდგომარეობა არ შეცვლილა. ბევრი ანკეტა ხელმეორედ შევავსე, ზოგიც ახალი შინაარსისა იყო. კითხვას - ვისთან ერთად ისურვებდი მარტო მოზამთრეობასო - ვერ ვუპასუხე - წლის ბოლოს შევძლებ ალბათ პასუხის გაცემას - თქო; ყველაზე ძნელად რას იტანთო? - სახლისაგან დაშორებას მეთქი; რა არის აუცილებელი კოლექტივის ერთსულოვნებისათვის? - საერთო ინტერესები, კოლექტივში რამდენიმე მხიარული ადამიანის ყოფნა, ურთიერთმოთმენა, отсутствие невежд, ისურ-ვებდით თუ არა კიდევ მოზამთრეობასო? - არ ვიცი, ამ კითხვაზე წლის ბოლომდე ალბათ, ვერ გიპასუხებთ; ისეთი რამ ხომ არ მომხდარა ობსერვატორიაში, თქვენში შოკი რომ გამოეწვიაო? =ღმერთის წყალობით არაფერი და არც არაფერს ველოდები - ასეთი იყო ჩემი ბოლო პასუხი!

27 მარტი

მთელი დღე შურფებს ვბურღავდით ყინულში. ხვალ შიგ რკინის ბოძებს ჩავდგამთ და ზედ ორ, ამოტრიალებულ ავტომისაბმელს დავადგავთ, გავათბობთ ელექტროღუმელებით და რეზინის ბალონის დასამუშავებელ ოთახად გამოვიყენებთ.

ორი დღეა ქარი შესუსტდა და ყინულებმაც ზღვაზე ფეხი მოიკიდა, სულ გათეთრდა. ერთი - ორი დღე თუ არ დაუბერა, მერე ქარი ვეღარ შეაფერხებს ამ პროცესს, ყინული სისქეს მოიმატებს და

შეიკვრება. მიშა ბელოვის დეპეშა მივიღე, ჩემი წერილი და ამანათი სახლში გაუგზავნია.

28 მარტი

დღეს, როგორც იქნა, დავამთავრეთ გაზსაგენერატოროს აშენება. ლამაზი შენობა გამოვიდა, ორსართულიანი, ბოძებზე შეყენებული, სართულებს შორის სიცარიელით. გარედან ლამაზი პოლირებული ფანერით შეკრული, შიგნით კი დეკორატიულით. ხვალ ძველს დავანგრევთ და მეტალის უზარმაზარ დანადგარებს გადმოვზიდავთ წყალბადის გამოსახდელად. მძიმე, ჭუჭყიანი სამუშაოა - მაღალი კონცენტრაციის სოდით გაჟღენთილი ჰაერი კანსა და პირს წვავს. ამერიკელებმა „მაკ-მერდოში“, „ბერდსა“ და „ამუნდსენ-სკოტზე“ ავტომატური ქიმიური დანადგარები, ჯერ კიდევ, 12 წლის წინათ დადგეს.

დამთავრდა ჩვენი 15 საათიანი სამუშაო დღეები.

30 მარტი

გემიდან აბიზოვის დეპეშა მივიღე - ჩემი ფირები გადაუღია და მისამართს მეკითხება სად გაგზავნოს. ყუთები კერნებით მე-7 კმ-ზე დახვედრია და კმაყოფილია.

2 აპრილი

გაზსაგენერატოროში დანადგარები ავაწყვეთ. სამი დღე სახელოსნოში დავდიოდით, ცენტრალური გადასაქაჩი მილების კონსტრუქცია მოვიგონეთ, უფრო სწორად, „მოლოდიოჟნაიაში“ რომ ვნახეთ, დაახლოებით ისეთი გამოვჩარხეთ და შევადუღეთ, დავდგით, გამოვცადეთ, სასინიჯი წყალბადიც გამოვხადეთ. სადღაც იპარებოდა. რა ჭკუამ მაფიქრებინა ეხლაც არ ვიცი - ასანთით გადავწყვიტე მიმეგნო, სად გასდიოდა. მე ოთახის ცენტრში ვიდექი. სლესარენკო შუა კარებში, კომაროვი გასასვლელში. ამ დროს იფეთქა და აფეთქების ხმა ყუმბარის

აფეთქების მსგავსი იყო. კედლებმა გაუძლო, მაგრამ ყურები ერთი-ორი საათი სრულიად დახშული გვქონდა. ყველა შეშინებული ვიყავით და თან ვიცინოდით, ალბათ სიმწრისაგან ან სიხარულისაგან, რომ გადავრჩით. ჩემ მახსოვრობში ბევრი სისულელე გამიკეთებია, მაგრამ ასეთი, ალბათ, არა! ორივე დამცინოდა, ეხლაც დამცინის და, ალბათ, შემდეგშიც დამცინებს. ნაფლეთებად ქცეული გაზგოლდერი ჩუმად გადავაგდეთ და სირცხვილით არავისთვის გაგვიმხელია რაც მოხდა.

8 აპრილი

ჩემს შემდეგ იურას და გარის დღეობები გადავიხადეთ. მოწვეული ხალხი იგივეა. რაღაცნაირად დამკვიდრდა, რომ ორ სიმღერას სავალდებულო ჰიმნივით ვმღერით ყველა, ისე, რომ სახლი ზანზარებს –„Солдаты в руть“ და – „Жареные раки“. რადისტ ტოლია მაკეევს ვამღერებთ ხოლმე კუპლეტებს, სიცილით ვიხრჩო-ბით. მაგარი, ფილოსოფიური შინაარსის გინება - კუპლეტებია.

14 აპრილი

შურა ჩერნიაკი სპორტის თავკაცათ ავირჩიეთ, კალათბუ-რელია, სპორტი ძალიან უყვარს, ჩვენ 5 კაციც მივეხმარებით, დავადგინეთ, რომ ჩავატარებთ სპარტაკიადას, პირველობას ჭადრაკში, ბილიარდში, შაშში, სიმძიმეების აწევაში, ნარდში, წლის ბოლოს ფეხბურთს ვითამაშებთ და ვნახოთ კიდევ რას მოვიმოქმედებთ. მთავარია გრძელ ზამთარში ხალხს გასართობი გამოვუნახოთ, რაღაცით დავაინტერესოთ, იქნებ ნაკლები იფიქრონ სახლზე. ასეთ სიტუაციაში სპორტი, ვფიქრობ, ყველაზე უებარი წამალია. დღეს 15 ბოთლი „ბორჯომი“, 5 ბოთლი ხილის წვენი, 4 კგ ვაშლი და თხილი დაგვირიგეს - ეს „პერსონალური“ ულუფაა.

15 აპრილი

წუხელ, ღამის 12 საათზე, რუსეთის რადიოს უკანასკნელ ცნობათა რედაქციამ ჩვენთვის გადაცემა მოაწყო. არქტიკისა და ანტარქტიკის ინსტიტუტის დირექტორმა მოგვიცლოცა მოახლოვებული 1 მაისი, მერე ჩვენთვის საინტერესო უკნასკნელი ცნობები გადმოსცეს და 10-12 მოზამთრის ოჯახის წევრების მაგნიტოჩანაწერებიც მოგვასმენინეს. ცუდად ისმოდა, ძლივს ვარჩევდით მოლოცვებს და სიტყვებს. ყველა ახალის დაწყების წინ ვღელავდი, ისევე როგორც სხვები, იქნებ ჩემების ხმა გავიგონო მეთქი, მაგრამ ჩემები არ იყვნენ, ალბათ მერე იქნებიან.

ჩერნიაკის მეუღლე 5 წუთი ლაპარაკობდა და ვისი ცოლი იყო ვერ მივხვდით, არ ისმოდა. ბოლოს საშამ ნაღვლიანად თქვა - ჩემი ცოლი იყო, შევჩენკოები ახსენა და იქიდან მივხვდიო. თურმე შევჩენკოები მეზობლები ყოფილან და მოკითხვას უთვლიდნენ.

დღე მეძინა, ვიღაცამ გამაღვიძა. გავედი, ხმამაღლა ლაპარკი მომესმა, კინაღამ ჩხუბში რომ გადავიდა. ერთმანეთს სისულელეს უმტკიცებდნენ, მე მომრიგებლად გამომიძახეს. ძლივს დავა-შოშმინე მარინსკი, ნერვები მოერყა! იმდენად იყო მწყობრიდან გამოსული, იარაღი რომ ჰქონოდა ესროდა - ალბათ...

... ისე, კაცმა რომ თქვას, უკონტროლო იარაღი სიმხდალის, სიბინძურის, თავხედობის და ძალადობის სიმბოლია - განსაკუთრებით ახალგაზრდა კაცის ხელში. ამიტომ, იარაღი კი არ უნდა აკრძალო - შენ თუ რამის მასწავლებელი ხარ - მისი ტარება და უთავბოლო სროლა უნდა შეაძულო ყმაწვილ კაცს. უკონტროლო იარაღი იოლი ცხოვრების მაძიებელი, ღვარძლიანი კაცის საქმე რომ არის - ეს უნდა შეაგნებინო, სხვა რამ უსარგებლო სწავლების ხარჯზე.

შენ გეუბნები, შენ! რომელმაც არ უნდა ისროლო! მამაშენს და მის მეგობრებს აზრადაც არ მოუვიდოდათ ერთმანეთისათვის ესროლათ - ანგარიშსწორების გამო. სამართლიანობა, მკლავი,

სისწრაფე და ენაწყლიანობა იყო ყველაფრის გადამწყვეტი - დამარცხებულის ღირსების უცილო შენარჩუნებით.

24 აპრილი

სამუშაო ჩვეულ კალაპოტში ჩადგა. ყოველდღე 6-7 საათი ვარ დაკავებული, დანარჩენი დრო უმთავრესად კითხვას მიაქვს. პირს აქ, ჩვეულებრივ, ძილის შემდეგ იბანენ, მე, კი, ყოველი ხელის დაბანასთან ერთად პირსაც ვიბან. წყალი აბსოლუტურად სტერილურია და სულ უმარილო, ხელს რომ იბან, საპონი არაფრით არ გცილდება. პირზე და წვერზე რომ გავისვამ საპნიან ხელებს მშორდება, სახის ჭუჭყი და მარილები საპონს ანეიტრალებენ. ზოგჯერ, დილის 5 საათზე გაზსაგენერატორიდან დაბრუნებულს, ძალიანაც არ მინდა გაყინული სახე ყინულიან წყალს შევუშვირო, მაგრამ მაშინ ხელები საპნიანი დამრჩება.

გუშინ საღამოს, ძველ საგენერატორში მომიწია წასვლა, პატარა მანძილი იყო გასავლელი - მივდიოდი კილომეტრი იქით და კილომეტრი უკან, მაგრამ დავიტანჯე. დიდი თოვლი მოსულა, ქარიც 20 მ|წმ.-ზე მეტი სიჩქარისა იყო, თოვლში წელამდე ვეფლობოდი. ერთი ხელი დაკავებული მქონდა - რადიოზონდი მეჭირა, მეორეს პირთან ვიფარებდი, რომ ქარი პირთან შემეჩერებინა და ნორმალური სუნთქვის საშუალება მქონოდა. თან ბნელოდა, სად ვაბიჯებდი ვერ ხედავდი, ქარის მხრიდან ტანი გამეყინა.

დღეს ხმა გავარდა - მიშა ფრანცი, პირველი სართულის კომენდანტი, განცხადებით მისულა სადგურის უფროსთან სპირტის გამოსატანად. ბიჭებს დაურწმუნებიათ, უფროსი აუცილებელი საჭიროებისათვის სპირტს იძლევა-ხოლმეო, აგერ შენ კოლეგას გამოუწერია 2 ლიტრი და შემდეგ თვეებშიც მიიღებს ტუალეტების გასარეცხადო. ჯერ არ იჯერებდა, ბოლოს როგორც

იქნა დაიჯერა და გაგზავნეს - ვახშამზე 50 კაცი გულიანად ვიცინოდით.

2 მაისი

მხიარული 1 მაისი გამოგვივიდა. დილას კროსი მოვაწყვეთ, ჩერნიაკმა ტრასა ალმებით მონიშნა. ყველა გუნდიდან 4 კაცს მაინც უნდა ერბინა ორი კმ, ტყავის ტანსაცმელში, ჩექმებში და ქარში, ძლივს მივაღწიეთ ფინიშამდე. საკვირველია ბევრი ისე დარბოდა, ვითომ ზაფხულში ტრუსებში ყოფილიყო გამოწყობილი. სლავა შვაიკოვი, აბანოს დირექტორი - პირველი იყო.

მერე მიტინგი მოვაწყვეთ. ჩვენი უფროსის გრძელმა სიტყვამ ფეხები გაგვიყინა. საღამოს ჰოკეიში მსოფლიო პირველობის პროგნოზის კონკურსის შედეგები შეჯამდა და პირველმა 6 გამარჯვებულმა კონიაკი, წიგნები, ლუდი, შოკოლადი და სხვა საჩუქრები მიიღო. ბოლო ადგილზე გამოსულს წითელ ლენტ-გაყრილი „ვობლა“ ჩამოვკიდეთ. მერე მშვენივრად გაწყობილ საზეიმო მაგიდას მივუჯექით. ყველას კონვერტში ჩადებული მოსალოცი დეპეშა დაგვხვდა. ბევრს გავახსენდი

„ვოსტოკიდან“, პროცენკოს დეპეშაც მივიღე, გამეხარდა და თან შემრცხვა, მან რომ დამასწრო. შეცდომა იქვე გამოვასწორე - ტელეფონით ჩვენს რადისტს, ვალოდიას ტექსტი ვუკარნახე და ვთხოვე რაც შეიძლება მალე გადაეცა - შემპირდა. მერე ოფიციალურ სიტყვაში სხვა საქმეებთან ერთად ჩვენი ენერგიული მუშაობაც აღინიშნა, განსაკუთრებით - მშენებლობაზე. საღამო ორი ჩხუბით დამთავრდა, მოჩხუბრები სწრაფად გავაშველეთ და ორი კაცის თვალქვეშ ჩაშავებული „ფანრების“ გარდა ინციდენტის არავითარი კვალი აღარ დარჩა.

5 მაისი

დღეს ყველა ძალიან ცუდ გუნებაზე ვართ - „მოლოდიოჟნა-იაში“ ტუტიკოვი გარდაიცვალა, სარაკეტო დანადგარების

ინჟინერი, მოსკოველი, კარგი კაცი. ცოლი და მოზრდილი გოგონა დარჩა. რა მოხდა, რით გარდაიცვალა, არაფერი ვიცით, დაშიფრული დეპეშით შეგვატყობინეს, რომ გარდაიცვალა და მეტი არფერი. რბილი, უცნაური ხასიათის კაცს გემზე ისე შევეჩვიეთ, რომ ფრენბურთის თამაშის დროს თუ კი ვინმე ცუდად თამაშობდა, სულ ერთია რომელი გუნდიდან, ტუტიკოვით შეცვლას მოვითხოვდით... ვითომ საქმეს უშველიდა. არადა ფრენბურთი თავის დღეში არ უთამაშია. მთელი გემი ყვიროდა ხოლმე: „Тютикова на поле!“ არ სწყინდა საწყალს და თვითონაც ბევრს იცინოდა. ბოლოს სპეციალური სიგელიც კი მიიღო. როგორც ყველაზე ძლიერმა... სათადარიგომ!

დღეს პირველად უბერავს ნამდვილი აქაური ქარი. ფეხზე ვერ დადგები. კაიუტ-კომპანიაში თოკით გავედით. კოლიას ეშინოდა და მართლა კინაღამ მოგვტაცა ქარმა. მოშორებით მცხოვრები სახლებიდან ვახშამზე არავინ მოსულა. რადიოთი გამოცხადებული ბრძანებით აიკრძალა გარეთ გამოსვლა. სათადარიგო პროდუქტები ყველა სახლშია და ამით უნდა დავკმაყოფილდეთ.

7 მაისი

ელექტრომეურნეობა მძიმე მგომარეობაშია. ინჟინერ - ელექტრიკოსი საქმეს ვერ აუდის, ხაზები ბევრგან მოკლე ჩართვას იძლევა. მეურნეობა 20 წლისაა, დაძველდა, ახალია საჭირო, ერთი კაცი კი ვერაფერს გახდება. დანარჩენი საქმეები, ყველაფერი რიგზეა: სამეცნიერო განყოფილება პროგრამას მთლიანად ასრულებს; მშენებლები გრაფიკზე წინ მიდიან; ტრანსპორტელები მანქანების რემონტს ამთავრებენ; კვება ნორმალურია; სამეურნეო საქმეც კარგად მიდის. ეს არის რომ ელექტროსადგურის ბიჭები გაწვალდნენ. ხშირად გამოდის ძრავები მწყობრიდან. კოლიას და ვალოდიას სახეზე ეტყობათ გადაღლილობა, სარემონტო

სამუშაოებთან ერთად მორიგეობაც უწევთ. როგორც ჩანს, წელს საქმეს ვერაფრით უშველიან, შემდეგი ექსპედიცია ახალ ელექტროსადგურს შეიყვანს მწყობრში და პრობლემაც მოიხსნება.

დღეს ბილიარდში პირველობა დამთავრდა ჩემი პატივ-მოყვარეობა დაკმაყოფილებულია, მითუმეტეს სლესარენკოს და უსოვს მოვუგე, ორივე მაგრებია, განსაკუთრებით უკანასკნელი, ძველი ოფიცერია და თავისი ახალგაზრდობა ლენინგრადის საბილიარდოებში აქვს გატარებული - ჩემს მსგავსათ, მხო;ოდ სოლოლაკის საბილიარდოებში. აქ ყველას უყვარს ბილიარდი და სულ რიგია სათამაშოდ. გულშემატკვარიც ბევრი მოგროვდა ფინალზე - როგორც სტადიონზე ისეთი ყვირილი და სტვენა იყო. ხალხმა, რაც აქა ვართ, მგონი პირველად გამოხატა ასე მკვეთრად თავისი ემოციები, ალბათ აქვთ ადამიანებს ამის მოთხოვნილება - დროდადრო გზა გაუხსნან გრძნობებს, მითუმეტეს ისეთ წყნარ და მდორე პირობებში, როგორშიც ჩვენ ვიმყოფებით.

9 მაისი

საზეიმო საღამო მსოფლიო ომის 5 ვეტერანის მილოცვებით დავიწყეთ. ჩვენი სადგურის უფროსი სერგეი ნიკოლაევი, სამეურნეო საქმის შეფი მიხეილ ევგრაფოვი, ჩვენი მარინსკი, ვიტალი კაზარინი და საშა გალკინი ომის მონაწილენი არიან. ყველამ ცოტ-ცოტა მოგვიყვა თავისი თავგადასავალი. ბევრი ტანჯვა აქვთ გამოვლილი.

კარგი კაცია ნიკოლაევი, მხიარული, უბრალო, საქმის მცოდნე, გამგებიანი და რბილი. აქ ასეთი კაცია საჭირო. ბევრი გვაცინა. ომის დაწყებიდან დამთავრებამდე ყველაფერი მოგვიყვა, კარგი იუმორით, მაგრამ ძალიან გრძელი გამოუვიდა და ბოლოს რომ შეგვეკითხა - კიდევ გავაგრძელოო - ყველამ უარი ვუთხარით, მითუმეტს ორი-სამი ჭიქა გადაკრული გვქონდა და გაგრძელება ხვალისათვის გადავდეთ.

ბევრი სიტყვის თქმა ხელს უშლის სწორი სიტყვის თქმას, ხოლო სწორი სიტყვის თქმა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს სწორი საქმის კეთებას!

... ძილის წინ სახლიდან მოსული დეპეშები კიდევ ერთხელ გადავიკითხე, მათ შორის ჩემი სამსახურის ვეტერანთა დეპესაც იყო.

... დავიძინე და ვეტერანი ვნახე სიზმარში, მაგრამ რომელი იყო ვერ გავიხსენე. გახსენებას რომ მივუბრუნდი, მერე გამახსენდა - ალბათ ის ვეტერანი პოეტი იქნებოდა... ერთ ცივ საღამოს, ცივი ომის ჟამს, მაჩაბლის ქუჩის ბოლოში, რომ შემოგვხდა თავშეყრილ სკოლელებს. ჩვენთან ერთად სკოლა კაიხანდამთავრებული, ჯერ კიდევ შეურყვნელი პოეტი - ჯანსურ ჩარკვიანიც იდგა და რაღაცას გატაცებით გვიყვებოდა - ტყუილს თუ მართალს - ჩვენთვის მაშინ უმნიშვნელოს.

ამ დროს სუსტი, გამხდარი კაცი მოგვიახლოობდა, მკლავში ბევრწიგნებგაჩრილი, სახეზე საზეიმო ნაკვთებით... მივხვდით რომ პოეტი იქნებოდა და მწერალთა კავშირიდან მოდიოდა. თბილად და დიდებულად მიესალმენ პოეტები ერთმანეთს. მერე ჩვენმა პოეტმა ის პოეტი გაგვაცნო - დიდებულად. ჩვენც დიდებულად მოუხადეთ ბოდიში ვერცნობის გამო და საჩუქრად ავტოგრაფებით დამშვენებული მისი დიდებული ლექსების კრებული მივიღეთ თვითოეულმა.

როგორც დიდებულად გავიცანით,ასევე დიდებულად დავემშვიდობეთ დიდ პოეტს - ომგადახდილს. ის იყო გაწყვეტილი თხრობის გადაბმას ვაპირებდით, რომ ერთმა ჩვენგანმა, ნაჩუქარი წიგნის სარჩევში ცხვირჩაყოფილმა, სიჩუმე მოითხოვა ყოველი ჩვენგანისაგან და საზეიმოდ წაიკითხა ერთ-ერთი ლექსის სათაური - „ქეციან ჩერჩილს“ !!!

წაიკითხა და სიცილიც წასკდა იქ მყოფთა იმ ნაწილს, ვინც შეამჩნია, რომ ავტორს პარუსინის, თეთრი ფეხსაცმელი ეცვა ამ შუა

ზამთარს - ალბათ, სხვა რამ უფრო შესაფერისის არქონის გამო. დარჩენილებს გული დაგვწყდა ჩვენი დაუკვირველობის გამოისობით და მათ სიცილს ჩვენც შევუერთდით.

არ შეიძლება ჰერაკლეს და მის ძმა ამირანს ძალა დაუწუნო, კომფუსის ჭვრეტა აუკრძალო, სოლომონს სიბრძნე წაართვა, სოკრატეს - განსწავლულობა, მაკედონელს - სიმამაცე, აღმაშენებელს - აღმშენებლობა, ჯორდანო ბრუნოს - სიჯიუტე, დემეტრეს - თავდადება, შექსპირს და აინშტაინს - გენიალობა, ბეთჰოვენს - მუსიკა, ჩინგის ყაენს, ლენინს და ჰიტლერს - სისასტიკე, სერვანტესს და ეგზიუპერის - ოცნება, სალვადორ დალის - უცნაურობა, შევარდნაძეს - ეშმაკობა...

ვერც დახვეწილ ჩერჩილს დაუკარგავ, თავის ორ პარტნიორთან ერთად, მსოფლიო ომში გამარჯვების ტექნოლოგიის ბრწყინვალე ცოდნას; თუმცა ისიც შეიძლება, ბევრ მათგანს სხვა, ნაკლებმნიშვნელობანი თვისებებიც მიაწერო, მათ შორის ჩერჩილსაც - უცნაური ხასიათის, სიმსუქნისა და სხვა რამ თვისებისა გამო - მაგრამ „ქეციანი“!!! კარგი რა, ღმერთი არ გწამს? თუ არ გწამს - თეთრი პარუსინის მაინც მოგერიდოს!

14 მაისი

ისევ ცუდი ამბავი - გარდაიცვალა ვიქტორ ტკაჩოვი. ჩემი სიმპათიური მოხუცი, „ობის“ კაპიტნის პირველი მოადგილე. დეტალები არაფერი ვიცით. რა დიდებული მეზღვაური იყო, მთელი ცხოვრება სიკეთის კეთებაში გაატარა, სიკვდილზე სულ არ ფიქრობდა - ერთხელ კიდევ წამოვალ ექსპედიციაში და მერე დავისვენებო - ასე მითხრა ბოლოს. მასთან გატარებული საათები არასდროს დამავიწყდება.

ოდესმე ვინმე თუ შემეკითხება, რას სცემ ყველაზე უფრო დიდ პატივს? - მამაჩემის ხსოვნას-მეთქი, ვუპასუხებ. ამ დიდი ბუნების ადამიანის ნარჩენებს ჩემში ვამჩნევ ხოლმე და

წყალწაღებული არ მეჩვენება ჩემი თავი. მამაჩემი იტყოდა - მამაკაცი, თუ სიკვდილია, უეცრად, შინაგანი ენერგიის რაღაც მარაგით უნდა მოკვდეს, არაფერი სასიამოვნოა ამ ცხოვრებიდან ყველაფერი ამოწურულად წაიღო ისე, რომ ცხოვრება აღარ გინდოდეს და სხვასაც თავი მოაბეზროო. მისი თანახმა მაშინაც ვიყავი და რაც წლები მემატება, მით უფრო. უეცრად გარდაიცვალა, სიტყვა არ უთქვამს. ისე, დიდი ღარი დატოვა ჩემში მისმა სიკვდილმა, ისევე როგორც მისმა ცხოვრებამ.

ამან თუ გამახსენა ალბათ, თორემ სულაც ვერ გავიხსენებდი, ერთხელ ტკაჩოვმა მითხრა - დედამიწის ზურგზე, ყველაზე უფრო, რუსებს არ ენაღვებათ სიცოცხლეო. შევკადრე - რატომ მეთქი!

ჩვენი, ამ დამანგრეველი თვისების გამო, ფიქრის მეტს რას ვაკეთებ, ბერდიაევისა არ იყოსო... მიპასუხა ცხონებულმა. ტკაჩოვის სიკვდილშიც ეს ნუგეში თუ არის, ალბათ.

17 მაისი

საშა რაზმალოტინი, ძალზე მორიდებული, წყნარი, ჭკვიანი თვალებით, შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი, ჩვენი სეისმოლოგი, გვიან ჩამოვიდა „ვანკარენით“ და ბევრი საქმე გაუჩნდა. პროგრამის წესრიგში მოყვანა, დამატებითი სამუშაოები. ღამე მუშაობა დროს აღარ უტოვებს და, იმიტომაც, ვინც არ სთხოვა ჭადრაკის თამაში, ყველას უარი უთხრა - უდროობას იმიზეზებს. პროფესიონალი მოჭადრაკეა და გვაინტერესებს ანალიზის მისეული უნარი რამდენი საფეხურით მაღლა დგას ჩვენსაზე. დროა საჭირო და ჩავითრევთ... შორს ვერ წაგვივა.

პროფესიონალიზმზე გამახსენდა...რას ნიშნავს მაღალი პროფესიონალიზმი და წესიერება - თუ გინდ რუსი იყოს და თუ გინდ სხვა! ამერიკელებმა, რუსი ჩინოვნიკების მიერ შეთავაზებულ „მოსკოვური საღამოების“ ნაცვლად ქართული სიმღერის მწვერვალი „ჩაკრულო“ რომ გაგზავნეს კოსმოსში - რუსი

სპეციალისტის დამსახურებაა. რუსების საყოველთაო ლანძღვაში, იმ კეთილშობილ ქალბატონს მაინც ნუ იგნორირებთ და ნუ იბრალებთ რაც არ გაგიკეთებიათ! გამოდის, რომ ქართული სიმღერა გენიალურრია, რუსი ხელოვანი წესიერი, ქართული პროპაგანდა შტერი!

საღამოს კოლიამ იურას მაგნიტოფონი შეაკეთა. სამუშაო ოთახში ოთხნი ვიყავით, ყველა კარგ ხასიათზე. სასინჯად კოლიამ თვლა ჩაწერა, მერე სიმღერა დაიწყო. რამდენჯერაც კოლია სიმღერას დაიწყებს - ჩვენ ყველა ვიცინით. აბსოლუტურად უსმენო და უხმო კაცია. მიუხედავად ამისა, ის და მისი მეუღლე ხშირად დადიან მოსკოვის თეატრებში და, უპირატესად მუსკომედიაში. მერე გეგმა შევადგინეთ რა უნდა ჩაგვეწერა. კომენტატორობა მე ვიკისრე. ხმაური და ტაშისცემა ავტეხეთ, ვითომ ბ-ნი მარინსკი, პეტერბურგის მარინის თეატრის მფლობელის შვილიშვილი, გენიალური მომღერალი, დიდი თეატრის სოლისტი, შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ ამერიკაში მგზავრობის შემდეგ, თვითმფრინავის გაუმართაობის გამო შემთხვევით ჩვენს აეროდრომზე დაჯდა და იძულებულია ჩვენთან რამდენიმე დღე დარჩეს. ვთხოვთ, რაიმე უთხრას მოზამთრეებს და გვიმღეროს. კოლიამაც ჩამოთვალა ათამდე ქალაქი, სადაც წარმატებით მოგზაურობდა და დიდი პატივისცემით ხვდებოდნენ; რომ გადაიღალა, მაგრამ ჩვენთვის მაინც იმღერებს „მისტერ იქსის“ არიას და დაიწყო. იმან დაიწყო და ჩვენ იატაკზე წავწექით. სახლიდან წამოსვლის შემდეგ ამდენი არ მიცინია. ხელმეორედ დავატრიალეთ ჩანაწერი. ნამდვილი ინტერვიუა, სიმღერამდე ისე სერიოზულად ვლაპარაკობთ, არავითარი ეჭვი არ ჩნდება უხმობა - უსმენობაზე. ხმაურზე მერე რადისტები, მეტეოროლოგები და ტრასნპორტელები შემოვიდნენ. ყველა ახალი კაცის მოსვლაზე თავიდან ვატრიალებდით ჩანაწერს და როგორც პირველად მოსმენისას, თითქმის, ისე ვიცინოდით. მერე ინტერვიუები

ჩამოვართვით ერთმანეთს. გავკადნიერდები და იმ ინტერვიუს მაგიერ წინა, ჩემ ინტერვიუს გაგრძელებას შემოქთავაზებთ:

- ყნოსვა თუ გაქვთ განვითარებული?

- არა მგონია, მაგრამ თბილისში მანქანით რომ შემოვდივარ განსაკუთრებულ სუნს ვგრძნობ -ღამეც რომ იყოს და არ ვიცოდე თბილისში რომ შემოვედი - სუნით მივხვდები!

- რა მიზანი აქვს ადამიანის არსებობას?

- სიყვარულის, თავისი ქვეყნის, ქვეყნიერების და შთამომავლობისათვის არსებობს ადამიანი, დანარენი - ფუჭია.

- მაშ ისიც მითხარით - რა არის სიყვარული?

- სიყვარული დროის ხარჯვის საუკეთესო საშუალებაა!

- თვითონ დრო?

- დროა ,როგორც ჩვენი, ასევე სამყაროს არსი - დროს კონკურენტი არა ჰყავს.

- რა არის სამართლიანობა?

- სამართლიანობა სიმართლის მექანიზმია - მართალი კაცის ხელში.

- რა არის პროგრესის გამსაზღვრელი?

- შვილი მამას რომ სჯობს - ეს არის პროგრესის გამსაზღველი.

- რას ელოდებით ყველაზე უფრო?

- შემოდგომის დასაწყისს - კლასელები ვიკრიბებით ყოველწლიურად ხან სად და ხან სად - ოჯახებში, რესტორანში და ზოგჯერ კიდევ სად. შევგროვდებით და ვართ დილამდე გაუთავებელ მოგონებებში, კამათში, ჭიჭყინში, აურზაურში, იმ ასაკის შესაფერისად მაშინ, რომ ვიყავით. იმიტომაც ვიკრიბებით, რომ ჩვენს შორის აღარმყოფნიც გავიხსენოთ და იმას დავცინოთ, ვინც ჩვენს შორის ყველაზე გრძლად იცხოვრებს და ეულს - არც ერთი მეგობარი არ ეყოლება გვერდით.

- განძი თუ გქონიათ?

- კი, ერთხელ. მუმიე შევაგროვე ანტარქტიდაში, ნახევარ კილოგრამამდე - სიცოცხლის ელექსირი - დავურიგე ნაცნობ - მეგობრებს და სიცოცხლე გაუხანგრძლივე თვითოეულ მათგაქნს - თითქოს!

- რა არის მწერლობა?

- მწერლობა პროფესია კი არა - სიამოვნებაა, განსაკუთრებით - ფიქრი.

- ცხოვრებაში ვის წინაშე უნდა იყო მართალი?

- მართალი შენი თავის წინაშე უნდა იყო ყოველ წამსა და ყოველთვის და არა შიგადაშიგ, შენ რომ გინდა და ვისთანაც გინდა.

- პოლიტიკოსები საზოგადოების რა კატეგორიაა?

- ყველაზე ამბიციური, ჯამრთელი, ენერგიული, დახშული, ეგოისტი, ანალიტიკურად მოაზროვნე, დაუნდობელი და ხალხთან მოკეკლუცე კატეგორიაა, რომელნიც ასეთებად გაიზარდნენ და ამიტომ გახდენ პოლიტიკოსები. ამასთან აუცილებელია, რომ პოლიტიკოსს იდეები აწუხებდეს და ცრემლები არ მოადგეს თვალებზე - წარამარა.

- რა არის თქვენთვის რთული?

- რთული და აუტანელი ის არის, რომ ქურდი და მექთამე ჭკუას გასწავლის, თორემ ქურდს და მექრთამეს რა გამოლევს ამ ქვეყნად!

- სული ტკბილია?

- სული ტკბილი რომ არ იყოს, ცხოვრებას აზრი დაეკარგებოდა. გემოს დაკარგვამ იცის თვითმკვლელობა.

- რა ურთიერთობაშია სწავლა და მასწავლებელი?

- სწავლა ანალიზია და არა დაზეპირება, ხოლო მასწავლე-ბელი უფრო ღირებულია ვიდრე სწავლა! (ვითომ?)

- რას უქადნის ადამიანი დედამიწას?

- იმდენს ნუ ვიზამთ, რომ დედამიწაზე მარტონი დავრჩეთ, სხვა ცხოველების გარეშე!

- კარგად იცნობთ ადამიანებს?

- უპრიანია ცხოველთა ქცევით შეისწავლო ადამიანი.

- როგორ გგონიათ - რა არის მეცნიერება?

- მეცნიერება ჯერ არ ნანახის გამეორებაა, ხელოვნება და საერთოდ კულტურა ნანახის კარგად გამეორება, ცხოვრება კი ნანახის ცუდი გამეორებაა.

- რა მოხდება XXI საუკუნეში?

- XXI საუკუნეში ტექნიკა გაიმეორებს და შეცვლის ადამიანს, გარდა ადამიანის ტვინისა - ტვინის გამეორება XXII საუკუნეში მოხდება - ალბათ.

- ქვეყნებს შორის საერთო ენა როდის გამოინახება?

- ქვეყნებს შორის საერთო ენა მაშინ გამოინახება, როცა ამ ენას შექმნიან მორწმუნენი.

- რატომ ხდება აჯანყებები - უკიდურესი გაჭირვების გამო?

- აჯანყებები აჯანყებულების თავის გამოჩენის მიზნით ხდება. ხელისუფლება თუ ამ პოსტულატით იხელმძღვანელებს, აჯანყება შეიძლება არასოდეს მოხდეს, რამდენი ათასი დავგამოჩენილიც არ უნდა იყოს ქვეყანაში - გაჭირვებულებს რა ეშველებათ თორემ?

- რა არის ადამიანის ძირითადი მიზანი?

- გააჩნია ადამიანს, ზოგიერთის ძირითადი მიზანი უსა-ფუძვლო თავის მართლება რომ არის - ეს ვიცი. რაც უფრო ზნედაცემულია ადამიანი, მით უფრო მძვინვარედ იმართლებს გაუმართლებელ თავს, თუმცა დარწმუნებულია, თავის მსგავსის გარდა მისი გამმამართლებელი არავინაა.

- თაობის აღზრდას რა უნდა?

- როგორ შეძლება აღზარდო სრულყოფილი თაობა და არ მისცე განათლება, როგორ შეიძლება აღზარდო ამ თაობის შემოქმედი ნაწილი, მისცე განათლება და ჩათვალო რომ აღზარდე!

- რა არის დისიდეტობა და ვინ არის დისიდენტი?

- ქართველი კაცი თავისი არსით დისიდენტია. იმიტომ, რომ გენში აქვს გამჯდარი. წინაპარმა გამოუგზავნა არსებულ სინამდვილესთან ბრძოლის მექანიზმი, განსაკუთრებით ბოლო რვა საუკუნეში გამომუშავებული. იქნებ ამ თვისებამაც გადაარჩინა ერი მოსპობას - სხვა თვისებებთან ერთად.

...მე და ჩემი მეგობარი მურთაზ კიკაჩეიშვილიც ვიქნებოდით „გამოჩენილი დისიდენტები“ - მილიციის უფროსს, რომ არ შეეშალა ხელი!

სტუდენტობის ჟამს - ორმოცდაათიანი წლების დასასრულს, კარგად გამოპრუტუნებულები - ვორონცოვის ხიდთან, პლეხანოვის დასაწყისში, ყველაზე არაქართულ, პომპეზურ, ოთხბოძიან შენობას შეუტიეთ. უფრო სწორად მურთაზმა შეუტია ხარივით იმიტომ, რომ ამ ოთხივე ბოძზე უშველებელი სიგრძის, წითელი ნაჭრის ლოზუნგები ეკიდა. მრავალჯერ და უფრო მეტად ვუთხარი მურთაზს - ნუ ჩამოხევ მეთქი, მაგრამ არ დაიშალა, ჯერ ერთი ჩამოფხრიწა, მერე მეორე. მესამის ჩამოფხეწისას , რომელსაც - ჩამოფხრეწვის პროცესის სილამაზეში დარწმუნებულმა, მეც შევაშველე ხელი - მილიციელები დაგვადგნენ თავს, მეოთხე არშიის ჩამოგდება არ დაგვაცალეს, აუღელვებლად, წინააღმდეგობის გარეშე ჩაგვსვეს „ვორონკაში“ და განყოფილებაში მიგვაბრძანეს. ცოტა რომ გვითაქეს, მერე ოქმი შეგვიდგინეს და „დისიდენტობის“ ბაიბურში რომ არ ვიყავით და არც არავითარი სურვილი გაგვაჩნდა ამისა - „დისიდენტობა“ მოგვაკერეს. დივერსიული აქტის გამო პოლიტიკურად საშიშ ელემენტებად გამოგვაცხადეს და ათი წლით „ციმბირი“ გვიწინასწარმეტყველეს.

ჩვენი მეგობრის ხათრით, დილაადრიან მოსულმა, ცხონებულმა ოთარ ჭოჭუამ - ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა - ჩვენ თავზე, სახარებასავით ნოტაციის წაკითხვის შემდეგ, წუხანდელი ღამის თანამშრომლები დაიბარა და სიტყვა სიტყვით ასე უთხრა: ამ ბრიყვებს წუხელ რომ 7 ნოემბერი იყო - რევოლუციის დიდი დღსასწაული, არ ახსოვდათ თურმეო, გაუნათლებელი ახალგაზრდები არიან, პოლიტიკაზე წარმოდგენა სულაც არა აქვთ და მოდი გაუშვათო. კი, კი, სწორი ბრძანდებით... მოდით გავუშვათო - ერთხმად დაუკრეს კვერი უფროსს, ოქმის შემდგენლებმა, ოქმი დახიეს და გარათ გამოგვაბრძანეს.

- აი, ასე ვერ გავხდით „დისიდენტები“ - ან რატომ უნდა გამხდარიყავით? ისე კი ჩვენბზე და ბევრ სხვა „გამოჩენილ“ დისიდენტზე მეტი დისიდენტი იქნებ, ის კეთილშობილი ოთარ ჭოჭუა იყო!..

ისე, დისიდენტობა თვითმიზნად არ უნდა გაიხადოს კაცმა, რადგან ქვეყნის მოწყობის ჟამს, იგი პათოლოგიური თავკერძოების და უაზრო წინააღმდეგობის დასაბამი შეიძლება გახდეს.

- საფუძვლიანი პრეტენზიის მაგალითს თუ მომიყვანთ?

- ერთი „კეთილშობილის“ მამას ჩვევა ჰქონდა - ხილს რომ შეჭამდა, კურკას მეთექვსმეტე სართულის აივნიდან ისროდა წინა მაცხოვრების ეზოში. გავიდა ხანი და ეზოში შესანიშნავი ბაღი აყვავდა, ზოგი მებაღის და ზოგიც მეთექვსმეტე სართულიდან გადმოსროლილი კურკების წყალობით. ერთ მშვენიერ დღეს, მებაღემ დიდი მოსავალი რომ დაკრიფა, დაადგა თავზე ეს ჩვენი, თვითონაც „კეთილშობილი“ და მოსავლის წილი მოსთხოვა...ესეც შენი საფუძვლიანი პრეტენზია!

- ნეტავ რა კრიტერიუმი არსებობს საზოგადოების კრიტერიუმის გასაზომად?

- საზოგადოების ყველაზე ყოჩაღი, განათლებული, პრეტენზიული და თავკერძო ნაწილის ინტელექტუალური დონე

შესანიშნავად იზომება რუსთაველის გამზირზე - პარლამენტის შენობაში და ზუსტად შეესაბამება საზოგადოების ინტელექტუ-ალურ დონეს- დროის იმ მონაკვეთში.

- მერე რეზულტატი როგორია?

- ჩვენი განათლების სისტემის, სულიერი მოთხოვნილების და ცხოვრების წესის ადეკვატური.

- უკუღმართი ხასიათის გამოვლინებას თუ შეხვედრიხართ?

- წაღმა მოსული გენიოსი, რომ ამტკიცებს თავის გენიოსობას და მის გარდა არავის სჭირდება ამის მტკიცება - ეს არის უკუღმართი ხასიათის გამოვლინება.

- რა არის ადამიანის დანიშნულება?

- სწრაფვა კეთილშობილებისაკენ და სიკეთისაკენ ჩვენი - ადამიანების მოდგმის უმთავრესი დანიშნულებაა. ნუ განვსჯით ერთმანეთს თუ დღემდე ვერ ვასრულებთ ამ მცნებებს - სრულყოფილებას მოკლებულნი. სრულყოფილად ჩვენ თუ ვერ ვასრულებთ, ხომ ვშობთ შთამომავლებს, რომლებიც შობენ ამ მისიის შემსრულებლებს - მეტნაკლებად სრულყოფილად!

- იქნებ ამით დავამთავროთ და სხვა დროს გავაგრძელოთ?

- კი, დავამთავროთ...

20 მაისი

ზღვა ისე გაიყინა რომ სიარული საშიში აღარ არის. გუშინ ნება დაგვრთეს პინგვინების სანახავათ წასვლაზე.

დღეს ქარი ნორმალურია და 6 კაცი, პინგვინების კოლონიაში წავედით. ბარიერი თითქმის ყველგან ვერტიკალურია, 10-20, ზოგან 50 მეტრის სიმაღლისა და მიუდგომელი. „მოძრავი კონტი-ნენტი“ თავისი მარშრუტის ბოლოში ნაწილ - ნაწილ ტყდება და ოკეანეს უერთდება აისბერგებად, ან ყინულის პატარა ნაჭრებად. ტერიტორიის ჩრდილო - აღმოსავლეთით, ტრანსპორტის გარაჟსა და სახელოსნოსთან, ბულდოზერმა ნაპირი ჩამოჭრა, ყინული

ზღვაში გადაყარა და გზა გაიყვანა. ამ გზით დავეშვით და იდეალურად სწორ და თოვლდადებულ ყინულზე გავედით. გეზი ხასიელის კუნძულის აღმოსავლეთისაკენ ავიღეთ.

ანტარქტიდული ქარები კონტინენტის ცენტრში ფორმირ-დება, თანდათან ღვივდება და ნაპირებისაკენ - დაღმართზე მოედინება. ბოლო 100-200 კმ. რელიეფის დაქანება დიდია - 1,5 - 2 კმ-დან ნულამდე დადის. შესაბამისად ტემპერატურათა სხვაობაც დიდია და ქარიც ძლიერდება, სანაპიროსთან იგი ზოგჯერ წამში 50-55 მეტრს აღწევს, მაგრამ როგორც კი ბარიერს მოსწყდება და გაშლილ ზღვას მიაწყდება, ძალას კარგავს. ახლაც, ჰიდროლოგების სამუშაო ადგილს, ნაპირიდან 200 მ-ით მოვშორდით თუ არა, ქარიც შეწყდა. უჩვეულო სიწყნარე ვიგრძენით, ისეთი, თებერვლის შემდეგ რომ არ ყოფილა. მივუახლოვდით პირველ აისბერგს, სულ ცისფერს. წინ გიგანტური ზომისა და მოცულობის აისბერგების გაუთავებელი რიგია. დავდივართ მათ შორის გაყინულ, დაბზა-რულ ზღვაზე და ამ უცხო და მკაცრ სილამაზეს მივშტერებივართ. ყველაფერი ცისფერია - მოწმენდილი ცა, ყინული, თოვლი, თუმცა მეტი არაფერიც არ არის. ჩრდილის მხარეს აისბერგი ცისფერიდან ლურჯში გადადის, განათებულ, მზიან ადგილას კი ცისფერი უფრო „ღრმა“ ხდება, აისბერგი თითქოს გულში გახედებსო. ისეთი შეგრძნებაა, ვითომ თეთრ, უზარმაზარ სასახლეებს შორის დადიხარ.

3 კმ-ში უცხო, შავი ზოლი გამოჩნდა. პინგვინების კოლონია! მერე რომ დავთვალეთ დაახლოებით 15000-მდე უნდა ყოფილიყო. საიმპერატორო პინგვინები ადელის ჯიშისაზე გაცილებით დიდები არიან - 50-60 სმ-მდე აღწევენ, ძალზე ლამაზები - შავი ზურგით, თეთრი მკერდითა და თავის ქვედა ყვითელი ნაწილით. „იმპერატორები“ ამაყად, დინჯად დადიან, თავაწეულები. მათ სიამაყეში ბევრ სასაცილოს ვხედავ, ზოგიერთი მათგანი ნაცნობ ადამიანებსაც კი მაგონებს. თითქმის ყველას ფეხებს შუა კვერცხი

აქვს მოქცეული და ტანით არის მასზე გადაფარებული. სიარულისა და ჯდომის დროს კვერცხი არ ჩანს, არც ყინულს ეხება. როცა ეჩქარება, სირბილის მაგივრად მუცელზე წაწვება და ლასტებით, როგორც ნიჩბებით, ისე მოუსვამს. კვერცხის დანახვა მხოლოდ ამ დროს თუ შეიძლება, ისიც პატარა ნაწილისა - უკნიდან თუ შეხედავ.

„იმპერატორები“ სხვა ჯიშის პინგვინებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ბარტყებს ზამთარში, აგვისტოში ჩეკავენ და, რაც მთავარია, ყინულზე და არა ქვებზე, ამიტომ კვერცხებს ფეხებშუა, ყინულზე მიუკარებლად ატარებენ ორი-სამი თვე და თუ ვინიცობაა შემთხვევით გაუვარდა, ის წელი უნაყოფოა მისთვის, რადგან იმის უნარი არა აქვს, რომ მობრუნდეს და კვერცხი ისევ ფეხებშუა მოიქციოს.

ფრთხილად გავერიეთ პინგვინებში, დაიწყო აპარატების ჩხაკუნი. შიშის გრძნობა არა აქვთ, საფრთხეს ვერ გრძნობენ, იმიტომ რომ ხმელეთზე მათ მტერი არა ჰყავთ. ნახევარ მეტრში მიგიშვებს და გიყურებს. თუ კიდევ წაიწევი მისკენ, თვითონაც გაიწევა. ამას ისე აკეთებს, თითქოს ეზარება ყველაფერი, შენც თავი მოაბეზრე. ადელის პინგვინები აგრესიულები არიან, ნისკარტით იკორტნებიან და საშინლად ჭყივიან. ამათ არავითარი აგრე-სიულობა არ ახასიათებთ, თუ მიუახლოვდები, გშორდება, შემობრუნდება და შენსკენ იყურება, ელოდება როდის გაჩერდები, რომ თვითონაც გაჩერდეს. სასიამოვნოდ დუდუნებენ, რაღაცნაირი უცხო, ორღანის ხმით. მთელი დღე თითქმის გაუნძრევლად, თავჩაქინდრული დგანან. ხანდახან ერთი ჯგუფიდან მეორეში გადადიან. ჩამწკრივდება 5-10 პინგვინი ერთ რიგად, ჯარისკაცებივით და აწყობილი ფეხით, გასაოცარი სინქრონული მოძრაობით, საქმიანი სახით მიაბიჯებენ. ერთმანეთს ჩაუვლიან და რომ გგონია, აჰა, სამხედრო წესით მიესალმებიან ერთმანეთსო, არაფერიც, თავსაც არ შეატრიალებენ, არც შეხედავენ ერთმანეთს.

თუ ვინიცობაა პირველს ან უფროსს აგვიანდება და მუცელზე წაწვა, იმ წამსვე დანარჩენებიც იმასვე მოიმოქმედებენ.

ალბათ ჩვენი ზედმეტი მოძრაობის გამო, ერთს კვერცხი გაუვარდა. გავჩერდით, ისიც გაჩერდა, კვერცხს გაუარ-გამოუარა, თავს ატრიალებს აქით-იქით. გრძნობს, რომ რაღაც ცუდი მოხდა, მაგრამ ვერ ხვდება რა. კვერცხი გვერძე უდევს და თითქოს ვერ ხედავს. ავიღე და წინ დავუდე - არავითარი რეაგირება, ერთი ათჯერ მაინც გავიმეორე, მაგრამ მაინც ვერაფერს მიხვდა. ვიფიქრე, ძალით შევუდებ-მეთქი ფეხებში, მაგრამ ახლოს არ მიმიკარა. დადიხარ ამ უთვალავ გადაგვარებულ ფრინველებს შორის და ბუნების კანონზომიერების მართებულობაში უფრო და უფრო რწმუნდები. მათ ოკეანე ასაზრდოებს და ოკეანემ გაითავისა ისინი. მიწაზე ახტომაც რომ არ შეუძლიათ, ეს, ერთი შეხედვით მოუქნელი, ტიკივით მრგვალი, მძიმე, ლამაზი სხეული წყალში თევზზე უფრო სწრაფია, იქ ძალზე ფრთხილია და შიშის გრძნობაც აქვს, იმდენად ფრთხილი, რომ ზვიგენის მოახლოვებისას წყლიდან 3-4 მ სიმაღლის ბარიერზე შეუძლია ამოხტეს!

22 მაისი

ერთი ამბავი მომაგონდა: მამისონის უღელტეხილზე, ზამთარ-ში, თანამშრომელი გაგვიხდა ავად, სასწრაფოდ ქვევით უნდა ჩამოგვეყვანა. ოთო მაშინ 14 წლისა იყო, ძალიან მთხოვა - წამიყვანეო. უარი ვერ ვუთხარი და იმ პირობით წავიყვანე, რომ სოფელში დავტოვებდი და ზევით წაყვანას არ მომთხოვდა. გამთენიისას 6 კაცი გავედით „ვილისით“, 20 კმ გვქონდა გასავლელი. ბოლოს სოფელსაც მივაღწიეთ, ოთოს გავხედე, თვალებზე ცრემლმომდგარი მიყურებდა. მეც ძალიან მინდოდა წაყვანა, მაგრამ შემეშინდა. ბიჭები მიხვდნენ სიტუაციას და მთხოვეს - წავიყვანოთ და მერე მძღოლთან ერთად დავტოვოთ მაქანაში ჩვენს დაბრუნებამდეო. ხუთ კილომეტრამდე მანქანამ გვათრია, ერთი მაგდენი ჩვენ ვათრიეთ მანქანა, ძალიან

გავწვალდით. დარჩენილი გზა წელამდე თოვლში უნდა გვევლო. ოთომ დაბეჯითებით მთხოვა წამოგყვებითო. რაღაც ისეთი შევატყვე, ვირწმუნე - შესძლებს გამოყოლას. დავიძარით და თან მაინც სულ იმის ფიქრი მღრღნიდა - საბედისწერო რამე შეცდომა ხომ არ ჩავიდინე. 6-7 საათი ვიარეთ ღრმა თოვლში. ერთხელ გამოვუცვალე წინდები, ფეხები სულ გათოშილი ჰქონდა. ტერფები მუცელზე მივიდე, ცოტა გავუთბე. შემეწინააღმდეგა - ხალხი გვიყურებს, რას იტყვიანო! ბედად წყნარი და მზიანი ამინდი იყო ისე, რომ სიქაგაცლილებმა, მაგრამ მშვიდობით მივაღწიეთ სადგურს. ყველაზე ყოჩაღად ოთარი და ერთი ტალიკა რაჭველი ყმაწვილი გამო-იყურებოდნენ. ყველა სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩა ამ ჭყინტი ბავშვის ამტანობით.

მეორე დღეს ავადმყოფი მშვიდობით ჩამოვიყვანეთ, ისე, რომ ორი საჭირო საქმე გავაკეთე - ავადმყოფს შველა აღმოვუჩინე და შვილი საქმეში გამოვცადე!

10 ივნისი

როგორც ჩანს, ყველას ნელ-ნელა აპათია გვიპყრობს, კაიუტ-კომპანიაში სიმხიარულემ იკლო. ამის პროპორციულად ფიქრები მოგვეძალა. ამასაც რეგულირება სჭირდება და რადგანაც კითხვაც უკვე მომბეზრდა, გადავწყვიტე თავი შევიქციო...სუვენირების კეთებით! ვხაზავ, ვხერხავ, ვბურღავ, ვქლიბავ, ვაპრიალებ, ვღებავ და ასე ვიქცევ თავს. ისე კი ვამჩნევ, რომ კარგი ერთი თვის საქმე გავიჩინე.

16 ივნისი

დღეს ობსერვატორიის დირექტორმა მომავალი სეზონის პროგრამა წაგვიკითხა -ლენინგრადიდან მიღებული. ზაფხულის თვეებში, იანვარში, თებერვალში და შეიძლება, მარტშიც ტარდება საერთაშორისო პროგრამა „პოლაქს-ჩრდილოეთი“-თ გათვალის-წინებული სამუშაოები, რომელშიც ანტარქტიდაში განლაგებული

12 ქვეყნის 35-მდე სადგური მიიღებს მონაწილეობას. უნდა ჩატარდეს ყველა დისციპლინაში დაკვირვებები და გამოკვლევები გაძლიერებული პროგრამით: ატმოსფეროს მაღალი ფენების გამოკვლევა ორის მაგივრად დღე-ღამეში რვაჯერ, ანუ ყოველ სამ საათში და ჩვენს საწყალ ლოკატორს, ალბათ, დაუსვენებლად მოუწევს მუშაობა. ჯგუფის წევრთა რაოდენობაც, შესაბამისად, ოთხიდან ათ კაცამდე გაიზრდება.

უფროსმა შემოგვთავაზა სეზონზე დარჩენა. სეზონზე დარ-ჩენა ბევრი რამით არის ხელსაყრელი: აქედან წასვლა მარტში მოხდება, ლენინგრადში ჩასვლა - აპრილის ბოლოს, ანუ თბილ პერიოდში, გაზაფხულზე; ინსტიტუტი მოზამთრეებს ჩასვლისთა-ნავე 3-თვინ შვებულებას აძლევს და შვებულების ზაფხულში გამოყენება დიდი სიკეთეა მათთვის. ასე, რომ შემოთავაზებულ წინადადებას ყველა სიამოვნებით დათანხმა, ჩემთვის კი ეს არგუმენტები ნაკლებად მნიშვნელოვანია და დარჩენის სურვილი არ გამომითქვამს.

19 ივნისი

ეს დალოცვილი კონტინეტი გამომშრალი ჰაერით გამოირ-ჩევა - განსაკუთრებით. სინოტივის არავითარი კვალი არ ადევს არაფერს. ძლიერ ქარიან დღეებში ყველაფერი, რკინის და ხის საგნებიც კი დაელექტრიზებულია. ქარის ხახუნის ძალა სტატი-კურ ენერგიას აგროვებს ყველა საგნებში. საკმარისია ხელით შეეხო რადიატორს, კედელზე მიყუდებულ სკამს, კარებს ან ფანჯრის რაფას - დენს გარტყამს, სუსტს, მაგრამ უსიამოვნოს. ამის გამო ჩვევა გამოგვიმუშავდა - ყველა საგანს, რომლისგანაც დენის დარტყმას ველოდებით, ინსტიქტურად ჯერ ჩექმის წვერით მივედებით, დენს დავცლით და მერე ჩვეულებრივ მოვიხმართ. ზოგჯერ, როცა დიდი ქარია, გარეთ გასასვლელ კარებს, დადეშქელიანივით, ფეხით ვაღებთ ხოლმე. ეს მოვლენა არავითარ

გამაღიზიანებელ გრძნობებს არ იწვევს მოზამთრეებში. პირიქით, - გვართობს. ჰაერის სიმშრალე და პრაქტიკულად აბსოლუტური სტერილურობა გასაოცრად ინახავს საგნებს და, მითუმეტეს, პროდუქტებს. ამერიკელი პოლარელი ბერდი მეორედ, 10 წლის შემდეგ რომ ჩამოვიდა მიტოვებულ სადგურ „ლიტლ ამერიკაში“, უამრავი პროდუქტი და სხვა ნივთები ისეთივე დახვდა, როგორიც დატოვა; საუკუნის დასაწყისში ამუნდსენის მიერ დროებით ბანაკებში დატოვებული პროდუქტები პოლუსის მარშრუტზე დღესაც შეიძლება მოიხმაროს კაცმა. პოლუსიდან დაბრუნებული ინგლისელების სიამაყე, კაპიტანი სკოტი და მისი ექსპედიციის წევრები სისუსტისაგან და შიმშილისაგან დახოცილები, რამდენიმე წლის შემდეგ სრულიად სახეშეუცვლელები აღმოაჩინეს.

მე-7 კმ-ის საწყობში მუშაობის დროს ჯერ კიდევ 1956 წელს შემოზიდული მარილიანი ბისკვიტები აღმოვაჩინეთ. გავსინჯეთ, როგორც ნამდვილი, როგორც წელს შემოზიდული, ისეთი იყო. მოგვეწონა - ერთი ყუთი სახლში წამოვიღეთ. დილას საუზმეზე წასვლა რომ გვეზარება, ყავასთან ერთად შევექცევით.

ხელი თუ გაიჭერი ან აიტყავე, რაღაც უცნაურად ხორცდება და თანაც დიდხანს. შეხორცების ადგილას ნაწიბური გრჩება - ამობურცული. ადვილად ასახსნელი პროცესია. შეხორცების ხელშემწყობი ბაქტერიები, ისევე, როგორც სხვა ბაქტერიები, აქ არ არის.

1961 წელს შირმახერის ოაზისში, სადგურ „ნოვოლაზარევსკაიას“ სიახლოვეს, ნახეს მუმიფიცირებული სელაპი. ზღვის ყინულის დონიდან 10-15 მ სიმაღლისა და ნაპირიდან 80 კმ-ით დაშორებულ ადგილზე. ტანის ზედა ნაწილი გამქრალი იყო და ძვლებს ქვემოთ, ქვიშაში კარგად შენახული ტყავი ჩანდა. თუ ვივარაუდებთ, რომ ეს ცხოველები ნაპირს არ შორდებიან და ადგილი, სადაც ის აღმოაჩინეს, მათთვის მიუდგომელია, გამოდის, რომ ათასი და ათიათასი წლების წინათ ოკეანე, შირმახერის

ოაზისთან, ზაფხულობით დნებოდა და მისი დონე გაცილებით მაღალი იყო. მხოლოდ ასეთ პირობებში შეძლებდა ჩვენი სელაპი ამ ადგილზე მოხვედრას. ზუსტად თქმა ძნელია თუ რამდენი ხანი დასჭირდა იმას, რომ მისი სხეულის ზედა ნაწილი ქარს წაეღო, ხოლო ქვედა კი მუმიად ქცეულიყო, მაგრამ იმის ვარაუდი, რომ უამრავმა წელმა და იქნებ მეტმაც განვლო, ალბათ, შეიძლება.

იმ ხნის განმავლობაში, რაც ჩვენ აქა ვართ, გრიპი ან სურდო არავის დამართნია და არც დაემართება. ათასნაირი გრიპი, კონტინენტებზე რომ არის გავრცელებული, აქამდე ვერ აღწევს. მაგრამ ამბობენ, სახლში რომ დავბრუნდებით, პირველად მაინც გრიპი და სურდო მოგვერევა, რადგან მათ მიმართ იმუნიტეტი გვექნება დაქვეითებული.

რაღაც უცნაური შეგრძნებაა, ჩვენი- მოზამთრეების, ორი ძაღლისა და „იმპერატორების“ გარდა არავითარი სულიერი არსება ირგვლივ არ არსებობს. კანი ერთხელაც არ მოგეფხანება, არც კოღო გიკბენს, არც ბუზი დაგაჯდება, არც ჭიანჭველა გადაგივლის. ამას წინათ, მორიგეობის დროს, ხახვს ვარჩევდი და ყუთიდან რამდენიმე ქინქლა ამოფრინდა. ვუყურებდი და გამეცინა - კაცს ქინქლას დანახვა როგორ უნდა გაეხარდეს ასე

22 ივნისი

დღე მატებას იწყებს, მზე მაღლა იწევს. დღევანდელი დღე სამხრეთ პოლარელებისათვის - ანტარქტიდის მოზამთრეებისა-თვის დიდ დღესასწაულად ითვლება. მოზამთრეობის ნახევარი გავლილია, სიძნელები უკან ჩამოვიტოვეთ, პოლარელი გამოწრთობილია და დღეიდან ნამდვილ პოლარელად ითვლება.

ყველა სადგურმა მოგვილოცა ნახევარი ზამთრის გასვლა, ჩვენც ყველას მივულოცეთ. ინსტიტუტმა, მთავარმა სამმართვე-ლომ და ბევრმა ორგანიზაციამ გამოგვიგზავნა დეპეშები. გული-თადად მოგვილოცა ამერიკის პრეზიდენტმა ფორდმა. თითქმის

ყველა მოზამთრემ მიიღო მოლოცვა ოჯახებიდან. ჩემებს, აბა, საიდან უნდა სცოდნოდათ ასეთი დღესასწაულის არსებობა, თორემ ხომ მომილოცავდნენ. გუშინ ცენტრალურმა რადიომ კიდევ მოაწყო მოზამთრეების ახლობლების ჩანაწერების გადაცემა.

დილით კარგ გუნებაზე ვართ. საუზმის შემდეგ პირველ ექსპედიციაზე გადაღებულ ფილმებს ვუყურებთ. სადილის შემდეგ სიმძიმეების აწევაში შეჯიბრება მოვაწყვეთ. მოიტანეს ორ და ერთფუთიანი საწონები; ექვსივე გუნდი ერთმანეთს ვეჯიბრებით ორივე ხელით სიმძიმის აწევაში. პარალელურად პირადი პირველობაც ტარდება, ვინ აღმოჩნდება ყველაზე ღონიერი მოზამთრე. შეჯიბრება ისეთი აზარტული გამოდგა, რომ ასაკის მიუხედავად, თითქმის ყველამ მიიღო მონაწილეობა. მთელი დარბაზი ითვლიდა, ოხრავდა, იყო მკლავების დაზელვა - მასაჟი და ჭკუის დარიგება, კილოგრამების შეჯამება და პროგნოზები.

სიმძიმეს რამდენჯერაც აწევდი, საწონის წონაზე იმის ნამრავლი გეთვლებოდა. ყველამ ერთფუთიანის აწევა ამჯობინა. ღონიერი მზარეული გვაყვს - ვიტია მოროზოვი, იმან ორფუთიანს დაავლო ხელი და... შეცდა, ერთფუთიანით კოლია ნაზაროვმა გაასწრო. პირველ-მეორე ადგილზე, წინასწარ ვიცოდით, გენა ივანოვი და ადოლფ ხლოპაჩოვი იქნებოდნენ - ძალოსნები არიან. ხლოპაჩოვმა ერთფუთიანი 110-ჯერ ასწია მარცხენა და მარჯვენა ხელით. გენადიმ შეატყო, რომ მოუგებდა და ორფუთიანი 68-ჯერ ასწია და მოუგო.

თავიდან ამ საქმეს სკეპტიკურად ვუყურებდი, ფუთიანი საწონი არასდროს ამიწევია, მაგრამ აზარტი მეც გადმომედო და დიდად მონდომებულმა 35-ჯერ ავწიე, ამდენჯერმევე ავწიე მარცხენა ხელით. შეჯამებისას, ჩემდა გასაკვირად, მეექვსე ადგილზე აღმოვჩნდი და საღამოს პრიზიც მიბოძეს - დიდის ამბით.

საღამოს 7 საათისათვის სამუშაოს სასწრაფოდ მოვრჩით და მოზეიმეებს შევუერთდით, ჩვენ რომ გვიცდიდნენ.

ძალოსნების დაჯილდოვების შემდეგ მთავარი ცერემონიალი დაიწყო. თეთრ ზეწარში გამოწყობილი, თავზე ბრჭყვიალა გვირგვინითა და ხელში ნახევარმეტრიანი, ლამაზი გასაღებით, ანტარქტიდის მფლობელის როლში, სადგურის უფროსი ნიკოლაევი გამოგვეცხადა. დაიწყო ახალბედების მონათვლა - ნახევარზე მეტი რომ ვიყავით.

გამოიძახებს მოზამთრეს, წითელ ფარჩაში გამოწყობილი, ცერემონიალმეისტერი ვიქტორ ევგრაფოვი და აფარებს თავზე ზეწარს. ივანოვი ექსპრომტად ლექსს წაიკითხავს, მერე დაიქუხებს ცერემონიალმეისტერი - დაიჩოქე ყოვლად ძლიერის წინაშეო - და მუხლებზე დაეშვები. დაგადებს თავზე გასაღებს ყოვლის-მფლობელი და იწყებს მონათვლას. რასაც დაგავალებს, უნდა შეჰპირდე, რომ შეასრულებ და სწრაფად უპასუხო- იყოს ნება თქვენიო - თორემ ცუდად წაგივა საქმე.

- შემპირდი, რომ სამუშაოს ხარისხიანად შეასრულებ და არ ითაღლითებ!

- გპირდები;

- შემპირდი, რომ რადიობიუროს ახალ შენობაში გადაიტან ექსპედიციის დამთავრებამდე!

- გპირდები;

- შემპირდი, რომ დღეიდან არყის სმას გადაეჩვევი!

- იყოს ნება თქვენი.

- ზოგიერთების საყურადღებოდ - სულ უსმელობაც არ ვარგა, შემპირდი რომ დღეიდან სმას დაიწყებ და დაეჩვევი!

- გპირდები;

- შემპირდი, რომ დღეიდან ხარისხიანი დურგალი იქნები და ახალ სახლში ნორმალურ კარებს ჩამოკიდებ!

- ყოველ ღონეს ვიხმარ;

- შემპირდი, რომ შენ სხეულს კარგად მოუვლი და სახლში რომ ჩახვალ ცოლი კმაყოფილი დაგრჩება!

- გპირდები.

ჩემი ჯერიც დადგა:

- შემპირდი, რომ ოღრო-ჩოღრო მთაში სიარულს თავს გაანებებ და ამიერიდან ყოველ მეორე წელს ანტარქტიდაში წამოხვალ და აქაურობას შეიყვარებ!

- გპირდები (კიდევ კარგი რომ ხუმრობს).

მერე ძველ მოზამთრეებს ეკითხება: მივიღოთ მოზამთრეების ოჯახში?

- მივიღოთ!!!... ყვირის მთელი დარბაზი.

- ამინ!..

მეღვინეთუხუცესი ფიალას ღვინით ავსებს, ცოტას თავზე დაგასხამს და გაწვდის. დალევ ღვინოს და ამიერიდან ნამდვილი პოლარელი ხარ. ცერემონიამ ორ საათამდე გასტანა და დარბაზში სიცოცხლე არ ეტეოდა, ყველა ვმონაწილეობდით და ვყვიროდით, ჭამა-სმა არავის ახსოვდა, სიცილისაგან გავიბერეთ და ერთმანეთს ვასკდებოდით. მთავარი მაინც მბრძანებელი იყო, რა შეკითხვებს არ იგონებდა სერგეი ნიკოლაევიჩი თანაც, რასაც მეტს ვიცინოდით, უფრო მეტად სასაცილოს იგონებდა. თვითონ და მისი „შტატი“ კი ისე სერიოზულები იყვნენ, რომ ერთხელაც არ გაუცინიათ.

ბოლოს მივულოცეთ ერთმანთს ნახევარი ზამთრის გასვლა, ვადღეგრძელეთ აქ და სახლში მყოფნი. სადგურის ყველა წევრს ვუსურვეთ უქარო მოზამთრეობა და პურ-მარილი გვიანობამდე გავაგრძელეთ.

28 ივნისი

სწორეთ ამ დროს, საბოლოოთ გავერკვიე ერთ საიდუმლოებაში, რომელიც მეტად დელიკატურ და ამავე დროს მნიშვნელოვან საკითხს ეხებოდა და რომელსაც პირველ

ხანებში ყველა ახლადჩამოსულს უმალავდნენ. ექსპედიციის შემადგენლობის შეცვლისას, ერთ-ერთი, მეტად სერიოზული საქმეა ქონების გადაბარება, მაგრამ წამსვლელებს ისე ეჩქარებათ მარადიული ყინულის სამყაროს ტყვეობიდან თავის დაღწევა, რომ ამ პროცედურას ზერელედ, ფაციფუცით აკეთე-ბენ, ახალბედებსაც ესმით მათი მდგომარეობა და მანდამაინც არ ედავებინ, ერთის გაედა - არყის გამოსახდელი აპარატის გადაბარებას ორივე მხარე მთელი სერიოზულობით ეკიდება. გამოსახდელი ქვაბი არალეგალურია და არაყიც არალეგალურ ოთახში იხდება, ამიტომ გადაბარებაც არაოფიციალურია და არც არავითარი საბუთი არ დგება, სამაგიეროდ ამ აქციის მონაწილენი უდიდეს პასუხიმგებლობას გრძნობენ თავისი თავის და კოლეგების წინაშე! ერთი კია, რომ არავის არ ადარდებს ნედლეული, მისი სიუხვის გამო. შაქარი, რომლის-განაც სპირტი იხდება, აღურიცხავი რაოდენობის ტომრებისაგან შემდგარ შტაბელებად აწყვია მორენაზე, ღია ცის ქვეშ, წლების განმავ;ობაში და ოდნავაც არ არის შელახული. მიუხედავად ამ სტრატეციული მასალის სიუხვისა, ყოველ ახალ ექსპედიციას ახალი ულუფა ჩამოაქვს და არავინ დაფიქრებულა - ვინ სვავს ამდენ ტკბილ ჩაის ტკბილ ნამცხვართან ერთად. გადაბარების დროს მეც შევამჩნიე რაღაც ფუსფუსი, მაგრამ სიტყვა ბანზე ამიგდეს - არაფერია შენთვის საინტერესოო! მერე, როცა ძვე-ლები წავიდნენ და კანარის კუნძულებზე უხვად მომარა-გებული სპირტის მარაგიც დაილია, მთელი სიმძლავრით ამოქმედდა სპირსახდელი ინდუსტრია. ტექნოლოგია კი მეტედ მარტივია - უშურველად ჩაყრიან ქვაბში შაქარს და დაასხავენ წყალს, დიდხანს ურევენ და დადგავენ სითფოში „დასაღვინებლად“. ორი - სამი დღის შემდეგ იწყება მთავარი და საპასუხისმგებლო საქმე - დეგუსტაცია, იმის დასადგენად, თუ როდის იქნება მზათ ეს თოვლივით თეთრი მასა სპირტის

გამოსახდელათ. სინჯვაში ყველა მონაწილეობს და შედეგიც სათანადოა. თუ იმასაც გავითვალისწინეთ, რომ ამ პროცე-დურას აუტანელი თავის ტკივილი მოსდევს, დილას შედეგიც სახეზეა. თუ პირველ ორ დღეს, გემო რომ გაუგო, ამისათვის სამი „კრუშკის“ გადაკვრა მაინცაა საჭირო, მეხუთე- მეექვსე დღეს კონდიციამდე მისვლისთვის ერთიც საკმარისია. მერე სპირტის გამოხდის დროც დგება - ჩვეულებრივი, ჭაჭას რომ ხდიან ისე. თავიდან პროდუქცია თვითოეულ წევრზე ნაწილდებოდა თანაბრად, შემდეგ სისტემა შეიცვალა, რადგან დადგა გამოუფხიზლებლობის ჟამი - რუსულად „ЗАПОИ“, ეს იმას ნიშნავს, რომ თვითოეული იმარაგებს თავის სამყოფ სასმელს, განმარტოვდება თავის ოთახში და იწყება სმისა და ძილის მონაცვლეობა, რომლის ერთფეროვნებას მხოლოთ წინასწარ მომარაგებული ცოტაოდენი მშრალი საკვების მიღება და უჩუმრად საპირფარეშოში სიარული არღვევს. ასე გაივლის 5-7 დღე, სანამ ორგანიზმი მთლად არ გამოიფიტება, მერე გამოვა და დაგვენახვება - წვერგაუპარსავი, გამხდარი , ყვითელი, მაგრამ გაიპარსავს წვერს, მოიწესრიგებს თავს და ჰოი საოცრებავ - ჩვენს წინაშეა ხალისიანი, ენერგიით და სიკეთით სავსე ადამინი. - მის ნახვას არაფერი სჯობს. ასეთი რამ არავის უკვირს, არც არავინ კითხულობს - სად იყო, რომ არ ჩანდა ამდენ ხანს (ისინიც ხომ არავინ მოიკითხა), დაუწერელ კანონად არის მიღებული, თუ ვინმემ „გადააბა“. მისი წილი სამუშაო სხვებმა უნდა გადაინაწილონ. ამ ამბავში რომ გავერკვიე, მორიდებით ვთქვი - ჩემთვის, შეუჩვეველი კაცისათვის, სანამ შევეჩვევი, ძნელია ეს ამბავი, მაგრამ თქვენ წილ მორიგეობას უსიტყვოდ შევასრულებ - მეთქი. ძალიან და ორმაგად გაეხარდათ - შემაქეს და მომიწონეს საქციელი. ასე გაგრძელდა თითქმის ორი თვე, მაგრამ შევატყვე, რომ ძალზედ გადავიღალე და უარი განვაცხასე, რაღას იზამდნენ, სმას ხომ

არ გაანებებდნენ თავს და იძულებული გახდნენ მორიგეობა ერთმანეთში გადაენაწილებინათ.

მთელ ობსერვატორიაში სულ ხუთი კაცია რომ საერთოდ არ სვავს და ამით შოკოლადის კამფეტების ულუფას იორმაგებს. საქმე იმაშია, რომ მოზამთრეებს დრო და დრო შამპანურს, არაყს, კონიაკს, ღვინოს და შოკოლადს გვირიგებენენ და იწყება ცხოველი აღებ-მიმცემლობა მსმელებსა და არამსმელებს შორის, კონიუნკტურა კი ყოველთვის არამსმელების მხარეს ყალიბდება მათი სიმცირის და სასმელის დეფიციტის გამო.

რატომ მოვიგონე ყოველივე ეს? სულ ახლახანს იყო, ამ საკითხს საგანგებო პარტიული კრება რომ მიეძღვნა, ცენტრიდან ბრძანება დაუშვიათ სპირტის განაწილების წესის შეცვლის შესახებ, იმ მიზეზით, რომ „მოლოდიოჟნაიაში“, ჩემ ძველ ნაცნობს, ტიუტიკოვს - ნასვამს, გზაში ჩასძინებია და გაყინულა, ჰოდა, მსგავსი შემთხვევების აღმოფხვრის მიზნით, ტექნიკური მიზნებისათვის გამოყოფილი სპირტის ნორმა გაუნახევრებიათ. კრება მშვიდად დაიწყო, მაგრამ მერე ვნებათაღელვამ იმატა და გამოსვლებმა პროტესტის სახე მიიღო. ბევრი გამოთქვამდა აღშფოთებას ასეთი გადაწყვეტილების გამო. ისე გამოდიოდა, თითქოს ,სალოკაციო სადგური, რადიო და ტელეტექნიკა, ძრავები და ტრანსპორტი ერთიანად გაჩერდებოდა, სპირტით გულიანად თუ არ იქნებოდა გაწმენდილი. ამას ისეთი სერიოზულობით ამბობდნენ, ვითომ სპირტის ერთი წვეთი მაინც გამოეყენებინოს ვინმეს ამ მიზნებისათვის. ყველამ რომ გამოთქვა თავისი მოსაზრებები, თავჯდომარემ მეც მომმართა - შენ რას იტყვიო. მეც გამოვხატე ჩემი, უფრო ბრძნული მოსაზრება და ბოლოს იმით დავამთავრე - ეს რომ ამერიკელებმა გაიგონ, თავი მოგვეჭრება, ისინი ხომ „მაკ -მერდოში“ განუსაზღვრელად ხმარობენ სპირტს

ტექნიკური მიზნებისათვის - მეთქი. ჩემი ეს სიტყვებიც შეიტანეს ოქმში, მაგრამ ვეჭვობ, რომ ამან უშველოს საქმეს!

7 ივლისი

გუშინ ღამე ისევ გადაცემა იყო - გალკინის ცოლი ლაპარაკობდა. მერე გადაცემა რამდენიმე წუთით გამოირთო. ისევ რომ ჩაირთო, თურმე უკვე კომაროვის ცოლი ლაპარაკობდა. მოყვა ოჯახის ამბებს, რომ ბავშვი თავს კარგად გრძნობს და უკვე მამას ამბობსო. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ თითქოს გალკინის ცოლი აგრძელებდა ლაპარაკს.

ვიცოდით, რომ გალკინს შვილი დიდი ჰყავს და გადაცემა აირია, მაგრამ თავი მოვიტყუეთ და გალკინი რომ შემოვიდა, ყველამ მივულოცეთ ბავშვის შეძენა. საშა საშინელ უარზე იყო, დიდი გოგოს მეტი ბავშვი არა მყავსო. ატყდა სიცილი, დაიწყეს ანგარიში, რამდენმა თვემ გაიარა მისი სახლიდან წამოსვლიდან, ანუგეშებდნენ, ასეთი ამბები მოზამთრეებში გასაკვირი არ არის, ნუ იდარდებო. მერე სახელის შერჩევა დაიწყეს, მაგრამ აქ ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ გალკინმა არ იცოდა გოგო შეეძინა თუ ბიჭი, სულ მთლად გაწითლდა, ენა ჩაუვარდა. არ ვიცი იმ წუთში სერიოზულად მიიღო ეს ამბავი, თუ ხუმრობა არ ჩაგვიშალა.

16 ივლისი

დიუმონ-დირვილიდან დეპეშა მივიღეთ - ფრანგები გვთავაზობენ ჭადრაკის თამაშს მიმოწერით. ვუპასუხეთ, რომ დიდი სიამოვნებით ვეთამაშებით, მხოლოდ იმ პირობით, რომ წაგებული გუნდი ერთ ყუთ შამპანურს იკისრებს. შამპანურის მოყვარული ფრანგები ალბათ, დაგვთანხმდებიან.

მერე ჭადრაკი ვითამაშეთ და ჭადრაკსა და ძილს შორის ფიქრში ჭადრაკის გენიალურობას გავყევი და, როგორც იქნა, მივხვდი, რომ ამას ერთი კაცი ვერ გააკეთებდა. ეს – პროცესია

შემოქმედი ხალხისა და დროის ნაყოფი. მაგრამ ხომ არის ერთი კაცის გენიაც, ხომ გაქვს შენც ამ ერთი კაცის საუნჯესთან ზიარების უფლება, ისეთი, სხვას რომ არა აქვს? – გაქვს! იგივე ხომ აქვს ოჯახს? = აქვს! იგივე შენ ქვეყანასაც ხომ აქვს? – აქვს! აბა, როგორ! მაშ თუ აქვს – მეც მქონია, ჩემ ოჯახსაც და ჩემს სამშობლოსაც - „ვეფხისტყაოსანი''.

მე იმის თქმა კი არ მინდა რა ზომის და რა წონისაა გენიოსი რუსთაველი, (დღევანდელმა ტექნოლოგიამ ჯერ ვერ დაამზადა ისეთი საზომი და ვერც საწონი ერთეული, იმის ზომა-წონა რომ გაზომ-აწონოს – ეს მომავლის ან შორეული მომავლის საქმეა), იმას ვამბობ - როგორ შეიძლება დღევანდელი მისი წამკითხველი ადამიანი აიწონოს. ჩემი ბიბლიოთეკის სხვადასხვა დროს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის'' 30 წიგნიც დიდ ვერაფერს ამბობს ჩემი წონისა და, თუ გნებავთ, ჩემი ზომის შესახებ.

ადამიანებო! დაგბადებიათ შვილი? ჩაგივლიათ ან ამოგი-ვლით, განსაკუთრებით როცა ძალიან ცხელა, დარიალის ხეობაში ფეხით? ხართ ნამყოფი უშგულში? ყოფილხართ სტუმრად ოჯახში კახელ გლეხთან? სწვევიხართ ოდესმე ლადო გუდიაშვილს მის სახელოსნოში, თავის სურათებზე თვითონ რომ ჰყვება? თუ ყოფილხართ, ხომ გახსოვთ ის გრძნობა, იქიდან რომ გამოდიოდით? ჰოდა, მსგავსი გრძნობა გებადება ქართველ კაცს რუსთაველს რომ კითხულობ, მხოლოდ ისე კი არა, ჩვენ რომ სკოლაში გვასწავლიდნენ – არამედ დინჯად, მარტო, მარცვალ-მარცვალ, სამჯერ რომ დაუბრუნდები სტროფის წაკითხვას და მერე გააგრძელებ, დაგენანება წინა სტროფი და ისევ დაუბრუნდები და შენ გაკვირვებას და სიამოვნებას საზღვარი არ აქვს, დაამთავრებ კითხვას დაღლილ-დაქანცული და იწყებ დღევანდელი ამაოების შედარებას მისი სიბრძნის განუზო-მლობასთან. ერთხელ რომ შეადარებ – შენი ფასი ამ დონისაა, ორჯერ-სამჯერ რომ შეადარებ – იმ დონისაა, ხოლო სულ

შედარებაში თუ იქნები – უზომოა შენი ფასი, შენს თვალში მაინც. იმ შემთხვევაში, თუ შეფასება არ გამოგდის – ხელმეორედ უნდა წაიკითხო ეს დალოცვილი - წვრილად.

დასკვნაც გავაკეთოთ! წერა-კითხვის მცოდნე, ზრდადასრულებული ქართველი კაცი ორ კატეგორიად იყოფა – „ვეფხისტყაოსანის“ წვრილად წამკითხველებად და ვისაც ეს ჯერ არ გაუკეთებია. არის უკატეგორიოებიც, ვისაც სულ არ წაუკითხავს; ან არ წაუკითხია და ამბობს რომ წაკითხული აქვს და იცის რომ არ წაიკითხავს.; არ წაიკითხავს იმიტომ, რომ აზრი არა აქვს წაკითხვას (ერთხელ ხომ სცადა); ან დრო არ რჩება წასაკითხად – სულ მთვრალია თავის თავზე წარმოდგენით; ან სულ ანგარიშობს სიცოცხლის ბოლომდე და სხვა რამეზე დრო არ რჩება; ან დასვენება უყვარს მეტად, რომ ჯანმრთელობა არ შეერყეს; ან ხალხზე ვითომ ზრუნავს და ჰგონია რომ ხალხზე ზრუნავს; ან წიგნსა წერს და ჰგონია, რომ მართლა წიგნსა წერს. ყველა კი ერთად აღიარებს, რომ რუსთაველი ქართული მწვერვალია. ხოდა რა ქნას ამ ერთმა კაცმა იმაზე მეტი, რაც გააკეთა.

18 ივლისი

ლოკატორის ანტენა გამოვიდა მწყობრიდან, დილიდან დაიწყო შეკეთება მარინსკიმ, მე და სლესარენკო ვეხმარებით. სამუშაო ისეთი ხასიათისაა, რომ მონაცემების დამუშავების შემდეგ 1500-მდე ციფრი უნდა უკარნახო პარტნიორს, რომ ტელეტაიპზე დაბეჭდოს. ისე ხდება ხოლმე, რომ ჩემი მორიგეობის დროს კომაროვი ბეჭდავს და მე ვკარნახობ. ტელეტაიპის ხმაურში ციფრი ხმამაღლა და გამოკვეთილად უნდა თქვა. იურას ცოტა ყურს აკლია, მე ხმამაღლა კარნახი მეზარება, ჯერი ორმოცდაათზე და სამოცზე რომ დადგება ხოლმე, ვერ არჩევს ერთმანეთში და მეკითხება, თავიდან ცოტა ვღიზიანდები, მერე რომ დავუკვირდი, მივხვდი, რომ „ს“-ს, დიდი ოთოსავით, ვაცურებ და ეს ორი ციფრი

ერთმანეთს ემსგავსება. ეს უკვე მართობს და მეცინება, რომ ვერაფერს ვახერხებ და სიტყვას გამოკვეთილად ვერ ვამბობ. ცხოვრებაში ალბათ პირველი წინააღმდეგობაა, რომელსაც ვერაფერი ვერ შემიძლია მოვუხერხო.

ვკარნახობ და ვიცი - იურა გაჩერდება და შემეკითხება: „пятьдесят два?“ თუ სწორია ვეუბნები „да!“ - თუ ვეუბნები - “Нет!”, ე.ი. „ шестьдесят два“ ყოფილა და ორივეს გვეცინება.

19 ივლისი

იმის შემდეგ, რაც რადისტებმა ამბავი მოიტანეს, ჩვენ წასაყვანად თბომავალი „კრუპსკაია“ მოვაო - საქმე გაგვიჩნდა, ვახშმობის შემდეგ მთავარი სალაპარაკო თემა ეს არის. რადისტების არაოფიციალურ ცნობებს წვრილმანამდე ვარჩევთ. როდის გამოვლენ გემები, სად გაჩერდებიან, როდის მოვლენ ჩვენთან, ჩვენ რით წავალთ, რომელ ქვეყანაში შევივლით, სახლში როდის ჩავალთ. ყველას თავისი ვარიანტები აქვს. მითუმეტეს ძველ მოზამთრებს. მოყვებიან, რომ ამა და ამ წელს ასე იყო და, ალბათ, ახლაც ასე იქნება, მეორე არ ეთანხმება, თავის ვარიანტს გვთავაზობს და ა.შ.

ბოლოს ლაპარაკი ასე მთავრდება: ჩათვალეთ, რომ ივლისი გავიდა, ცოტა ხანიც და აგვისტოც გაივლის; სექტემბერში ბავშვები სკოლაში წავლენ, ჩვენც ოფიციალური გრაფიკი გვექნება, უკვე გვეცოდინება ვინ რით და როდის წავა; ოქტომბერში უკვე შედარებით დათბება, ტრანსპორტელებს „ვოსტოკზე“ გავაცილებთ, მერე ნოემბრის დღესასწაულები დადგება, „პახმელიებში“ დღეები სწრაფად გადის, მერე დეკემბრის ბოლოს გემები მოვლენ, მერე ახალი წელი და... მორჩა, დამთავრდა ექსპედიცია! იმედიც კარგი საქმეა. კარგ ხასიათზე ვდგებით - თითქოს 5 თვემ უკვე გაიარა და... მორიგე-მექანიკოსს ვატყობინებთ, რომ კინოს საყურებლად მზადა ვართ. ...დღეს ჩემი ქეთინოს დაბადების დღეა!

არა მგონია ქვეყანაზე სხვა კიდევ ვინმე იყოს ასეთი ჭკვიანი, ასეთი ლამაზი, ასეთი კეთილი, ასეთი ჯანსაღი გოგო! ეს 12 წელი სულ სიყვარულში, სულ მხიარულებაში, სულ ერთმანეთის ფერებაში გავატარეთ.

31 ივლისი

დღეს რომ დადგა, იანვრის შემდეგ ასეთ წყნარი ამინდი არ ყოფილა, ქარი ოდნავ, ან თითქმის არ უბერავს. გარშემო ყველაფერი სხვანაირია, უფრო სწორად კი - ჩვენთვის ჩვეულად გვეჩვენება, თოვლმა თოვლის სახე მიიღო და ციდან ფიფქებად ცვივა! ძველს, უკვე, 20-30 სმ დაათოვა - რბილი, ფაფუკი, ჩვენთან მთაში რომ იცის - ისეთი. ქარის დროს ციდან თოვლი არასდროს ვარდება, ქარს იგი კონტინენტის შუაგულიდან მოაქვს. აქ თუ მოდის თოვლი, მიწამდე ვერ აღწევს, რადგან ქარს იგი ოკეანეში გააქვს. ცა ხშირად არის მოწმენდილი, მზე აცხუნებს, მაგრამ მის სითბოს ვერ გრძნობ ქარის გამო. დღეს კი სახლის კუთხეში დავდექით და მზეს მივეფიცხეთ. რა კარგია, თურმე, მზე რომ გათბობს!

ერთი სიტყვით, ქარისაგან შექმნილი უხეში, მძიმე, გახე-ვებული, დაკუთხული ფორმებისაგან შედგენილი გარემო დღეს მოსულმა თბილმა თოვლმა დაარბილა, დაამრგვალა და გაამსუ-ბუქა.

ჩვეულებრივ, სადგურის, ტერიტორიის ცენტრში გავლისას, სადაც ქარმა თოვლი ისე გაამყარა, რომ ყინულად აქცია, ფეხი ხშირად გვიცურდება და ვეცემით. ჰოდა, რომ დაეცემი კუდუსუნის ძვალი ისე მწარედ გეტკინება, თითქოს ბეტონზე ან ასფალტზე დაცემულხარ. დღეს კი რბილად გავიარე იმ ადიგლზე და სრულ სიწყნარეში თოვლი უცნაურ ხმებს გამოსცემდა, თითქოს თუნუქის სახურავზე დადიხარო, ისეთი ხმები ისმოდა. კნავილის, ღმუილის ხმებიც მომესმა და გამახსენდა ერთი პოლარელის

ნაამბობი: სადგურ „ლაზარევსკაიაში“ ზამთარში, ღამე შემოვარდა ტექნიკოსი და ამბობს - გარეთ ვიყავი, წყნარი ამინდია და ნამდვილად ადამიანების ხმა მომესმა, საშველად გვეძახიანო. ყველა გარეთ გავარდა. აბა, როგორ შეიძლებოდა რომ ადამიანები ყოფილიყვნენ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მათაც მოესმათ ხმები. მერე, ერთმა მოიფიქრა. მოდი ფეხები სულ არ გავანძრიოთ ხმები თუ გამეორდებაო - სცადეს და, მართლაც, სიჩუმე არ დარღვეულა. დაიწყეს ადგილზე მოძრაობა, ხმები განმეორდა. თურმე ქარისაგან სხვადასხვა სიმყარის დაკრისტალებული თოვლი, შენობასთან სიახლოვის გამო გამოსცემდა ასეთ, უცნაურ ხმებს.

3 აგვისტო

დღეს ჩემი მორიგეობა იყო და ვახშმად ხახვში კარგად მოხრაკული ხორცი და შემწვარი კარტოფილი შევთავაზე, კონსერ-ვირებული წითელი პამიდორი და საწებელაც გვქონდა.

საერთოდ კვებაზეც უნდა ითქვას, ალბათ, ერთი-ორი სიტყვა. დილით გვთავაზობენ ყველს, შებოლილ თევზს, ძეხვს, ქაშაყს, არაჟანს ან მაწონს, ყავას, ნამცხვარს; ხშირად გვიკეთებენ ბლინებს არაჟნით - ძალიან გემრიელს; სადილად პირველი, როგორც წესი, ხორციანია, მეორეზე ცხვრის, ძროხის ან ხბოს ხორცია, გარნირით; ამას ყოველთვის მოსდევს კომპოტი, ვაშლის, ალუბლის ან ატმის წვენი, იშვიათად - კისელი; ხშირად გვაქვს ქაშაყი, რომელსაც დიდი მადით შევექცევით. ვახშამზე ზოგჯერ ხორცეულის მაგიერ თევზია, ჩაი, ორცხობილა ან სხვა ნამცხვარი. დროდადრო ტორტსაც გვიცხობენ, გემრიელსა და კარგად გაფორმებულს.

შაბათობით, აბანოს დღეს, შესასვლელში ცივი ბურახი გვხვდება, სადილზე კი თითო ბოთლი ავსტრალიური ლუდი „ლეოპარდი“. კვირას აუცილებელად ქათამს ან ინდაურს გვიხარ-შავენ, საღამოს კი მურაბასთან ერთად სხვა ტკბილეულსაც გვიმატებენ.

კაცმა რომ თქვას, ჩვენი მზარეულები ცუდად არ ამზადებენ, მაგრამ ერთფეროვანი პირველი და მეორე კერძი მოსაბეზრებელი გახდა. პირველიდან ყველას, უსიტყვოდ, ჩანახი მოსწონს, ჩვენსას მარტო დასახელებით რომ ჰგავს, მაგრამ სხვას რომ მაინც სჯობია.

დადგება ხოლმე დრო, კაიუტ-კომპანიაში ხალხი მზარეულის ფანჯარასთან შეიკრიბება, აფუსფუსდება ფანჯრის გაღების მოლოდინში; ენაწყლიანი მორიგე მაგიდებზე პილპილს, მარილს, კარაქს, ხელსახოცებს დააწყობს, ხოლო რაფაზე კოვზებს, დანებს, ჩანგლებს, ჭიქებს დაალაგებს. ფანჯრის გაღების შემდეგ ყველა ხონჩას სახურავს ხდის და გადმოიღებს - იმას, რაც უნდა და რამდენიც უნდა. თუ იმით ვიმსჯელებთ, დახლის რომელი ნაწილი ცარიელდება უპირატესად, ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ მეტ მოწონებას შემწვარი სუკი, წითელი თევზი, სოკო, შებოლილი ძეხვი, დოში, კარგად შემწვარი უნგრული ქათამი, მჟავე კიტრი და ატმის კომპოტი იმსახურებს - მზარეული დახლზე მათ გამოდგმას ვერ ასწრებს. სხვა კერძები შედარებით ზანტად ცარილდება.

ერთხელ ჩვენმა მეორე მზარეულმა და კონდიტერმა საშა ტალისმა „შუ“ გამოაცო და ჩვენც წინასწარ საქმის კურსში ჩაგვაყენა. მიხვდა, რომ 200-300 ცალის გამოცხობა გაუჭირდებოდა და განცხადება გამოაკრა - ორზე მეტი რომ გადაიღო, შენ გაწყენს და თანაც შენს მეგობარას არ შეხვდება!!!

ჰაერის სიმშრალის გამო უზომოდ ბევრ სითხეს ვიღებთ, განსაკუთრებით მე, მუცელი სულ გაბერილი მაქვს. ვახშმის შემდეგ ორ - სამ ვედრო კომპოტს ან მურაბიან წყალს გადავსანსლავთ ხოლმე, ყოველ დღე - კინოს დამთავრებამდე. ამათ გაზიანი ლიმონის წყალი გვირჩევნია, მაგრამ კარგა ხანია გაზის დანადგარი გაგვიფუჭდა.

ჭამის მადა ყველას კარგი აქვს და თუ ვინმეს წინ ჩვეულებრივ ულუფაზე ორჯერ მეტი არ უდევს, ეჭვი გვეპარება, შეუძლოდ ხომ არ არისო.

პირველ თვეებში, როცა ყველას ერთნაირად ჰაერზე ინტენსიურად ფიზიკური შრომა გვიწევდა, ჭამის მადაც ერთნაირი ჰქონდა. ბოლო ხანს დიდი ფიზიკური დატვირთვა ტრანსპორტელებსა და მშენებლებზე მოდის და ეს მათ თეფშებზეც აისახება. ყველასაგან კი მაინც რადიობიუროს უფროსი, დიდი და ფერდებჩასუქებული, 40 წელს მიღწეული ბორის კაზადაევი გამოირჩევა, რომლის თეფში ყოველთვის პირთამდე ივსება - სამუშაოს ხასიათის, ამინდისა და განწყობის მიუხედავად. ცოტა უცნაური კაცი კია ბორია - ექსპედიციაში მეხუთედ თუ მეექვსედაა. თავისი საქმის ბრწყინვალე მცოდნე, ძალზე ნაკითხი, განათლებული, უცოლშვილო, ენამოსწრებული ახმახი, მხოლოდ სამუშაოთი და წიგნის კითხვითაა დაკავებული - არც კინო, არც რაიმე თამაში, არც კრება-ლექცია, არც სმა და არც ღრეობა მისთვის არ არსებობს. ახალი რადიობიურო ჩვენი დერეფნის ბოლოში ეწყობა და ხშირად დავკვირვებივარ როგორი სიყვარულითა და მონდომებით ახმარს თავის დროსა და ცონდას რადიომოწყობილობის მონტაჟს. რომ დაიღლება, თავის ოთახში ჩაიკეტება და კითხულობს. თუ დაგელაპარაკება, სულ ჩქარობს, მაგრამ რაიმე ორიგინალურის, სასაცილოს მოყოლას მაინ მოასწრებს. ანდა ლუდში შოკოლადის ან წვენის გაცვლას შემოგთავაზებს. თუ იმასაც გაითვალისწინებთ, რომ რაც აქ არის, თმა არ შეუკრეჭია, ადვილად წარმოიდგენთ თუ რა იერი აქვს ამ გოლიათი აღნაგობის კაცს.

იმის გარდა რომ სასადილოში რეგულარულად ვიკვებებით, ორ თვეში ერთხელ პერსონალურ ულუფებსაც გვირიგებენ - გამოაცხადებენ, ჩვენც ჩანთებით გამოვცხადდებით და თითოეულს 5-8 კგ. ვაშლს, შოკოლადის 10-20 ფილას, მანგოს წვენს, კონსერვირებულ ანანასს, თხილს, ყავას, 10-20 ბოთლ „ბორჯომსა“ და კიდევ სხვადასვხა დელიკატესებს გვირიგებენ ხოლმე.

7 აგვისტო

ობსერვატორიაში 53 მოზამთრე მამაკაცი, ერთი მამალი და ერთიც დედალი ძაღლია. მამალი ძაღლი სტაჟიანია, მეოთხე წელია ზედიზედ ზამთრობს, სახელად „მარკონი“ ჰქვია - რადიოს იტალიელი გამომგონებლის გვარი. გასულ ექსპედიციაში რადისტებთან ცხოვრობდა და მათ შეარქვეს ეს სახელი. ახლა უკვე ხანში შესულია, დინჯად დააბიჯებს, არასდროს გაიქცევა. როცა ეფერები, კუდის ქიცინით გატყობინებს, რომ კმაყოფილია. კაიუტ - კომპანიაში არასდროს შემოვა, მორიდებულია. საჭმელი მისთვის მექანიკოსებს სახლში მიაქვთ. „მარკონის“ მეგობარი - „ლუსია“, ჯერ ორი წლისაც არ არის - გერმანული ჯიშის ნაგაზია - ჩვენი გამრთობი. სადილისა და ვახშმის წინ კარებთან აიტუზება და ელის, როდის შევუშვებთ შიგ. ვისაც არ ეზარება ყველა კვებავს ხორცით და საკმაოდ განებივრებულია. ხორცს თუ ოდნავ სუნი ასდის, ახლოს არ გაეკარება - ჩვენ კი არა გვგავს!

სადილის მერე, დანაყრებულები ჰოლში დაბალ, გრეძლ სკამებზე რომ ჩამოვსხდებით ხოლმე, იწყება ლუსიას წვალება - ზოგი კუდში სტაცებს ხელს, ზოგი ყურში, ზოგი ფეხში. დახტის, იღრინება, გაუთავებლად ტრიალებს, გორაობს, იკბინება, ფეხსაცმელებზე გექაჩება, არ ბეზრდება თამაში. მერე ჩვენც ვიღლებით, ვეშვებით, ისიც წყნარდება, შუა ოთახში გაწვება, გაიტრუნება და წყლიანი თვალებით შემოგვყურებს ხან ერთს, ხან მეორეს. ალერსს მონატრებული ვინმე მივა, გადაუსვამს თავზე ხელს, დაიდებს მუხლებზე წინა თათს. იმწამსვე გარდაიქმნება, მოგენდობა, მოგეფერება, აგილოკავს ხელებს, სახეს, დაგიწყებს ყასიდად ხელეზე კბენას. ხანდახან ვერ მოზომავს ხოლმე და მტკივნეულად ჩაგასობს კბილებს. დაუყვირებ - „ლუსია, მტკივა!“ - და მაშინვე დაგანებებს თავს. ასტრონომებთან - იური უსტილოვთან და ოლეგ ვორობიოვთან ცხოვრობს და თუ ვინმე ხმამაღლა იკითხავს „ლუსია, იურა როგორ იგინება?“ - ორჯერ ხმამაღლა დაჰყეფს. მერე უფრო ენერგიულად ეკითხებიან -

„ოლეგი როგორ იგინება?“ სამჯერ, ოთხჯერ ისე დაიყეფებს, რომ ოთახში მყოფთ დაყრუება გვემუქრება.

ახლა ძაღლები ანტარქტიდაში უსაქმოდ არიან, მოზამთრეებს ართობენ მხოლოდ. თავის დროზე კი პირველ ექსპედიციებში, სანამ ტექნიკას შემოიტანდნენ, და მერეც, უძაღლოდ ანტრაქტი-დაში არცერთი ექსპედიცია რა ჩამოვიდოდა. ამუნდსენმა პოლუსი მარხილებში შებმული ძაღლებით დაიპყრო. რაც შეეხება სკოტს, მან ძაღლები პოლუსამდე მარშრუტის მხოლოდ ნაწილზე გამოიყენა და ბევრი მისი ექსპედიციის ტრაგიკული ფინალის ერთ-ერთ მიზეზად ამ ფაქტორსაც ასახელებს. ბერდსა და შელკტონს თავის ექსპედიციებში ასზე მეტი ძაღლი და მათი მომვლელი სპეციალისტი - კაიურები ჰყავდათ. ავსტრალიელმა რიჩარდ მოუსონმა გეომაგნიტურ პოლუსს ძაღლებით მიაღწია. ჩვენ პირველ ექსპედიციაშიც იყო ძაღლები, მაგრამ თანდათან მძლავრმა, მუხლუხიანმა ყველგანმავლებმა ძაღლებს სამუშაო წაართვეს და კონტინენტზე თვითონ გაბატონდნენ.

ინგლისელებმა ახალზელანდიელებთან ერთად 1957-58 წლეში, ვივიან ფუქსისა და ედმუნდ ჰილარის ხელმძღვანელობით, ტრანსანტარქტიდული სატრაქტორო გადასვლა მოაწყვეს სამხრეთ პოლუსზე გავლით და ძაღლების გაბატონების, შეიძლება ითქვას, დაღმა სვლას დაუდეს სათავ ე.

1958 წელს იაპონელები, სადგურის დახურვის აუცილე-ბლობის გამო იძულებული გახდნენ 15 ძაღლი იქ დაეტოვებინათ. ძაღლები ქამრებით დააბეს და რამდენიმე კვირის საჭმელი დაუტოვეს. თერთმეტი თვის შემდეგ დაბრუნებულ მოზამთრეებს ორი მათგანი კუდის ქიცინით შეხვდა. გადარჩენილებმა, ეტყობა, ქამრები გადაიხსნეს და ამ ხნის განმავლობაში პინგვინებითა და მათი კვერცხებით იკვებებოდნენ. შემდგომში იაპონელებმა, ამ 15 ძაღლს, ოსკაში, თეთრი მარმარილოს მონუმენტი დაუდგეს.

11 აგვისტო

ტრანსპორტელების უფროსმა ლებედევმა დღეს საბოლოოდ მითხრა უარი სატრაქტორო ექსპედიციაში მონაწილეობაზე, რომელიც ოქტომბრის ბოლოს „ვოსტოკზე“ წავა. უბრალოდ არავითარი შანსი არა მაქვს ექსპედიციაში ჩასარიცხად - ექიმად, შტურმანად და რადისტად მე ვერ გამოვდგები, არც ერთი მექანიკოსი - მძოლი და მზარეული უარს არ ამბობს წასვლაზე, მეტი ადგილი კი, ერთიც არ არის. ანატოლიმ ერთი იმედი კი მომცა, მყარი - თუ 12 მძღოლიდან ვინმე ავად გახდა, პირველი კანდიდატი შენ იქნები - პატიოსან სიტყვას გაძლევო. მისი მოადგილე იგორ ბუბელიც ამას მეუბნება. ვნახოთ რა გამოვა.

მე კი ისღა დამრჩენია, შევიდე ბიბლიოთეკაში და საინტერესო წიგნები გამოვქექო. დიდი და საინტერესო ბიბლიოთეკა გვაქვს. ყველა არჩევს და პოულობს თავის სულიერ საზრდოს, უფრო საინტერესო კი ხელიდან ხელში გადადის. ყველა ბევრს კითხულობს, ამისათვის დრო არ გვაკლია. ჩვეულებრივ პირობებში, სამუშაოდან თავისუფალი დრო გეხარჯება ოჯახში, ბავშვების აღზრდაში, მეგობრებში, ნაცნობ-უცნობებში, ჭამა-სმაზე და ჩაცმაზე ზრუნვაში, გაზეთის კითხვაში და კიდევ ათას წვრილმანში, რომელთა გამოც ცხოვრება მიდის შეუმჩნევლად, ხალისიანად. რაც ზემოდ ჩამოვთვალე, აქ არაფერ ასეთში დრო არ გეხარჯება, არაფერი არ გჭირდება და არავინ არა გყავს: საჭირო ტანისამოსი გაქვს, საჭმელად მარტო უნდა მოხვიდე და თეფშზე გადმოიღო, სამსახურში წასასვლელად ტრანსპორტი არა გჭირდება - გვერდზე ოთახშია და ა.შ.

რომ გადავთვალე, ამ რვა თვეში ასამდე წიგნი წავიკითხე, უთავბოლოდ და უსისტემოდ, ვკითხულობ იმას, რაც ამ წუთში მაინტერესებს და რისი კითხვისათვისაც განწყობილი ვარ. ამის პარალელურად წავიკითხე და დავამუშავე თითქმის მთელი ანტრაქტიკული ლიტერატურა - ატლასები, ანგარიშები, ანტარქ-

ტიკული ბიულეტენები, ენციკლოპედია და თუ კი სადმე რამეა ანტარქტიკის შესახებ. ასე, რომ გონებრივი საზრდო წლის ბოლომდე მეყოფა. ერთი სიტყვით ამდენი საკითხავი და საფიქრალი დრო არასოდეს მქონია. ისე კი, უინტერესო ყოფილა უზრუნველი ცხოვრება! ამიტომ გავყევი ამ დალოცვილი კონტინენტის გრანდიოზულობას და სილამაზეს და ამ გრანდიოზულობამ და სილამაზემ ერთი მსგავსი რამ გამახსენა მომავლიდან, ოთხმოციანი წლების იმ პერიოდიდან ზვავმა და მეწყერმა რომ ავნო დასავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობას და გაჩნდა კარგი მიზეზი ახალი დასახლებების შენებისა – შუა და ქვემო ქართლში. ეს ამბავი იმაზე მეტი იყო, ვიდრე ამ ამბის ზემოთა, ხილული ნაწილი და საქმეს სწრაფად და დიდი სიყვარულით აკეთებდა ყველა მასში ჩაბმული მშენებელი თუ სხვა დანარჩენი.

ჩვენი სამსახურის მოვალეობა: ზვავებისგან დაზარალებული მოსახლეობის აღწერა, ზვავსაშიში შენობების ექსპერტიზა და დანგრეული ბინების აღნუსხვა იყო.

სანამ მშენებლები დაზარალებულებს სახლებს უშენებდნენ, ჩვენ ექსპედიციებში დავდიოდით და ჩვენ საქმეს ვაკეთებდით. გავიდა ერთი-ორი წელი და დადგა დრო მათი ჩამოსახლებისა. სხვა რამ საბუთებთან ერთად ჩვენს მიერ გაცემული საბუთი იყო მთავარი. რომ სახლი მიეღოთ ზვავისგან დაზარალებულ ზემო და ქვემო სვანებს.

შეგროვდა დიდი რაოდენობა ხალხისა – ისე მომეჩვენა თითქოს ნახევარი სვანეთი იყო ჩამწკრივებული ჩემი სამსახურის კარებთან. საქმე ძალზე ნელა მიდიოდა, რადგან ათი ოჯახიდან სამს თუ ერგებოდა ბარში აშენებული ბინა. ის შვიდი კი რა ღონეს არ ხმარობდა იმისათვის, რომ როგორმე ეს საბუთი ჩაეგდო ხელში. ვისი ნათესავი, ნათესავის ნათესავი და მეგობრის მეგობარი არ რეკავდა, არ მოდიოდა, არ მხვდებოდა სამსახურში,

ქუჩაში თუ სახლში. ეს საცოდავი, გაძვალტყავებული ხალხი ფულსაც კი აგროვებდა ქრთამის მოსაცემად, მაგრამ არაფერმა არ გაჭრა... და დაიძაბა სიტუაცია – მუქარის გამო.

ერთ დღესაც მირეკავენ, ცკ-ს პირველი მდივანი გიბარებს სასწრაფოდო და მეც ფეხმარდად ვეახლე გულამოსკვნილ-დამძიმებული. ცოტა რამ მომისმინა და მითხრა კაცურად: ,,ეს რა, ძნელი მისახვედრია, რასაც გეუბნებიო? წადი ეხლავე და გაეცი ყველაზე საბუთი, ვიზედაც რამე ხელმოსაკიდი არსებობს, აბა ამდენ სახლებში გადამთიელებს ხომ არ ჩავასახლებთო.

ფრენით წამოვედი, შევაგროვე ექსპედიციის ექსპერტები და ფრენა-ფრენითვე გავეცით ლამაზი ცნობები სახელდახელოდ გადაკეთებულ-გადმოკეთებული აქტების საფუძველზე, ორ-სამ დღეში მოვრჩით ყველაფერს და ბოლოს, ზემო სვანეთის პარტიული უფროსის გულწრფელი მოპატიჟებაც მივიღე. ამას იმიტომ ვყვები, რომ აღფრთოვანების ზომა სადამდე მიდის – იმაზე მოგახსენოთ.

მალე აგვისტოც დადგა და მეუბნებიან ჩემი მეუღლე, ერთი ჩემი მეგობარი და მისი მეუღლე: -ამ ხნის ხალხი ვართ და სვანეთი არ გვინახავს, შენ კი მოწვევა რომ მიიღე, ამით გაუთავებლად ტრაბახობ. წამო ერთი, წავიდეთ, იქნებ შენ ტრაბახსაც მოეღოს ბოლოო.

მართლაც შევიკაზმენით და გავუდექით გზას ჩემი მანქანით, სამეგრელომდე მივაღწიეთ მშივრებმა და მეტს რომ ვერ გავუძელით წალენჯიხის ერთ ლამაზ დუქანში დავნაყრდით. მოგვართვეს, მაგრამ რა საჭმელ-სასმელი არ მოგვართვეს - დალოცვილებმა?! მართლაც დალოცვილია სამეგრელო!

მუცელმა იცის სიამოვნება და დარჩენილ გზაში ისიც კი მითხრეს, რომ ასეთი პურმარილის და ბუნების მომსწრე, რაღა გვინდა სვანეთში - მოდი, დავბრუნდეთო.

შევუდექით სვანეთის ოღროჩოღროებს და ბუნებაც გამკაცრდა. და მეც სევდა შემომაწვა – იქნებ მართლა დავბრუნებულიყავით? ამ შებერტყილებს რითი გააკვირვებ? და თუ ვერ გააკვირვებ – სიკეთეს რითი იქმნ?

ნელ-ნელა ჩამობნელდა და ისე ავედით მესტიაში, რომ ჩემს მგზავრებს არაფერიც არ უნახიათ – არც სურვილი ჰქონდათ და არც მისმენდნენ – ან ყასიდათ.

სასტუმროსთან დაგვხვდა ერთი ადგილობრივი მაღალჩინოსანი, ვახშამზე ჩვენი მხრიდან უარის თქმის შემდეგ, ჩაით და ყავით გაგვიმასპინძლდა და ცალ-ცალკე, შესანიშნავ ნომრებში მოგვათავსა.

ძილის წინ, ეს ჩემი მეგობარი ცოლ-ქმარი ვერ გავრეკე თავიანთ სამყოფელში. ძვირს ამბობდნენ ნანახზე, უფრო სწორად – ვერ ნანახზე. დანგრეულ გზებს, ღარიბულ სახლებს მიწუნებდნენ. ერთი ორი პატარა ეკლესია რომ შეამჩნიეს, ისიც აღნიშნეს სამართლიანობის გამო და გაკვირვების გარეშე. რომ ციოდა ისიც არ მოეწონათ და ყავა და ჩაი რომ მოგვართვეს, იმაზე იხოცებოდნენ სიცილით. ეგ არაფერი, ეს ჩემი ცოლი ვერ გავაჩერე,იმათ მიტმასნებული - ამაზე მწყდებოდა გული.

დაღლილები გახლდით და სწრაფ დავიძინეთ – მეც – არშემჩნეული სევდით და სინანულით – აქ წამოსვლისათვის.

ირიჟრაჟა და მაღალ მთებს მზე მოეფინა. ის ჟამი იყო და კივილით კარებიც გაიღო. შემეშინდა რაიმე უბედურება ხომ არ მოხდა მეთქი და ზეზე წამოვხტი. კარებში საცვლებამარა ცოლქმარი იდგა და თვალები უბრწყინავდათ – მივხვდი, რომ ცუდი არაფერი მომხდარა და იმედი მომეცა. იმედის შემდეგ, სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა ტანში – ლამაზის მოლოდინში.

სწრაფ წამოგვახტუნეს და გარეთ გვიხმეს სასწაულის სანახავად – როგორც თვითონ ამტკიცებდნენ.

ჩვენც გავედით და დავინახეთ სილამაზის სასწაული, ანუ სასწაული სილამაზეზე – ძლიერი და შთამბეჭდავი. თვალი პირველად მზის სხივებს მისწვდა და მის ფონზე ბანგურიონის და ქორულდის მწვერვალები გამოჩნდა - კლდეში თოვლარეული, გრანდიოზული და დიდებული – უშბას და შხელდას უმცროსი ძმები. ჰორიზონტის ზედა ნაწილის ნახევარი ცას ეკავა და ნახევარი კი კლდოვან მთებს, მაგრამ თვალს სულ ზემოთ ხომ ვერ გააჩერებ და ქვემოთაც ჩამოვიხედეთ. ქვემოთ მესტია, მზის გარეშე – ჩრდილში მყოფი, ჰარმონია ბუნების და ადამიანის ნახელავისა... კოშკები, კოშკები, კოშკები... გაუთავებელი კოშკები – ჯმუხი, მკაცრი და მაინც ავთვალშეუვლელი კოშკები – გვირგვინი ამ ზღაპრული პეიზაჟისა. ეხლა კი ვიგრძენი, რომ ეს სამყარო ჩემთვისაც არის. არის, მაგრამ ვერ გამიგია – ეს კოშკები ამ სამყაროსია თუ იმ სამყაროსი? ეტყობა ეს ის იშვიათი შემთხვევაა, ადამიანის ნახელავი თითქმის რომ უთანაბრდება ბუნების შექმნილს!

შემდგომმა სამმა დღემ ფოიერვერკივით გაიარა. მიშა ხერგიანის სახლ-მუზეუმი და მის ოჯახში სტუმრობა. დიდ-პატარა განძი-ეკლესიები დიდ-პატარა სოფლებში, მათი სიღრმე და სიმდიდრე; ტრაციულ ოჯახებში სტუმრობა და ბოლო დღეს უშგული – არ ივარგებდა უუშგულობა.

მეგზურობა აღმასკომის თავჯდომარემ იკისრა და ორხიდიანი მანქანით გავუდექით გზას – იმ ვარაუდით, რომ საღამოს მესტიასთან ახლოს, წალკოტ გარემოში, ჩვენს საპატივცემულოდ გამართულ შეხვედრას ჩამოვუსწრებდით.

პატრიარქალური უშგული – უშგულია და ის უნდა ნახო. ნახო და მეტი არაფერი. მერე ამ სილამაზეს თუ ვერ გადმოსცემ – არაუშავს – შენში ხომ დარჩება სამუდდამოდ.

ბოლოს, მზე-შუადღეს, სოფლიდან ცოტა მოშორებით, აი იქ, სადაც ენგური იღებს სათავეს, სადილი გაგვიმართეს მასპინძლებმა.

სიჩქარის კუდზე ხელი გვეჭირა – ქვემოთ შეხვედრის მოლოდინში და ხელიდან არ გავუშვებდით, რომ არა სიმღერა, რომლის მოსმენა მხოლოდ იქ არის სრულფასოვანი; სიმღერა კი არა, გუგუნი – გარემოს გამო – უპირველესად; კოშკებივით სასწაული და უფრო მეტიც. და შეიძლება ამაზე მეტი სიმდიდრე ჰქონდეს ადამიანს, ქვეყანას და ქვეყნიერებას?

შუადღეც გაილია და მოსაღამოვდა, მაგრამ ჩვენს დაძვრას ვერავინ ბედავდა და არც ჩვენ გვინდოდა სხვა არაფერი - თვალცრემლიანებს.

ბოლოს დრომ რომ მაინც შემოგვიტია სამოთხეში მყოფებს, ვიკადრეთ და წამოვიშალეთ. წამოსვლისას, ფეხშიშველებმა, ენგური გადავჭერ-გადმოვჭერი რამოდენიმეჯერ – მისი სიმცირის გამო და მომავალში სატრაბახოდ. დავემშვიდობეთ კეთილ მასპინძლებს და გზას გამოუყევით. კი ჩამოვედით ბოლო პუნქტამდე, მაგრამ რომ ჩამოვედით – ყველამ ერთხმად ავღნიშნეთ – ვერ უნდა ჩამოვსულიყავით ხიფათიანი გზისა და სიმთვრალის გამო.

ღრეობაში გადასული იმ საღამოს გაგრძელება, დილას გამომგზავრება და ბარში ჩამოსვლა აღარ იყო ჩვენთვის მთავარი. მთავარი ის იყო, რაც იქ იყო მთავარი! იქ და აქ: ქართლში თუ კახეთში, მესხეთში თუ ფშავ-ხევსურეთში; იმერეთში თუ რაჭა-ლეჩხუმში; აჭარა-გუიაში თუ სამეგრელო-აფხაზეთში; ლიხს აქეთ თუ ლიხს იქეთ; საზღვარს აქეთ თუ საზღვარს იქეთ - ხელთუქმნელი სილამაზე ქართულ მიწისა და ჰარმონია მასთან ქართული სულისა!

14 აგვისტო

მექანიკოსებმა ყინულის კედელი ჩამოჭრეს და გზა ზღვის ყინულს შეუერთეს. პირველი ყველგანმავალი გავიდა გაყინულ ზღვაზე. მშენებლების კუნძულზე ზაფხულში დატოვებული ტრასნპორტი და სხვა მძიმე ტვირთი უნდა გადმოზიდონ.

კოლია ნაზაროვმა - ბულდოზერისტმა, კუნძულზე პინგვინის ბარტყი ნახა. საიდან მოხვდა იქ, გასაკვირია. იმპერატორის პინგვინები კლდეებზე არ დადიან. სახლში მოიყვანა, ყუთში ჩასვა და გუშინდლიდან იმასთან ცხოვრობს. დღეს მთელი დღე იმით ვერთობით - საოცრად საინტერესო პატარა არსებაა. დერეფნის ბოლოში დასვავ, როგორც თოჯინას, წინ დაუდგები და ნელა წამოხვალ უკანსვლით, მოგსდევს, ერთი მხარიდან მეორეზე გადასვლით, როგორც დასაქოქი სათამაშო. წინ დაუდგები, ჩექმების ქუსლებს შეართებ, ცხვირებს გაშლი - მოვა, ჩექმებს აეკრობა და ცხვირს სიღრმეში ჩაყოფს. შავი ჩექმები დედამისი ჰგონია. სადაც დასვავ გაუნძრევლად დგას და ნისკარტს ამოძრავებს მხოლოდ. მერე კოლიამ განაცხადა, რომ ჩემი შვილობილი დაიღალა და მოშივდაო. ჩასვა ყუთში, გაუღო ნისკარტი და ხორცის ნაჭერი ჩაჩხირა. მეორე ნაჭერი დაუგვიანა და ისეთი ყვირილი ატეხა, რომ მისი ხმა ჩვენ სიცილს ფარავდა. 10-12 ნაჭერი ხორცის ჩასანსვლის შემდეგ დაწყნარდა, ეტყობა გაძღა. მერე პატრონმა სახით ყუთის კუთხისაკენ შეაბრუნა, ერთი-ორჯერ მაგრად დააწვა, თითქოს ასე რომ არ მოემოქმედა ზურგზე გადმოვარდებოდა, თავშიც ჩაკრა, იმანაც ცხვირი მკერდში ჩამალა და დაიძინა. კოლიამ ეს ისე ოსტატურად გააკეთა და ისიც ისე ემორჩილებოდა, თითქოს ცოცხალი კი არა, სათამაშო პინგვინი იყო.

16 აგვისტო

ამდენ ქარში დღევანდელი, მგონი, ყველაზე გამორჩეულად ძლიერია - მეტეოროლოგებმა მისი მაქსიმალური სიჩქარე წამში 50 მეტრით დააფიქსირეს. იმპულსურად უბერავს. ერთ-ორ წუთს დაისვენებს, თითქოს ძალას იკრებს და ისევ დაუბერავს. კედლები საშინლად ზანზარებს, ოთახში გამაყრუებელი ხმაურია. დილის ექვს საათზე თბილად გამოვეწყვე და ჩემი რადიოზონდით გაზსაგენერატორში დავაპირე წასვლა - ას მეტრში რომ დგას. აივანზე გასასვლელი პირველი კარები გავაღე და, ჰოი, საოცრებავ, ორ კარებს შუა სივრცე თოვლით ჭერამდე იყო გავსებული! ქარის დაცხრობამდე ამ კარებიდან სიარული ვერ მოხერხდება. დავხურე და პირველი სართულის კარებით გავედი. დიდი ვაი-ვაგლახით მივედი ორი მეტრის სიმაღლის რკინის ფეხებზე შეყუდებულ მანქანის რკინის ძარამდე, რომელსაც გარსების ბენზინში დასამუშავებლად ვიყენებთ. მას კარები ქარის საწინააღმდეგო მხარეს აქვს და ვიცი თოვლით იქნება დაფარული. ორ მეტრში რომ მივუახლოვდი, შავი საგანი დავინახე. ვიცი, რომ ძარაა, მაგრამ კარების მხრიდან თოვლს გრძელი შლეიფი დაუდვია და კარები თითქმის არ ჩანს. ბარი მოვძებნე და თხრა დავიწყე. სუნთქვა ძალიან მიჭირს, იმიტომ, რომ კარებს უკან ქარი ადგილზე ტრიალებს და ჰაერი თოვლით არის გაჭედილი. დასასვენებლად სწორ ადგილზე გამოვდივარ, ქარს ზურგით ვუდგები და ცხვირ-პირს ქურთუკში ვმალავ. ასე ნორმალურად ვსუნთქავ. რომ დამაგვიანდა, იურა და გარი მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე და მოვიდნენ. ორი საათი მორიგეობით ვთხრიდით თოვლს, როგორც იქნა გავაღეთ კარები. გარსების გასაბერ ოთახში ქარს კარები გამოუგლეჯია და ოთახი თოვლით იყო სავსე... ესღა გვაკლდა! ორჯერ ვცადეთ და რადიოზონდი მაინც ვერ გავუშვით, სახლში დაბრუნება გადავწყვიტეთ. გამოვედით თუ არა, იმწამსვე დავკარგეთ ერთმანეთი. ერთ მეტრში არ ჩანს კაცი! მიდიხარ

სახლისაკენ და ერთადერთი ორიენტირი ქარია. თუ გინდა რომ სახლში მიგიყვანოს, ქარს ზურგის ნახევრითა და მარცხენა მხარით უნდა დაუდგე, ისე, რომ მარცხენა ყურის ძირში გიბერავდეს. ქარი ბარიერისკენ გეწევა და თუ მაგრად არ შეეწინააღმდეგე გადაგჩეხავს, მითუმეტეს რომ ბარიერი სულ 200 მეტრშია - აქვე. მანძილისა და ორიენტაციის გრძნობა თუ დაკარგე, სახლს სულ ახლოს ისე ჩაუვლი, რომ ვერც კი შეამჩნევ, გასცდები და იხეტიალე მერე ალალბედზე. კიბეებთან თითქმის ერთდროულად მივედით, მაგრამ ვერაფრით ვერ ვუახლოვდებით მას, სახლის კედლიდან ატყორცნილი ტალღა ისედაც ძლიერ ქარს უფრო აძლიერებს და კიბეებს არ გვაკარებს. ზურგით დაუდგები ქარს, დაისვენებ, მოემზადები, მერე ენერგიულად შეყოფ თავს ტალღაში და ტანით აწვები. არაფერი გამოდის... ბოლოს ვიკადრეთ და წავუწექით. ფორთხვით, როგორც იქნა, გადავლახეთ უკანასკნელი 3-4 მეტრი. დერეფანში შევეყარენით. ისე ვქშინავდით, თითქოს 10 კმ გვერბინოს. გავიძვრეთ „შტურმოვკა“ - ქურთუკები, ჩექმები. შარვლისა და ტყავის კოსტუმის ჯიბეები თოვლითაა სავსე. თუმცა ჯიბეები რა გასაკვირია. ერთხელ ძველ მიტოვებულ შენობაში მივედით და ფანჯარასთან თოვლის დიდი გორა აღმოვაჩინეთ. ვერაფრით ვერ მივხვდით, საიდან შეიძლებოდა შემოეღწია. ბოლოს ფანჯრის კუთხეში წვრილი, ნემსის წვერიც რომ არ გაეტეოდა, ისეთი ნახვრეტი აღმოვაჩინეთ! საოცარია, ჰაერში თოვლის ასეთი მასა ტრიალებს და ჰაერი მაინც საშინლად გამომშრალია. ეს თოვლი აქ მოსული კი არაა, კონტინენტის სიღრმიდან მოაქვს ქარს. გზაში აწვალებს, აწვრილმანებს და მტვრად აქცევს, ისეთნაირად, რომ თვალში როგორც ქვიშა, ისე გხვდება, ყველა წვრილ და უწვრილეს ნახვრეტში იპარება და დროზე თუ არ დაუკეტე გზა, ნებისმიერ სივრცეს ამოავსებს. ოთახში სინოტივე 20% არ აღწევს, ჩასუნთქული ჰაერი გახევებულია, თითქოს ხმაურობს ფილტვებში რომ ჩადის. გარეთ

რკინის საგნები ისეა დაელექტრიზებული, რომ ახლოს მდგარნი ერთმანეთს დენს გადასცემენ. ოთახში ხის საგნებიც კი დაელექტრიზებულია - ყველა კარებს ფეხით ვაღებთ. ამიტომ არის რომ დაგდებული რკინის საგნები წლობით არ იჟანგება.

26 აგვისტო

გუშინ უკანასკნელი დღეების ერთფეროვნება დაირღვა. ვახშმის შემდეგ გრძელ სკამზე და კიბეებზე ჩამომსხდარ, ფიქრებში წასულ მოზამთრეებს რადისტმა გრძელი „ზეწარი“ მოგვიტანა - გემების მოძრაობის გრაფიკი, ახალი ექსპედიციის გეგმები აღმოჩნდა. თითქოს ქარმა დაგვიბერა, ყველანი წამოვხტით და კითხვა დავიწყეთ, მერე ისეთი მსჯელობა და კამათი გაჩაღდა, რომ ფილმის დაწყება გადავდეთ ერთი საათით. სალაპარაკოშე-მოლეულ, დამუნჯებულ ხალხს პირში ენა აღარ გვიჩერდებოდა. ვინ რას არ ამბობდა, რომელი კუთხიდან არ აკრიტიკებდა ან იწონებდა ახალ ამბავს. განსაკუთრებით 2-3-ჯერ ნამყოფი ხალხის აზრი ფასობდა. მერე ანგარიში დაიწყო, როდის იქნება გემი „მოლოდიოჟნაიაში“, გზაში რამდენი დღე შეფერხდება, აქ როდის მოვა. რომელ პორტში შევა, რომელ ქალაქში რა არის საინტერესო, სად რისი ყიდვა შეიძლება და ათასი სხვა. თუ ყველაფერი მეტ - ნაკლებად ცნობილია, მსოფლიოს ყველა პორტში ლუდისა და სპირტის ფასი ყველასათვის ზუსტად არის ცნობილი.

ამ თემაზე ლაპარაკი გუშინ და დღესაც გრძელდება და, ალბათ, კიდევ დიდხანს გვეყოფა მსჯელობის საგნად. ჩვეულებრივად გუშინწინდლიდან ორ კაცს შორის ლაპარაკი ასე იწყება: „მაშ შენ გგონია, რომ “ვიზე” 25-ში აქ იქნება?“... და ჩაღდება! მოზამთრეების გაყვანის ოთხი ვარიანტია: თვითმფრინავით ავსტრალიიდან; სატვირთო დიზელმავალ „კაპიტან ფედოსეევით“ ავსტრალიის გავლით, ვლადივოსტოკში (ორივე ამ შემთხვევაში სახლში თებერვალში მოხვდები);

„ვიზეთი“, რომელიც იანვრის დასაწყისში აქედან გავა, ორ თვეს დრეიკის სრუტეში „პოლაქსის“ პროგრამით სამუშაოებს ჩაატარებს, მონტევიდეოში, სადგურ „ბელინსჰუზენსა“ და ევროპის რომელიმე ქალაქში შეივლის და 20 მარტს სახლში დაბრუნდება; და ბოლოს, მოზამთრეების მთავარ ნაწილს სამგზავრო თბომავალი „მიხეილ კალინინი“ გაიყვანს სეზონის ბოლოს, 10 მარტს და სახლში 16 აპრილს იქნება. ერთი სიტყვით გამოსაცოცხლებელი ამბები მიღებული გვაქვს.

გუშინ აზარტულმა მარინსკიმ ნარდში მოგვიგო მეც, სლესარენკოსაც და კომაროვსაც. პირობა - ერთი კვირა ნარდს ვერ ვითამაშებთ და მუყაოსაგან გამოჭრილი მედლები წარწერით - `“მარინსკი გენიოსია, მე კი თამაში არ ვიცი და ერთი კვირა ვერ ვითამაშებ“ - უნდა ვატაროთ ოსვენციმის ტყვეებივით. მარინსკის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ბავშვივით ხტუნავდა, ხმამაღლა იცინოდა და მთელი ობსერვატორიის მილოცვას სიამოვნებით იღებდა. მართლაც, სამივე პარტია შემოატრიალა და ყველას ისე მოგვიგო. ბოლოს დაასკვნა: ექსპედიციებში აღარ ვივლი, სამუშაოსაც თავს ვანებებ და გასტროლებს ვიწყებ კავკასიაში - ფულის საკეთებლადო, ქუდი დაიხურა და „ფარდების გამოსაცდელად“ წავიდა. ასე ვეძახით შავი ფარდებით ოთახის ჩაბნელებას და დღე ძილს, თუ კარგად გეძინა - ფარდების გამოცდამ კარგად ჩაიარა!

27 აგვისტო

გუშინ საღამოს და დღეს კაიუტ-კომპანიაში ჩვენი მედლებით გამოჩენა სიცილს და ჩვენს შებრალებას იწვევს. საღამოს გადავწყვიტეთ აღარ გავიკეთოთ მედლები. მარინსკი ბრაზობს და გვემუქრება უფროსთან ჩივილით - ხელშეკრულების დარღვევისათვისო.

დილას მშვიდი ამინდია. საუზმის წინ მექანიკოსები ჩვენი კარების წინ მდგარ ყველგანმავლებს ამუშავებენ ძრავების გასახურებლად. დაბალ გაზზე მომუშავე ორივე მანქარა სუსტ ბოლს უშვებს და გამონაბოლქვი კარების ჭუჭრუტანაში აღწევს. ოთახში მკვეთრი ნამწვის სუნი დგას. ალბათ იმდენად მკვეთრი არა, როგორც სუფთა ჰაერით განაზებული ჩვენი ფილტვები გრძნობენ, თორემ ამას ყურადღებას როგორ მივაქცევდით? ამაზე იტყვიან ხოლმე „очень хорошо тоже не хорошо!“

29 აგვისტო

გუშინ იმპერატორის პინგვინებს ვეახლეთ. ბარიერიდან ჩავედით და საინტერესო სანახაობა გადაგვეშალა წინ - ზღვის ყინული სწორი კი არაა, ტალღისებური ზედაპირისაა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს მღელვარე ზღვა შემახილზე გაიყინა და გაქვავდა: ტალღების სიმაღლე 2-3 მეტრს, ხოლო სიგრძე 10-15 მ-ს აღწევს. ტალღებს ბარიერის პარალელური მიმართულება აქვთ. საინტერესოა, განა როგორი ელასტიურია 2 მ-ის სისქის ყინული, რომ ბოლომოქნეული თოკივით დაიკლაკნა და ისე გაიყინა რომ არ დაიმსხვრა! ბარიერს რომ დავაკვირდით, მისი წარმოშობა ადვილი ამოსაცნობი გახდა - ეტყობა, კონტინენტურმა ყინულმა წინ წაიწია, მიაწვა ზღვის ყინულს, გზად მდებარე აისბერგმა ყინულის უკანდახევა შეაჩერა და ისიც იძულებული გახდა დაჭმუჭნულიყო. გზა ტალღის თხემზე გავაგრძელეთ, რადგან დაბლა ზღვის წყალი იდგა და ფეხის დასველება სულაც არ გვინდოდა. კოლონიაში პინგვინების ნახევარიც არ დაგვხვდა. სამაგიეროდ ეს ნახევარი დიდ საქმიანობაში იყო, თითქმის ყველას ბარტყები გამოუჩეკია და ზოგს ფეხებშუა ჰყავს გამოჩხერილი. ბევრი ბარტყი წამოზრდილა, ბუმბულით შემოსილა და საბავშვო ბაღში დასეირნობს. მოგროვილები ერთმანეთს ეხუტებიან, ზოგს არ სცივა და ცალკე დააბიჯებს. დიდი პინგვინები მარტოდ დგანან,

ლუღლუღებენ ან დასეირნობენ. ბაღს რამდენიმე დიდი პინგვინი მეთვალყურეობს. დაუვლის, რომ არ დაიფანტონ, ზოგს ნისკარტში ნისკარტს ჩაუყოფს, რომ საჭმელი აჭამოს. ვერაფრით ვერ მიხვდები, თავის საკუთარს აჭმევს თუ პროფკავშირის მუშაკივით, ყველა გაჭირვებულსა და მშიერს ეხმარება.

რამდენიმე პინგვინი ფეხებში კვერცხამოდებული ვნახეთ. საწყალი, გალაყებულ კვერცხებზე ზის და ვერ მიმხვდარა.

აისბერგის ძირში სიმყუდროვე იყო. ვაჟკაცურად ტანზე გავიხადეთ და ერთ პინგვინს ალყა შემოვარტყით, რომ დაგვეჭირა და სანამ სულ გავიყინებოდით სურათი გადაგვეღო მის საზოგადოებაში. ალყა თანდათან შევკარით, ტრიალებს იმპერატორი და ვერაფერი გაუგია - გარშემო ჩვენი გაშლილი ხელებით და ფეხებიათ რას ვერჩით? დაჭერას ვერავინ ბედავს, ვიცით ძლიერი, დანასავით ფრთები აქვს და გვეშინია. ბოლოს მე და პასტუხოვი დავახტით, მაგრამ ვაი იმ დახტომას, ისევ უკან გადმოვხტით. მერე ყველანი ყინულზე გავგორდით და ბედად მოროზოვის ფეხებს შუა აღმოჩნდა პინგვინის თავი. ეცა პასტუხოვი და ფრთებით დაიჭირა. მერე მორიგეობით ყველას გვეჭირა მთელი ძალით, რომ არ დავესახიჩრეთ და მორიგეობით თავს ვიწონებდით ობიექტივის წინ - დანარჩენები იღებდნენ.

შეგვცივდა, ტანზე ჩავიცვით, გავთბით, ისევ გავიხადეთ და ახლა სამი ბარტყი მოვიმწყვდიეთ ალყაში. საოცრად ლამაზები, რბილები და უსუსურები არიან.

ჰორიზონტამდე პატარა, მოძრავი ჯგუფები ჩანან. ზოგი საჭმელად მიდის და ზოგიც უკვე დანაყრებულია. არადა, ღია ზღვამდე - შელფის ბოლომდე - 300 კმ-ზე მეტია. თუმცა ეს მანძილი არაფერია იმასთან შედარებით, რაც ლიტერატურაშია აღწერილი.

ზოოლოგმა რიჩარდ პენიმ 1959 წლის დეკემბერში, ადელის ჯიშის ხუთი პინგვინი დაიჭირა ავსტრალიის სადგურ

„უილიკსზე“, თვითმფრინავით „მაკ-მერდოში“ გადაიყვანა და გაუშვა. შემდეგი წლის ნოემბრის დასაწყისში ორი მათგანი ორი დღის სხვაობით დაბრუნდა, ერთიც დეკემბერში მოვიდა თავის ძველ ბუდეში. გამოდის, რომ პინგვინებმა ცალ-ცალკე 400 კმ-ზე მეტი გაიარეს, საშუალოდ დღეში 15 კმ-ს გადიოდნენ და ძველ ადგილას დაბრუნდნენ!

1962 წელს ვისკონსინის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა კუნძულ კროზიეზე აყვანილი 20 პინგვინი სამ სხვადასხვა პუნქტში - ვიქტორიის მიწაზე, მერი ბერდის მიწაზე და როსის შელფური მყინვარის ცენტრში - გადაიყვანეს და იქიდან გაუშვეს. მათ მოძრაობას 3-4 კმ-ის მანძილზე ტრიანგულიაციური მეთოდით აკვირდებოდნენ. ყველა პინგვინი უმოკლეს, პირდაპირ გზას დაადგა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში ზღვის ნაპირიდან 1000 კმ-ის მანძილზე იყვნენ დაშორებულნი. ისიც შეამჩნიეს, რომ მოღრუბლულ ამინდში პინგვინები ორიენტაციას ზუსტად ვერ იცავდნენ. ზოოლოგების დასკვნა - პინგვინები გზას მზეზე ორიენტაციით იკვლევენო - მართლაც საინტერესოა. ამავე დროს, როგორც ჩანს, მათ ტვინში რაღაც ფიზიოლოგიური „საათის“ მაგვარი აქვთ, რადგან მზის მიმართ დედამიწის მოძრაობის კორექციას ახდენენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მარშრუტები მრუდხაზოვანი იქნებოდა.

უკან აისბერგის შემოვლით წამოვედით. გზაში ხუთი სელაპი გაწოლილიყო, მძიმედ ქშინავდნენ. 20-30 მეტრში ხუთი ნახვრეტი აღმოვაჩინეთ, მათი ტანის დიამეტრის ნახევარიც არ იქნებოდა, როგორც ეტევიან ასეთ ნახვრეტში - საინტერესოა. წყალში ესოდენ სწრაფი ცხოველები ყინულზე უსუსურები არიან. ახლოს რომ მიხვალ, ზურგზე გადმობრუნდება, უშველებელ პირს გააღებს და ბღავის, ზოგი იფურთხება და ცხენივით ფრუტუნებს. წინა კბილები განვითარებული აქვთ, გვერდითა კი გადაგვარებული, პატარები - როგორც აღუა ბაშვებს. თევზებს პირდაპირ ყლაპავენ,

პლანქტონსაც წინა კბილებით წიწკნიან და გამოუყენებელი კბილებიც აღარ ეზრდებათ. ლამაზი, სლიპინა თავი და ტანი აქვთ, უკანა ფეხები და კუდი სხეულის ბოლოში ერთადაა თავმოყრილი და ლამის ლასტებადაა გადაქცეული. წინა ფეხები ფარფლებით აქვთ შემოსილი, ზოგი შავი და ზოგიც ნაცრისფერი კოპლებით. ორ მეტრზე მეტი სიგრძის ტანის მოძრაობა, ხელ-ფეხშეკრული და მიწაზე დაგდებული ადამიანის მოძრაობას მოგაგონებს. ერთს კანი დაჭრილი ჰქონდა და სისხლი სდიოდა. ეტყობა ყინულში ამოძრომის დროს გაიკაწრა.

6 სექტემბერი

დღეს მალხაზ ერისთავის გარდაცვალების თავზარდამცემი ამბავი შევიტყვე. გაოგნებული დავდივარ, თავჩაქინდრული, არავისთან ლაპარაკი არ მინდა, თითქოს მიხვდნენო, ყველა მერიდება. მე კი სულ მალხაზზე ვფიქრობ - რამდენი კარგი დღე გაგვიტარებია ერთად. პატარები ბურთს დავსდევდით და მერე სათამაშოდ ერთად ვწვევივართ როსტოვს, მინგეჩაურს, ჩებოქსარს, მოსკოვს. მის ხმაში შეყვარებული ვიყავი, მისი სიმღერა დიდ სიამოვნებას მგვრიდა. რამდენი რამის მადლიანად გაკეთება იცოდა. რამდენი ულაპარაკია, გულდაწყვეტილს, ამ ცხოვრების უსამართლობაზე, განა მისი წასვლა ამ ცხოვრების შუაგზაზე უსამართლობა არ არის? ცურვის გარდა ყველაფერი შეეძლო და ცურვის არცოდნამ კი შეიწირა. როგორც ჩანს დრო იმდენი გავიდა, რომ ჩვენს რიგებსაც დაეტყო გამოკლება.

ამ ამბით დაზაფრულს მეჩვენება, რომ ჩემს ირგვლივ ხალხი ძალიან ხასიათდაკარგულია. მერე მივხვდი, იმ დროს ისეთებთან ვეძებდი კონტაქტს, ვისაც რაღაც საწუხარი ჰქონდა, თორემ, აბა საშა ჩერნიაკს რატომ მივადექი და რატომ მითხრა - ახლა კი ვიცი ადამიანი თავის მოკვლის წინ როგორ ხასიათზე არისო. ან, ნიკოლოზ ტაროვი - ეს თბილი კაცი სწორედ ამ დღეებში

განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ჩემს მიმართ, ხშირად მომიჯდება და ძალიან ტაქტიანად დამიწყებს-ხოლმე ლაპარაკს.

დღეს კოლია მეუბნება -`ჩვენ ყველას წელიწადი და ხუთი თვე გვაქვს მოსჯილი, შენ კი წელიწადნახევარი, ეტყობა შენ უფრო მძიმე დანაშაული გაქვსო -"ჩადენილი". მე ხომ მართლაც მათზე ერთი თვით ადრე ვარ სახლიდან წამოსული და ჩვენი აქ ყოფნაც ხომ ბევრი რამით სასჯელის მოხდასა ჰგავს.

ჩვენი სიმპათია კოლია დრეერი - შავგვრემანი, მაღალი, ლამაზი, 35 წელს გადაცილებული ახალგაზრდა, ლაპარაკს რომ დაიწყებს, ყველა სმენად იქცევა, რადგან მასზე მოსწრებულად ვერავინ ვერ იტყვის სათქმელს. ამასთან დაკავშირებით გარკვეული რიტუალებიც შემუშავდა - ფილმის ჩვენების დროს ერთი ნაწილის დამთავრებასა და მეორე ნაწილის გაშვებას შორის ფირის გადახვევასთან დაკავშირებული 3-4-წუთიანი პაუზები ოფიციალურად დრეერისათვის არის განკუთვნილი. ვსხედვართ სიბნელეში და ვისმენთ კოლიას კომენტარებს ვისზეც გინდა და რაზეც გინდა. სანამ სიცილი არ დამთავრდება, ან კოლია წყალობას არ გამოიღებს კინომექანიკოსს უფლება არა აქვს გააგრძელოს სეანსი. ეს კი ასე ხდება: კინოსაპროექციო ხვრელიდან ისმის -„Ну, как, барон Дреер, можно пускать?", "Не можно, а нужно" იძლევა ნებას „ბარონი" და კინოს ჩვენება გრძელდება.

12 სექტემბერი

დღეს ქირურგმა პროტოსენიამ ოპერაცია გაუკეთა მშენებელ სლავა კორკინს. ეს შემთხვევა რომ არა, ამ ჯანმრთელ ხალხში პროტოსენია თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულებას ვერ მოესწრებოდა, ახლა კი სანამ კორკინი ფეხზე დადგება ჩვენი ქირურგი ვერც წყლის ზიდვაში მოეხმარება ვინმეს, ვერც რადიოში მოსმენილ უკანასკნელ ცნობებს მოგვიყვება, ვერც რაიმეს დაბეჭდავს საბეჭდ მანქანაზე. ამ კაცს ყველაფრის კეთება შეუძლია

და ქირურგობა ან უნდა ეჯავრებოდეს, ან ამ საქმის ბაიბურში არ უნდა იყოს, თორემ რამ წამ ოიყვანა ეს შუახნის კაცი ისეთ ადგილზე, სადაც თითქმის ორი წლის განმავლობაში თავისი პროფესიის გამოყენების ერთი შემთხვევითი საშუალება მიეცა მხოლოდ.

მესმის თერაპევტი იური პასტუხოვი, ათასი საქმე აქვს თავისი პროფესიისა: ხალხის გამოკვლევა, აქიმობა, ექსპერიმენტები, ფსიქოლოგიური და სოციალური პროგრამები - საქმე თავზე საყრელი აქვს. იგივე შვაიკოვი - პროფესიით ტრაქტორისტი, ახალგაზრდა კაცი, თავის საქმესაც ემსახურება, და აბანოსაც „დირექტორობს". დაავალეს და აკეთებს. რომ მცოდნოდა არ დავთანხმებოდიო - უთქვამს ჩემთვის. გეოგრაფი, შტურმანი, მეტეოროლოგი, მზარეული, ფიზიკოსი, მფრინავი - თავის საქმეს ყველა მძიმე პირობებში აკეთებს და ყველანაირი დავალება უპირობო შესრულებას ექვემდებარება, სამაგიეროდ სიამოვნებაც ბევრია... ისე კი, აქ, უქირურგობა დაუშვებელი და მოუხერხებელია!

...იქნებ აქ გამოდგეს მოხერხებული ინტერვიუს გაგრძელება..., ვცდი მაინც..., თქვენის ნებართვით...

- რა სჯობია ანტარქტიდისათვის?

- ის, რომ ადამიანები საერთოდ არ ეკარებოდნენ ამ ლამაზ კონტინენტს.

- რაში ხართ დარწმუნებული?

- დარწმუნებული ვარ, რომ ჩვეულებრივ, ნორმალურ ევროპიელს და სხვა დანარჩენებს, დიდი სიამოვნება ელით ქართული კულტურისა და წეს - ჩვეულებიბის გაცნობის გამო.

- ადამიანის ყველაზე დიდ ნაკლად რა მიგაჩნით?

- გონების შეზღუდულობის კვალობაზე - ამბიციურობა.

- რანაირი მხატვრული ნაწარმოებები გველოდება მომავალში?

- 21-ე საუკუნეში, მხატვრულ ნაწარმოებად აკინძული, გამოგონილი ამბები მეორე პლანზე გადაინაცვლებს, იბატონებს მხატვრულად გაფორმებული სინამდვილე - უპირატესად.

- როგორ კეთდება ბიზნესი?

- ბიზნესი წვიმის წყალივითაა, იქეთ მიედინება სადაც დაღმართია - სადაც უკვეთესია.

- შეგიძლიათ გვითხრათ, რატომ ვართ ამ ყოფაში?

- ქვეყნის დღევანდელი, გაუსაძლისი ყოფა, გუშინდელმა საყოველთაო ქეიფმა გამოიწვია.

- რა არის სოციალიზმი?

- სოციალიზმი ის არის - ყველას მაგიბრად ერთი რომ ფიქრობს, ან ფიქრის იმიტაციას აკეთებს.

- რატომ არის ფეხბურთი სპორტის ყველაზე მასობრივი და დინამიური სანახაობა?

- იმიტომ, რომ ბურთის ხელში აღება ვერ ხერხდება... ფეხით.

- თანამედროვე ქართველები თუ არიან მამაცნი?

- მამაცნი არა, მებრძოლნი - კი, ძალიან მებრძოლნი არიან!

- რისთვის იბრძვიან - სამშობლისათვის თუ იდეისათვის?

- არა, კარიერისათვის, მხოლოდ კარიერისათვის... შეხედეთ, ერთი შეხედეთ! ესენი რომ იდეისთვის და ხალხისათვის იბრძოდენ, ხომ ბედნიერნი იქნებოდნენ - ხალხთან ერთად!

- რატომ ხდება ადამიანი ეგოისტი?

- იმიტომ, რომ თავის ზღვარგადასულ სურვილებს ვერ იოკებს, ვერ აკონტროლებს.

- შთაბეჭდილება თუ შეგცვლიათ ადამიანზე... წამიერად?

- ერთ ჩამოყალიბებულ, სერიოზულ კაცს, ჩვენს ბუღალტერს, გვარად გოგუას - კომუნიზმში რომ შევდიოდით იმ პერიოდში - ბატონობით მივმართე და პასუხათ მივიღე - ვინ არის შენი ბატონიო?!

- რა არის სიკვდილი?

- მკვდისათვის სიკვდილით მთავრდება ყველაფერი, ამიტომაა სიკვდილს ვზეიმობთ ცოცხლები - მწუხარებით, ზოგჯერ კი ვითომ მწუხარებით.

- სიკვდილით მთავრდება, ვითომ, ყველაფერი?

- ადამიანთა იმ წყებისათვის, ვისაც ჰგონია, რომ სიკეთის კეთებისსათვის აქ მოუცლელობის გამო, იქ მაინც მოასწრებს ყველაფრის კეთებას, სიკვდილით მთავრდება მათი სიკვდილი.

- ჰარმონია რა არის თქვენთვის?

- ყმაწვილი კაცი და მოხუცი მანდილოსანი - ყვავილებით ხელში.

- დისჰარმონია?

- როცა ადამიანებს თავდაყირა უჭირავთ ყვავილები.

- რანაირი ქვეყანა გინდათ?

- ქვეყანაში, სადაც ჭეშმარიტება საკამათოა - ასეთ ქვეყანაში არ მინდა ცხოვრება.

- რა, ან ვინ არის ის არსი, რომელიც ქმნის და მართავს სამყაროს?

- კი არის ასეთი არსი - მისი უხილავ დროის სხეულში მოთხოვნილება, გამოცდილება და შთამომავლობაა განთავსებული. სამყაროში მრავალი სრულყოფილება არსებობს, ჩვენთვის, სამწუხაროდ, ჯერჯერობით უცნობი, ხოლო მის მცირე ნაწილში - დედამიწაზე - ადამიანია მეტნაკლებად სრულყოფილი, რომელსაც სხვებზე უფრო მეტად გაუჩნდა სრულყოფილების მოთხოვნა, რის გამოც გამოცდილება დაუგროვდა და გენის სახით შთამომავლობას გადასცა, უფრო მეტი სრულყოფისათვის და ასე... დაუმთავრებლად.

- რა არის მოწონება?

- მარტოობის დაძლევის, სილამაზით მოხიბვლის, სულიერი ნათესავობის შესანიშნავი გრძნობა, რომლის გამჟღავნების სურვილს მორიდებულობა ბოჭავს. გამჟღავნებული მოწონება,

სიტყვების სიმწირის გამო, კარგავს თავის პეწს და ზოგჯერ, მლიქვნელობის საბაბიც ხდება.

- როგორ წარმოგიდგენიათ უახლოესი ქართული მომავალი?

- ეს, ოდეზღაც ხელოვანთა ქვეყანა, საბანკო ქვეყანად გადაიქცევა - განვითარებული მეურნეობის გარაშე. აორთქლდება „ტუტუც ვრაცუას“ მითი. ბანკების რაოდენობით, ერთსულ მოსახლეზე, პირველ ადცილზე გადავინაცვლებთ მსოფლიოში, საერთო კეთილდღეობამდე რომ მიგვიყვანს... შავი ფულის ხარჯზე. შავი ფულის გათეთრების ცენტრად გადაიქცევა თბილისი და ზოგიერთი ჩვენი ქალაქი - ქართული, ახლო და შორეული აღმოსავლეთის, რუსეთის, უკრაინის, ცენტრალური აზიის ქვეყნების ჟულიკებს აქ მოუნდებათ ფულის გათეთრება, გაცოცხლება და დასავლეთში გადაქაჩვ - გადმოქაჩვა. ამ საქმეში, ადრელ სუეცს, შვეიცარიას, ლიბანს და ჰონ- კონგსაც კი გადავაჭარბებთ. ეს პერიოდი შიმშილობის და ნგრევის პერიოდს კი აჯობებს, მაგრამ ხომ არ შეიძლება ამ ქაოსში და უკანონობაში მუდმივად ცხობრება!

- მაშ როდის მოეღება ბოლო ამას, ყველაფერს?

- როდის და:

-როცა ბიზნესში ჩართული ადამიანები თავს გაანებებენ უზნეობას, უმოქმედობას, პარტნიორის გადაგდებას, საი-დუმლოს გაცემას, გაფლანგვას და ფინასურ მაქინაციებს;

-როდესაც კონკურენცია ბუნებრივ წესად დამკვიდრდება;

-როდესაც მოგების მიზნით გაერთიანებული ადანიანები, მათ მიერ დაგროვილ ქონებას, ინტელექტუალურ ცოდნას, ინფორმაციას, გამოცდილებას, საერთოდ მიიჩნევენ - თავისი წილის ურყეობაში დარწმუნებულნი;

-როდესაც კანონი იქნება მათი მმართველი და მის გვერდის ავლას, მის შეცვლაც ამჯობინებენ;

-როდესაც არ მიაყენებენ შეურაცყობას ურთიერთს და აგრესიული გრძნობების გამოხატვას წინ გონებას წაუმძღვარებენ;

-როცა მათი მოქმედება მიმართული იქნება მათი საქმის და არა ჯიბის წარმატებისაკენ;

-როდესაც საერთო კეთილდღეობისათვის ზრუნვას - თავის საკეთებლად მიიჩნებენ.

-როდესაც მათ მიერვე არჩეული არბიტრის გადა-წყვეტილება, მათთვის საბოლოო იქნება;

-როდესაც ტექნოლოგიური განვითარებისათვის ზრუნვა იქნება მათთვის უპირველესი;

-დრო უნდა, თორემ ამ წესების შესრულება გარდაუალი იქნება - თუ პროგრესს და სიმშვიდეს მოვისურვებთ.

- ესეიგი პრობლემები შემდგომშიც არ მოგვაკლდება?

- უპრობლემოდ ბუნებაში არაფერი ხდება და არც ჩვენ ქვეყანას მოაკლდება პრობლემები, მთავარია მათი დროული გადაწყვეტა:

აბა, 21-ე საუკუნის, ოცდაათიანი წლების მიწურულს, პრობლემად არ გადაიქცევა ბუნების დაცვა, ნავთობისა და გაზის მოპოვების შეზღუდვა - მუქთა ფულის მშოვნელების გააფრთრებული წინააღმდეგობის გამო?

განა ტურიზმის უკიდეგანო განვითარება გარემოს არ გადაღლის, მასში ჩართულ დასაქმებულთა გონების შეზღუდვას, თავმოყვარეობის დაკარგვას და დეგრადაციას არ გამოიწვევს - საბოლოოდ?

ამას არ აჯობებს იაპონელებივით იდეების გაყიდვაზე გადავიდეთ, ჩვენ ჩვენს უნიკალურ მონაპოვარს - ხელოვნებას , ფოლკლორს, ღვინოს, აზროვნებას და სხვა რამ დიდს თუ მომცროს გავუკეთოთ რეკლამა მსოფლიოში და გავიტანოთ საექსპორტოთ?

ვითომ რამე წააგო ამერიკულმა სიმინდმა, პომიდორმა და საყოველთაო კეთილდღეობამ, იაპონურმა ძიუდომ და ნოვაციებმა, იტალიურმა კლასიკურმა სიმღერამ და მხატვრობამ, რუსულმა არაყმა და კოსმონავტიკამ, ჩინურმა შრომის ჩვევამ, ფრანგულმა გემოვნებამ და ინგლისურმა ენამ - მთელ მსოფლიოსს რომ ეკუთვნის?

განა არ უნდა შეიზღუდოს მთაში საცხოვრებლად, ქალაქიდან წასულ, მაცხოვრებელთა ნაკადი - მთის გადარჩენა თუ გვინდა?

განა ნორმალური იქნება, რომ რუსულის მცოდნე მშობლები ვერ გაუგებენ ინგლისურმცოდნე შვილებს?

განა პრობლემად არ გადაიქცევა, კუთხეების გადამეტებულ, ჯამრთელ შეჯიბრს, ავადმყოფობა რომ შეეპარება?

აბა, ის იქნება კარგი, ევროკავშირში და ნატო-ში შესულებს - უკან გამობუნძულება რომ დაგვემუქრება?

ვინ უნდა მოაგვაროს ეს საქმეები? რასაკვირველია ახალი მენტალიტეტის მთავრობამ!

- რა არის ისტორია?

- ისტორია, თანამედროვეთა უამრავი აზრის, ერთ დომინანტ აზრად - ძალადობრივ, ისტორიულ აზრად ჩამოყალიბებაა, რომელიც საბოლოო, ორ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრის ჭიდილის შედეგია.

რა არის ამორალური?

- ამორალური და მძიმე საყურებელია, როცა ჯვრის დამთრგუნველი და მისი დამქაში პირჯვარს იწერს - საჯაროდ!

მორწმუნე თუ ხართ?

- სისტემამ დამამახინჯა, მომწყვიტა საღთო სამყაროს, განათლების გარეშე დამტოვა, ღვთის სიყვარული არ ჩამინერგა. ეხლა, კი ვცდილობ ანაზღაურებას, სიღრმეში შესვლას, მაგრამ მიჭირს... მიჭირს იმიტომ, რომ მეშინია, მეშინია იმიტომ, რომ არ

გავწბილდე... ისე ორთოდოქსი მორჭმუნე არახშირ შემთხვევაში სასიამოვნო, ხშირ შემთხვევაში უსიამოვნო და საშიშია... ამიტომ მიჭირს!

...არ მიჭირს გონიერი და კეთილშობილი პატრიარქის მოწიწება და სიყვარული - მერე რა გვეშველება თორემ...

- შური რა არის, თუ იცით?

- შური ადამიანის მამოძრავებელი ძალა შეიძლება იყოს, თუ მისი დაძლევის ხელოვნებას ფლობ. ამ თანდაყოლილ თვისებას ადამიანების ორი ჯგუფი ანვითარებს. ერთნი - თეთრი შურის გამო - ცხოვრებას უფრო ენერგიულად და გონივრულად ეჭიდებიან, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში და ბოლოს, შეიძლება უშურველობასაც მიაღწიონ - ყველაზე ღირებულს ღირებულებათა შორის. სამწუხაროდ, მათი რაოდენობა მცირეა. სამაგიეროდ კუპრმოსილი, შურიანი ადამიანების არავითარ დეფიციტს არ განიცდის კაცობრიობაა - განსაკუთრებით ჩვენი ქვეყანა. რაც უფრო შეუსაბამოა პიროვნებაში მოთხოვნილებები და შესაძლებლობები, მით უფრო შურიანად ყალიბდება ადამიანი და თუ ეს შეუსაბამობა უმოწყალიდ გაიზარდა - ბოროტებაში გადადის. გადადის და თან სდევს სიცოცხლის ბოლომდე. ბევრი მათგანი კი, უმეტესად სიცოცხლეს სახრჩობელათი ამთავრებენ - იმიტომ, რომ ბოღმა ახრჩოფთ.

- რას ჰქვია ორპირობა?

- ორპირობა სიმხდალეა, განსაკუთრებით დამკვიდრებული პატრიარქალურ ქვეყნებში - სადაც სიტყვის გატეხვას მძიმე შედეგები მოსდევს. მხდალი ყველაფერს ალამაზებს, პირდება და არ ასრულებს. წინასწარ იცის, რომ ორპირის სახელი დაერქმევა, მაგრამ ეს ურჩევნია პირში თქმას და სათანადო , მძიმე შედეგების მომკას. ორპირობა აზიური და დიპლომარიული მოქმედების შედეგია.

- ვინ არის გმირი?

- გმირი ისაა, ვისაც გმირობის ჩადენა ასარჩევად აქვს - ან ჩაიდინოს, ან განაგრძოს წყნარად ცხობრება. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცის იძულებითი გმირობა გმირობა არ არის, ეს კეთილშობილება და კეთილგონიერებაა - გმირობის ჩადენის, ან არჩადენის შემთხვევაშიც გარდაუალია და უმეტესად მარცხით მთავრდება - ზოგჯერ ტრაგიკულადაც.

გმირობა თვითგანწირვაა, მაღალ იდეალებზე აღმოცენებული - უმეტესად, ემოციურად მიღებული გადაწყვეტილების შედეგი. გმირი თავის თავს მართავს შესანიშნავად, განსაკუთრებით ექსტრემალურ პირობებში - ეს იშვიათი თვისებებიდან გამომდინარე, იშვიათი ქცევაა ადამიანის - უმეტესობას რომ არ ახასიათებს.

ასეთი ნორმალური გმირობის მაგალითი დიმიტრია - თავდადებული, ცივი გონებით რომ აკეთებდა იმას, რაც შეგნებული ჰქონდა და ის სამასნიც - ხმალს რომ იქნევდნენ დაუზოგავად. ისიც გმირობაა, ახლობლების დაუკითხავად რომ გარბოდნენ ყმაწვილები აფხაზეთში საომრად!

იძულებითი გმირობის მაგალითი კოსმოსში გაფრენაა, რომ ჩამოვა გმირია, თუ არ ჩამოვა - მითუმეტეს, ასეთი აქვთ სამსახური.

ისე, კაცმა რომ თქვას, გმირობა უხერხულობაა, უამრავ კაცთმოყვარეს, სამშობლოს მოყვარეს, სიკეთის მოყვარეს გმირობა სულაც არ სჭირდება. მისი გმირობა საზოგადოებას სჭირდება - განსაზოგადოებლად და სამაგალითოდ - ჩვენ საზოგადოებსაც რომ დასჭირდება... ოდესმე.

- ადამიანს ხომ ქცევით აფასებენ?

- თვისებებიდან გამომდინარე ადამიანში ჩვევებია მთავარი. ქცევა ჩვევების გამოვლინებაა უმეტესად - შელამაზებული. მეუღლეს, მეგობარს, პარტნიორს ქცევით ვერ შეარჩევ - შეცდები.

მათი ჩვევები უნდა იყოს შენთვის ახლობელი და მისაღები, არ აქვს მნიშვნელობა რანაირი? - შენნაირი!

- მოდით, კიდევ ერთხელ გადავდოთ ჩვენი საუბარი და შემდგომში, საბოლოოდ დავამთავროთ…

-კი ბატონო - ასე მოვიქცეთ....

27 სექტემბერი

რამდენიმე დღე კარგი ამინდია, ნაკლებად უბერავს, მზეც ხშირად გვათბობს. აგვისტოსთან შედარება არ არის. აგვისტოს მინუს 30^0-მდე ტემპერატურამ ძვლებში გამტანი ქარით, ეტყობა, კისერი მოიტეხა. ტრანსპორტელები და მშენებლების ნაწილი თითქმის ყოველდღე მორენაზე მუშაობენ. დიდ ჭურჭლებს საწვავით ავსებენ, ტვირთავენ ციგებსა და ყველგანმავლების ძარებს ყოველგვარი ტვირთით. კაიუტ-კომპანიაში იმ წუთში მიხვდები ვინ იყო დღეს მორენაზე. ჩვენი, უფრო გამოყვითლებული სახის ფონზე, მორენაზე ნამყოფის ცხვირი, პირი, ლოყები (რასაც კაპიშონი ვერ ფარავს) ისეა გაწითლებული, გეგონება ცხვირ-პირი ადუღებულ წყალში ჩააყოფინეს ძალითო. გარეთ მუშაობა ჩვენც ხალისით დავიწყეთ, იმედი მოგვეცა, რომ ჩვენი დაჟანგული ძვლები ამოქმედდება. ძველი ლოკატორი უნდა დავშალოთ, შენობა გავანთავისუფლოთ ათასი საგნისაგან იმისათვის, რომ მშენებლებმა პავილიონი დაშალონ. ნაწილი 6-7 მოზრდილ ყუთში უნდა ჩავალაგოთ და „ვოსტოკზე“ გავაგზავნოთ, ნაწილიც „ნოვოლაზარევსკაიაში“. სათადარიგო ნაწილების საწყობი ჭერამდე თოვლითაა გაჭედილი. დღეს მთელი დღე მის გაწმენდას მოვუნდით. ხვალ რადიოზონდებისა და ქიმიკატების ყუთებს გადმოვზიდავთ და ისეთ ადგილზე დავაწყობთ, რომ ციგიანი ტრაქტორი მიუდგეს, მერე ყველაფერს ამას მორენამდე გადავზიდავთ და სატრანსპორტო ციგებზე გადავაწყობთ.

მექანიკოსი ანდრეევი, კომაროვი და მე ჩავეტენეთ სენიჩკა სემიონოვის ბულდოზერში და მორენაზე წავედით. ცა მთლიანად მოწმენდილი იყო და ციგის მყუდრო მხარეს ტანზე გახდილი ვმუშაობდით. ოთხ ციგაზე ჭანჭიკები დავუჭირეთ, მძიმე სამუშაოა. ბევრი ძალა იხარჯება, ზოგი ჩაყინული ჭანჭიკი წყდება, ზოგიც ძალზე მიუდგომელ ადგილზეა. იქიდან დაღლილი, მაგრამ კმაყოფილები მოვედით სახლში.

მეთევზეები გამოცოცხლდნენ - ყოველდღე გახვრეტილ ყინულთან სხედან, ძალიან გემრიელ, უძვლო თევზებს იჭერენ. უპუროდ შევსანსლავთ ხოლმე 10-15 ცალს და დილამდე თავისუფალნი ვართ.

მსოფლიო პრაქტიკაში არ ყოფილა, ალბათ, შემთხვევა ამდენი თევზი რომ დაეჭიროს ვინმეს ასე მოკლე დროში. იმ დღეს ხუთი კაცი ეჯიბრებოდა ერთმანეთს: ჩვენი სლესარენკო და მარინსკი (პროფესიონალი მეთევზეები), ექიმი პასტუხოვი, მშენებელი ვასია ატისკოვი, რომლის სიცილი თევზებს აფრთხობდა და იმიტომ დაიკავა, ალბათ, ბოლო ადგილი და მზარეული ტალისი, რომელსაც პირველად ეჭირა ანკესი ხელში.

დაიწყეს, ჩაუშვეს ანკესები ნახვრეტებში. ერთი, ორი, სამი... ყველას თოკი იჭიმება, სლესარენკო და ტალისი აგვიანებს ამოწევას, იმათ თოკზე სამი ანკესია და გრძნობენ, რომ ჯერ მხოლოდ ორზეა წამოგებული თევზი, წამიც და სამივე ყინულზე ფართხალებს. სამანკესიანებმა, რასაკვირველია, მეტი დაიჭირეს და მოიგეს შეჯიბრება, რომელიც მაშინღა შევწყვიტეთ, როცა აზარტში შესულებს, მოგვაფიქრდა, რომ ამდენს, მარტო თევზი რომ ჭამოს, ობსერვატორიის ყველა თანამშრომელმა, ხუთ დღეს ვერ მოვერევით.

დერეფანში დაგდებული რკინის ყუთი, ჩერნიაკის თქმით, ძველი სისტემის რადიომიმღები ყოფილა. საწოლთან დავიდგი, ანტენა გავაძვრინ - გამოვაძვრინე, მივუერთე და შიგადაშიგ

ვუსმენ სხვადასხვა სადგურს. ისე, ყველაზე ხშირად ჩინური და ხრიალი ისმის. საინტერესოა, ყველაფერს ეჩვევა ადამიანი - თითქმის არაფერი არ ვიცით რა ხდება დედამიწაზე და ახლა უკვე აღარც გვაინტერესებს, უფრო სწორად გვაინტერესებს, მაგრამ თუ არ არის, არც იმაზე ვიკლავთ თავს. პირველ ხანებში ასე არ იყო, მაშინ ცნობისმოყვარეობა არ მასვენებდა.

31 სექტემბერი

29-ში, საუზმის შემდეგ, 7 მშენებელი იგორ ბუბელმა ყველგან-მავალით წაიყვანა მე-7 კმ-ზე, პროდუქტების შემოსაზიდად. ჩვეულებრივი, ცოტა ქარიანი დღე იყო. ხიფათი არსაიდან ჩანდა. 12 საათისათვის კი ამინდი უეცრად შეიცვალა- აღმოსავლეთიდან მძიმე, ტყვიისფერი ღრუბლები წამოვიდა და ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, რომ ჯერ ასეთი არ გვენახა. ქარის დანადგარები წამში 52 მ-ს აღნიშნავდნენ. მხედველობა ნულს უდრიდა. გასაგები გახდა, რომ ასეთი ქარი 2-3 დღეს არ გაჩერდება. ყველას თავში მე-7 კმ-ზე წასული 8 კაცი გვიტრიალებს. 3 სათში ისინი, მაქსიმუმ ჩასასვლელის ამოთხრას მოუნდებოდნენ და პროდუქტის ნაწილის ამოატანას მოასწრებდნენ. თუ გონივრულად იმოქმედებენ, და ამაში ეჭვიც არ გვეპარება, ქარის მოვარდნისას საწყობში უნდა ჩამძვრალიყბნენ და იქ დალოდებოდნენ შველას, ან ამინდის გამოკეთებას. საწყობში ტემპერატურა მუდმივად მინუს 14^0-ია. სამაგიეროდ ქარი არ შეაწუხებთ და შიმშილით არ დაიხოცებიან.

სადილზე ყველას მღელვარება ეტყობა. იმის გაფიქრებაც არ გვინდა, რომ არ გაჩერდებიან, ბრმად წამოვლენ და შეიძლება ნაპრალში ან ბარიერზე გადაიჩეხონ. ლებედევი საქმის კაცია, არ ლაპარაკობს, მოქმედებს, განკარგულება გასცა ესა და ეს ყველგანმავალი გაამზადონ. ხალხს თვითონ შეარჩევს. შევდივარ მის ოთახში და მომლოდინე თვალებით ვუყურებ. სანამ პირს გავაღებდი, მიხვდა - კარგი, კარგი, წამოდიო - ნება დამრთო.

სასწრაფოდ ოთახში შევვარდი, რაც თბილი ტანსაცმელი მქონდა ყველაფერი ჩავიცვი. ზევიდან ზედა და ქვედა „შტურმოვკა“ გადავიცვი, თოკები შემოვიჭირე ფეხებზე, ორივე თბილი ხელთათმანი ჩავიცვი და ყველგანმავალში ჩავძვერი, რომელიც უკვე მიდიოდა. ლებედევის გარდა, მეორე მძღოლად ნენახოვი და შტურმანად ოლეგ ვორობიოვი გვყავს.

მანქანა მოტრიალდა და სადგურის ფერდობიდან დაშვება დაიწყო. ასეთ პირობებში ამ ფერდობიდან ჩასვლა საშიშია, შეიძლება გადაიჩეხო. ჩვენ, სამივე, ფანჯარაზე მიწებებულებიც კი აბსოლუტურად ვერაფერს ვხედავთ. შტურმანი ვორობიოვი წელამდე ჭერის ნახვრეტშია აწეული და მარჯვენა და მარცხენა მუხლით ლებედევს წელზე ურტყამს, და ამით გზას ანიშნებს. არაფერი გამოდის, ერთი მეტრის გავლას დიდ დროს ვანდომებთ. ნენახოვი წელზე თოკს იბამს და გარეთ გადის გზის გასაკვლევად, მე თოკი მიჭირავს და ვარეგულირებ. მეტრით თუ მოშორდა, აღარა ჩანს.

დაღმართი რომ დამთავრდა, ვიგრძენით, რომ მორენაზე გავედით, ახლა სამხრეთ-დასავლეთით უნდა ვიმოძრაოთ. აქ ორიენტირები საკმაოდაა. კასრები, ძველი თვითმფრინავები, სამშენებლო მასალა, მანქანა-დანადგარები, ციგები და ათასი რამ, მაგრამ ზედ თუ არ წაადექი, არაფერი არა ჩანს. შემოვიდა ნენახოვი, სახეზე ყინულის ქერქით. ახლა მე გავედი. ერთადერთი საიმედო ორიენტირი მუხლუხების ნაკვალევია, რომელიც ასე თუ ისე ერთი მიმართულებით მიდის. ლებედევმა გამაფრთხილა - კვალი თუ აღარ გამოჩნდა, წინსვლას თავი გაანებეო. მოვიბი თოკი და გავედი. გავედი თუ არა, ქარმა წამაქცია. თუმცა სულერთია, თოვლში გორაობ თუ ფეხზე დგახარ, ჰაერი ისე გაჯერებულია თოვლით, ქარს იმდენი თოვლი მოაქვს, რომ თითქოს ასი კაცი ერთდროულად მუჭით კენჭებს გესვრისო. წამოვდექი, მაგრამ ჯერ ადგილიდან ვერ ვინძრევი, ჰაერი არ მყოფნის, მთავარია ქარს

ზურგით დავუდექე, კაპიუშონში ცხვირ-პირი ისე უნდა შევატრიალო, რომ სუნთქვა შევძლო და მერე მოძრაობა უნდა ვცადო. როგორც იქნა მანქანას წინ მოვექეცი, ფეხის გადადგმის დროს ქარს დიდი კუთხით თუ არ წაუწექი, წაგაქცევს. ამიტომ ნაბიჯის გადაგმას დიდი მომზადება სჭირდება. ეს საქმეც წესრიგში მოვიყვანე. ახლა თვალების გახელაა მთავარი. ოდნავ გაახელ თვალებს თუ არა, თითქოს სილას გაყრიანო და სრულიად ვერაფერს ხედავ. აქაც კაპიუშონი და მკლავი უნდა მოიმარჯვო. წინ ყურება შეუძლებელია, არც არის აუცილებელი, მთავარია ძირს, ჩექმებზე იყურო. ჩექმები პერიოდულად გამოჩნდება ხოლმე და მაშინ შეიძლება გაარჩიო ნაკვალევზე დგახარ თუ ყამირ თოვლზე. ეს განსაზღვრაც სათუოა, ვერ არჩევ ქარისგან გაკეთებული წვრილი ყინულის ბორცვებია თუ ნაკვალევი. რამდენი ხანი დავბორიალობდი არ ვიცი, დროის შეგრძნება სულ დამეკარგა. მერე თოკით დამქაჩეს, ე.ი. უნდა დავბრუნდე. ლებედევის თითქმის ვერც ერთ კითხვას ვერ ვუპასუხე.

თოკი 50 მ-მდე დავაგრძელეთ და ლებედევი გავიდა. შევთანხმდით - თოკის რადიუსზე მანქანის გარშემო გაივლიდა დასაზვერად. თოკით ვგრძნობთ, რომ ბოლომდე გავიდა და ახლა მარჯვნიდან მარცხნივ მოძრაობს. ღმერთმა ნუ ქნას და თოკი გაწყდეს, თორემ მორჩა, ვერც ის გვიპოვის და ვერც ჩვენ ვიპოვით მას. თუმცა, კაპრონის თოკს რა გაწყვეტავს. ბოლოს შემოვიდა გათოშილი. თურმე რადიო-ანტენებთან მივსულვართ, 90^0-ით, მარცხნივ გვივლია, სულ სხვა მიმართულებით. დიდი ხანი ჩუმად ვზივართ, ხმას არ ვიღებთ, ასე არაფერი გამოვა, სახლში უნდა დავბრუნდეთ - დაასკვნა ბოლოს. სახლში ასეთივე წვალებით დავბრუნდით. გვიხარია, რომ მოვაღწიეთ, თუმცა 300 მ არც კი გაგვევლო და 4 საათი ვიყავით გარეთ. სველი ტანსაცმელი რადიატორზე გადავფინეთ და ვახშმათ წავედით.

ვახშამზე გადაწყდა კიდევ ერთხელ ვცადოთ ბედი. ქარი ოდნავაც არ შენელდა. საღამოს 10 საათისათვის იმავე ყველგანმავალით 5 კაცი გავიდა: ლებედევი, ფედოტოვი, სლესა-რენკო, ბაკუნინი და ვორობიოვი. სიბნელეში, მანქანის სინა-თლეზე, კვალი შედარებით კარგად ჩანს. გავატანეთ რადიო-ზონდი. შევთანხმდით სიგნალიზაციაზე, პელენგს ვუკეთებთ, რა მანძილზე და რა კუთხით მოძრაობენ - ლოკატორი აღნიშნავს. უკან თუ დაბრუნდებიან ან შველას მოითხოვენ, შეთანხმებულ სიხშირეს გადართავენ. უფრო მარტივი იყო რადიოგადამცემი გაგვეტანებინა, მაგრამ ახლა მისი რადიობიუროდან მოტანა შეუძლებელია, რადისტი და საერთოდ ყველა, ვინც ტერიტორიის იმ ბოლოში ცხოვრობს, გამომწყვდეულები არიან და აქეთ ვერ მოდიან. ასეთი კი ნახევარი სადგურია. ორივე სახლის ბინადარნი ლოკატორთან შევიკრიბეთ და ინდიკატორის წერტილის მოძრაობას ვადევნებთ თვალს. ნელა მოძრაობენ, დიდხანს ჩერდებიან, ეტყობა ორიენტაციას კარგავენ, 3 საათი გავიდა, მხოლოდ 600 მ გაიარეს. წერტილი დიდხანს არ მოძრაობდა, მერე უკან წამოვიდა, გადავწყვიტეთ აქედან დავეხმაროთ გზის გაკვლევაში. ნაწილმა რაკეტების სროლა დაიწყო. ჩვენ 500 ვატიანი ორი ნათურა გავდგით ფანჯარაში, უკან სარკე დავუდგით გასაძლიერებლად. წერტილი თანდათან გვიახლოვდებოდა, ბოლოს მოვიდნენ, როგორც იქნა, სულ გათოშილი და სველები.

დილამდე არ დავშლილვართ. გადაწყდა ცოტა დავიძინოთ და ისევ ვცადოთ. იქნებ ქარმაც იკლოს.

დილას ვისაუზმეთ და ცხრის ნახევარი იქნებოდა, გავედით. ლებედევი, ბანდურინი, ვორობიოვი და მე. რადისტის მოტანილი რაციაც წავიღეთ. გვითხრა შევამოწმე და ყველაფერი წესრიგშიაო.

თავიდანვე ბანდურინი ჩაება თოკში და ენერგიულად მიაბიჯებდა წინ. ერთხელ მე შევცვალე, ორ-ორჯერ ლებედევმა და ვორობიოვმა. წინა დღესავით ვიტრიალეთ, ხან მარჯვნივ

ვუხვევდით, ხან მარცხნივ, კილომეტრზე მეტი მანძილი გავიარეთ. ყველგანმავალის კარები ღია გვაქვს, კაბინა სავსეა თოვლით, თოვლში ვზივართ. კიდევ კარგი, რომ ტემპერატურამ აიწია -10-12^0-ია, შედარებით თბილა, სამაგიეროდ ყველაფერი გვისველდება - ქურქი, ხელთათმანები, შარვალი - გასაწურია. შემოვა ბანდურინი, იტყვის - მარცხნივ N 7 ციგა დგას პირით ჩვენსკენო. იწყება გახსენება, რა ადგილასაა ციგა, რა მანძილზე, რა მიმართულებით, ე.ი. სად ვიმყოფებით და საით უნდა წავიდეთ. რაცია არ მუშაობს, ლებედევი ბრაზობს. ბოლოს თვითონ გავიდა, დიდხანს იარა, უკან მივსდევთ ნელა. საბოლოოდ აგვერია გზა-კვალი, გადავწყვიტეთ უკან წამოსვლა. რამდენი ენერგია აქვს ამ 50 წელს მიღწეულ კაცს, ამბობს - ახლა დავბრუნდებით, ცოტას დავისვენებთ, გავშრებით და ისევ წამოვალთო.

მოვედით, ყველა დაღლილები და გაღიზიანებულები ვართ, ვერაფერს ვერ ვახერხებთ, 7 კმ-ია გასასვლელი, ჩვენ კი მეორე დღეა 1 კმ-მდე ძლივს მივედით - ნეტა რასა იქმნს ის 8 კაცი?

კაიუტ-კომპანიაში რადისტები კაზადაევი და მაკეევი რაციის გაუმართობას ჩვენ გვაბრალებენ, ჩვენ იმათ ვაბრალებთ, თავს ვერ ვიკავებთ, კამათი გინებაში გადადის. მე გინებაზე ცოტა მეტიც მომივიდა. ეხლა ვნანობ - თავშეუკავებლობა არ არის საკადრისი საქციელი.

სიტუაცია კრიტიკული ხდება, საჭიროა დიდი ჯგუფი და „ხარკოვჩანკა“, რომელზეც ოთახია დადგმული, „სოლიარის“ ღუმელიც დგას, ძლიერი რაციაც და სანავიგაციო ხელსაწყოებიც. ლებედევი ისევ განკარგულებებს იძლევა. ყველაფერი უსიტყვოდ სრულდება. დაქოქეს „ხარკოვჩანკა“, რაცია ამჯერად ადგილზე აამუშავეს და გულდასმით შეამოწმეს. საწვავი მაქსიმალურად მოიმარაგეს. 10 კაცი გამოიყო: ისევ ლებედევი, მექანიკოსები ფედოტოვი, ანდრეევი, ბანდურინი, ბალანდინი და ზახაროვი,

ექიმი პასტუხოვი, შტურმანი უსტალოვი, რადისტი ბელოკუროვი და მე.

დავიძარით. მე, ექიმი, რადისტი და შტურმანი ბალანდინს ვუზივართ „ხარკოვჩანკაში“ დანარჩენები ყველგანმავალით წინ მიდიან. გამოცდილი ნენახოვი სხვა მექანიკოსებთან ერთად, სადგურზე დარჩა გამზადებული „ატტ“-თი. ვინიცობაა შველა დაგვჭირდეს, მზად არიან. გადაწყდა - უკან არ დავბრუნდებით, სანამ არ მივაღწევთ. ორი დღის საკვები, თერმოსებში ჩაი და ყავა, მედიკამენტები მიგვაქვს. „ხარკოვჩანკა“ პატარა სახლია ყველა თავისი ატრიბუტით. ტუალეტიც აქვს, მართალია თოვლითაა სავსე, შიგ შესვლა შეუძლებელია, მაგრამ, მაინც...

ანდრეევმა განაცხადა - წინ მე გამიშვით და შჩეგლოვის ძეგლამდე მიგიყვანთო. ე.ი. მორენის ბოლომდე, 2 კმ-ზე მეტია იქამდე. კარგ ამინდში, მორენაზე ხშირად მუშაობდა, ციგებს არემონტებდა და სად რა დგას, კარგად იცის.

თქვა და შეასრულა. დღის 4 სათზე გასულები 7 საათისთვის იქ ვიყავით. ერთხელ შეცვალეს მარტო. ჩვენთან შემოვიდა, გათბა. ჩვენი ტანსაცმელი ჩავაცვით და ისევ წავიდა. რასაკვირველია, საქმეს ისიც ძალიან შველოდა, რომ ქარმა ოდნავ იკლო და შტურმანი მიმართულებას გვიჩვენებდა, მაგრამ გადამწყვეტი მისი გამოცდილება აღმოჩნდა - სიბნელეში, მანქანების ფარებით განათებულ, ნაპრალში გადაჩეხილი შჩეგლოვის პატივსაცემად აგებულ ლითონის შპილს მივადექით. ანდრეევმა თავისი საქმე გააკეთა, შეუძლია დაისვენოს!

ახლა საჭიროა მარცხნივ გავუხვიოთ, აქამდე თუ ბარიერის პარალელურად მივდიოდით, ახლა მის საწინააღმდეგოდ, კონტინენტის შუაგულისაკენ უნდა ვიმოძრაოთ. აქედან ალუმინის ჯოხების გარდა, რომლებიც ყოველ 50 მ-შია ჩასობილი და ზედ, უკეთ დასანახად, ძველი ჩექმები აქვს წამოცმული, არავითარი ორიენტირი არ არის. მეორე ორიენტირად ქარიც გამოდგება. წინ

მიმავალს წინიდან და მარცხნიდან უნდა გიბერავდეს. საერთო მიმართულებას შტურმანი გვკარნახობს, მაგრამ შეცდომამ შეიძლება ყინულის ნაპრალში გადაგვჩეხოს შჩეგლოვივით და კვალსაც ვერ მიაგნებენ ჩვენსას. სწორედ ეს გვაწუხებს, იმ 8 კაცზე რომ ვფიქრობთ.

დავიძარით, მაგრამ მალე ძეგლიც დავკარგეთ და ალუმინის ორიენტირიც ვერ ვიპოვეთ. უკან დაბრუნება გადავწყვიტეთ. ძეგლთან, ვეღარც ის ვიპოვეთ. აბსოლუტური გაურკვევლობაა - სად ვიმყოფებით, საით წავიდეთ, არ ვიცით, საწყისი არა გვაქვს რომ დავიწყოთ. ტრიალებს ჩვენს გარშემო ყველგანმავალი, ჩვენც ვტრიალებთ, მაგრამ ვცდილობთ ნაკლები ვიმოძრაოთ, რომ ძველი ადგილიდან შორს არ აღმოვჩნდეთ. გადიან გარეთ მორიგეობით ლებედევი, ბანდურინი, ფედოტოვი, ზახაროვი. ბოლოს, როგორც იქნა, აღმოვაჩინეთ ბამბუკის სარი და დავწყნარდით. ახლა საქმე უკეთ წავა - ნიშნები 50 მ-ში დგას, ე.ი. ერთს რომ მივაღწევთ, აქედან შეიძლება 50 მ-იანი თოკით კაცი გაუშვა და სანამ შემდეგ ნიშანს არ ვიპოვით, ადგილიდან არ დავიძრებით. ასეც ვაკეთებთ და ნელ-ნელა წინ მივიწევთ. ხალხი მორიგეობით გადის. ნახავს ნიშანს, თავისუფალია, შეუძლია ჩვენთან შემოვიდეს და გათბეს. ღუმელი მთელი ძალით გუგუნებს, ტანსაცმელი აირია. ყველაფერი იწურება და მერე გახურებულ ღუმელზე იყრება. გათოშილი ხალხი ტიტვლები დგანან ღუმელის გარშემო. ბოლოს მე და ექიმიც გავედით, თითო ნიშნით წავწიეთ საქმე წინ. ყველა ისვენებს, ლებედევი კი არა. გასაოცარი ენერგიის კაცია. ხან - ძალიან ენამოსწრებულია - სხარტად ხუმრობს, ხან სამართლიან განკარგულებას იძლევა, ხან დიდხანს ფიქრობს და ჩვენც გვირჩევს ვიფიქროთ, მოვისაზროთ, აზრი დავალაგოთ და მერე დალაგებულად ყველამ ჩვენი მოსაზრება გამოვთქვათ - შემდგომი მოქმედების შესახებ ერთი კითხვით სულ გვაკონტროლებს - რომ მოდიოდი, ქარი საიდან გიბერავდა?

ყველა შემოსულს წვერი და კაპიუშონის ქვედა ნაწილი ყინულითა აქვს დაფარული. ღუმელთან თუ არ მიიყვანე და გაალღვე, ტანსაცმელს ვერ გაიხდის. დაუღალავი ვიქტორ ბანდურინი ზომაზე მეტად იყო გარეთ და ვეღარ გავალღვეთ, იმდენი ყინული აქვს წვერზე და ყელზე. მერე ჩაქუჩი მოვიშველიეთ და ძლივს ჩამოვამტვრიეთ ყინული. ბოლოს, ძალა სულ რომ გამოელია ხალხს, და კუჭმაც შეაწუხა, შესვენება გამოცხადდა - ერთი კილომეტრი იქნება დარჩენილი, დილის 5 საათია, ცოტა დავისვენოთ, დავნაყრდეთ, ცოტაც დავიძინოთ და ახალი ენერგიით შევუტიოთ ბოლო ბარიერსო - განაცხადა ლებედევმა. ორი დღის საჭმელი თითქმის სულ გავაჩანაგეთ, თითო ჭიქა წყალგარეული სპირტიც გადავკარით და ყველამ ადგილის ძებნა დაიწყო დასაძინებლად. ვინ სად ჩაეჩხირა და ვინ სად: საწოლებზე, საწოლქვეშ, მაგიდაზე, იატაკზე. ბანდურინისათვის ადგილი სულ არ დარჩა. ქურქი წაიღო და მძღოლის ცივ კაბინაში გავიდა. ერთ საათში ისევ შემოვიდა გაყინული. ავდექი, ჩემი საწოლი დავუთმე და რაღაცაზე ჩამოვჯექი. ექიმიც ადგა - ასე რა დამაძინებს, ჯობია ფეხზე ვიდგებიო. ამ ლაპარაკში ვიყავით, მერე გარეთ გავიდა, მძღოლის კაბინაში და სასწრაფოდ მიძახის. გავედი და რას ვხედავ - ქარი იმის ნახევარსაც აღარ უბერავს, რაც იყო ცოტა ხნის წინ და მხედველობაც, რა შედარებაა, უკეთესია - 20-30 მეტრი მაინც ჩანს! ძალიან მეცოდებოდა ვიქტორ ბანდურინი, მაგრამ მაინც გავაღვიძე. გამოვიდა, გაკვირვებული თვალებს არ უჯერებდა. სასწრაფოდ ჩავიცვით, რაც მოგვხვდა ხელთ, ბალანდინი გავაღვიძეთ, რომ უკან წამოგვყოლოდა და გაყინულ ყველგანმავალში ჩავჯექით.

დავძარით ორივე მანქანა. ახლა მთავარია ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა უნდა ვიმოძრავოთ. ეს სიწყნარე შეიძლება ხანმოკლე ფანჯარაა ამ ქარიშხალში და მომენტი არ უნდა

დავკარგოთ. ვიტიას კარები აქვს გაღებული და იქიდან იყურება, მე ხვრელში ვარ ამძვრალი. შეუჩერებლივ მივდივართ. გავცდებით ერთ ორიენტირს, ცოტას უსაგნო ბურუსში გავივლით და ისევ გამოჩნდება ჯოხზე ჩამოკიდებული ჩექმა. ისე, ჩექმა დიდი საქმე ყოფილა, მარტო ჯოხი გაცილებით ცუდად ჩანს. გავდივართ ორიენტირებს სულმოუთქმელად. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი და მარჯვნივ ჩემგან კაცის სილუეტს ვხედავ. ბანდურინს ვუყვირი მარჯვნივ - მეთქი და მანქანიდან ვხტები. ჩემს წინ წელზე თოკშემორტყმული გენა ივანოვი და 20-30 მეტრში N 7 ყველგანმავალია, ე.ი. ცოცხლები არიან! ვეხვევი და ჰაერში ვატრიალებ, თოკში ვიბლანდებით ორივე. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს დიდი, მძიმე ტვირთი ჩამოვიცილე ზურგიდან. ეს ჯანით სავსე კაცი ძალიან მსუბუქი მეჩვენა.

ყველგანმავალიდან ხალხი ძლივს გადმოდის, ბევრი ემოციების თავი არავისა აქვს. ასეთ სიტუაციაში ბევრს ვერ შეამჩნევს კაცი. მაგრამ ყველა რომ ძალზე გამხდარია და ნაწვალევი სახეები აქვთ, კარგად ჩანს. სასწრაფოდ ყველა “ხარკოვჩანკაში” შევიყვანეთ. წარმომიდგენია შიგ რა ხდებოდა. ფედოტოვმა სასწრაფოდ ჩაიცვა, და იმათ 7 ნომერში დაჯდა მძღოლად, მე გვერდზე დავუჯექი, ბანდურინს პასტუხოვი ჩაუჯდა და დავიძარით.

მხედველობა თანდათან უმჯობესდება და ჩვენც სიჩქარეს ვუმატებთ. ორივე ყველგანმავალი წინ მიდის, პარალელურად, ნიშნები რომ არ დავკარგოთ, უკან „ხარკოვჩანკა” მოგვდევს. ესოდენი წვალებით გავლილი გზა უკან ერთ საათში გავიარეთ და თბილ კაიუტ-კომპანიაში ავღმოჩნდით ყველანი ერთად.

დილის 7 საათი არ იყო, მაგრამ მზარეულს ყველაფერი მზად ჰქონდა, ხალხიც მოგროვდა. დამშეულებს ჭამა დავაცადეთ და გამოკითხვა დავუწყეთ.

რომ დავატყვეთ ამინდი ფუჭდებოდა - გვიყვებიან - ამოზიდული პროდუქტები სასწრაფოდ ყველგანმავალში შევზიდეთ, საწყობს სახურავი დავახურეთ და წამოსვლა დავაპირეთ, მაგრამ გვიან იყო. განძრევა არ შეიძლებოდა. მითუმეტეს, ვიცოდით, რომ მოძებნაც გაგიჭირდებოდათ. მერე საწყობში დავაპირეთ ჩასვლა, მაგრამ კარების ორმო თოვლს უკვე ამოევსო და გარეთ გასვლაც შეუძლებელი გახდა. ქარი გლეჯდა ბრეზენტის კაბინას. ხორცის პაკეტებიდან და სხვა პროდუქტებიდან კაბინის უკანა მხარეს კედელი ავაშენეთ, თოვლით შევლესეთ ქარს რომ არ შემოეღწია. მოტორთან მოვთავსდით ყველა. ყოველ ნახევარ საათში მოტორს ვამუშავებდით 10-15 წუთით და მორიგეობით მოტორზე ვწვებოდით მუცლით. ყოველ ერთ საათში ვტრიალებდით ადგილების შენაცვლებით. ცივ, უკანა კუთხის ადგილებზე, ყველას გვეზარებოდა ჯდომა, მაგრამ სამართლიანად ყველა ერთნაირად ვიყოფდითო გაჭირვებას. პირველი 8-10 საათი ხუმრობა არ გვეზარებოდა, დარჩენილი 37 საათი კი სიჩუმეში გავატარეთო. იტყოდა ერთი - აბა, შევიცვალოთო - და ყველანი ავიშლებოდით და ერთმანეთს ადგილს ვუცვლიდით. გვეშინოდა ქარს ბრეზენტი არ აეხია და მანქანაში საწვავი არ გამოლეულიყო. დანარჩენს გავუძლებდით. მერე ქარი შენელდა, დავიძარით და 15 წუთში თქვენც შეგვხვდით.

ყველას მონაყოლში ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული იგრძნობოდა, ცოტა გაკვირვებულებიც იყვნენ ერთმანეთში ესოდენი კარგი თვისებების აღმოჩენით.

გაჭირვებას ყველა თავისებურად იტანდა. სულ მხიარული ხლოპაჩოვი აქაც ყველაზე მეტს მხიარულობდა; ნიკოლოზ ფილიპოვი, სულ სერიოზული და ჩუმი კაცი, აქაც ჩუმად იყო, თუმცა ეტყობოდა, რომ ძნელად იტანდა სიცივეს; ბუბელი სულ მანქანის ჩართვა - გამორთვაში იყო და სულ საწვავის გათავებისა და მოტორის გაჩერების შიში ჰქონდა; ბურდღუნა ოლეგ

ოდარჩუკი აქაც ბურდღუნებდა, სანამ არ მობეზრდა. ყველა კი იმას ცდილობდა ამხანაგს წაშველებოდა, ხელები და ფეხები დაეზილა, ზოგჯერ თბილი ადგილი დაეთმო, სიტყვით გაემხნევებინა და ბოლოს ასეც მოხდა, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

მერე ამბავი მოიტანეს, დაზარალებულებისათვის აბანო მზად არისო და სიამოვნებით წავიდნენ გაყინული ძვლებისა და კუნთების გასათბობად.

7 ოქტომბერი

4-ში კოლია დრეერი მეუბნება - ვალოდია შაბანოვს შეატყობინეს, რომ დედა გარდაცვლია, დარეტიანებული დადის და არ ვიცი როგორ მივუდგე, ერთი ბოთლი არაყი რომ მაშოვნინა, იქნებ ლაპარაკზე გამოვიწვიო და ნელ-ნელა აქეთ გამოვახედოო. ერთი ბოთლიღა მქონდა შემონახული და მაშინვე მივეცი. საწყალი ვალოდია, სამი დღეა საჭმელადაც არ გამოსულა, ყველა თანავუგრძნობთ, მაგრამ ვერაფერს ვეუბნებით, ან კი რა უნდა ვუთხრათ, რით ვანუგეშოთ?

საღამოს გარი სლესარენკო მეუბნება - რაღაცა ისეთი გრძნობ მაქვს, მეც მომიკვდა დედაო, ადრე დეპეშები ცოლთან ერთად მისი სახელითაც მომდიოდა, ბოლო ხანს კი მხოლოდ ცოლის სახელით მოდის დეპეშებიო. გავუჯავრდით - აბა, რა სისულელეებს ლაპარაკობ, მაგის ფიქრიც კი არ შეიძლება, ქალები არიან, ალბათ, უსიამოვნება მოუვიდათ და გაიბუტნენო. სლესარენკო თავისას იმეორებდა დაჟინებით.

დღეს უკანასკნელი ცნობების რედაქციამ ახლობლების რადიოსეანსი მოაწყო. გარის მეუღლემაც ილაპარაკა, აღმოჩნდა, რომ გარის დედა მართლაც გარდაცვლილა ორი თვის წინ. ახლა კარი ჩაიკეტა ოთახში და ჩვენ კიდევ უფრო უხასიათოდ შევიქმენით.

საერთო განწყობამ ჩემზეც იმოქმედა - უსიზმრო კაცს სიზმრები დამეჩვია, რაზედაც დღე ვფიქრობ, იმის ნახვას ძილში

კინოსავით ვაგრძელებ. ეტყობა ეს, საერთო სულიერი დისკომ-ფორტის ინტეგრალური შედეგია.

ბიბლიოთეკის ინვენტარიაზაციას იწყებენ და იქ შევეჩხირე წიგნების მქექავად. ყველას გაუკვირდა, მე კი მრავალფეროვ-ნებისათვის რაღაც ახალს ვეძებ. მერე მექანიკოსებს ან მშენებლებს მოწაფედ „დავექირავები", ან სეისმოლოგებთან ვივლი ერთი ორ საათით ყოველდღე, რადგან ვგრძნობ, რომ აპათია მეძალება. ეს საერთო სენია, ყველას განწყობილება დაუქვეითდა. ადრე სპორტი გვართობდა. სპარტიკიადაც დავიწყეთ დიდი ენთუზიაზმით, ცოტაღა გვიკლია დამთავრებას, მაგრამ ყველას ეზარება, უარს ამბობს, რაღაცას ნაკლებ ყურადსაღებს იმიზეზებს. აღარ გვაინტერესებს, ვინ იქნება პირველი და ვინ ბოლო. ყველა აკეთებს იმას, რაც მოეთხოვება, განაწესით განსაზღვრულ სამუშაოს, არც მეტს, არც ნაკლებს.

სამაგიეროდ წინ ორი დიდი სტიმულატორია - რაც მეტი დღე გადის, მით უფრო თბება, ქარი ნაკლებს უბერავს და ნაკლებად მოღრუბლული ამინდი იქნება და მით უფრო ახლოვდება გემების მოსვლის დღე!

11 ოქტომბერი

საერთოდ, ასეთ პირობებში გაცილებით ნაკლები დროა საჭირო იმისათვის, რომ კარგად გაიგო ვინ ვინ არის. ხალხის მოქმედება თავისუფალია, ყოველგვარ პირობითობას მოკლე-ბული. პირობები, მძიმეა თუ არა - ყველასათვის ერთნაირია, ტანსაცმელიც ერთნაირი გვაცვია. გამორჩეული მხოლოდ შენი მოქმედებაა და შენი მოქმედებაც უმეტეს შემთხვევაში ბუნებრივია, იმიტომ, რომ კაცს ხშირად იმისი თავიც კი არა გაქვს, საკუთარი"მე" შეაფერადოს. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მაგრამ ყოველდღე ხომ ვერ შეაფერადებ? ერთი სიტყვით, გამჭვირვალე ხარ ადამიანი, შენი ყველაფერი ჩანს, ერთის გარდა - ძუნწია კაცი

თუ არა, აქ ვერ გაიგებ. აქ ყველა გულკეთილია სახელმწიფოს ხარჯზე, თავისი კაპიკიც არ ეხარჯება და რატომ არ იქნება გულკეთილი. თავისასაც რომ ხარჯავს, მე ისიც არ მიმაჩნია გულკეთილობად - შენსას რომ უყოფ გაჭირვებულს და შენ იკლებ იმ მიცემულ წილს - აი, გულკეთილობად ეს მიმაჩნია.

15 ოქტომბერი

ჩვენთვის ცოტა ადრეა, მაგრამ ფრინველებისთვის ზაფხული უკვე დაიწყო. დღეს პირველი ანტარქტიდული ქარიშხალა მოფრინდა. ორნი იყვნენ, სადგურს გადაუფრინეს. ეტყობა კუნძულ ხასუელზე გაიკეთებენ ბუდეს. ვიღაცამ თქვა - ყინულზე ადელის პინგვინი შევამჩნიეო. იმათი მოსვლის დროც დადგა. თვის ბოლოს ვერ დაითვლი, იმდენი იქნება. მალე მეზღვია გამოჩნდება, ეს კუჭგანიერი, გაუმაძღარი, დამპალხორცისჭამია ფრინველები ნაგვის ციგას არ მოშორდებიან მთელ ზაფხულს.

თეთრი, თეთრი ცის ფონზე მოფრინდებიან ძალზე ლამაზი, თოვლის, ვერცხლისფერ-ნაცრისფერი, ქარიშხალები, კაპის მტრე-დები, ვილსონის ჩიტები, მომრავლდებიან სელაპები ყინულზე და ზღვაში, წასვლას დაიწყებენ შვილებთან ერთად იმპერატორის პინგვინები.

საღამოს სტუმრად გახლდით. მასპიძელმა - ,,სუფთა'' რუსმა – კლასიკური გურული სადღეგრძელო შესვა – მშვიდობისა. ამ პრეტენზიულ და მომაბეზრებელ სადღეგრძელოში თითქოს წინათგრძნობაა ჩაქსოვილი იმისა, რომ ეს შეკოწიწებული და იძულებითი მშვიდობა ოჩოფეხებზე დგას და თუ ოდესმე წაიქცა, საშინელებას უნდა ველოდეთ. მაგრამ, მეორე მხრივ, ხომ არსებობს ცხოვრების ლოგიკა, რომელიც გვასწავლის, რომ ყველა და ყველაფერი დროში უფრო სრულყოფილი ხდება, მათ შორის მშვიდობაც. დარწმუნებული ვარ ჩვენი შვილები და შვილიშვილები ჩამოყალიბებულ, მყარ სამყაროში იცხოვრებენ.

... ანტარქტიდული გაზაფხული მოვიდა, რა მშვიდობიანი და ლამაზი დღეა! საინტერესოა, ასეთივე იქნება იგი 15-20 წლის შემდეგ?

... ესეც ოქტომბრის დღეების ჩანაწერებია, მაგრამ უკვე 1993 წლისა. თურმე როგორ ვცდებოდი ჩემს იმედებში – დადგა ყველაზე მძიმე დღე და პერიოდი ქართული სამყაროსათვის – დატოვა ქართველმა კაცმა ძირძველი ქართულაფხაზური საერთო მიწა – აფხაზეთი.

ჩემს დღიურებში რამდენჯერმე ავღნიშნე ექსტრემალურ ვითარებებში სწრაფი მოქმედებისა და დროის რაციონალურად გამოყენების აუცილებლობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების როლი მთაში, რაშიც არაერთხელ დავრწმუნებულვარ ჩემი ცხოვრების იმ საკმაოდ ხანრძლივი პერიოდის განმავლობაში, მთასთან რომ იყო დაკავშირებული. და აი, ამ დებულების სისწორე კვლავ დაადასტურა ცხოვრებამ იმ ტრაგედიის მაგალითზე, სვანეთის მთებში რომ დატრიალდა 1993 წლის ამ შემოდგომის დღეებში. არ ვიცი სწორად ვიქცევი თუ არა, ქაღალდზე რომ გადმომაქვს ეს ამბავი, ასეთ ამბებს ხმამაღლა არ ყვებიან, მაგრამ ჩვენი გამოცდილება იქნებ გამოადგეს ვინმეს. არ ვიცი, არ ვიცი... მეორე მხრივ, რომ არ ვთქვა, არ შემიძლია.

... ნოდარ ნათაძემ ტელევიზიით მიმართა ქართველ საზოგადოებას – აფხაზეთიდან ლტოლვილები ჭუბერის უღელტეხილზე ფეხით გადმოდიან, მძიმე მდგომარეობაა შექმნილი და თუ ვინმეს რაიმე დახმარება შეგიძლიათ, სასწრაფოდ შევიკრიბოთო. ავღელდი... აღელდა ჩემი ოჯახიც... ჩემმა მეგობრებმა – მანანა ყიფიანმა, ლიკა ქართველიშვილმა და ჩვენი დიდი სახლის სხვა მეზობლებმა ერთ საათში შეაგროვეს ერთი ძალიან დიდი და ორი ჩვეულებრივი ტომარა თბილი ტანსაცმლი. რა არ მოჰქონდათ – ნახმარიცა და ბევრი უხმარიც. გადავიცვი,

წავიღე ტომრები და მივედი გეოლოგიის დეპარტამენტში. უამრავი ხალხი მოგროვილიყო – გამოცდილებიც და ახალგაზრდებიც. ბოლოს ასაკით უფროსებმა დარბაზიდან მთავარი გეოლოგის გურამ აბესაძის კაბინეტში გადავინაცვლეთ და მოვითათბირეთ – ალპინისტები ნოდარ კანკავას ხელმძღვანელობით პირველი ავტობუსით გავიდოდით ახლავე, მერე დანარჩენები გამოგვყვებოდნენ. გაიჭედა ,,იკარუსი'', ჩემი ტომრები ძლივს შევტენე. კარებს არ გვახურინებდნენ წამოსვლის მსურველები. დავიძარით, გზაში როგორც იქნა დავლაგდით... და მალე ქუთაისშიც ჩავედით. ჩავედით და იქ დაიწყო ტანჯვა... ვერაფრით ვერ მოხერხდა ვერტმფენით უღელტეხილზე ჩვენი გადასხმა. რა არ ვიღონეთ, ვის არ ვეხვეწეთ, ვის არ დავემუქრეთ... ნურას უკაცრავად! ჯერ პური უნდა მივაწოდოთ დამშეულ ხალხსო – გვპასუხობდნენ იქაური ორგანიზატორები და თან ვერტმფრენში თითო-ოროლა ბრგე ახმახს ტენიდნენ, თავისი ოჯახების გადასარჩენად რომ მიისწრაფოდნენ ზევით. მე გადაწყვეტილებას ვერ მივიღებო – გვპასუხობდა კომისიის თავჯდომრის მოადგილე, თავჯდომარე ოთარ ფაცაცია კი სოფელ ჭუბერში იჯდა და ნებართვას აგვიანებდა. ბოლოს, საღამოს, ნებართვა რომ მივიღეთ, ქარი ამოვარდა და მოძრაობაც შეწყდა. ქარი არც დილას შენელებულა და გადავწყვიტეთ ავტობუსით წავსულიყავით – ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გავლით ცხენისწყლის ხეობას ავყოლოდით, ცანის გადასასვლელით მესტია გაგვევლო და ასე მიგვეღწია ენგურის შენაკად ლახამულამდე, რომლის ხეობაშიც ჭუბერია განლაგუბული. ასეც მოვიქეცით და სასწრაფოდ გზას გავუდექით. აუღელვებლად არ შეიძლება იმის გახსენება, რაც გზად ვნახეთ – ყოველი სოფლის წინ, შარაზე, ხალხი იყო გამოფენილი ყველით, პურით, ხილით, ნიგოზით, ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით, ვისაც რა ჰქონდა იმით აპურებდა და ათბუნებდა ლტოლვილებს. ლენტეხში ვისადილეთ სასადილოში, მთელი

ქვეყანა რომ ესია მასპინძლად – ზოგი კლავდა და ხარშავდა, ზოგი აცხობდა და წვავდა, პირდაპირ ეზოში და ქუჩაში. ღამე ცანაში გავათენეთ და სისხამ დილით გზას შევუდექით. გადავიარეთ ცხენისწყლისა და ენგურის ხეობის წყალგამყოფზე გამავალი მთლად დანგრეული გზა და უშგულის გავლით შუადღეს მესტიაში ჩავედით. მესტია ფუტკრის სკასა ჰგავდა – ლტოლვილებით, მათი მშველებლებით თუ ადგილობრივი ხალხითა და მანქანებით გადაჭედილი. წყნარად ვერავინ ლაპარაკობდა და ვერც იქცეოდა – ყველა ყვიროდა, ბრძანებებს იძლეოდა და ერთმანეთს ეძებდა. ჩვენ კი უბენზინობის გამო გზა ვეღარ გავაგრძელეთ. რაღა არ ვიღონეთ, მაგრამ ვერაფერი მოვახერხეთ და იძულებულები გავხდით ბენზინმზიდს დავლოდებოდით, რომელიც, თურმე, ჩვენს უკან მოდიოდა. ამასობაში ბენზინის მომლოდინე 6-7-მა ავტობუსმა და საბარგო მანქანამ მოიყარა თავი - ჩვენი გზით მიმავალმა. აქეთ მომავლის ხომ თვლა არ იყო. დიდის ვაივაგლახით მივიღეთ ჩვენ-ჩვენი წილი ბენზინი და ჩავმწკრივდით რიგში, ერთად სასიარულოდ. გაგვაფრთხილეს – გზა ყაჩაღებით არის სავსე და ფხიზლად იყავითო.

ჩავყევით ენგურს, კარგა ხანი ვიარეთ უხიფათოდ და დაბნელდა კიდეც, ცოტაღა იყო დარჩენილი ჭუბერის გადასახვე-ვამდე და სისწრაფის მოსურნე ჩვენი სამი ავტობუსი დაწინაურდა. ერთ მოსახვევში, გზის პირას, დიდი კლდე რომ იყო აზიდული, წინა ავტობუსი შეჩერდა და სროლის ხმაც მოგვესმა. გადმოეყუდნენ ყაჩაღები და მგზავრებს უბრძანეს ავტობუსის წინ გამოსულიყვნენ. დაუწყეს სროლა ფეხებში და სულ ცეცხლი აყრევინეს ტყვიებს. მერე ერთ-ერთმა ავტობუსი გადაქექა და თუ რამ მოეწონა, ყველაფერი წაიღო. თუმცა რა უნდა წაეღო, იმ ავტობუსით ჯგუფ ,,სანთლის'' მაშველი ბიჭები მოდიოდნენ, წამლებისა და პირადი ნივთების მეტი არაფერი ჰქონდათ რა.

დანარჩენი ორი ავტობუსის მგზავრები შიშველი ხელებით ყაჩაღებთან ვერას გავხდებოდით და გაცლა ვამჯობინეთ – ბიჭები ავტობუსიდან ჩამოვსხით და გაფაციცებით მანქანების მოტრიალებას ვეცადეთ. გზის სივიწროვისა და უკუნეთი სიბნელის გამო ძლიერ გაგვიჭირდა, მაგრამ სანამ პირველ ავტობუსს ესროდნენ და ძარცვავდნენ, ჩვენ ორივე ავტობუსის მოტრიალება შევძელით და უკან გამოვბრუნდით. ყაჩაღებმა პირველი მსხვერპლი გაუშვეს თავის გზაზე და ახლა მომდევნო მსხვერპლს დაუწყეს ცდა.

ამასობაში ჩვენ გავაჩერეთ ყველა ჩვენი გზით მიმავალნი და მოვუყევით ყველაფერი. ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ წინ გაგვეშვა ტომრებით დატვირთული თვითმცველი, რომელშიც ავტომატებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული გვარდიელები ჩაიმალებოდნენ, კლდესთან მიახლოებისას ცეცხლს გაუხსნიდნენ ავაზაკებს და გზას გაგვინთავისუფლებდნენ. მეორე ნომრად თამაზ დაუშვილის დახურული, საბარგო მანქანა უნდა მიჰყოლოდა, საკვები რომ მიჰქონდა ლტოლვილებისთვის, მას ჩვენი ორი ავტობუსი ჩაუდგა ზურგში და ქარავანს აბოლოვებდა ვეებერთელა ჩეხური ბენზინმზიდი.

დავიძარით და მალე მივუახლოვდით კიდეც კლდესთან მოსახვევს. ისევ შეიქმნა სროლა და დავიდარაბა იმათი მხრიდან. ჩვენი თვითმცველი კი გაყუჩებული იყო, როგორც მერე აგვიხსნეს, გვარდიელების სროლას აზრი არ ჰქონდა, რადგან კლდეს ამოფარებულ ბანდიტებს მაინც ვერაფერს ავნებდნენ. ყაჩაღებმა სროლა მალევე შეწყვიტეს, როგორც ჩანს მათთვის ცნობილი გახდა უკან ბენზინმზიდი რომ მოგვყვებოდა და პირველი მანქანა ინციდენტის გარეშე გაატარეს, მას დანარჩენებიც მივყევით. ჩვენ რომ კლდეს ჩავუარეთ და ჯერი ბენზინმზიდზე მიდგა, მაშინ კი ისეთი სროლა ატყდა, რომ მტრისას. სასწრაფოდ გაცლა იყო საჭირო, თორემ ბენზინის ჭურჭელს ტყვია რომ მოხვედროდა,

აფეთქების ტალღა ხევში გადაგვჩეხავდა. გავიარეთ რამდენიმე კილომეტრი და ყველა ერთად გავჩერდით სულის მოსაბრუნებლად. აღმოჩნდა, რომ ყველამ უვნებლად გამოაღწია განსაცდელს, ეგ იყო, რომ ბენზინმზიდი არ ჩანდა ჯერ.

ამ ლაპარაკში დიდ ხანს არ გაუვლია და მანქანის ხმა შემოგვესმა, ცოტაც და ბენზინმზიდის სილუეტიც დავინახეთ. გაგვეხარდა და ტაში შემოვკარით, მაგრამ მოახლოებული მანქანა რაღაც უცნაურად იქცეოდა – იმის მაგივრად რომ გაჩერებულიყო, სისწრაფეს არ უკლო და ჩვენი მანქანების გვერდის ავლაც სცადა, თან მანქანის კაბინიდან და მისი ძარიდან ჰაერში გამუდმებულად ისროდა შიგ მსხდომი სამი-ოთხი კაცი. იმ ადგილებში გზა ძალიან ვიწროა და ბენზინმზიდმა ერთ-ერთ მანქანას მაინც გამოჰკრა მხარი და კინაღამ გადაიჩეხა, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, წონასწორობა შეინარჩუნა და წინ გავარდა.

ჭუბერში უბენზინმზიდოდ ჩავედით (ჯვარში ჩაყვანილი ბენზინმზიდი მეორე დღეს მაინც დააბრუნეს - უბენზინოთ), კოცონთან გავათიეთ ღამე და დილას ჩვენი საქმეების მოგვარებას შევუდექით. პირველ რიგში თათბირს დავესწარით ხელმძღვანელები – ოთარ ფაცაცია და ირაკლი მენაღარიშვილი რომ ატარებდნენ. ბევრი ვერაფერი გავიგეთ, მაგრამ უღელტეხილზე ჩვენს გამგზავრებაზე რომ კონკრეტულად ვერაფერს გვპასუხობდნენ – ეს კი გავიგეთ. წუხელ განცდილს დღევანდელიც მიემატა და ნერვებაშლილებმა დავტოვეთ საორგანიზაციო შტაბი.

საოცარი იერი მისცემოდა არე - მარეს: სოფელში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოველი ხის ძირას ხალხი შექუჩე-ბულიყო და ცეცხლს ეფიცხებოდა. ნაწილი ხალხისა მანქანებს უტევდა პურისა და ტანსაცმლის გამოსაგლეჯად. არავითარი რიგი და წესრიგი – ყველა ცდილობდა რაც შეიძლება მეტი შეხვედროდა. ბარისაკენ მიმავალ ავტობუსებში ჭყლეტა იყო, სად მიდიოდა

ავტობუსი – ზუგდიდში, ქუთაისში, თბილისში თუ სხვაგან – მნიშვნელობა არ ჰქონდა – მთავარი იყო გასცლოდნენ აქაურობას. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო ,,სანთელის'' სამედიცინო პუნქტში, სადაც უამრავ დაჭრილს, დაშავებულს, დასუსტებულსა და დავრდომილს მოეყარა თავი. სოფლის ყველა ოჯახი გადაჭედილი იყო ხალხით - ძირითადათ ბავშვებით; ორღობეებსა და შუკებში ავტომატიანი და კბილებამდე შეიარაღებული ჩვეულებრივი ახალგაზრდები ადი - ჩამოდიოდნენ უსაქმურად – საქმე აფხაზეთში უკვე მოთავებული ჰქონდათ და ამ გაუბედურებულ ხალხს ფეხებში ებლანდებოდნენ.

ორი ავტობუსის ხალხმა ერთ ავტობუსში მოვიყარეთ თავი და დავიწყეთ მსჯელობა. ნოდარ კანკავამ ყმაწვილებს ალალად გააცნო ყველანაირი სიძნელისა და არსებული სიტუაციის შესახებ და ბოლოს იკითხა – როგორ მოვიქცეთო? დადგა დრო პოზიციის გამოხატვისა და შევთავაზეთ – ვისაც დარჩენა უნდოდა, ავტობუსიდან ჩასულიყო, სათაკილოს ამაში არავინ არაფერს დაინახავდა. ბევრ ახალგაზრდას, მომხდარის გამო გადაღლილს, შეურაცხყოფილს და ფსიქოლოგიურად დათრგუნულს, ყველაფრის ხალისი დაეკარგა და უკან დაბრუნება ისურვა. ჩამოვიდა 14 ბიჭი, გადმოცალა თავისი საძილეები და ზურგჩანთები. მერე რამდენიმე კაცი განვცალკევდით – დარჩენილი ახალგაზრდების პატრონებად ვინც ჩავთვალეთ თავი და მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება – დარჩენილებს მე ვუხელმძღვანელებდი. ნოდარ კანკავას, მიუხედავად მისი დიდი წინააღმდეგობისა, დავავალეთ წამსვლელები როგორმე ცოცხლები ჩაეყვანა თბილისში. ნოდარ ნადარეიშვილი და გელა მიქაბერიძე გეოლოგებს მიუერთდნენ, გია თარხან-მოურავი - ,,სანთლის'' ბიჭებს. წამსვლელებმა თავისი ულუფა პროდუქტი ჩვენ დაგვითმეს, ზოგი რამ სხვაგანაც ვიშოვნეთ და საგრძნობი ტვირთი დაგვიგროვდა – საავადმყოფოს ხელუხლებელი მარაგიდან

ბლომად წამლები, სამი ტომარა შაქარი, საკმაოდ ბევრი პური, ყუთებით რძის ფხვნილი, ბევრი თხელი საბანი და სხვა. ყველაფერი ეს, ასაფრენ მოედანზე გაგვატანინა ვიღაც კეთილმა - საბარგო მანქანით.

სანამ გვიან არ იყო, ბიჭებს კიდევ ერთხელ შევთავაზე უკან დაბრუნება, რადგან სარისკო საქმეს ვიყავით შემდგარი – უკვე ვიცოდით, რომ უღელტეხილზე შეიარაღებული ბანდიტები თარეშობდნენ. ცივი უარი მივიღე და ამაზე ლაპარაკი შემდეგ აღარ გვქონია. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მტკიცე გადაწყვეტილების გამო გულში ისინი მამაკაცებად და ჩამოყალიბებულ პიროვნებებად ვცანი, მათზე დარდი მუდამ მდევდა თან, განსაკუთრებით 17 წლის, გამოუცდელი დათო ქავთარაძის გამო და თურმე რა რიგ უსაფუძვლოდ!

სოფლის განაპირას განლაგებულ ასაფრენ მოედანს ადამიანების ურიცხვი რაოდენობა ერტყა გარს. ვერტმფრენები ცოტა კი იყო, მაგრამ მათ განუწყეტლივ გადმოჰქონდათ ქუთაისიდან პროდუქტი და ტანსაცმელი, რომლის ნაწილს აქ ტოვებდნენ და ნაწილი კი უღელტეხილსგაღმა სოფლებში მიჰქონდათ, იქიდან კი დავდრომილი ადამიანები ჩამოჰყავდათ.

თუ ჩემი და ჩემი ბიჭების მცდელობამ ვერ შეარყია საფრენი მოედნის ხელმძღვანელების რწმენა ფრენის ,,ზემოდან'' დადგენილი გრაფიკის სისწორისა, ეს შესძლო იმ დროს ყოველგვარ ადმინისტრაციულ უფლებებს მოკლებულმა, ლამაზი სულის, გონიერმა და გამბედავმა ბაკურ გულუამ თავისი ლოგიკით, რომელიც არსებული სიტუაციის ანალიზს ეყრდნობოდა. ამ ლოგიკის შედეგი კი ის იყო, რომ მარშუტიდან მოხსნეს ქუთაისში მიმავალი პირველივე ვერტმფრენი და ჩვენს გადასაყვანად პირი უღელტეხილისაკენ აბრუნებინეს. ჩვენც, გახარებულებმა სასწრაფოდ ჩავტვირთეთ ყველაფერი იმ იმედით, რომ დღევანდელი დღე მაინც არ ჩაივლიდა უსაქმურად.

ზევიდან დანახული სურათი საშინელი იყო – მოდიოდა და მოდიოდა ხალხი ოღროჩოხრო გზებითა და ბილიკებით, განუწყვეტლივ. ჯაჭვივით გადაბმულებს მოჰყავდათ ერთმანეთი ხელმკლავით და ზურგით, ბავშვები – იღლიაში ამოდებული; მოჰქონდათ ფუთები და ტომრები, ზოგი კი თავის თავს ძლივს მოათრევდა. შუადღე იყო, უღელტეხილის გადმოღმა ფერდობზე რომ დავფრინდით. გადმოვტვირთეთ ტვირთი გზის შორიახლოს, ერთ პატარა, მოწესრიგებულ მინდორზე და განვსაზღვრეთ მოქმედების გეგმა. ენერგია და ემოციამოზღვავებულმა ბიჭებმა კარვების გაშლაზე უარი თქვეს – მთავარია მარშუტზე გასვლა და ხახლის შველაო. როგორც იქნა, დაიწყო ნამდვილი საქმე, რისთვისაც წამოვედით და განცდისათვის ადგილი აღარ დაგვრჩა – ბიჭები ჯგუფებად დავყავი, ყველამ პირთამდე აივსო ზურგჩანთა პურით, შაქრით, შედედებული რძით, წინდებით და შეუდგა ახლადდათოვლილ აღმართს.

დარჩენილებმა – მე და ექიმმა ლექსო თარაშვილმა – გავშალეთ წამოღებულებს შორის ყველაზე დიდი კარავი ,,სანთლის'' ბიჭების კარვის სიახლოვეს და შევუდექით იმის კეთებას, რასაც ისინი აკეთებდნენ – ვადუღებდით წყალს, ვამზადებდით ტკბილ ჩაის და რძეს და პურთან ერთად ვურიგებდით უღელტეხილ-გადმოვლილ, ნახევრად და მთლად გაყინულ ლტოლვილებს. ამასთან ერთად ვაცმევდით ტანსაცმელს და ფეხსაცმელს, თუ რამე გვქონდა და თუ რამე მოერგებოდათ. იმ დღეების განმავლობაში ლექსოს შრომა აუტანელი გამოდგა მისი უწყვეტობის გამო – მთელი დღე და ხშირად, მთელი ღამეც ხალხი გამუდმებით საჭიროებდა სამედიცინო დახმარებას, - მოყინული და მოტეხილი, ინფარქტიანი და კუჭგახვრეტილი არ ილეოდა. განსაკუთრებით მძიმე იყო ბავშვების მდგომარეობა – ქანცგაწყვეტილებს სიარული აღარ შეეძლოთ, მაგრამ რადგან ის შესძლეს, რომ უღელტეხილი გადმოიარეს და არ დაიხოცნენ, გადარჩენის იმედი გვესახებოდა.

დანაყრების შემდეგ მხოლოდ იმას ვემუდარებოდით, როგორმე ტყის ზონამდე ჩაეღწიათ, რადგან აქ, ტიტველ ადგილას ღამე ნამდვილად გაიყინებოდნენ. უმეტესობა ასეც იქცეოდა, დაისვენებდა, უკანასკნელ სულიერ და ფიზიკურ ძალებს მოიკრეფდა, იმ იმედით, რომ სადღაც ქვევით, კოცონის პირას, სულის მოთქმა და ძილიც შეიძლებოდა. მძიმე ავადმყოფებს კარვებში ვათავსებდით და მერე ვერტმფრენით ვამგზავრებდით ბარში.

ბნელდებოდა, ჩვენი ბიჭები რომ შევამჩნიეთ ფერდობზე, კანტიკუნტად ჩანდნენ. რა გრძნობაც მე მათი მოახლოებისას განვიცადე, აღარასოდეს გამიმეორდება - ალბათ. ეს იყო სიცოცხლის, სიხარულის, სიამაყის, შრომის, თავდადების, დაკრგული დღეების სინანულის ერთიანი გრძნობა. თვითოეულ მათგანს ზურგზე შემოსმული და ხელჩაკიდებული კიდევ ორი ბავშვი მოჰყავდა, გარშემო კი ქალებისა და მოხუცების გუნდი მოსდევდა სხვა ბავშვებითა და ფუთებით. ჩვენი ბიჭები გახდნენ ცენტრებად იმ ცოცხალი ორგანიზმისა, ადამიანთა ჯგუფის სახით რომ შეიკრიბა მათ გარშემო, უღელტეხილის გოლგოთას გზას შემდგარი, ყველაზე სუსტი არსებებისგან. ჩვენი, ადგილზე დამხვდომთა საქმე კი შედარებით იოლი იყო – მათი მკურნალობა, დაპურება და ბარში გაგზავნა. ასეთი, სტიქიურად შექმნილი გუნდების ჩამოსვლა შუაღამემდე გაგრძელდა მათი სიარულ-უნარიანობის შესაბამისად და ჩვენც მხოლოდ მაშინ დავ-წყნარდით, უკლებლივ რომ შევიკრიბეთ ყველა. კვალდაკვალ კარვებისა და საძილე ტომრების გაშლა, ვახშმობა, შთაბეჭდი-ლებების გაზიარება და ხვალინდელი დღის დაგეგმვაც შევძელით.

მეორე დილას იგივე განმეორდა, მერე კიდევ და კიდევ - მონდევნო დღეებში, მთელი დღის განმავლობაში – მონოტონუ-რად. უთენია დაიტვირთებოდნენ ხოლმე ბიჭები და გაუდგებო-დნენ გზას. პირველები ოთხი-ხუთი საათის შემდეგ გამოჩნდე-

ბოდნენ, ცოტას დაისვენებდნენ, დანაყრდებოდნენ და მეორეჯერ შეუდგებოდნენ მარშუტს. ისინი, ვისაც ძლიერ დასუსტებული ლტოლვილები მოჰყავდათ, გზას დიდ დროს ანდომებდნენ და შებრუნებას ვეღარ ასწრებდნენ, სამაგიეროდ ჩვენ გვეხმარებოდნენ დაღუპულების ჩამოტანასა და დამარხვაში, რომელთა გვამებიც უღელტეხილის სხვადასხვა უბანზე უპატრონოდ იყო მიტოვებული და იხრწნებოდა. ამ საქმეს ჩვენთან ერთად ტყეში დაბანაკებული გელა მიქაბერიძე და გელოგების ჯგუფი ასრულებდა. დამთრგუნველი სამუშაო იყო, მაგრამ საჭირო, ძალას იმის შეგრძება გვაძლევდა რომ ამჟამად ამის გამკეთებელი ჩვენს მეტი აქ არავინ გვეგულებოდა და ეს ჩვენი ქრისტიანული მოვალეობაც იყო. მარშუტზე მომუშავე ბიჭებისგან წინასწარ ვიცოდით სად და რამდენი გვამი იყო მიმობნეული. ჩამოგვქონდა ცელოფანის ტომრებში გახვეულები, ვთხრიდით საფლავებს, ზოგჯერ ბულდოზერითაც და აღწერილობის შედგენისა და საბუთების ამოღების შემდეგ ვაბარებდით მიწას. ასე დავმარხეთ თხუთმეტამდე გარდაცვლილი, რომელთა ხელმეორედ ამოთხრა რამდენიმეჯერ მოგვიხდა, რათა დაგვერწმუნებინა ბარიდან ამოსული ჭირისუფლები, რომ ეს მისი მკვდარი არ იყო. რამდენიმე საფლავი ჭირისუფალ - თანამგზავრების მიერ იყო გათხრილი, ვისაც ამის ძალა ჰქონდა და თავისი მიცვალებული თვითონ ყავდა ჩამოიყვანილი აქამდე.

ყოველივე იქ განცდილი და ნანახი სერიოზული დაფიქრებისაკენ მოუწოდებს ადამიანებს. მაინც როგორი დასკვნის გაკეთება შეიძლება? იქ მყოფი ყველა მაშველი მეთანხმებოდა და ახლაც დამეთანხმება, ალბათ, რომ მთაში გადამწყვეტი სისწრაფეა, დროის რაციონალურად გამოყენება, პროფესიონალიზმი და საქმის ორგანიზაცია. ჩვენ რომ ორგანიზატორებს დროზე გამოვეშვით ქუთაისიდან ვერტმფრენით, დარწმუნებული ვარ სასიკვდილო შემთხვევები მინიმუმამდე დავიდოდა. ყოველ

შემთხვევაში ჩვენი იქ ყოფნის მანძილზე არც ერთი ადამიანი არ მომკვდარა. ჩემი ოპონენტი თუ იმას იტყვის, რომ პირველი ორი-სამი დღე უღელტეხილზე თოვდა და ხალხი იმიტომ დაიხოცაო, სწორი არ იქნება, რადგან მაშველი-პროფესიონალი, დარწმუ-ნებული ვარ, ადვილად დააჯერებდა პირველ მომავალს, რომ უღელტეხილის გადალახვა მსუბუქად ჩაცმული, მთას შეუ-ჩვეველი ხალხისათვის მეტად სახიფათო იქნებოდა და ისიც გამოდარების მოლოდინში დარჩებოდა ბარში და როგორმე ცოტა ხანს კიდევ გაუძლებდა შიმშილსა და ყაჩაღობას. ორგანიზა-ტორების განზრახვა – პირველ ყოვლისა პური მიეწოდებინათ უღელტეხილსგადაღმა თავშეყრილი, უამრავი, დამშეული ადამია-ნისთვის – გულწრფელი იყო და ჩამოღწეულების ინფორმაციას ეყრდნობოდა, მაგრამ ის კი ვერ განსაზღვრეს, რომ ამდენ თავგზააბნეულ ადამიანს ესაჭიროებოდა რეალური მხარდაჭერა – გზის გაკვლევა, დარწმუნება, აქიმობა, მორალური და ფიზიკური დახმარება უშუალოდ უღელტეხილზე მოქმედი მაშველისაგან და არა ვერტმფრენით მოფრენილი თანამდებობის პირისაგან, რომელიც ჭკუას სასწრაფოდ არიგებდა, რომ იმავე ვერტმფრენში ვინმეს მისი ადგილი არ დაეკავებინა და რომელსაც მაინც არავინ უჯერებდა. გამონაკლისი გურამ აბესაძე და შოთა ადამია იყვნენ თავდაუზოგავი კონკრეტული საქმეების კეთებით. ამ მოსაზრებას გარდაცვლილთა გვამებიც ადასტურებს, რომელთა უმრავლესობაც ზრდადასრულებული და შედარებით ჯანმრთელი ადამიანები იყვნენ და, მიუხედავად ცუდი ამინდისა, გარისკეს გზის გაგრძელება, შემაჩერებელი კი არავინ ჰყავდათ. ჩვენ კი – ვისაც ძალგვიძდა ამის გაკეთება – რა სამი დღე დავკარგეთ!

იმ დღეებში კიდევ ბევრ რამეს შევესწარით ტრაგიკულსა და უკუღმართს. ჩვენ ამოსვლამდე ორი დღით ადრე ხალხით გადატვირთული ვერტმფრენები დაიღუპა ჩვენი ბანაკის შორიახლოს, ჩვენ კი მეორე დილას იძულებული ვიყავით უარი

გვეთქვა ვერტმფრენით ჩამოსული მაშველებისათვის დახმარებაზე დაღუპული მგზავრების ცხედრების გადმოტანაში, რადგან ცოცხლებისათვის უნდა მიგვეხედა.

ერთიც უნდა გავიხსენო - ალბათ, ბოლო დღეს დათოს ძლივს გავაგდებინეთ ხელიდან რაღაც ფრთიანი რაკეტა და სხვა იარაღი, უღელტეხილიდან ჩამოსვლისას ხელს რომ გამოაყოლა – დანატოვარი იარაღით ხომ მოფენილი იყო არე-მარე! ერთ ხანს გულიც კი მეტკინა რომ შევხედე, როგორი დანანებით უყურებდა ხევში გადაყრილ ,,ნადავლს'', მაგრამ დარწმუნებული ვარ – ასეთი სიმტკიცე მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება ყმაწვილს. არც გამკვირვებია, სულმა რომ წასძლია დათოს – კბილებამდე შეიარაღებული უფორმო და ფორმიანი ახალგაზრდები ხომ უხვად იყვნენ შეფენილი ამ უბედურ გზას. ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ უსაქმურად, ვითომ რაღაცის კეთებაში. დროდადრო დააწყობდნენ ლოდზე ირგვლივ მიმობნეულ კონსერვის ქილებს და დაუწყებდნენ გაუთავებელ სროლას. ასე გამეტებით იქ რომ ესროლათ, სადაც საჭირო იყო, ეს უბედურება იქნებ აღარც დასტყდომოდა თავზე ხალხს.

განუწყვეტლივ მოძრაობდნენ საბარგო მანქანები ზევით-ქვევით კბილებამდე შეიარაღებული ავაზაკებით, რომლებიც დიდ ფულს და ოქროს აგროვებდნენ მგზავრთა გადმოყვანით, იყო ერთი ვაჭრობა და აღებ-მიცემობა, ჩურჩული და ჩხუბი, წართმევა და ხვეწნა. ბუნებრივია, ჩვენთან მათ არაფერი ესაქმებოდათ, ისინი ხომ ჯანმრთელებიც იყვნენ და დაპურებულებიც, ქონებიანებიც და ქონიანებიც – სხვის დარდსმოკლებულები. ყველაფერ ამაზე ჩემი ბიჭების რეაქციამ ღრმად დამარწმუნა, რომ ეს კეთილშობილი, უშიშარი და მუხლმაგარი ახალგაზრდები იარაღის მოძულენი იყვნენ თავისი არსით. მათ შემხედვარეს ამ გაუბედურებული ხალხის მონათხრობი მიტრიალებდა თავში – სამშვიდობოს გამოსულები, გაწამებული პირველი ლუკმის გადაყლაპვისთანავე

იმას რომ ამბობდნენ, რასაც ამ საშინელ გზას შემდგარნი ფიქრობდნენ.

მათი გამონათქვამები იმდეად ჭრელი იყო, რამდენადაც თავად ისინი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან - თავისი ასაკის, სქესის, მტრის მიმართ სიძულვილის ხარისხის, სულიერი სიმტკიცის, დემორალიზაციისა და სხვა რამ გარეომოებათა გამო:

- სულს მოვითქვავ და სასწრაფოდ დავბრუნდები;

- აღარასოდეს დავბრუნდები;

- დავბრუნდებით, კი?

- დავბრუნდები, მხოლოდ აუცილებლად მომზადებული;

- რადგან გადავრჩი, შურს ვიძიებ – მათ ცოდვას საფლავში არ ჩავიტან;

- სომხები გამცემები არიან;

- რაც გვჭირს – ყველაფერი გამსახურდიასგან გვჭირს;

- რაც გვჭირს, ყველაფერი შევარდნაძის ბრალია;

- ბანდიტობა უნდა დავიწყო, მეტი რა დამრჩენია?!

- ჩემი სახლი დავწვი და ისე გამოვასწარი. თუ ღმერთმა ქნა და დავბრუნდი, ყოველ ჩემს მტერს თავისავე სახლში ამოვწვავ, რასაც ვერ მოვახერხებ შვილებს დავუტოვებ შურის საძიებლად;

ბევრს ზუგდიდისა ეშინოდა, ბევრსაც – პირიქით.

ის კი არავის უთქვამს – მშვიდობის წესით დავბრუნდები აფხაზეთშიო. ხალხის აღგზნება და უსუსურობა კულმინაციას იყო მიღწეული, ისევე, როგორც აპათია.

მეშვიდე დღეს, როგორც კი შევატყვეთ, რომ სამხიდიანმა მანქანებმა იმატა და უღელტეხილზე ფეხით მომავალ ლტოლ-ვილთა ნაკადი შეწყდა, გამოვიძახეთ ვერტმფრენი. უკრაინელთა წყალობით ვერტმფრენები უკვე მრავლად იყვნენ და გადასაყვან - გადმოსაყვანი კი თითქმის აღარავინ დარჩა. ამდენად, იქიდან ყოველგვარი პრობლემების გარეშე გადმოვფრინდით.

დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს დაღლილი, მაგრამ, საბედნიეროდ, საღსალამათი, გულდათუთქული, მაგრამ გამოწრთობილი ყმაწვილები, სულის ძახილმა რომ შეუყენა იმ ,,გოლგოთის'' გზას და გააკეთეს ყველაფერი, რაც შეეძლოთ – უსიტყვოდ, დაუყვედრებლად, კაცურად! აი ისინიც: - ბუბა კუდავა, გოჩა კილაძე, გიორგი მამარდაშვილი, ზურა კახიძე, აჩიკო სიხარულიძე, ზაზა ბიგვავა, გიორგი მამარდაშვილი, ლევან გოგიჩაძე, გიორგი ჟურული, კახა ხვედელიანი, ირაკლი თიკანაძე, ლექსო თარაშვილი, გიორგი ვარაზაშვილი და დათო ქავთარაძე. იქ, მთაში მყოფ ზოგიერთისგან განსხვავებით, ესენი თუ ააშენებდნენ ქვეყანას!

ასეთი ტრაგიკული მოვლენებით აღინიშნა 1993 წელი. რას გვიქადის მომავალი...

1998 წელი. ამ დამარცხებიდან ყველაზე დიდი სიკეთის მომკა – ლტოლვილთა ახალი თაობის ახალი აზროვებაა, იდენტუ-რობა და ერთიანობისაკენ მშვიდობიანი სწრაფვა. საერთო ქართულ გარემოში გაზრდილნი, შეუპოვარი იქნებიან დაბრუნებაშიც და, რაც მთავარია, დამკვიდრებაშიც. ჩემი უწესო და წყალწაღებული თაობა არაფრის მაქნისი და არაფრის დამბრუნებელი არ არის, მათ შორის ის ოთხჯერ მეტი აფხაზეთის ქართველები ოთხჯერ ნაკლებს რომ გამოექცნენ. გამართული ქვეყანა და ახალგაზრდილნი უშველიან შერიგებას, ერთად ყოფნას და ურყეობას.

2004 წელი.

ისე, კაცმა რომ თქვას – თუ ძალადობა ერის ბუნებრივი და ცხოველური თვისებაა და ჩვენც ასეთი კარგი მოძალადეები ვართ, რატომ ვამჟღავნებთ ამ თვისებას მხოლოდ ერთმანეთის მიმართ? რატომ არ ვამჟღავნებთ ამ ინსტიქტურ თვისებას აფხაზეთის და ოსეთის დასაბრუნებლად?I - მიტომ, რომ ეგოისტები ვართ, მხდალი და ეშმაკი თითოკაცები.

... 2024 წელი. უნდა შენელდეს ახალგაზრდობის სწრაფვა ჯარში გასაწვევად – მილიტარიზმი ზედმეტი გამოგვდის. ამ საქმეს მარტო მატერიალურ-ფინანსურმა უზრუნველყოფამ და ერთმნიშვნელოვნად აღიარებულმა პრესტიჟმა კი არ შეუწყო ხელი მხოლდ – მდიდრების, პარლამენტარებისა და სხვა მაღალჩინოსნების შვილებმა რომ გაუკეთეს მონოპოლიცია და საწყალი ხალხის შვილები ჯარის გარეთ დატოვეს = იმანაც.

არ ღირს ამ გზით ტერიტორიების დაბრუნება ხალხის გარეშე! - ზომიერებაა ყველგან საჭირო!

24 ოქტომბერი

მუშაობის დროს სლესარენკომ დეპეშები მოგვიტანა მე და კომაროვს. როგორც ასეთ დროს იქცევიან ხოლმე - შორიდან დაგვანახა, ზურგს უკან წაიღო და - ვინც იცეკვებს, ის მიიღებსო - განაცხადა. ბევრი არ მიფიქრია წავფაფხურ - წამოვფაფხურდი, ვითომ წავიცეკვე და დეპეშა გამოვართვი. ასჯერ გამეორებული ასმეერთეთ გამეორდა - სულის ერთი ამოთქმით მთელ ტექსტს ბოლომდე თვალი გადავავლე - ცუდი ხომ არაფერი მოხდა. ამაში რომ დარწმუნდები, მოეშვები, დაჯდომასაც მოიფიქრებ, სახეც შეგეცვლება და აზრიანად ჩაუკვირდები სიტყვებს. მერე წყნარად ყველაფერს გადახარშავ და რამდენიმე ხანში ცხოვრებაც ჩვეულებრივ კალაპოტში დგება.

4 ნოემბერი

უკანასკნელ ცნობათა რედაქციამ დღეს კიდევ ერთი გადაცემა მოაწყო, 10-12 კაცმა მაინც ილაპარაკა, ჩემები კი არავინა ჩანს. ლამის იმედი სულ გადამეწურა და უცებ გამოაცხადეს, ცუდად ისმოდა ძალიან და რეპროდუქტორი ლამის ყურებში შევიტენე. ხმებიც დამვიწყებია, უცხოდ მეჩვენებოდა, განსაკუთრებით ქეთინოსი, გაიზარდა ეტყობა. ხმები რადგან

მესმის და მხნედ ლაპარაკობენ, იმედი მომეცა, რომ კარგად არიან. კიდევ კარგი იურას ჩაუწერია გადმოცემა. ყოველივე მოსმენილის განხილვისა და განსჯის შემდეგ, გვიანობისას, ოთახში რომ მარტო დავრჩი იმდენჯერ დავატრიალე ფირი, სანამ ყველაფერი არ გავარკვიე.

გადაცემით აფორიაქებულს ძილი აღარ მომეკარა და გადავწყვიტე სანიმუშოდ აღვწერო ჩვენი ერთი სამუშაოს, დღე, რაც დაახლოებით წარმოდგენას შეგიქმნით იმაზე, რასაც მთელი წლის განმავლობაში, და განსაკუთრებით ზამთრის თვეებში, აკეთებდა ჩვენი 54-კაციანი ჯგუფი.

დღე იმით იწყება, რომ ჩვენი ჯგუფიდან ერთ-ერთს (ვისი ჯერიც არის) მაღვიძარა წამოაგდებს დილის 5 საათსა და 50 წუთზე (ზუსტად - არც მეტი არც ნაკლები!). მოვამზადებთ რადიოზონდს, ელექტრობატარეას და 20 წუთის შემდეგ ვაღვიძებთ მეორე აეროლოგს, რომელიც ნახევრად ძილში მყოფი თბილად იცვამს და მიდის გაზსაგენერატოროში რადიოზონდის გარსის გასაბერად და მონაცემების რეგისტრაციისათვის. აქვე ვაღვიძებთ კოლია მარინსკის, ისიც ნახევრადმძინარე რთავს ლოკატორს და იწყება მუშაობა. ხშირად, თუ წინა დღეს ინერვიულა რაიმე წვრილმანზე, მის საქმეს პირველად გაღვიძებული აკეთებს (ადვილი საქმეა). ვმუშაობთ ცხრის ნახევრამდე - მონაცემებს გადავცემთ რადისტებს, რომ ცხრა საათამდე „მოლოდიოჟნაიაში“ გადასცენ და მოვრბივართ, რომ საუზმის კუდს მოვუსწროთ. ერთი ჩვენთაგანი დღეს წყალბადს ხდის და დილას შეუძლია იძინოს დიდ ხანს (თუ საუზმეზე უარს იტყვის).

ჩვენ უკვე შუა მუშაობაში ვართ, როცა ერთ-ერთი მზარეული დგება (7 საათზე) და საუზმეს მზადებას იწყებს, ამავე დროს დგება მეტეოროლოგი და დაკვირვებას შეუდგება. რვის ნახევარზე მორიგე რადისტისათვის განკუთვნილი ძილის პატარა ფანჯარა მთავრდება და ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე, გახევებული

ხმით გვესალმება, გვატყობინებს დღეს რა დღეა და რა რიცხვი (ეს მეტად საჭირო ინფორმაციაა, იმიტომ, რომ შეიძლება რამდენიმე დღე გავიდეს და არც შენ იკითხო და არც არავინ გითხრას დღეს რა რიცხვია). მერე მეტეოროლოგიურ ცნობას გადმოგვცემს, ვინც ახალ სახლებში ცხოვრობს, ამ ცნობის მოსმენა აუცილებელი არ არის, ფანჯარაში გაიხედავ და მიხვდები გარეთ რა ხდება. ძველ სახლებში მცხოვრებთათვის კი, რომლებიც თოვლის ქვეშ ცხოვრობენ, ეს ცნობა აუცილებელია, თორემ გამოვა მარტო ქურთუკში, ტყავის შარვალში და თუ დიდი ქარია, სასაუზმოდ თოვლით დატენილი ჯიბეებითა და ჩექმებით მოვა. მერე რადისტი ყველაზე საყურადღებო და სასიამოვნო მოვალეობას ასრულებს, აცხადებს დეპეშების ადრესატთა გვარებს. ამის შემდეგ ჩართავს წინა ღამეს მაგნიტოფირზე ჩაწერილ უკანასკნელ ცნობებს, საიდანაც თითქმის ვერაფერს გაიგებ ცუდი სმენადობის გამო, რვა საათისათვის ჭამის კარგ მადას გვისურვებს (ამ სიტყვების გარეშეც იოლად გავდივართ!) და ჩართავს მუსიკას. მუსიკაზე ყველანი ვხვდებით დღეს რომელი რადისტია მორიგე - თუ შულჟენკო და კოლა-ბელდია პროგრამაში - ბელოკუროვია მორიგე, თუ ბოშური და ოდესური სიმღერებია - მაკეევი.

საუზმეზე პირველად მადიანი მშენებლები და ტრანსპორტელები მოდიან, ოთხნი, ელექტროსადგურის ბიჭები კი საუზმეზე არ დადიან - დილის პროდუქტები კვირაში ერთხელ სახლში მიაქვთ და იქ საუზმობენ, რადგან მორიგეობენ 6-6 საათს და ძილ-ღვიძილი არეული აქვთ. ამას გარდა, თუ დილას თავისუფალია, საუზმეს ძილს ამჯობინებს.

მერე ყველანი ჩამოვსხდებით სკამებზე, კიბეებზე და გუშინდელ ჭორებს ვუყვებით ერთმანეთს. ჩვენს უჭორიკანო კონტინენტზე ჭორი დიდად ფასობს.

ცხრა საათისათვის ტარანოვი დაიძახებს - აბა, გვეყოფა ბიჭებო, წავედითო! - და მშენებლები გაიკრიფებიან. მერე

ლებედევი მოითხოვს აყრას და წასვლას უფრო სხვა სიტყვებით და ტრანსპორტელები აიშლებიან. ამ დროს მეორე სართულიდან იურა შუმილოვი და ანდრეი სელეზნიოვი ჩამოვლენ კიბეზე, განსაკუთრებით თბილად ჩაცმულები, და მექანიკური სახელოსნოსაკენ გასწევენ.

კაიუტ-კომპანია თითქმის ცარიელდება. ვრჩებით ზოგი-ერთნი ჩვენი ჯგუფიდან და გეოფიზიკოსებიდან, რომლებიც დილას თავისუფალნი ვართ. ვაგრძელებთ ლაპარაკს, ვთამაშობთ ნარდს, ბილიარდს და ერთი საათის შემდეგ ჩვენც მივდივართ დასაძინებლად სადილამდე.

მშენებლები სახლის შენებას ამთავრებენ, შიგნითა სამუშაო-ებიღა დარჩათ. გენა ივანოვი პროექტში გაუთვალისწინებელი ათასი წვრილმანის დაპროექტებითა და დამზადებითაა გართული. აკრავენ შპალერს, ღებავენ, აგებენ ლინოლეუმს, არგებენ სანტექნიკას და კიდევ ბევრ რამეს; ნაწილი ხალხისა გარეთ, მორენაზე მუშაობს. ამწე-კრანით „ვოსტოკზე“ გასაგზავნი სახლის მოდულებს აძრობენ თოვლიდან, ციგებზე აწყობენ და კრავენ. ასე გრძელდება სადილამდე და სადილის შემდეგ საღამოს ექვს საათამდე.

ტრასნპორტელებმა „ვოსტოკზე“ წასასვლელი ყველა ყველ-განმავალი შეაკეთეს. ზოგი კაპიტალურად, ზოგიც მსუბუქად. ვინ-ვინ და მათ კარგად იციან, ცუდად გამართული ტრასნპორტი გზაში რა წვალებაცაა. ამიტომ თავიდან თუ ზოგიერთი, ახალი, წუწუნებდა - ბევრს გვამუშავებენო - ახლა თვითონ ხვდებიან, რომ ასეა საჭირო. კარგა ხანია გარე სამუშაოებზე არიან გასულები - ციგების გამართვა, ჭურჭლების საწვავით გავსება, ტვირთის დაწყობა, ტრანსპორტის გამოცდა, შედუღება, შეღებვა, გაზეთვა და ბევრიც გაუთვალისწინებელი რამ. ამიტომ სახელოსნოში სულ ტრასნპორტელები ტრიალებენ, ხან შემდუღებელ სელეზნიოვს სთხოვენ შედუღებას, ხან შუმილოვს ახალი დეტალის

გამოჩარხვას, ხან თვითონ ოსტატობენ საკმაოდ კვალიფიცი-რებულად. ექვს საათზე ესენიც, დაღლილები, თავიანთ ოთახებს შეაფარებენ თავს.

ამასობაში ელექტროინჟინერი ჟენია მუდროვსკი საღამომდე დადის ოთახებში და ძველ, მოშლილ ელექტროგაყვანილობას არემონტებს, ზომავს დენს, ახალი კაბელები გაჰყავს, რომ საღამოს 7 საათიდან ისევ მორიგეობაში ჩაერთოს. ელექტროსადგურის უფროსი ვალოდია შაბანოვი ერთ-ერთ მორიგე მექანიკოსთან ერთად ელსადგურს დასტრიალებს, არემონტებს, უკეთებს პროფილაქტიკას, საწვავს იმარაგებს და მერე დღის 1 საათიდან ისიც მორიგეობაში ჩაერთვება.

გეოფიზიკოსებიდან ვიტალი კაზარინი გეომაგნიტურ სამუ-შაოებს ასრულებს. შეისწავლის მაგნიტური ველის გეოგრაფიულ გავრცელებას და მის ვარიაციებს ანტარქტიდაში, რის შედეგადაც ადგენს და შესწორებები შეაქვს მაგნიტურ რუკებში. ყოველ-დღიურად აღრიცხავს დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენებზე მოქმედების კორპუსკულარულ და ულტრაიისფერ რადიაციას და, აქედან გამომდინარე, მაგნიტური ველის აქტივობას. ეს ხდება ულურსმნოდ და ურკინოდ აშენებულ ხის პავილიონში.

ინჟინერი გალკინი კოსმიური რადიოგამოსხივების გაზომ-ვითაა დაკავებული, რაც იონოსფეროს ფიზიკის შესასწავლად არის საჭირო. გაზომვები ულტრამოკლეტალღიანი მიმღებით, მოკლე-ტალღიანი ანტენითა და ამპერ-ვოლტმეტრის სისტემის თვით-მწერით წარმოებს. ყოველდღიურად ახდენს ხელსაწყოების შემოწმება-კალიბრირებას, სამჯერ დღეღამეში მართავს თვითმწე-რების ფირს და ამოწმებს ყოველსაათურ ავტომატურ ჩანაწერს. ამას გარდა - იარაღების რემონტი, პროფილაქტიკა და სხვა წვრილმანი სამუშაო ყოველთვის გამოულეველი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხანია აღარ ვუჯერებთ, მაინც გვიმტკიცებს, რომ დრო არასოდეს ყოფნის, განსაკუთრებით თვის ბოლოს, როცა ჩვენთან

მოდის და ტელეტაიპზე თავის მონაცემებს ბეჭდავს „მოლოდიოჟ-ნაიაში“ გასაგზავნად.

მარტომცხოვრები ვალია რაზმოლოტინი - სეისმოლოგია. კლდეზე ჩამაგრებული მისი სეიმოგრაფები განუწყვეტლივ არეგისტრირებენ სეისმურ მოვლენებსა და ანტარქტიდული ყინულის მოძრაობით გამოწვეულ რყევებს. კირნოსის სისტემის სამკომპონენტიანი დანადგარისა და მოკლეპერიოდული სეისმოგრაფის საშუალებით მიღებულ მონაცემებს ყოველდღიურად აანალიზებს, ადგენს და ამუშავებს ოპერატიულ ბიულეტენებს, რომლებიც დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტში იგზავნება; ამუშავებს ყოველდღიურ მიკროსეისმებს და ახდენს დედამიწის მაგნიტური ველის მოკლეტალღიანი რყევის რეგისტრაციას სამკომპონენტიან ინდუქციურ მაგნიტომზომზე, მაღალი და დაბალი სიხშირის ტალღებზე და ამუშავებს მაგნიტოგრამებს. სულ დაკავებულია, სულ სახლში ეჩქარება, სულ რაღაც გაუკეთებელი დარჩა, ზუსტი დრო შესამოწმებელი აქვს და ასე გადის მისთვის ეს მოზამთრეობა.

იური უსტალოვი და ოლეგ ვორობიოვი გეოდეზიური სამუშაოებით არიან დაკავებულნი და, ამას გარდა, ჩვენი სატრანსპორტო ექსპედიციების შტურმანები არიან. პირველ ექსპედიციაში ვორობიოვი მონაწილეობდა, ახლა უსტალოვის ჯერია.

ამას გარდა, ახალი სახლი რომ დამთავრდება, ყველა გეოფიზიკოსს სამონტაჟო სამუშაოები მოელის. იქ ყველა იარაღ - მოწყობილობას გადაიტანენ. შემდეგ ექსპედიციისათვის დაგეგმილია კიდევ ორი სახის გეოფიზიკური დაკვირვებების ჩატარების პროგრამა და შესაბამისი იარაღების გაწყობა - დამონტაჟება.

ვიქტორ ბაკუნინი კოსმოსურ სხივებს ზომავს ფიზიკის ინსტიტუტისათვის. მისი სამუშაო ჩვენის მსგავსია - სტრატოსფეროში 35-40 კმ სიმაღლემდე უშვებს რადიო ზონდს წყალბადის გარსით და ყოველ წუთში ულტრამოკლე ტალღების მიმღებ-

სელექტორით იღებს სიგნალებს, რომლებიც დამოკიდებულია გამოსხივების ინტენსიურობაზე. რადიოზონდში მოთავსებული წნევის საზომი მოწყობილობის საშუალებით ითვლის გამოსხივების ინტენსივობას, ადგენს გრაფიკებს და კვირის ბოლოს გადასცემს მოსკოვში. დღეში ერთ რადიოზონდს უშვებს ხოლმე - შუადღეზე.

ჩვენი მეტეოროლოგები ჩერნიაკი და უსოვი დღეგამოშვებით მორიგეობენ, ზომავენ ტემპერატურას, წნევას, სინოტივეს, ქარის სიჩქარესა და მიმართულებას, თოვლის სიმაღლესა და სიმყარეს, მის გადაადგილებას, მზის მოკლე და გრძელტალღიან რადიაციას, მზის სითბური ენერგიის შთანთქმას და არეკვლას თოვლის ზედაპირიდან, მის ბალანსს, ახდენენ აბინომეტრულ დაკვირვებებს, ადგენენ ყოველდღიურ რადიოგრამებს, აპერფორირებენ და გადასცემენ „მოლოდიოჟნაიაში“.

ობსერვატორიის დირექტორი ნიკოლაევი, პროფესიით ჰიდროლოგია. იგი სწავლობს ოკეანესა და მისი ყინულის რეჟიმს, წყლის ტემპერატურასა და მარილიანობას, ყინულის სისქესა და სიმკვრივეს, მის აღნაგობასა და გავრცელებას, აისბერგების განლაგებასა და მათი მოძრაობის სიჩქარესა და მიმართულებას და კიდევ ბევრ სხვა რამეს.

ექიმებს პასტუხოვსა და პროტოსენიას ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვა ნაკლებად უხდებათ, რადგან ავადმყოფობას თითქმის არავინ უჩივის, სამაგიეროდ, ასრულებენ სამედიცინო პროგრამას, რომლითაც სწავლობენ ჩვენი ქცევისა და ყოფის წესებს, ფსიქოლოგიურ განწყობილებას მოზამთრეობის სხვადასხვა პერიოდში და ა.შ. დაგროვილი მასალა შემდეგში მედიკოსებს საფუძველს მისცემს გააკეთონ ზოგადი დასკვნები და გამოიყვანონ პოლარელის ოპტიმალური მოდელი - როგორი ტიპის, ხასიათის, აღნაგობის, მონაცემებისა უნდა იყოს პოლარელობის პრეტენდენტი. ასე, რომ ჩვენი ექიმები წლის დასაწყისში და წლის ბოლოს,

სამ-სამი დღე, გადატვირთულები არიან - გვირიგებდნენ ათასნაირ ანკეტებს, დაახლოებით 600-700 კითხვით, რომლებზეც პასუხი უნდა გავცეთ, გვწონიან, გვზომავენ და ა.შ. დანარჩენი დღეები ნაკლებად დაკავებულები არიან და ხან ჰიდროლოგიაში ეხმარებიან ნიკოლაევს, ხან წყლის ზიდვაში, სამზარეულოში, პირსახოცებისა და ზეწრების რეცხვაში და ყველგან, სადაც კი გარღვევა არის.

მეტეოროლოგებით და გეოფიზიკოსებით დაწყებული, ექიმებით დამთავრებული, ანტრაქტიდის ექსპედიციაში იმისათვის მოდიან, რომ,რასაც რუსები ეძახიან - „делать науку“. დანარჩენი ყველა ამ საქმეს ხელს უწყოფს და ემსახურება.

ორ წელიწადში, როცა ახალ ელექტროსადგურს, აბანოს, სამრეცხაოსა და სახელოსნოებს ააშენებენ და ყველაფერი ეს ერთ, ახალ, მხოლოდ ერთსართულიან, სახლში მოთავსდება, გაიყვანენ ახალ ელექტრო-რადიო-ესტაკადას - მშენებლები აქ საჭირო აღარ იქნებიან. პერსპექტივაში „მოლოდიოჟნაიაში“ ამდენი ტრანსპორტელიც აღარ იქნება საჭირო - დიდი თვითმფრინავებისათვის ასაფრენი ბილიკის მოწყობა შეიძლება და თუ ჩვენი ქიმიკოსები მიიღებენ ისეთ პლასტმასას, რომელიც თვითმფრინავების თხილამურებად ივარგებს, „ვოსტოკის“ მომარაგება თვითმფრინავებითაც გახდება შესაძლებელი (რასაც ამერიკელები 1955 წლიდან აკეთებენ - სხვათაშორის). თუ არა და ავიაციის შეფები ბოლოს და ბოლოს მიხვდებიან, რომ ამპარტავნობაზე უფრო მომგებიანია შეისყიდო „ჰერკულესის“ ტიპის 2-3 ძველი თვითმფრინავი, რომელიც ათასჯერ არის გამოცდილი აქაურ პირობებში და ნახევარ ფასში ზიდო ტვირთი „ვოსტოკზე“. ეს თუ არა, თხილამურებს მაინც იყიდიან და დაუყენებენ ჩვენს მძიმე თვითმფრინავებს, რომლებიც „ჰერკულესზე“ ნაკლებ გამოსადეგი არ უნდა იყოს. ერთი სიტყვით, წინსვლა დროულადაა საჭირო. მაშინ „მირანში“ ერთი-ორი ტრანსპორტელიღა დარჩება ადგილო-

ბრივი სამუშაოებისათვის და ტრანსპორტის სარემონტოდ, სეზონზე ჩამოსულები კი მოაწყობენ სამეცნიერო-სატრაქტორო გასვლებს სხვადასხვა მარშრუტით.

...საღამოს 7 საათისათვის ყველა ვიკრიბებით კაიუტ-კომპანიაში (სასადილოს ეს ეგზოტიკური სახელი, თავის დროზე, მეზღვაურებისაგან უსესხიათ), ვვახშმობთ და იწყება საერთო გართობა გვიანობამდე - ჭადრაკი, ბილიარდი, დომინო, ნარდი; ერთი ჯგუფი, სკამებზე ჩამომსხდარი, ახალი ამბების უქონლობის გამო ძველებს აახლებს; ნაწილი ჩუმად არის და თავის ფიქრებშია წასული.

შემდეგ კინოფილმებს ვუყურებთ, ზოგს მეოთხეჯერ ან, სულაც, - მეხუთედ, იმიტომ, რომ უვარგისის მეორედ ნახვას კარგის მეხუთედ ნახვა სჯობს.

ფილმის მერე ზოგი სახლში მიდის, ისვენებს, ან წიგნის კითხვით იქცევს თავს. უფრო აზარტულები გვიანობამდე ვრჩებით - ყველას თავისი „ჭია“ ჰყავს, რომელთანაც ანგარიში გასასწორებელი აქვს და ეს ანგარიში დაფაზე ცარცით არის დაფიქრებული.

...ჩერნიაკმა და პასტუხოვმა ბილიარდის თამაში აქ ისწავლეს, მაგრამ ანგარიში უკვე ორასრაღაცით ოთხმოცდარაღაცაა. პასტუხოვმა პირობა დადო, რომ წლის ბოლოსათვის დაეწევა ჩერნიაკს, რაზედაც ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ მზად არის სანამლეოდ მამაკაცური სიამაყე გასწიროს და მოიჭრას - წლის ბოლოსათვის მაინც აღარაფრის მაქნისი იქნებაო. ჩვენ იმედს ვუღვივებთ - ჯერ კიდევ ახალგარდა კაცი ხარ, ყველაფერი წინა გაქვს, რა იცი რაში და როდის გამოგადგება, ჯობია ყურადღებით ითამაშოო!

ბოლოს დაღლილები დავიშლებით იმისათვის, რომ ხვალ... ყველაფერი თავიდან განმეორდეს.

9 ნოემბერი

უკვე 4 დღეა მზად იყვნენ ტრანსპორტელები „ვოსტოკზე“ წასასვლელად, მაგრამ შეუწყვეტელი ქარი და ჰაერში დატრიალებული თოვლი გასვლის საშუალებას არ იძლეოდა. ხუთში დილას ქარმა იკლო და გამოცხადდა გასვლა.

ყველანი სახლის წინ მოედანზე გამოვეფინეთ. 12 მძიმე „ატტ“ და ერთი „ხარკოვჩანკა“ ერთ ხაზზე ჩამწკრივდა. მეთაურ მანქანაზე დიდებული პლაკატია გაკრული, თავის დროზე ოსტაპ ბენდერის ნათქვამი - “Ударим по бездорожью и разгильдяйству!”, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური ანტარქტიდის პირობებისათვის უნდა იყოს. კარგი განწყობილება ყველას ამოძრავებს, ალაპარაკებს. ზოგი ეკითხება, ზოგი პასუხობს, ზოგი დარიგებას იძლევა, ბევრი სურათებს იღებს და ყველა კი გადაღების ობიექტია. ვიცით რა წვალებაც მოელით - ორთვენახევრის განმავლობაში 3000 კმ-ია გასავლელი, 250-ზე მეტი ტონა ტვირთია მისატანი „ვოსტოკზე“. სახელდახელოდ დაწერილ გამამხნევებელ წერილებს ვატანთ ბიჭებს „ვოსტოკელებისათვის“. ვიცით თბილი სიტყვა ყველაზე კარგი საჩუქარია მათთვის. მერე ხვევნა - კოცნა, გამომშვიდობება და ქარავანი დაიძრა, გამაყრუებელ ხმაურში მორენაზე, გაშლილ ადგილას ტრანსპორტი დაიშალა და ყველამ თავის 45-ტონიან ციგას მიაშურა, ერთი საათის მუშაობის შემდეგ ციგაჩაბმულები ისევ ჩამწკრივდნენ და დაუსრულებელ გზას გაუდგნენ. ჩვენ კი აივნიდან განვაგრძობდით ყურებას, დავინახეთ მე-12 კმ-ზე როგორ გაეჩხინა თოვლში სამი ტრაქტორი და როგორ ჩაება მათ ამოსაქაჩად მეოთხე. დაბინდებისას თვალს მიეფარნენ და ამინდიც გაფუჭდა.

7-ში რადიოკავშირით შევიტყვეთ, რომ ორი დღეა ოცდამეათე კილომეტრზე დგანან ქარის გამო და ამინდის გამოკეთებას უცდიან.

კანონით ოქტომბერი შედარებით წყნარი უნდა იყოს. წელს კი მთელი თვე ქარი არ ჩამდგარა. ძველი მოზამთრეები გაკვირვებულები არიან, ასეთი რამ არ ახსოვთ. ნოემბერიც ქარით დაიწყო, ეტყობა წელს ცივი ზაფხული იქნება.

საღამოს საშვიდნოემბრო ბანკეტი გველოდება. დიდი ხანია ერთმანეთს შევეჩვიეთ. ურთიერთობა თავისუფალია და ამ ურთიერთობის მომრიგებელიც ჩვენ თვითონა ვართ. ხუმრობაში და დაცინვაში ყველაფერი გათვალისწინებულია. ვის რა სწყინს და რა არ სწყინს, რაშია სუსტი და რას ვერ იტანს, რა უყვარს და რა არ უყვარს - ყველაფერი. საზეიმო ბანკეტია და ყველანი კარგ ხასიათზე ვართ.

რაღაც გვაკლია მაინც და ეს რაღაც ტრანსპორტელები არიან. წასვლასთან ერთად ყველამ თავისი წილი წაიღო რაღაცა - ხუმრობა, სიმღერა, მეგობრულად მხარზე ხელის დარტყმა, გადამდები სიცილი და კიდევ ბევრი რამ.

მერე დეპეშები ინსტიტუტიდან, სამმართველოდან, აკადემიიდან, გვილოცავდნენ ავსტრალიელები, ფრანგები, ამერიკელები, ინგლისელები, არგენტინელები, ჩინელები.

კოლია მარინსკიმ, ოთახში გაზრდილი ლამაზი ყვავილები მოგვართვა, სულ რამდენიმე ცალი, მაგრამ ძალზე ლამაზი, რითაც ფერის შეგრძნების დაქვეითებულუნარიან ხალხს, დიდი სიამოვნება მოგვანიჭა.

8-ში კაშკაშა უქარო და უღრუბლო ამინდი დადგა. სწორედ ამ ამინდს ველოდით სასაფლაოზე წასასვლელად. ჩავსხედით ყველანი ყველგანმავაკში და გაყინულ ზღვაზე გავედით. ხალხი ძარაში რომ არ ჩაეტია, კაბინის სახურავზე და წინა კაპოტზე იყვნენ მოკალათებული.

კუნძულ ხასიელის წინ, ჩვენგან სამ-ოთხ კილომტერში, ბურომსკის პატარა კუნძულია, აქ მოუწყვიათ სასაფლაო და კუნძულსაც აქ პირველად დასაფლავებული ბურომსკის სახელი

ჰქვია. ამაღლებული, კლდოვანი კუნძულის ერთ ტერასაზე საფლავებია ჩარიგებული, ცოტა ზევით, კიდევ ტერასა გაუკეთებიათ (ალბათ, ააფეთქეს) და იქაც ხალხია დასაფლავებული. სულ 21 კაცის სიცოცხლე წაუღია ამ ოცი წლის განმავლობაში ანტარქტიდას და სუყველა ტრაგიკული შემთხვევით (აქედან 18 - აქ, 2 – „მოლოდიოჟნაიში“, 1 - „ნოვოლაზარევსკაიაში“). ყველას საფლავი სიყვარულითა და გემოვნებითაა მოწყობილი. ყინვას და ქარს ვერაფერი დაუკლია. მტვერი აქ არ არის და რკინას ჟანგი არ ეკიდება, საღებავი და წარწერები თითქოს გუშინდელიაო.

ერთ-ერთი გარდაცვლილის მეუღლეს ხელოვნური ყვავილების გვირგვინი გამოუტანებია ვიღაცისათვის ჩვენი ჩამოსვლის წინ და ის დაუდეთ თავთან. ყველანი მძიმე ხასიათზე დავდექით, ჩამოვსხედით ქვებზე და ვუსმენდით თუ როგორ წაიღო ბრმა თუ თვალგახელილმა სიკვდილმა მათი სიცოცხლე. რამდენიმე კაცი თავად იყო ამბის მომსწრე და მნახველი, ბევრი მონაყოლს და გაგონილს ყვებოდა, ბევრიც წაკითხულს. გვიანობამდე ვისხედით ასე, თბილ ქვებზე.

დაბრუნებისას კოლიამ ისიც გაიხსენა, ერთმა მსხვილთანამდებობიანმა მამამ როგორ გამოისტუმრა ნარკომანი შვილი, ექიმის სტატუსით, ექსპედიციაში გამოსასწორებლად და როგორ დროზე მიხვდენ და მოასწრეს ბოლო გემით მისი უკან გაბრუნება. თორემ ისიც ამ სასაფლაოს შეუერთდებოდა - უეჭველად.

...ამ ბოლო მონაყოლმა ამიშალა გახსენების საღერღელი. ხომ ყველას აქვს ისეთი რამ განცდილი, გინდა თუ არა, რომ გახსენდება...

საღამოობით ცენტრალურ მოედანთან (სხვადასხვა დროს, რომ ერქვა: - ერევნის, ბერიას, ლენინის და თავისუფლების მოედანი), სოლოლაკის დასაწყისში ვიდექით ხოლმე - იქ იყო ჩვენი ასაკის ბიჭების თავშეყრის ადგილი. ერთხელ, სასმელი წყლის შადრევანთან, ერთი ჩია ბიჭი ჩვენთვის უცხო რაღაცას

რეცხავდა, რომ დავაკვირდით - შპრიცი იყო, ვერ წარმოვიდგინეთ რისთვის სჭირდებოდა და ჩვენზე უფროსებს დავეკითხეთ. -ეგ სეროჟაა - ძველი ქურდი, ციხიდან ეხლახან გამოსული... ციხეში მორფინისტობას შეჩვეულმა, აი, ამ სადარბაზოში წამალი გაიკეთა და ეხლა შპრიცს რეცხავსო - გვიპასუხეს ყველაფრის მცოდნეებმა.

ეს იყო ჩემი და ჩემი ტოლების პირველი განათლება ამ დარგში - კარგახანს, სანამ ჩვენმა მომდევნო თაობამ ხელი არ მიჰყო ამ საყოველთაო საქმეს - ისიც ზოგიერთმა და მერე, ზოგიერზე მეტმა. ზარი, პირველად სამოციანი წლების მეორე ნახევარში, ჩამოკრა საზოგადოებამ, მაგრამ გვიანღა იყო! დაიწყო და მერე იმძლავრა ამ უბედურებამ იმ ძალით, რა ძალითაც არ შემოუტევია არცერთ ჭირს, არცერთ დროში ჩვენი ოჯახებისათვის და ჩვენი ქვეყნისათვის - მანამდე რომ შეუტია მთელ სამყაროს...

- რა გვეშველება..., ხსნა სად არის???

- აბა, ერთი ახლო მომავალში შევიჭყტოთ - არის ხსნა?

- კი, ყოფილა და მეცნიერების წყალობით... ძალიან მარტივი!

დღეს სასაცილოდაც მეჩვენება ის ჩემი წინა მონაყოლი და იმდენი ტანჯვა ახალგაზრდებისა, დღევანდელ დღემდე რომ მოატანა. თურმე, როგორ მარტივად შეიძლება დიდი სოციალური პრობლემის მოგვარება ერთი ხელის მოსმით - მეცნიერების მეშვეობით! ეხლა რა ადვილი სათქმელია, როცა გამოიგონეს აბები - გადაყლაპავს რამოდენიმეჯერ ნარკომანი და გაუქრება ყოველგვარი სურვილი ნარკოტიკებისსაკენ სწრაფვისა - მორჩა, ამოიწურა პრობლემა! დაისვენა ერმა და ბერმა, ახალგაზრდამ და მოხუცმა, ქალმა და კაცმა, წითელმა და ცისფერმა.

დაისვენა რო?! ყოველგვარი კარგი და ცუდი - ერთმნიშვნელოვნად კარგი და ცუდი როდია? ყოველ შემთხვევაში, ერთმნიშვნელოვნად კარგს და ცუდს, ერთმნიშვნელოვნად არ აღიქვავენ სხვადასხვანნი. ხომ აქვს პრობლემას წახნაგები, რომელნიც ჯერ არ, ან ვერ მოიქლიბა იმიტომ, რომ მქლიბავს არ უნდა, ან ჯერ ვერ

მოასწრო მოქლიბვა! დარჩა უამრავი ნარკომანი, რომელთაც არ სურთ გადაჩვევა და ამ ტკბილი საქმიდან ხელის აღება. ჰოდა მიჰყვეს ხელი მშობლებმა და ცოლ-შვილმა (ვისაც ჰყავს - რასაკვირველია) ამ აბების დაფხვნას და ახლობელი ნარკო-მანისთვის, ჩუმათ, საჭმელში ჩაყრას. თუ ვერ მიხვდა, ხომ კარგი, მერე მადლობელიც არის და მადლიერიც - ხოლო ვინც მიხვდა გადაჩვევამდე, იკივლა და იწივლა, პროტესტის ნიშნად საჭმლის ჭამასაც თავი გაანება და ქუჩაშიც გამოვიდა თავისი, როგორც ადამიანის - უფლებების დასაცავად.

ბოლო დღეებში დაძაბულობამ აპოგეას მიაღწია - დაიმსხვრა ვიტრინები, დაიწვა მანქანები, თავი შესწირა ამ საქმეს და თავი ნაწილობრივ (ალაგ- ალაგ) დაიწვა - სამმა ქალბატონმა, ერთმა მამაკაცმა და ერთმაც პოლიტიკოსმა იმიტომ, რომ ამ კეთილ-შობილმა მასამ აიძულოს პარლამენტი განიხილოს და მიიღოს კანონი საზოგადოდ ძალადობის წინააღმდეგ და კონკრეტულად საჭმელ - სასმელში დაფხვნილი აბების დაუკითხავად ჩაყრის შესახებ.

ეტყობა, კანონი მაინც გავა - გავა იმიტომ, რომ პარლა-მენტშიც სჭარბობს, ისევე როგორც საზოგადოებაში, აბებგადაუ-ყლაპავნი აბებგადაყლაპულებს. თუ გავიდა, ეტყობა კანონს პრეზიდენტიც მოაწერს ხელს, ვეტოს არ დაადებს და ძალაში შეიყვანს იმიტომ, რომ ამბობენ ნარკომანი სულაც არ არისო, ხოლო თუ არის - აბები უკვე გადაყლაპული ექნებაო.

21 ნოემბერი

აეროდრომის მომზადების დროც დადგა. დეკემბრის ბოლოს თვითმფრინავები მოფრინდებიან. ასაფრენი მოედანი თოვლითაა მოფენილი, თუმცა შუა ადგილას ყინული მოჩანს. ბულდოზერმა 2,5 კმ სიგრძის, საკმაოდ განიერი ზოლი უნდა მოამზადოს - ზედმეტი თოვლი გაიტანოს. მერე ეს ზოლი გამწე - ტრაქტორით

უნდა „დაუთოვდეს“. მექანიკოსებიდან აქ მხოლოდ ბულდოზერისტი სენია სემიონოვია დანარჩენები, დანარჩენები „ვოსტოკზე“ წავიდნენ მატარებლით. სემიონოვი ყველაფერს ვერ მოასწრებს და დირექტორის კითხვაზე - ვინ მიეხმარებაო - მე და სლესარენკო სასწრაფოდ დავთანხმდით, რომ ვინმეს არ დაესწრო. სენეჩკამ დაგვიქოქა „ატტ“, დააჯდა თავის ბულდოზერს და აეროდრომზე წავიდა. სლესარენკოს ადრეც უტარებია ეს 25-ტონიანი ახმახი. ამიხსნა, რა როგორ უნდა ჩავრთო - გადავრთო, ისიც დააჯდა თავის სამოცდაცამეტიანს (ნომერია ტრაქტორის, კარების მთელ სიგრძეზე და სახურავზე აწერია) და წავიდა. ჩავრთე პირველი სიჩქარე და დავიძარი. პირველი მეტრები რთული ჩასასვლელია, გზა ვიწროა, მარცხნივ გადასავარდნია. ცოტა არ იყოს, შემეშინდა, მაგრამ მთელი არსება დავძაბე და დავიძარი. გავიარე რთული მონაკვეთი, სწორზე გავედი და დამშვიდებულმა დავიწყე სხვადასხვა მანიპულაციები, სინჯვა - გადართვა. ცოტა ხანში თიქმის ყველაფერში გავერკვიე. მერე ორივე მივედით ზეთის კასრთან, ზეთი დავუმატეთ ძრავებს, უფრო შორს, ცისტერნებთან მივედით, „სოლიარით“ გავავსეთ ავზები და აეროდრომზე დავბრუნდით. ჩავუბით „უთო“ (თოვლის სატკეპნი მოწყობილობაა), შარშანდელს მერე თოვლში რომ იყო ჩაფლული. ეს არის 10 ტონამდე, ხის დიდი, პარალელურად გადაბმული მორები ზედ ბევრი ტვირთით, რომ მძიმე იყოს და თოვლი კარგად დატკეპნოს. დავქაჩეთ, მაგრამ არ დაიძრა. მეორედ უფრო მძლავრად დავქაჩეთ და ამოვაგდეთ თოვლიდან. დაუთოვება აეროდრომის ნაპირიდან დავიწყეთ - წინ, უფრო მძიმე „უთოთი“, სლესარენკო და უკან მე. ასე ვარტყავდით აეროდრომს წრეებს და არც ერთ მეტრ ტერიტორიას არ ვტოვებდით გაუუთოვებელს. სადილზე ჩვენ ჩვენი ტრანსპორტით მივგრიალდით მეტიჩრულად, სიამოვნებით ვიღებდით კომპლიმენტებს და გამხნევებას. სადილის შედეგ ისევ გავაგრძელეთ მუშაობა. დღის ბოლოს ბულდოზერით ათხრილ

თოვლის გორებზე გარის მანქანა გაიჩხირა. დიდ ხანს ვიწვალეთ, ხან საიდან მივუდექი და ხან საიდან, მაგრამ ვერ ამოვათრიე - ტრაქტორი „მუცლით“ თოვლზე იყო შემჯდარი და მუხლუხოები ჰაერში ტრიალებდა, მე კი, მისაბმელის გამო, უკანა სვლა შეზღუდული მქონდა. ბოლოს სემიონოვმა შეგვამჩნია შორიდან, ადგილზე რომ „ვჩალიჩობდით“ უშედეგოდ და ჩვენსკენ წამოვიდა. სწრაფად, ოსტატურად მითხარ - მოთხარა თოვლი ბულდოზერით, წინიდან მიაწვა მძლავრად და, როგორც იქნა, ამოვიყვანეთ. მერე რადიოზონდის გაშვების დროც დადგა და სახლისაკენ წამოვედით.

გუშინაც იგივე სამუშაოს ვასრულებდით. კარგი ამინდი იყო. სწორ გზაზე მეორე სიჩქარე ჩავრთე, სწორი მიმართულება მივეცი, კარები გავაღე, კიბეზე ჩამოვდექი და ტიტველი მზეს შევეფიცხე. გუშინ მარტო ვმუშაობდი - სლესარენკოს მანქანა გაუფუჭდა, მეორის, თოვლში ჩაფლულის დაქოქვას მთელი დღე მოანდომა. მარტო თოვლით გატენილი კაბინის გასუფთავებას დასჭირდა ორი საათი.

დღეს დილიდან ისევ საწვავი მოვიმარაგეთ და საქმე გავაგრძელეთ. ქარიანი ამინდი იყო და სიამოვნება გუშინდელზე ნაკლები მივიღეთ. დღის ბოლოს სამივენი ერთდროულად წამოვედით. სემიონოვმა თავის ფახფახა ბულდოზერს გაზი ბოლომდე მოუმატა და წინ გავარდა. უსიტყვოდ შეჯიბრებაში გვიწვევდა! იმის გასწრებას რა უნდოდა? ჩვენი მძიმე, მაგრამ სწრაფი მანქანები 40 კმ სიჩქარით გავაქროლეთ. ჩემი გამწე თოვლის პატარა გორაკებზე ისე ირყეოდა, ძარაში რომ ვინმე ყოფილიყო, თავს ვერ შეიმაგრებდა და აუცილებლად გადმოფრინდებოდა. შევატყვე, წინ წასულ გარის ვერ დავეწეოდი და გზის მოჭრა გადავწყვიტე, მაგრამ სიჩქარის გადართვა დამაგვიანდა და ცხვირზე გაშლილ თითებ-მიდებულმა ჩამიქროლა.

სახლის აივნიდან აეროდრომს რომ გადავხედეთ, გაგვიკვირდა, თურმე კარგა ბლომად სამუშაო შეგვისრულებია, მაგრამ დამთავრებამდე ცოტა როდია კიდევ გასაკეთებელი.

მიუხედავად ამხელა წონისა და ზომისა, გამწე „ატტ“ ადვილი სამართავი ყოფილა, უფრო სწორად - მანქანასავით სამართავი. აქსელერატორი და სამართავი სახელურები ძალზე მგრძნობიარე აქვს და საკმაოდ ზუსტი მოძრაობების შესრულება შეიძლება. ასე, მაგალითად - როცა გინდა მისაბმელი ჩაუბა, საჭიროა მის რგოლთან, უკანა სვლით სანტიმეტრებში მიაყენო მანქანა და ამის გაკეთება არცთუ ისე რთული ყოფილა, როგორც მე ადრე წარმომედგინა.

26 ნოემბერი

საკმაოდ დათბა, კიბესთან ქვები გამოჩნდა. პირველად დავადგით ქვაზე ფეხი. კარგია, როცა მიწაზე დადიხარ, უფრო იმედიანად გრძნობ თავს. ერთი კვირაა უქარო მზიანი ამინდებია, მართალია სხვა წლებთან შედარებით სითბო ნაკლებია, მაგრამ ამას ყურადღებას სულაც არ ვაქცევთ. დღე აივანზე ტრუსებში ვართ გამოფენილი. ნიკოლაევი გვაფრთხილებს, დიდხანს ნუ ვიქნებით ტიტვლები, შეიძლება გამოსხივება მივიღოთ, ჩვენ კი არ ვუჯერებთ, მზე გვირჩევნია.

პავილიონის გარშემო სუსტი ასაფეთქებლები ავაფეთქეთ. გარშემო თოვლი წითელი ფხვნილით დაიფარა. მუქი ზედაპირი მზის სხივებს გაცილებით მეტს შთანთქავს და თოვლიც უფრო ინტენსიურად გადნება, თორემ ირგვლივ 3 მეტრამდე თოვლი დახვავდა, შეიძლება ზაფხულმა ვერ გაადნოს და მომავალ ზამთარს პავილიონი თოვლში ჩაეფლოს.

დღეს 20 მ-მდე სიჩქარის ქარი უბერავს, მაგრამ ძველ, გამაგრებულ თოვლს ვერას აკლებს - ფანჯარაში რომ იყურები, ვერ გრძნობ, რომ ქარი უბერავს. არაფერი არ იძვრის, თოვლი არ მოძრაობს, მხოლოდ ანტენის მავთულებზე შეამჩნევ, რომ ძლიერი

ქარია. გარეთ გასვლისას თბილი ქარი ისეთი უსიამოვნო აღარ გეჩვენება, მითუმეტეს, რომ თვალებიდან ნორმალურად იყურები, მაგრამ ფეხზე მყარად დგომა მაინც ჭირს. მიუხედავად იმისა, რომ ზამთარს ძალა თანდათან აკლდება და ჩვენ კი, გვემატება. გვემატება იმ შემთხვევაში თუ სიკეთისათვის გამოვიყენებთ.

...ობობები დინოზავრებზე 200 მილიონი წლით ადრე გაჩნდნენ, ამ წუთას კი სამყაროში ახალი პლანეტები იქმნება – ვინ იცის როდის გაჩნდება მათზე ობობები დამერე დინოზავრები-ნუთუ ყველას უკვდავების ფენომენი ამოძრავებს? ნუთუ პიროვნების მარადისობის უზრუნველყოფის გრანდიოზული მოტივის გამო – ყველა პირამიდის აშენებას აპირებს?

- გახსოვს მკითხველო შენი პაპის მამა? ძალიან კარგი. შენი პაპის პაპა? - არ გახსოვს. აბა, მაშ შენ შვილიშვილის შვილიშვილს რატომ ემახსოვრები? ჰოდა, არა სჯობს – სანამ აქა ხარ ის აკეთო, აქაურებს რომ გამოადგება? - სიკეთე!

29 ნოემბერი

წონის მომატება აქ ჩვეულებრივი ამბავია. 20 წლის განმავლობაში მედიკოსებმა საკმაო მასალა დააგროვეს და დაასკვნეს, რომ პოლარელების უმეტესობა, ზამთარში ნაკლები მოძრაობის გამო - 3-7 კგ-ით სუქდება. ზაფხულის დადგომასთან ერთად წონა თანდათან კლებულობს და სახლში ჩამოსვლისას ძველ ნორმას უბრუნდება.

იაპონელებმა 1967 წელს სადგურ „სიოკაზე“ საინტერესო გამოკვლევები ჩაატარეს და დაადგინეს, რომ პოლარელები ყველაზე ბევრ დროს მჯდომარე და მერე მწოლიარე მდგომარეობაში ატარებენ (საშუალოდ 66%), გარეთ კი დროის მხოლოდ 18%-ს არიან, აქედან, ზამთარში (აგვისტოში) - 5,6% - ს, ზაფხულში კი (დეკემბერში) - 20,1% - ს. ზამთარში ენერგიის ხარჯვა მინიმალურია და წონაც შესაბამისად მატულობდს. მიუხედავად იმისა,

რომ დროის უმეტეს ნაწილს პოლარელი ჯდომელა და წოლელა მდგომარეობაში ატარებს, ენერგორესურსების დანახარჯმა, „სიოკას“ პირობებში, დღეში 2800 კკალ შეადგინა, რაც ფიზიკურად მომუშავე მუშის საშუალო დატვირთვას უდრის.

სასწორიდან ბუზღუნით ჩამოვედი. ალიკ ხლოპაჩოვი უკვე მერამდენეჯერ მეუბნება - ვარჯიშია საჭირო, ვარჯიში! ხომ ხედავ მე არც ვიკლებ და არც ვიმატებ - ვეუბნები, რომ ვვარჯიშობ განტელებით. არაო, ეს ცოტაა, ფეხებიც უნდა ავარჯიშოო, არ მეშვება. -ჩემმა ფეხებმა ბავშვობიდან იმდენი ივარჯიშა, რომ ჩემი უვარჯიშებელი, შენ ნავარჯიშებელს მოუგებს - მეთქი.

ისეთი კმაყოფილებით დაიწყო სიცილი, მივხვდი, რაღაცაში კიდევ „გამომიჭირა“. მოდიო, ხელში ერთფუთიანი საწონით ცალ ფეხზე ჩაბუქვნაში შევეჯიბროთო. სანაძლეოც შემომთავაზა: თუ მოიგებდა - პინგვინის ბარტყის ჩემი ერთადერთი ფიტული უნდა მიმეცა, თუ წააგებდა თავის ლამაზ დასაკეც დანას მომცემდა (იცოდა, რომ მომწონდა და ერთხელ, ნასვამი, მჩუქნიდა - არაფრით არ გამოვართვი).

მარტო რომ ვყოფილიყავით, როგორმე მოვიშორებდი თავიდან, მაგრამ თითქოს რაღაცა სახეირო იგრძნესო, უცებ საკმაოდ ხალხი შეიყარა და მეც აღარ დამიხევია უკან. შევედით ელექტროსადგურის დარბაზში, ავირჩიეთ მსაჯები, დავთქვით წესები და წილიც ვყარეთ, დაწყება მე მერგო. ამასობაში მობანავენიც გამოვდინენ - ზოგი ლამის მთლად შიშველი და ზოგიც ზეწარშემოფარებული. პირველს ძალიან არ მინდოდა დაწყება და ვთხოვე - შენ დაიწყე-მეთქი. კიო, მაშინვე დამეთანხმა ადვილ მოგებაში დარწმუნებული. მოღუნულ ხელში დაიჭირა საწონი და დაიწყო ჩაბუქვნა. რვაჯერ თავისუფლად ადგა, მეცხრე გაუჭირდა, მეათე და მეთერთმეტე ძალღონის მთელ დაძაბვით შეასრულა, მეთორმეტეზე მხოლოდ ნახევრად წამოიწია და წაიქცა - ეს ბოლო ცდა არ ჩაუთვალეს.

ძლიერ შემეპარა ეჭვი ჩემს შესაძლებლობებში, მაგრამ შუა გზაში რაღაც იმედი მომეცა, რომ თერთმეტჯერ მაინც მოვახერხებდი ჩაბუქვნას. ირგვლივ კი აზარტში შესული ხალხი ხორხოცობდა, იყო ერთი ჟივილ - ხივილი, ოხვრა და გამხნევება. მეთორმეტეჯერ ძალიან გამიჭირდა, ასე მეგონა ძარღვები დამაწყდებოდა, მაგრამ მაინც მოვახერხე და გავსწორდი.

ატყდა ერთი ამბავი, ყველა მილოცავდა გამარჯვებას, ალიკას კი ნირი წაუხდა, გაპროტესტება მოინდომა - არ უნდა დაგთანხმებოდი, არ უნდა დამეწყო პირველსო. არავინ იღო ყურად მისი პროტესტი. მერე ყველა რომ დავშოშმინდით, მთხოვა - ეს დანა ძალიან მიყვარს, დამიტოვე და სხვას გაგიკეთებო. მე, რასაკვირველია, მაშინვე დავთანხმდი - დანა არასდროს მყვარებია, არც მქონია და დანის გულისათვის როგორ დავწყვეტდი გულს. ოღონდ ჩვენ მაგიდას (საკმაოდ დიდი მაგიდა იყო) ცალ ფეხზე ასკინკილა ხუთჯერ შემოუვლი - მეთქი. კიო, ჩექმა გაიძრო და ძუნძულ-ძუნძულითა და დამსწრეთა ტაშით და შეძახილებით შეასრულა პირობა. საბოლოოდ ყველა კმაყოფილია, მე კი ფეხის უვარჯიშებულობის გამო კოჭლობით, გავეშურე სახლისაკენ. ... მიილია კიდევ ერთი დღე.

7 დეკემბერი

ორი - სამი დღეა ისევ მიუბერ - მოუბერა ძლიერმა ქარმა, მაგრამ ვერაფერი დაგვაკლო, თოვლი ვეღარ გადააქვს, ვერც ჩვენ გვაშინებს, ზამთრის ცივი ქარების შემდეგ ეს მასხრობად გვეჩვენება. ბოლო დღეები მზიანი, მოწმენდილი, კრიალა ამინდებია, მხედველობა საუკეთესო. სანამდეც თვალი გიჭრის, ყველაფერი ჩანს. ცა უძიროდ ლურჯია. ასეთ ამინდებში, რასაკვირველია, ანტარქტიდა ზამთრის კურორტია. იმიტომაა ზაფხულში ზოგჯერ ბობოლა უფროსი ჩამოვა ვინმე, გაივლ - გამოივლის, დატკბება აქაურობით და წასვლისას ბრძნულ აზრს

გამოთქვამს - აქ ხალხს თურმე კურორტზე ვაგზავნით და კიდევ ამდენ ფულს ვუხდით, არაფერი მოხდება თუ ცოტას შეუკვეცავთო. მერე თავის აზრს ფინანსისტებს გაუზიარებს, ისინიც კვეცავენ და ახლა იმ თანხის ნახევარს ვიღებთ, რასაც პირველ ექსპედიციებში იღებდნენ.

ნიკოლაევი ხშირად მოდის ჩვენთან. ჩვენი აივნიდან ჰორიზონტი კარგად ჩანს და დიდი ჭოგრიტიც გვაქვს. გვინდა დავადგინოთ ჰორიზონტზე ყინულისაგან განთავისუფლებული წყლის არსებობა, ყინული და ზღვა სხვადასხვაგვარად ირეკლავენ სხივებს და, ამიტომ, ღია ზღვის თავზე ცა ყოველთვის მუქია. მუქ ცას კი ჯერჯერობით ვერ ვხედავთ, ე.ი. წყალი 35 კმ-ზე შორს არის (ჩვენი აივნიდან დაახლოებით ეს მანძილი ჩანს). წუხს ნიკოლაევი - წელს თოვლის დნობა ნაკლებია და ვაითუ გემები ვერ მოგვიახლოვდნენო.

15 დეკემბერი

დღეს გეოფიზიკოსების ახალი სახლის გახსნა მოეწყო. მშენებლებმა დაამთავრეს ყველაფერი და ოფიციალურად აბარებენ მიმღებ კომისიას. შესასვლელში წითელი ლენტი გააბეს და ყველაფერი ისე იყო, როგორც წესი და რიგია - დირექტორმა ლენტი გაჭრა და მშენებლებმა მიგვიწვიეს დასათვალიერებლად. ყველანი კმაყოფილები ვართ და ქებას არ ვიშურებთ. მართლაც, ყველაფერი საფუძვლიანად და ლამაზად არის გაკეთებული - ნათელი, ფართო სამუშაო და საცხოვრებელი ოთახები, მშვენიერი სანიტარული კვანძი, დასასვენებელ - გასართობი ოთახი, ფართო გასახდელი ტანსაცმლის გასაშრობით, კარგი ვენტილაცია.

სეისმოლოგს, მაგნიტოლოგს, იონოსფეროს მკვლევარს, ჩრდილოეთის ციმციმის სპეციალისტს, გეოდეზისტს - ყველას თავისი, ყველაფრით გაწყობილი ლაბორატორია აქვთ, ზოგს რამდენიმე ოთახით. დიდებულია ფოტოლაბორატორია და წყლის გასათბობი მოწყობილობა. ამათ გარდა ახალ სახლში ელექტრო-

სადგურისა და მექანიკური სახელოსნოების თანამშრომლები იცხოვრებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ოცდამეერთე ექსპედიციაში თოვლქვეშა ძველ სახლებში აღარავინ იცხოვრებს.

მშენებლობის თავკაცები ტარანოვი და ივანოვი სახეგაბრწყინებული დადიან, ატყობენ რომ ყველაფერი მოგვწონს და წუნს ვერ ვპოულობთ, ნამუსიანი ხალხია და ნამუსიანადაც იმუშავეს. მერე თითო სათითე არაყით როგორც ეკუთვნოდათ, ისეთი კარგი სადღეგრძელოები ვუთხარით და დავიშალეთ.

19 დეკმბერი

კუნძული ხასიელი ორ კილომეტრამდე სიგრძისა და ცოტა ნაკლები სიგანის, ბაზალტით ნაგები კლდეა. შუაზე ხეობა ჰვეთს გარდი-გარდმო, და გამდნარ თოვლს იქ მოგრძო ტბა შეუქმნია. სამხრეთი ნახევარი უფრო ამაღლებულია და თავისი მწვერვალიც აქვს, ასე 80-100 მ სიმაღლისა. კუნძული ბარიერიდან 3 კმ-ზეა მოშორებული და თოვლი ზამთარშიც ვერ ჩერდება ზედ.

დღეს მე და კოლია დრეერი თავისუფლები ვიყავით სადილის შემდეგ და წავედით თვალისა და ტანის დასასვენებლად.

ახლო - მახლო მისი მსგავსი პატარა კუნძულები ბევრია მიმოფანტული. ერთ-ერთ მათგანზე ვერცხლისფერ - ნაცრისფერი ქარიშხალები ბუდობენ. ძალიან ბევრი, უთვალავი არიან. პიტალო კლდეზე ავძვერით და მათ შორის აღმოვჩნდით - ყოველ ნახევარ მეტრში, ოდნავ ჩაბუქნულნი კვერცხებს აზიან ან ემზადებიან ამ საქმისათვის. ჩვენი სულ არ ეშინიათ და არც არაფერს გვერჩიან. აიყვან ხელში - არ გეწინააღმდეგება, თავის მოგერიება არ იცის, შეიძლება სუსტად ჩაგინისკარტოს, ძალზე ლამაზი სახე და თვალები აქვთ. ბევრს კვერცხის ქვეშ წყალი შესვლია, გამდნარი და კლდეს ჩამოყოლილი. წელს თოვლი, შედარებით ცივი ზამთრის გამო, გვიან დნება და კლდე ჯერაც არ გამომშრალა. ერთი მათგანი ყინულზე იჯდა, ხელში ავიყვანეთ და ყინულის ქვეშ კვერცხი

დავინახეთ. ისეთ ადგილას დაუდვია კვერცხი, სადაც დილას მზე ადგება, შუადღის შემდეგ კი ჩრდილია და ჩამოწვეთილი წყალი იყინება. რას ვიზამდით, ისევ ყინულზე დავსვით. ვისი შველაც კი შეიძლებოდა, არ დაგვზარებია - სანამ არ დავიღალეთ. კვერცხები მშრალ ადგილზე გადაგვქონდა და დედებს ისევ ზედ ვსვამდით - იქნებ მთლად არ არის გაყინული და გამოიჩეკოს.

ყველაზე მაღალ ადგილას, აქა - იქ, მოზრდილი მტაცებელი მეზღვიები ბუდობენ. თავზე დასტრიალებენ ქარიშხალებსა და პინგვინებს. თუ რომელიმე მათგანს კვერცხი გაუვარდა ან თვითონ განუტევა სული, დაესევიან და შესანსლავენ, ჩვენებური ყვავებივით.

ამათ კი იციან მოტაცების ფასი და თუ მიუახლოვდები, საშინლად ჭყავიან. კვერცხებს კლდის ფერისას დებენ და ძნელი მისაგნებია. მაგრამ თუ მიდიხარ და ამჩნევ, რომ ყვირილი და შეშფოთება ძლიერდება, ე.ი. კვერცხები აქვე ახლოსაა. ბუდესთან მიხვალ თუ არა, აფრინდება ერთი მათგანი, დაუვლის წრეს და მოპიკირე, სამხედრო თვითმფრინავივით პირდაპირ შენზე მოდის, ხელი თუ არ აიქნიე, შეიძლება თვალიც ამოგკორტნოს. მერე დაჯდება კლდეზე და ჭყავილს განაგრძობს. ახლა მისი მეუღლე აფრინდება და იგივეს იმეორებს. კარგა ხანს ვაწვალეთ, ვიცინეთ და კლდიდან ჩამოვედით.

გაშლილ, სუფთა ყინულზე უამრავი ქარიშხალა დავინახეთ. მიახლოებისას აფრინდნენ, თავი მინიატურულ აეროპორტში წარმომიდგა. ისე ზედმიწევნით ზუსტად ფრინდებიან, როგორც რეაქტიული თვითმფრინავები - წამოდგებიან, გარბიან ყინულზე, თანდათან უმატებენ სიჩქარეს, ამავე დროს განიერ ფრთებს ხშირად აქნევენ, გაირბენენ 20-30 მეტრს, ცოტას აიწევიან, ერთი-ორჯერ კიდევ დაჰკრავენ ფეხებს, მერე მათ ბორბლებივით ტანქვეშ შეიწყობენ და მიწას ლამაზად მოსწყდებიან. დაჯდომაც საოცრად ლამაზი იციან - ყინულზე სწორხაზოვნად დაფრინდებიან, მუცელ-

ზე გასრიალდებიან და გაჩერებისას ფრთებს შეიწყობენ. დიდხანს არ მოგვბეზრდა მათი ყურებაც.

ბოლოს ხასუელზეც გადავედით, ლამაზი ქვების შეგროვება დავიწყეთ და მწვერვალამდე ავაღწიეთ. იქედან ტბისკენ დავე-შვით. ერთ ან ორ კვერცხზე მსხდომი ადელის უამრავი პინგვინი ვნახეთ. ბუდე ყველას კენჭებითა აქვს შემოწყობილი. კვერცხს თუ წყალი შეუდგა, აუცილებლად კენჭებით ამაღლებენ. ამიტომ კენჭები აქ მეტად დეფიციტურია. ეშმაკი და საზრიანები არიან, კენჭებს ერთმანეთს პარავენ და ამის თაობაზე გაუთავებელი ჩხუბი აქვთ. კლდეს მოვეფარეთ და დასასვენებლად წამოვწექით. ცხვირწინ პატარა ჯგუფი ბუდობდა. მათში ერთი, ტანად პატარა პინგვინი გამოირჩეოდა - შრომისმოყვარე და მიზანდასახული. ჯერ პინგვინებს შორის დახტოდა და ცდილობდა კენჭის მოპარვას, მაგრამ ყველა ნისკარტს ურტყამდა და უყვიროდა. მაინც შესძლო რამდენიმე ქვის მოტაცება, მიუხედვად ძვირი ფასისა. მერე აქეთ, ჩვენსკენ წამოიწია და მიტოვებული ბუდე დაინახა. სასწრაფოდ დაავლო ნისკარტი მოზრდილ კენჭს და სახლისაკენ გააქანა. თავის ბუდესთან მიიტანა და ცოლს წინ დაუდო, კვერცხზე რომ იჯდა. იმანაც ტანის გაუნძრევლად, ნისკარტის სწრაფი მოძრაობით კენჭი ბუდეს დააშენა. ოჯახის თავკაცმა თავის საქმე განაგრძო, ახლა უფრო ხალისიანად და სწრაფად მივიდა, დაავლო ნისკარტი კენჭს, სწრაფად გაირბინა პინგვინებს შორის, მათ ნისკარტის ქნევას ყურადღებაც არ მიაქცია და სახლში მიიტანა. რამდენიმე რეისი რომ გააკეთა, საქმე გართულდა. შურიანი პინგვინები ცხარობდნენ და გზას აღარ აძლევდნენ. მოისაზრა - აიღო კენჭი და ახალი, უფრო შორი გზით წავიდა. ეს გზა უფრო რთული იყო, ორ ადგილას კლდეს უნდა გადავლებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ - უსაფრთხო. ახლა ძველი გზით დაბრუნდა და ახლით კენჭი სახლში ისე მიიტანა, რომ არვის წაურთმევია. საათი დავინიშნეთ და დაახლოებით ერთი და იგივე დრო მოანდომა ორივე ბოლოს

გავლას, იმიტომ რომ უკან დაბრუნებისას ძალზე სწრაფად მოძრაობდა., სულ სკუპ-სკუპით ახტებოდა ორივე კლდეს, სახლში მივიდა და უკან დაბრუნების დროს ცოტას დაფიქრდა, როგორ წასულიყო. ბოლოს მოისაზრა და უკანაც ახალი გზით დაბრუნდა. ახლა არავინ უშლიდა ხელს მუშაობაში და საქმეც შეუფერხებლად წავიდა წინ. ასზე მეტი კენჭი იყო და ორ საათზე მეტი ხნის განმავლობაში თავაუღებლივ, ყოველგვარი შესვენების გარეშე მუშაობდა - სახლში იმდენი კენჭი დაუგროვდათ, რომ მეუღლეს სად წაეღო, აღარ იცოდა, იმას კი მოჰქონდა და მოჰქონდა. ბევრი ვიცინეთ და კინოფირზეც გადავიღეთ.

დავისვენეთ, ისევ ვიხეტიალეთ კლდეებში, გახევებული, განუვითარებელი ხავსიც ვნახეთ ბევრ ადგილას და კუნძულის ძირში ჩამოვედით. მთელი კუნძული ქარიშხალას ბუმბულით, ახალგაზრდა პინგვინების ბეწვითა და მათი სკორეთი იყო მოფენილი.

ერთგან, ნაპირზე, მარტოხელა პინგვინს წავაწყდით, იჯდა ბუდეზე და ნისკარტს აცმაცუნებდა. ბუდე ღარიბი ჰქონდა, ცოტა კენჭებით. კოლიამ დაადგინა - ჩვენი ადგილკომის სახელით უნდა დავეხმაროთ მარტოხელა გაჭირვებულსო - წავედით სხვადასხვა მიმართულებით და ამ უკენჭო ქვეყანაში, როგორც იქნა, თითო მუჭა მოვაგროვეთ. კოლიამ საზეიმო სიტყვა უთხრა, საჩუქრის გადაცემისას რომ იტყვიან ხოლმე და კენჭები წინ დავუდეთ. გაეხარდა ძლიერ და შენებას შეუდგა.

სახლში გვიან დავბრუნდით, საშინელად მოშივებულები.

23 დეკემბერი

მოწმენდილ ამინდში გარშემო ყველაფერი ძლიერ განათე-ბულია. შავ სათვალეებს ყველა იკეთებს, უამისოდ ძნელია. მე ერთადერთი ვარ, მგონი, სათვალებს რომ არ ვატარებ. უკვე შეეჩვივნენ და აღარ მაფრთხილებენ, რომ დავბრმავდები.

სათვალეს რომ ვიკეთებ, ასე მგონია ქვაბი მახურავს თავზე. ეტყობა თვალები უძლებენ და არ იტვირთებიან, თორემ ქვაბდახურული ვივლიდი. ჩვენთან მთაში ზამთარში ნაკლები რადიაცია არ არის, მაგრამ იქაც არ გამიკეთებია სათვალე.

საინტერესო გამოკვლევა აქვთ ჩატარებული პოლარელებს დუბროვინსა და ბლაგონრავოვს. მათი მონაცემებით „მირნიში“ ამინდის 48% გამოსადეგია გარეთ სამუშოად, 49% შემთხვევაში გარეთ ყოფნა საშიშია, გაყინული ქარის საფრთხის გამო, ხოლო 3% კი იმდენად მკაცრია, რომ სახეზე სპეციალური საფარის გარეშე გარეთ ცოტა ხნითაც კი არ შეიძლება მუშაობა.

იაპონელი ხუპონე აღნიშნავს - მიუხედავად ბევრი შრომე-ბისა, ჯერ კიდევ არ ვიცით რა კვალს ტოვებს მოზამთრეობა ადამიანის ჯანმრთელობაზეო. ნაწილი მეცნიერებისა თვლის, რომ თანამედროვე პირობებში (კარგი შენობები, ტანსაცმელი, კვება, ურთიერთობა) მოზამთრეობის გავლენა ჯანმრთელობაზე პრაქტი-კულად, თითქმის არ შეიმჩნევა.

სრულიად ვეთანხმები ბევრის დასკვნას იმის შესახებ, რომ მოზამთრეობის პერიოდში ადამიანს ფერის შეგრძნების შესა-ძლებლობა უქვეითდება. ბუნებრივი მკვეთრი ფერების არარსე-ბობისას, თეთრ ან ლურჯისფერ ფონზე შავი საგნები მხედველობას ფიტავს, თვალი ჩლუნგდება, ამიტომ კოლიას გაზრდილ პატარა ყვავილებს ფერების ამოკითხვისა და გახსენების მიზნით უფრო ვაკვირდებით. ამბობენ სახლში დაბრუნებისას „მშიერი“ თვალები ფერებს მკვეთრად აღიქვამენ და ზოგიერთს, სახლში დაბრუ-ნებულს, მიძინებული ტალანტიც კი გაღვიძებია და ხატვა დაუწყიაო. ჩემში რა გაიღვიძებს რაც არ არის, მაგრამ ისიც კარგია, ბუნებას ახლებურად რომ შევხედავ.

26 დეკემბერი

ნიკოლაევმა დღეს, საუზმეზე, ყინულის დასაზვერად გასვლა შემომთავაზა, სიამონვებით დავთანხმდი. დავახტით სემიონოვის ყველგანმავალს ნიკოლაევი, ტარანოვი, ვორობიოვი და მე, თან ყინულის ბურღი და საზომი წავიღეთ და ბარიერიდან დავეშვით. მალე გემები მოვლენ, გზის გამოკვლევა და მარშრუტის დადგენაა საჭირო. გემი ბარიერზე მიბჯენილ უმოძრაო ყინულის კიდეს მოადგება, სადამდეც შესძლებს გაარღვევს მას და გაჩერდება. მერე ტრაქტორები დაიწყებენ რეგულარულ მიმოსვლას და ციგებით ტვირთის ზიდვას. ამდენად ყინულის წინასწარ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს - დასადგენია მისი სისქე, წყლიანობა და, რაც მთავარია, ღია და დახურული ნაპრალების არსებობა, გაზომვა და აღწერა.

კუნძულებს შორის სვლა არ შეიძლება, აქ ნაპრალები ბევრია და დნობასთან ერთად უფრო მეტი გაჩნდება. ბარიერს დასავლეთით გავუყევით, მშენებლების კუნძულს შემოვუარეთ, ამით გზა 4-5 კმ-ით გავიგრძელეთ, სამაგიეროდ მარშრუტი საიმედო ავირჩიეთ. პირველი გაზომვა მოსახვევში ჩავატარეთ - ყინული გავბურღეთ 145 სმ-ის სიღრმემდე, თოვლის სისქე 27 სმ. აღმოჩნდა, ნაპრალები არ არის. წინ 3 კმ-ით წავიწიეთ და დიდ, ღია ნაპრალს წავაწყდით - 3-4 მ. სიგანისას. ნაპრალი კუნძულ ხასუ-ელიდან არის წამოსული, ჩვენს გზას გარდიგარდმო ჰკვეთს და იქით, დასავლეთში, ბარიერს ებჯინება. ფეხით გავყევით ნაპრალს და ერთ ადგილას შევიწროვება შევამჩნიეთ. შავი დროშები დავსვით და ყველგანმავალით გადასვლა გადავწყვიტეთ. მე და ტარანოვმა შევატყვეთ, რომ სემიონოვი დაფრთხა და ყველგან-მავალზე დავრჩით. სემინოვი გავაფრთხილეთ, რომ კარები ღია ჰქონდეს და ჩაძირვის საშიშროება თუ შეიქმნა, გადმოხტეს. ჩვენ ღია ძარის ნაპირებზე ჩიტებივით შემოვსკუპდით, სემიონოვმა 100 მ-ით უკან დაიხია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გააქანა მანქანა, მე

მარცხენა ფეხი კიდევ ერთხელ კარგად მივაჭირე საყრდენს, რომელიც თავის საშველად გამომადგებოდა და ნაპრალს გადავაფრინდით. ამოვისუნთქეთ! წესით წინ ასეთი დიდი ნაპრალი აღარ უნდა შეგვხვდეს, რადგან გზად კუნძული აღარ არის. კიდევ ერთხელ გავბურღეთ ყინული და შავი დროშით აღვნიშნეთ. საფრთხე ვერაფერი შევამჩნიეთ და წინ წავიწიეთ - ახლა უფრო გულდაჯერებით.

უეცრად ყველგანმავალმა, თითქოს წყალში შეცურდაო, თოვლში ჩაძირვა დაიწყო და სანამ ჩვენ გადმოხტომას მოვისაზრებდით, კიდევ კარგი, გაჩერდა. ნიკოლაევმა აგვიხსნა, რომ ეს თოვლისა და ყინულის ზედა ფენებია მზისგან გამდნარი და ყინულის ქერქით გადაფარებული. ქვეშ გაუმდნარი ყინული კიდევ ბევრია დარჩენილი და საშიში არაფერიაო. გაჭირვებით ამოიყვანა სემიონოვმა მანქანა უკან. ყინული ისევ გავზომეთ და მიმართულება ოდნავ შევიცვალეთ. გზაში გამდნარი ყინული ბევრი შეგვხვდა, მაგრამ ასეთი ღრმა არ იყო. ასე, ყინულის ზომვითა და დროშების ჩარჭობით მივადექით ყინულის ბოლოს, სპიდომეტრმა 32 კმ აჩვენა. ოდნავ აღელვებული ლურჯი ზღვა ყინულის კიდეს ზევით - ქვევით არყევდა. აქ ყოფნა საშიში იყო და სწრაფად შემოვტრიალდით. მარჯვნივ, აისბერგებს შორის, ნაპრალის გარშემო პინგვინები ჭყუმპალაობდნენ, უედელის სელაპები კი პატარა, ლამაზი, მსუქანი შვილებით, ნაპირზე წამოწოლილიყვნენ. გზაში პინგვინების დიდ - პატარა ჯგუფები გვხვდებოდნენ - სახლიდან რომლებიც მიდიოდნენ, მშივრები იყვნენ, ვინც ბრუნდებოდნენ კი - მაძღრები.

უკან სვლას გაცილებით ნაკლები დრო მოვანდომეთ. გზაში ერთი დახურული ნაპრალიც აღმოვაჩინეთ და დროშებით აღვნიშნეთ. ნიკოლაევი ყველაფერს ბლოკნოტში ინიშნავდა, რადგან ეს მონაცემები სამარშრუტო რუკის შედგენისათვის იყო საჭირო.

ამინდი ფუჭდებოდა, ღრუბელმა ძირს დაიწია, ბარიერი და ჩვენი სახლები ნისლში გაეხვია, რაც ამ ადგილისათვის უჩვეულოა. ფართოდ თოვდა. ბარიერთან ასასვლელს სემიონოვმა გუმანით მიაგნო, მანქანა ზედ აახრიალა და ათ წუთში კაიუტ-კომპანიაში ვიყავით.

მომეწონა, ფათერაკიანი, მაგრამ კარგი მარშუტი იყო. უცნაური ანალოგიით ის მომაგონდა, რამდენიმე წლის წინ მე და ჯუმბერ ბათიაშვილი ცხენისწყლის ხეობაში თოვლის ასაგეგმად რომ წავედით ზამთრის ბოლოს. უკვე მეცინება, მაგრამ მაინც მოვყვებით – სერიოზულად!

ყოველ გაზაფხულის პირას ჩემი სამსახური საქართველოს მთიანეთში ექსპედიციებს აწყობდა თოვლის მასის დასდგენდად. აქედან გამომდინარე, - იანგარიშება წყლის მარაგი, მისი დნობის ვადები, წყალსაცავებში რამდენი წყალი დაგროვდება, რამდენი ელექტროენერგია გვექნება, მინდვრები როგორ მოირწყვება და სხვა. ერთი სიტყვით, თოვლის აგეგმვა სერიოზული საქმეა. მე ქვემო სვანეთის ფარგლეში ცხენისწყლის ხეობა მერგო. გამო-მიყვეს სათანადო თანხები გამყოლის, მუშისა და ცხენების დასა-ქირავებლად. შევიმოსე, აღვიჭურვე სათანადოდ და ჯუმბერს ვეუბნები – გეყოფა ბიჭო, სულ ასფალტზე სიარული, სვანეთში არახარ ნამყოფი, არც მუშა გვინდა, არც გამყოლი, წამო, წავიდეთ, საქმესაც გავაკეთებთ და და ისვენებ კიდეც-მეთქი. სიცივისა კი ეშინოდა, მაგრამ მარტი იყო დაწყებული, თბილისში თბილოდა და დამთანხმდა (ნეტავ არ დამთანხმებოდა!). ჩავედით ავტობუ-სით ლენტეხში და მივადექით რაიკომის მდივანს. მორიდებით ვეუბნები – ეს ახალგაზრდა კაცი ცნობილი მეცნიერი და „თოვ-ლის'' დიდი სპეციალისტია, მოგეხსენებათ სერიოზულ საქმეზე ჩამოვედით, იქნებ კარგი ცხენები გამოგვიყოთ და ჩვენი შეფობა კაცურ კაცს დაავალოთ-თქო.

შენ მოგვარეზე უკეთესს ვის გამოგიყოფო, მითხრა და იქვე დაურეკა ბიძინა ფურელიანს (ჩემი გვარი სვანეთში ასე იწერებიკითხება) – კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. იმანაც იტვირტა ჩვენი პატრონობა და სახლში წაგვიყვანა. საკმაოდ ციოდა, ამინდიც თოვლჭყაპიანი იდგა და სიამოვნებით დავთანხმდით. გავთბით, გავსუფთავდდით და ბუხარსაც შემოვუჯექით.

ჯუმბერს ბევრ საოცარ კეთილ თვისებასთან ერთად ერთი მეტად ლამაზი თვისებაც აქვს ადამიანებთან კონტაქტის დამყარებისა – მის გვერდით მყოფი წამსვე შეუძლია მოაჯადოვოს. მოაჯადოვა კიდეც – რაც უფრო დათვრა – მთელი ოჯახი. შუაღამეს დავიძინეთ და გვიან დილას მასპინძელი გვაღვიძებს – ცხენები მოიყვანეს, თუ მოგეწონებათო. გავარდა ჯუმბერი შურდულივით, მე რომ არ დამესწრო და აირჩია მაღალი, ლამაზი და მოუსვენარი ცხენი, ჩემსაზე კი, მერე გზაში, სიცილით კვდებოდა – ეს რა ჯაგლაგი გერგოო.

მშვენიერი, მზიანი ამინდი იდგა და ჩვენც გზას გავუდექით. გაიხარა და გაოცებას ვერ მალავდა დანახულის გამო. რაღაც მანძილის შემდეგ თოვლის აგეგმვასაც შევუდექით: გავზომე თოვლის სიმაღლე, თოვლსაზომით ავწონე თოვლი რამდენიმე სიღრმეზე, ავღწერე მიკროგარემო და ყველაფერი დავაფიქსირე. დიდი მონდომებით მეხმარებოდა თოვლის ეს მართლაც დიდი „სპეციალისტი'' და თან ჩემს „შაყირს'' არ ეშვებოდა – სულ ეს არის შენი სერიოზული საქმე, ტრაბახით რომ ამიკელიო?

გავიარეთ კიდევ რამდენიმე კილომეტრი და იგივე გავიმეორეთ, მერე კიდევ. მოხმარებას უკლო და მესამე აგეგმვაზე სულ თავი გამანება – ეჭირა პორტატული რადიო მიმღები „ვეფი'' და მუსიკას უსმენდა (მერე რომ ვყვებოდით, და ძალიან ხშირადაც, ჩემზე ამბობდა - „ვეფით'' უკან მომყვებოდა და როგორც კარგ მოურავს ეკადრება – მუსიკით მართობდაო). ამინდი შეიცვალა და თოვაც დაიწყო. მივადექით პირველ სოფელს და,

მიუხედავად ჩემი დიდი წინააღმდეგობისა, მეუბნება – აქ უნდა გავათენოთო. ვეხვეწები – ჯუმბერ, ჯერ შუადღეა, ერთი სოფლით კიდევ გავიწიოთ წინ, თორემ ესე ვერ მოვასწრებთ ცხენისწყლის სათავეებამდე მისვლას. აპ, აპ, აპ – როგორ გეკადრება, ხომ არ დავიხოცებით შენი რაღაც მასხრული საქმიანობის გამოო, და პირველივე მოსახლეს გასძახა – მასპინძელო, მასპინძელოო! გამოგვეგება მასპინძელი, მოისმინა ჩემი ნათქვამი „თოვლის დიდი სპეციალისტის'' შესახებ და სახლში შეგვიპატიჟა. გაგვხადეს ქალებმა სულ გალუმპული ტანსაცმელი, ჯუმბერის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად ფეხები დაგვბანეს, გაგვათბეს და ბუხართან დაგვსვეს. ჩამოჭრა მასპინძელმა ღორის და ძროხის შაშხი ჭერში რომ ეკიდა, მოიპატიჟა მეზობლები და განმეორდა წინა ღამის ამბავი.

დილას ისევ კარგი ამინდი იდგა, ძლივს გამოვიყვანე სახლიდან, ისევ არ უნდოდა წამოსვლა. დავრჩეთ ბიჭო, ერთი დღით მაინც, ამაზე კარგს ვერ ინატრებს კაციშვილი, რა გენაღვლებაო. იმით დავითანხმე რომ ზევით სოფლებში უფრო კარგი და ეგზოტიკური მასპინძლობა გველოდება - მეთქი. კოცნა და კოცნა მასპინძლები, მისამართიც დაუტოვ – თბილისში თუ ჩამოხვედით აუცილებლად მე უნდა მეწვიოთ, თორემ ძალიან მეწყინებაო – და შემოვახტით დანაყრებულ ცხენებს. გზაში მთელი დრო – საღამომდე – ამბების მოყოლისა და ჩემი გამაიმუნების მეტი არაფერი უკეთებია, განსაკუთრებით ჩემს ცხენს დასცინოდა, გააჭენებდა და გამოაჭენებდა ცხვირ წინ თავის ცხენს. მე კი მთელი დღე ვიცინოდი და ვგეგმავ0დი თოვლს – უჯუმბეროდ.

მოსაღმოვებისას, როგორც იქნა, ლამაზ და დიდ სოფელ – ჩიხარეშს მივაღწიეთ. ოცდაათ კილომეტრამდე გვქონდა გავლილი და კარგა დაღლილებიც ვიყავით. ვესტუმრეთ ცენტრიდან გაფრთხილებულ სოფლის საბჭოს თავჯომარეს – მშვენიერ კაცსა

და მის მშვენიერ ოჯახს. თქვენ შორის თოვლის სპეციალისტი რომელიაო? - შეგვეკითხა მასპინძელი (მერე მე მაბრალებდა – შენი მოგონილია, ეგეთი კითხვა სულაც არ დაუსვიაო), აბა, რას ვეტყოდი!

განმეორდა წინა ორი საღამოს ისტორია – უკეთესს ხარის-ხში. მეორე დღეს 8 მარტია – ქალთა დღე. მოგვიპატიჯა თავჯდო-მარემ სოფლის საზეიმო შეკრებაზე. პრეზიდიუმში ჩვენ – სამი კაცი – ვსხედვართ, შუაში თავჯდომარე გვიზის. გააკეთა მოხსენება ამ დღის შესახებ, საერთოდ ქალების მდგომარეობაზე და ტაშის გრიალში (ამჯერად მე ვაბრალებ მას, რომ ეს მისი მოგონილია და სულაც არ ყოფილა!) გამოაცხადა – ეხლა თქვენს წინაშე გამოვა თბილისიდან ჩამოსული „თოვლის სპეციალისტი'' საინტერესო ინფორმაციითო. ზამთარში უშუქობის გამო მოწყურებულმა საზოგადოებამ ტაში შემოკრა და გულითადად მომესალმა. მე ორივე ხელით ვანიშნე, რომ დაწყნარებულიყვნენ, ჩავრთე ჩემი „ვეფი'' (ბატრეებზე იყო და დენი არ სჭირდებოდა) და მოვასმენინე ახალი ამბები – ისევ შემოკრეს ტაში და ისევ

გავაჩერე. მთლად გაჩერებულები არც კი იყვნენ, რომ გამოვაცხადე – იწყება მეორე განყოფილება - მეთქი და ჩავრთე მუსიკა. აცეკვდა და ამღერდა მთელი დარბაზი.

დილით ჯუმბერმა გამომიცხადა – მე არსად წამსვლელი არა ვარ, რაც გინდა და როგორც გინდა ისე გააკეთე შენი საქმე, ოღონდ შენი ცხენით, ჩემი გადიღლებაო. ავუყევი ორი თუ სამი დღე მარტო ცხენისწლის ხეობას. რასაკვირველია სათავეებს ვერ მივაღწიე, მაგრამ იქიდან ჩამოსული მგზავრებისაგან რაღაც ინფორმაცია მაინც შევკრიბე და დავბრუნდი ჩიხარეში.

დამხვდა ჯუმბერი მასპინძელივით – ცოტა სვანური სიტ-ყვებიც უსწავლია და გაიხარა – გვეღირსა თბილისში წასვლაო. თავს ევლებიან მასპინძლის ყმაწვილი ქალები – ერთი ჯუმბერის უძახის - სკოლა ახალდამთავრებული, მეორე – ჯუმბერი ბიძიას;

უფროსი ქალიშვილი მიყვება თუ როგორ შეთანხმდნენ ზაფხული-სათვის – თბილისში რომ ჩამოვა გამოცდების ჩასაბარებლად და ჯუმბერი როგორ უმტკივნეულოდ მოაწყობს რომელშიც უნდა იმ სასწავლებელში.

დილას დადგა განშორების ჟამი - ნაბახუსევზე, სიმხნევისა-თვის კიდევ გადავკარით და დაიწყო გამომშვიდობების ცერე-მონიალი და მერე როგორი! ცრემლების, სევდის, სიხარულის და კვლავ შეხვედრის განცდისა და იმედისა. მთელი სოფელი აცილებს ჯუმბერს. მე, განზე მდგომი, მორიდებით თავს ვუქნევ ყველას. მოგგვარეს ცხენები. ერთი კი ვუთხარი ჩუმად – ნასვამი ხარ, იქნებ ჩემ ცხენზე დამჯდარიყავი, რაიმე მარცხი არ შეგემთხვეს – მეთქი. ისეთი თვალებით შემომხედა, რომ სასწრაფოდ უკან წავიღე ჩემი სიტყვები.

თოვს, თოვს, ისე ლამაზად და მძლავრად თოვს, რომ გაგეხარდება. ხოდა ჩვენც გახარებულნი შევახტით ცხენებს და სანამ მე ჩემს ჯაგლაგს დავძრავდი ადგილიდან, ჯუმბერმა ჩაუქროლ - ჩამოუქროლა ერთი - ორჯერ მასპინძლებს. ამით დამთავრდა ყველაფერი და გავქანდით სწორზე. 15-20 მეტრში ოდნავ მოხვევა რომ შეიქმნა საჭირო, ცხენი სათანადოდ ჩაეწერა მოსახვევში და მოუხვია კიდეც, მაგრამ გაშეშებულმა ჯუმბერმა თავი ვერ შეიკავა და ფაფუკ თოვზე დაენარცხა. წამოხტა შეშფოთებული – ვინმემ ხომ არ დამინახაო და შეახტა ცხენს სწრაფათ, თან იგინებოდა – სულ ამ თოვლის ბრალია, ვერაფერს ვხედავო. დავაწყნარე, ნუ იდარდებ, ისე მაგრად თოვს, რომ ყველა ვერ დაგინახავდა - ალბათ, განსაკუთრებით მასპინძლის ქალიშვილები – მეთქი.

ვეჭვობ, რომ შევძლებთ ღამემდე ლენტეხში ჩაღწევას და ვთავაზობ გზაში რომელიმე სოფელში ღამის გათევას, თან გზად რამდენიმე ნიმუშის აღებას. არავითარ შემთხვევაში არ მთან-ხმდება, ყველაფერი ყელში ამოუვიდა – სასწრაფოდ ლენტეხში

ჩასვლას თხოულობს - კატეგორიულად, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, შემდეგ დღეს, იქნებ, თავის საყვარელ თბილისში ჩავიდეს – ახლა რომ უფრო ენატრება.

ჩავუქროლეთ რამდენიმე სოფელს, მაგრამ, ნურასუკაცრავად, არცერთისაკენ არც გაუხედავს, მიუხედავად, რომ არ მოვიტყუო – მოსახვევებში ათამდე მაინც ჩამოვარდნისა, მათ შორის ნახევარი ჩემი ცხენიდანაც, რომელიც ბოლოს მაინც ძალიან შეიყვარა – თავისის საპირისპიროდ.

მზე ჩადიოდა, ლენტეხს რომ მივუახლოვდით და ეხლა მე ვამხნევებ მორიგი ჩამოვარდნისას – ჯუმბერჯან ნუ გეშინია, ცოტაღა დაგვრჩა, ერთი - ორჯერ გაუძელი ჩამოვარდნას და მისულებიც ვართ – თან ვექაჩები, როგორმე ისევ რომ შეჯდეს ცხენზე. ეს ოხერი გზაც არ დაილია, თოვლი წვიმაში გადავიდა და ჩვენი ძალებიც ნულამდე დავიდა. ბოლოს სახლებიც გამოჩნდა და სიხარულისაგან სიმხნევეც მოგვემატა, მაგრამ გზის ვიწრობში, გასასვლელზე დიდი, გაუყოფელი ტბა დაგვიხვდა. არა, ამ ტბას ვერ გადავლახავთო, სასომიხდილმა რომ თქვა წინ გავედი მისი თავთხელობის დასამტკიცებლად. სიცილის თავიც აღარ გვქონდა, მაგრამ სიცილის მეტს მაინც ვერაფერს ვაკეთებდით – უხმოდ.

გადავწყვიტეთ გადაგველახა ეს ბოლო წინააღმდეგობაც და წავუძეხი კარგა ხნის წინ ჩემს ყოფილ ცხენზე ჩაბმულ მის ცხენს. მივაღწიეთ შუა ტბას და ჩამოვარდა ცხენიდან ჯმბერი. იხტიბარს კი არ იტეხს მაინც - სულ სველი ვარ და რა მნიშვნელობა აქვსო. ჩამოვედი და მივეხმარე შეჯდომაში, მაგრამ მეტი მოუვიდა და საპირისპირო მხარეს გადავარდა. გავიმეორეთ და იგივე მოხდა. იუარა მესამედ შეჯდომა და ფეხით წამოვალო - ბრძანა. ვეუბნები – ბიჭო, ღამდება, სულ სველები ვართ, ფეხით დაგვაგვიანდება და სახლამდე გავიყინებით - მეთქი. ეგღა გვაკლიაო და დაჰყვა ჩემს წინადადებას - შევთანხმდით, შუა ტბაში ერთი დიდი ქვა რომ იდო იმაზე დადგებოდა, ცალ ფეხს განზე და ზევით გაწევდა და

ჩემი „მატარებლის'' ჩავლისას ზედ შეახტებოდა. ჩავუქროლე, თავისი ცხენის მიახლოებისას აწია ფეხი, შეახტა, მაგრამ დააგვიანა, გავაზე მოექცა მერე ჩამოცურდა და ისევ ზღართანი მოადინა წყალში. შემდეგ ჯერზე ადრე მოუვიდა – კისერზე მოახტა და იქიდანაც ჩამოვარდა. გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა, დაჯდა ჯუმბერი ქვაზე და განაცხადა – არსადაც არ მოვივარო. ეს თქვა და მეც ჩამოვვარდი ცხენიდან. უსაზღვრო იყო ჩვენი გაჭირვებაც, სიცილიც და ერთმანეთის სიყვარულიც.

ბოლოს შევთანხმდით, ჩამოვუვლიდი ჩემი ეკიპაჟით იმ დიდ ქვას და ის მუცლით გადაეკიდებოდა თავის ცხენს. დათრგუნა თავმოყვარეობა და გააკეთა კიდეც. ცოტაც გავიარეთ და ლენტეხშიც შევედით. ვეუბნები – ჯუმბერ, უხერხულია ისევ ბიძინასთან მისვლა, წამო, სასტუმროში მივიდეთ და ღამე იქ გავათიოთ – თქო. შენ დარტმული ხომ არა ხარ, რადროს უხერხულობაა, იქნებ როგორმე ცოცხლები გადავრჩეთო. შევთანხმდით და ვეწვიეთ ისევ ჩვენს ძველ მასპინძლებს. რომ გავლღვით, გავშრით და გავთბით – ვითომც არაფერი მომხდარიყოს –ისევ თავიდან განმეორდა ყოველივე – ავტობუსიდან ხელის დაქნევამდე.

... ნამუშევარი მომიწონეს, ექსპედიციაც ჩამითვალეს და პროგნოზიც სწორი გააკეთეს – იმ წელს ბევრი წყალი იყო საქართველოში!

30 დეკემბერი

ბოლო დღეებში არასახარბიელო ამინდები დაიჭრა - მოწმენდილი ცა იშვიათია და კონტინენტური ქარი გამუდმებით უბერავს. გუშინ საღამოს, ვახშმობის წინ კაიუტ-კომპანიაში შეკრებილები ვართ და თვითმფრინავის მოსვლას ველოდებით. უჩვეულო, ახალი გრძნობა დაგვეუფლა, მოლოდინი სიტუაციის შეცვლისა, ბევრი რამის ახსნას ველოდებით. უამრავი კითხვები

დაგვიგროვდა, უცხო ხალხთან შეხვედრაც ძალზე გვაინტერესებს, რაც მთავრია წერილებსა და ამანათებს მივიღებთ.

ექიმმა აივნიდან შეამჩნია თვითმფრინავი, შეგვატყობინა და ყველანი გარეთ გავცვივდით. ნაწილი ხალხისა (ზოგი მოვალეობისა და ზოგი ენთუზიაზმის გამო) დასაფრენ ბილიკზე წავიდა, დიდი ნაწილი კი სახლის წინ, გორაკზე შევგროვდით და სანამ, თვითმფრინავმა სასინჯი წრე დაარტყა, განწყობილების მკვეთრად შეცვლის პროპორციულად ბრძნული აზრების გამოთქმებით ვიქცევდით თავს.

პილოტმა ლამაზად დასვა თვითმფრინავი და ფიუზელაჟის ქვეშიდან კიბეზე ჩამომავალი ფეხებიც გამოჩნდა. მერე ჩამოსულ - დამხდურნი ერთმანეთს ეხვეოდნენ და ხელს ართმევდნენ. მეც მოუთმენლად მომინდა ხელის ჩამორთმევა. ჰოლში ჩავმწკრივდით და სტუმრებს სათითაოდ ხელს ვართმევდით. მგონი თორმეტნი იყვნენ: მფრინავები, მომსახურე ტექნიკოსები და სინოპტიკოსი. ერთმანეთის ყურებას შეჩვეულებს, სტუმრების პირისახე უცხო და საინტერესო გვეჩვენა. ხუმრობას ბოლო არ უჩანდა „შეხედე ერთი, როგორც ნამდვილ ადამიანებს, ყველას ორი ფეხი და ორი ხელი აქვს“-ო, ისმოდა აქეთ-იქიდან. ამას ისიც დაემატა, რომ ჩვენმა ძაღლებმა, უცხო ხალხის დანახვაზე ისეთი ყეფა ატეხეს, რომ ვერ ვაკავებდით. ყველას გაგვიკვირდა და გვესიამოვნა, რომ ჩვენი ჭკვიანი ძაღლები სულაც არ დაჩლუნგებულან. მოსულებს ვახშმობა ვაცალეთ და კორესპონდენტები რომ მსხვერპლს გამოიჭერენ, ისე შემოვეხვიეთ ჯგუფებად და კითხვები დავაყარეთ.

სინოპტიკოსი სერიოჟა სოკოლოვი, რომელიც „მოლოდიოჟნაიაში“ გააგრძელებს მუშაობას და აქ დროებით, თვითმფრინავების ფრენასთან დაკავშირებით ჩამოვიდა, მე შევიკედლე.

წერილები და ამანათები არ ჩამოგვიტანეს - გემს მოაქვსო.

1 იანვარი, 1976 წელი

დღეს ახალი წლის პირველი დღეა. სიტუაციაც სულ სხვანაირია. გუშინ, ძველებზე მეტი ახლები მოვიდნენ სასადილოში. არეულობა, გამოცოცხლება, მოძრაობა, ხმამაღალი ლაპარაკი - ასეთი სიტუაციისათვის დამახასიათებელი ამბავია.

გუშინ გემი ჰორიზონტზე მოადგა ყინულს. სამი მსუბუქი ყველგანმავალი წავიდა შესახვედრად. შუადღეს უკან დაბრუნდნენ, მძღოლებად ახლები უსხდნენ საჭეს. დამთავრდა ჩვენი მისია, ახლები გემიდანვე შეუყენეს საქმეს. მზიანი ამინდია. ყველანი სახლის წინ მოედანზე შევიკრიბენით. ახლებს ვესალმებით, ბარგის გადმოტვირთვაში ვეხმარებით. ყველას თავისი შემცვლელი მიჰყავს სახლში - ვალდებულია; მერე, სტუმართმოყვარეობაც ხომ უნდა ვაჩვენოთ! პირველი რეისით, უმთავრესად, მექანიკოსები ჩამოვიდნენ. ყველგანმავლები სასწრაფოდ უკან გაბრუნდნენ. ახლებმა, ამოუსუნთქავად, ტრაქტორებს მიაშურეს, აამუშავეს, ციგები მიუბეს და უკანა გზას გაუდგნენ. ძალიან ბევრი ტვირთია გადმოსაზიდი, ჩვენი ახალი გემი „მიხეილ სომოვი“ კი უვერტმფრენოდ ჩამოვიდა, „მალოდიოჟნაიაში“ „კაპიტან ფედოსეევს“ დაუტოვა. დაამთავრებს იქ გადმოტვირთვას და რამდენიმე დღეში ისიც აქ გადმოფრინდება. შემდეგ რეისზე ახალი ხალხი მოვიდა და ფოსტაც მოგვიტანეს. რადისტებს შევერიეთ და ყუთების გახსნას მოვითხოვთ. გვემუდარებიან დავაცადოთ ბარგის გადმოტვირთვა, სიტუაციაში გარკვევა - სად რა არის. არ ვაცლით, მოთმინება არ გვყოფნის, ყუთებს ვხსნით, პირველ რიგში ამანათებისას.

ამოიღებს რადიობიუროს ახალი უფროსი ამანათს, წაიკითხავს გვარს და გადასცემს პატრონს, ისიც თავს ზევით, ყველას დასანახად აღმართავს. თუ ამანათი პატარა ზომისა აღმოჩნდა, იმ წუთში გაისმის კომენტარები ცოლის სიძუნწეზე და მისთანები, თუმცა ესეთები პატრონებზე არანაირად არ მოქმედებს, რადგან

მთავარი პროცედურაა ჩასატარებელი - ყურთან ყურის მიტანა და შენჯღრევა. შედეგს ყველა ინტერესით ელის. „Булькает?“ - ამ კითხვას, როგორც წესი, კოლექტიური ხასიათი აქვს. „Булькает!“ - თითქმის ყოველთვის პასუხობს კმაყოფილი ამანათის პატრონი და გვერდზე დგება, რათა ახლა სხვას დაუთმოს გამოსაცდელი ადგილი. იმისთვის, კი - „булькает თუ не булькает“ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ამანათებს იქვე, ჩაბარების ადგილზე ახსნევინებენ და ოფიციალური, ეტიკეტიანი, „მაგარი“ სასმელები თუ აღმოუჩინეს, სასმელს უკანვე აბრუნებენ. მაგრამ ასე ჩემნაირმა გამოუცდელმა შეიძლება იფიქროს, ან ისეთმა ქაჯმა შარშან კომპოტი რომ მიუღია სახლიდან და ისედაც კომპოტმობეზრებულს, თვეობით ედო თურმე ქილა ფანჯრის რაფაზე და ხან ვის სთავაზობდა ხან ვის. ბოლოს ერთ ჭკუათმყოფელს უფიქრია, არ იქნება აქ ასე მარტივად საქმეო და წაუღია. ისე გამოუწრუპია ძმაკაცებთან ერთად შეფერილი სპირტი, რომ პატრონისთვისაც კი არ გაუმხელიათ. ჩემს იქ ყოფნაშიც ბევრი შემთხვევა იყო სასმელი, თუნუქის ქილებით, რომ გამოუგზავნიათ. ეს ასე ხდება: აიღებს ვინმე ყოჩაღი მეუღლე, ვთქვათ, ანანასის წვენის ქილას, აუწევს ქაღალდის ეტიკეტის ნაპირს, გახვრიტავს და დაცლის შიგთავსისაგან. მერე შპრიცით აავსებს არყით ან სპირტით და ვინმეს დაალუქინებს სარჩილავით (თუ სახლში მამაკაცი არავინაა, კარგი საბაბია მეზობლის მოსაწვევად!) რაც უფრო გამოცდილია პოლარელი (რაც უფრო ბევრჯერ არის ნამყოფი აქ), კონსპირაციის მით უფრო მეტ მეთოდებს ფლობს მისი მეუღლე...

საღამოს კაიუტ-კომპანიაში შევიკრიბეთ. მარინსკიმ წვერი გაიპარსა და ოდეკოლონი დაისხა. რომ ჩაგვიქროლა იაფფასიანი საპარიკმახეროს სუნი დაგვიტოვა. ასე აკეთებს განსაკუთრებულ დღეებში და თავის თავს დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ჩამოსულებში ბევრი ნაცნობია, განსაკუთრებით სეზონზე ჩამოსულნი: ლიპოვი „მოლოდიოჟნაიაში“ გადახვეწილი - ვეხვევით ერთმანეთს, ამბებს

ვკითხულობთ; მფრინავების მექანიკოსი ვიტია ზემსკოვიც - - „მოლოდიოჟნაიაში“ თვითმფრინავების სარემონტოდ და მოსავლელად დარჩენილი; არკადი შალიგინი და კიდევ სხვა ბევრი. ძველი მეგობრებივით ვხვდებით ერმანეთს. შარშანდელ, ჩვენთვის კი ახალ ამბებს გვიყვებიან. საწყალ ტუტიკოვს ცოტა დაულევია 1 მაისს, მეორე დღეს გული ცუდად გახდომია და გარდაცვლილა; მახსოვს, მოხუცი ვიქტორ ტკაჩოვი ამბობდა - ერთხელ კიდევ წამოვალ რეისში და მერე დავისვენებო - ეკვატორის გადაცურვის შემდეგ გულის შეტევა მოსვლია, ლას-პალმასში, საავადმყოფოში მოუთავსებიათ. გამომშვიდობებისას ამხნევებდნენ თურმე, გამოჯანმრთელდები, სახლში ჩამოფრინდები და შესახვედრად მთელი ეკიპაჟი მოვალთო. ლენინგრადში შესვლის წინ „ობზე“ ცნობა მოსულა, რომ ტკაჩოვი გარდაცვლილა. გემი პორტში ალამჩამოშვებული შესულა. ახლა ტკაჩოვიც აღარ არის და აღარც „ობი“ დაცურავს ანტარქტიდაში; ტოლია ეფიმოვი, აეროლოგი (კურსებზე ერთად ვიყავით ლენინგრადში), ახალგაზრდა, ჯანიანი, მაგარი ბიჭი „მოლოდიოჟნაიაში“ უნდა გამგზავრებულიყო. გემების წასვლის წინ ნერვიული შეტევა მოსვლია, ცალი მხარი წართმევია და ახლაც ვერ გრძნობს თურმე თავს კარგად - მეწყინა ძლიერ.

უმეტესად კი სასიამოვნო ამბებს გვიყვებოდნენ. მერე მსუბუქად ვივახშმეთ და ჩვენი ჯგუფი, როგორც მორიგეები, საახალწლო სუფრის გაშლას შეუდგა.

12 საათისათვის ყველანი სუფრას შემოვუსხედით, 120 კაცამდე მოვგროვდით. ძლივს დავატიეთ ხალხი, მაგრამ უკმაყოფილება არავინ გამოუთქვამს. ყველა კარგ ხასიათზე იყო, მაგრამ ისე მოხდა, რომ 2 საათამდე უსასმელოდ ვიქცევდით თავს. საქმე იმაშია, რომ ჩვენმა ექსპედიციამ თავისი ნორმა უკვე სულ გახარჯა და ახალის ყუთები ტრაქტორს მოჰქონდა. ერთს გვერდი ნაპრალში ჩავარდნოდა და ამიტომ იგვიანებდნენ. ჩვენთვის ამას აღარ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა - ჭიქები „ბორჯომით“ შევავსეთ,

ერთმანეთს მივუჯახუნეთ და სადღეგრძელოებიც წარმოვთქვით. 2 საათზე კი გაწამებული, ზურგზე ყუთებშემოდებული მძღოლებიც შემოგვიერთდნენ და „საქმეც“ უფრო ხალისიანად წავიდა წინ. ასეა - ხიფათი არ არჩევს არც დროს, არც ადგილს - მითუმეტეს აქ, ანტარქტიდაში.

4 იანვარი

2-ში მშენებლები „ვოსტოკზე“ გაფრინდნენ. თებერვლის 20-მდე აეროლოგებისათვის განკუთვნილი სამმოდულიანი სახლის აწყობა უნდა მოასწრონ. ახალ ლოკატორს დადგამენ, ტრაქტორებმა რომ წაიღეს - ამას წინათ.

გამოგვიცხადეს, რომ „ფედოსეევით“, რომელიც თებერვლის ბოლოს ჩავა შორეულ აღმოსავლეთში, არავინ წავა. არც „პროფესორი ვიზე“ მოვა თურმე ჩვენთან, რომლითაც, წინასწარი განაწილებით, მე უნდა წავსულიყავი. დროის ეკონომიის მიზნით „ვიზე“ „მოლოდიოჟნაიაში“ მივიდა, ჩვენი ხალხი თავისი ბარგით „ფედოსეევზე“ გადასვა და ჩვენთან მოუსვლელად მონტევიდეოში წავიდა. იქ სამი დღე დაისვენებს, წყალსა და პროდუქტს მოიმარაგებს და დრეიკის სრუტეში შეუდგება მუშაობას. თებერვლის ბოლოს „ბელინსჰაუზენში“ შევა, ძველ ცვლას წაიყვანს და მარტის 20-ში სახლში ჩავა. გამოდის, რომ ყველას, ვისაც უნდა თუ არ უნდა, „კალინინით“ წამგვიყვანენ. ამის გამო ყველა კარგ ხასიათზეა. რას ჩამოგიშვია ცხვირი - მამხნევებენ, რესტორნით, ბარით, შამპანურით, ორკესტრით, მომსახურე ლამაზმანებით ჩავალთ სახლშიო. მე სულაც არა ვარ წინააღმდეგი - კეთილი საქმეა, მაგრამ გვიან რომ მოდის ეს მაწუხებს. 27 იანვარს გამოვა ლენინგრადიდან და ჩვენთან მხოლოდ 8 მარტს იქნება, რას ვიზამ, უნდა დაველოდო, ფეხით ხომ არ წავალ?

საღამოს მშენებლებს კარგი ფრენა ვუსურვეთ, დილას ადრიანად გაფრინდებიან.

10 იანვარი

6-ში „სომოვი“ ავსტრალიაში წავიდა. 12-ში ფრიმანტლში თვითმფრინავით ჩვენი ხალხი ჩამოვა. ამ დროისათვის „მოლოდიოჟნაიადან“ „კაპიტანი მარკოვიც“ მოვა. პროდუქტებს და ლუდს მოიმარაგებენ, „მარკოვი“ ჩვენ ხალხს ჩვენთან წამოიყვანს და გენერალურ ტვირთს მოიტანს. „სომოვი“ „ლენინგრადსკაიაზე“ წავა, ახალ ცვლას ჩაიყვანს, მოამარაგებს სადგურს, ძველებს წამოიყვანს, ისევ ავსტრალიაში ჩავა პროდუქტებისათვის, წყლისათვის და მარტის პირველ რიცხვებში „კალინინს“ შეხვდება, რომ ყინულებში წამოუძღვეს წინ.

2-ში „ფედოსეევი“ მოვიდა, გადმოტვირთვაზე რამდენიმე ვერტმფრენი მუშაობდა, მერე „სომოვმა“ წაიყვანა, თვითონ სჭირდება „ლენინგრადსკაიაში“.

ტრაქტორები ციგებით დღე და ღამე მუშაობენ. შეუჩერებლივ გამოაქვთ ტვირთი, რადგან სიტუაცია დაძაბულია - ყინული ნაპირს რომ მოწყდეს გადმოტვირთვა შეჩერდება. ჩვენ გადმოტვირთვაზე არ გვიძახიან, სამაგიეროდ ახლები განუწყვეტლივ მუშაობენ, როგორც ჩვენ - შარშან. ყოჩაღი ბიჭები არიან. სახლში მკვდრებივით დაღლილები მოდიან, მაგრამ არ წუწუნებენ.

ორივე თვითმფრინავი რეგულარულად დაფრინავს „ვოსტოკზე“, ტვირთი გადააქვს.

მოედანზე აუარება ტვირთი დაგროვდა. ბრიგადები ახარისხებენ, „ვოსტოკის“ ტვირთი თვითმფრინავთან მიაქვთ, ჩვენსას განყოფილებებში ანაწილებენ. დღეს 7 ტონა ჩვენი ქიმიკატები მოვიდა. ნაწილი პავილიონში შევზიდეთ, ნაწილიც მორენაზე წავიღეთ. თოვლი მოდის, ქარიც უბერავს, მაგრამ თბილა. კარგი მუშაობა გამოგვივიდა, თავს დამნაშავედ აღარა ვგრძნობთ, რაღაცაში მაინც წავეხმარეთ ახლებს.

გუშინ ტრაქტორების მატარებელი დაბრუნდა „ვოსტოკიდან“. გამხდარ -გამურულები ჩამოვიდნენ ჩვენი მექანიკოსები,

ზოგმა 7 კგ-მდე დაიკლო, ზოგმა მოიმატა კიდეც, საკვირველია ადამიანის ორგანიზმი! ახალ ხალხში გარეულებს, ჩვენები უფრო ახლობლებად მოგვეჩვენნენ და შეხვედრაც განსაკუთრებული, თბილი გამოგვივიდა. წვალებაც ბევრი გაიარეს, იმაზე მეტი თუ არა, არანკალები, შარშან გაზაფხულზე რომ შეხვდათ, მაგრამ ლებედევი ისევ ლებედევად დარჩა. რა დღესაც თქვა, იმ დღეს მოვიდა. არც ერთი მანქანა მწყობრიდან არ გამოსულა, არც ერთ სერიოზულ გაუმართაობას ადგილი არა ჰქონია, მუშაობდა ყველა ყველგანმავალი და მძღოლი.

ერთგან კი დიდი შიში უჭამიათ. „კომსომოლსკაიას“ სიახლოვეს, დიდ ქარში ორი ყველგანმავალი დაეკარგათ. ნაზაროვს და ფედოტოვს მხარი შეცვლიათ. ამას რომ მიმხვდარან, გადმოსულან მანქანებიდან და კვალის საძებრად წასულან უთოკეზოდ. მანქანები მხედველობიდან დაუკარგავთ. დიდი ძებნის შემდეგ დამჯდარან თოვლზე ჩახუტებულები, იმის მოლოდინში, რომ მოძებნიან. მთავარ ჯგუფში განგაში ამტყდარა, საძებრად გამოსულან, ბედად მალე მიუგნიათ კიდეც ორვე დაკარგული მანქანისათვის... შიგ კი არავინაა! ფარები ჩაურთავთ და მანქანების გარშემო მეთოდურად დაუწყიათ ტერიტორიის ჩხრეკვა, იმ იმედით, რომ შორს არ წავიდოდნენ. ფრთხილად და ყურადღებით მოძრაობდნენ, რომ ქარბუქში შემთხვევით არ გაეჭყლიტათ. ორი საათის ძებნის შემდეგ აღმოაჩინეს ნახევრადგაყინულები. ბედად ყველაფერი კარგად აეწყო, თორემ შეიძლებოდა მთავარ ჯგუფს თავდაპირველი მიმართულება სხვა აერჩია და აცდენილების ძებნა ქარის ჩადგომამდე ვერ მოხერხდებოდა. გოლიათი კოლია ნაზაროვი კი ამბობდა, დილამდე გავძლებდითო, მაგრამ ფედოტოვს დიდად ეპარებოდა, თურმე, ეჭვი.

წუხელ მთელი ღამე „ვიგუგუნეთ“ - ასე იტყვიან ხოლმე, დილამდე როცა გრძელდება ღრეობა. ალალია მათზე, დაისვენონ

და იმხიარულონ, თავისი საქმე კარგად შეასრულეს. მე კი, სანამ ისინი „გუგუნებენ“, ჩემ „ინტრვიუს“ დავამთავრებ...

- რა შეუსაბამობას ხედავთ?

- შეუსაბამობაა კეთილშობილებასა და მისი ქონების სურვილს შორის.

- ვინ უნდა მართავდეს სახელმწიფოს?

- ცხოვრებისეული წესია - ვინც ნიშნავს, ქვეყანასაც ის მართავს. ხალხი აირჩევს თუ დანიშნავს - არჩეულიც და დანიშნულიც მას უნდა ემსახუროს. რაც შეეხება სახელმწიფოებს შორის ქცევის წესებს, ისინი ოჯახებს შორის და არა პიროვნებებს შორის ქცევის წესების ანარეკლია და ამიტომ სახელმწიფოს მართვაში უფრო უპრიანია ოჯახიშვილის მონაწილეობა, ვიდრე ბოგანოსი

- რა სჭირდება მამაკაცს ყველაზე უფრო?

- თვითდაცინვის უნარი. ეს უნარი ბევრ ავ თვისებას ახშობს მამაკაცში. და კიდევ - შრომა.

- ვისთან გიადვილდებათ ურთიერთობა?

- ბავშვებთან და ცხოველებთან.

- ნადრობა თუ გიყვართ?

- არც მიყვარს და არც შემიძლია.

- რა გეჯავრებათ ყველაზე უფრო?

- უვიცობა და დაუნდობლობა.

- რა წარმოდგენისა ხართ თქვენ თავზე?

- ისეთისა არა, ჩემი სტუდენტობისას, უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრის გამგეს რომ ჰქონდა თავის თავზე. ერთ დღეს, ფიზკულტურის გაკვეთილის წინ, ჩვენი ჯგუფელები კოტე აბდუშელიშვილი და გიორგი თოდუა გვიყვებოდნენ - წუხელ სახინკლეში როგორ შემოესწროთ გალაქტიონი, როგორ მოილხინეს და გალაქტიონმა, სიგარეტის კოლოფზე დაწერილი, ახალი ლექსი როგორ წაიკითხა. ჩვენ აღელვებას საზღვარი არ ჰქონდა და იმაზე დაგწყდა გული, ჩვენ რომ არ ვიყავით იქ. ამის გამგონე

მასწავლებელმა გაკვეთილი თეორიული ნაწილით დაიწყო. დაგვსხა დარბაზში გრძელ, დაბალ სკამზე თავის გარშემო და ფისკულტურის უპირატესობაზე და ალკოგოლის მავნებლობაზე მცირე ლექცია წაგვიკითხა, ჭკუა დაგვარიგა - როგორი წესით უნდა გვეცხოვრა (ნეტავ აქ შეეწყვიტა თავისი ლექცია!) და ბოლოს მიაყოლა - მე და გალაქტიონი ერთად ვსწავლობდით, დღეს კი ხედავთ ჩვენს შორის რამოდენა განსხვავებაა - მე კათედრის გამგე ვარ, ის კი თქვენთან ლოთობსო...

- ახლგაზრდობაში რა გაგკვირვებიათ ყველაზე უფრო?

- ბევრი რამ, მაგრამ ერთი ადრეული ამბავი აქამდე დამამახსოვრდა. ერთი ჩემი უფროსი მკაცრი და სამართლიანი მეგონა. ერთხელ თავის უფროსთან საუბრისას შევესწარი - ჩია, უპრინციპო და უსამართლო გამოდგა!

- რა აღგაშფოთებდათ ხოლმე?

- არც თუ ცოტა - უვიცი მასწავლებელი, სკოლაშიც და უნივერსიტეტშიც.

- რა გიხაროდათ?

- ახლაც - ჩემი თანამემამულეების წარმატება საზღვარგარეთ, მით უფრო, თუ თანდაყოლილი კეთილშობილებაც ახლავს თან.

- რა განიჭებდათ სიამოვნებას?

- მთაში თხილამურები და ალალი სიცილი.

- რა გაკვირვებთ?

- გაკვირვებული ვარ ამდენი დაკვირვებული ადამიანის თვითდაჯერებით.

- რა გაწვალებთ?

- ვწვალობ, როცა ადამიანის პიროვნების ამოხსნას, ან მოვლენების ახსნას ვაგვიანებ ან სულაც ვერ ვახერხებ. როგორც ყველა ზრდადასრულებულ ადამიანს, ეს გრძნობა მოუსვენრობასთან ერთად, სულ თან მდევს.

- როგორ გგონიათ, ვინ არის რევოლუციონერი?

- მე ისე მგონია, როგორც იმათ სულაც არ ჰგონიათ! რევოლუციონერი სიტუაციის გამძაფრებული ყნოსვით დაჯილ-დოვებული ავანტიურისტია, რომელიც მის დამჯერ ხალხის სურვილებს კარგად უხამებს თავისას, ხოლო ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ კი პირიქით - პირველ პლანზე თავის სურვილებს აყენებს, მანამდე სანამ თვითკმაყოფილებამდე არ მივა. ამ კატეგორიის ხალხის გახელისუფლებიანობა იმის გარანტიაა, რომ არეულობა გაგრძელდება, მათი წასვლის შემდეგაც არ მოიშლიან მათი მიმდევრები სხვისი ჭკუის სწავლებას. (არ ვიცი, ჭკუის სწავლების ხელოვნება სუფთა რუსული მოვლენაა თუ რუსულრევოლუციური - ჩვენში ადრე დამყნობილი და დღეს აყვავებული). ისე კი, ქვეყანას რაც უფრო ცოტა რევოლუციონერი და მეტი პროფესიონალი პოლიტიკოსი ჰყავს, მით უფრო ცივილიზებულია.

- რა ეშველება ამდენ გაჭირვებულ ადამიანს?

- როცა კაცობრიობა ისწავლის მკურნალობას, სისუფთავის დაცვას, სითბოს შენახვას, ენერგიის დაზოგვას - პროდუქციაზე შრომითი დანახარჯები მკვეთრად შემცირდება და შველაც მაშინ მოვა.

- მხატვრობას როგორ უყურებთ?

- ერთ დროს ოსტატობის კრიტერიუმით ვუყურებდი, ახლა ორიგინალობის კრიტერიუმით - უვიცობაში რომ არ ჩამომერთვას.

- რამეს თუ შეუძრწუნებიხართ ოდესმე?

- ყოველთვის მეგონა, რომ გაჭირვების ჟამს კონცენტრი-რებული და აქტიური ვხდებოდი, მაგრამ ზემო სვანეთში ზვავს-მოყოლილი ნახევარი სოფლის გასვენების ცერემონიალისას ისე დავითრგუნე, შევძრწუნდი და მიწასთან გავსწორდი, რომ ამ ცხოვრების ამაოებაზე ფიქრმა კინაღამ გამომიყვანა წონასწორო-ბიდან.

- სამეცნიერო ხარისხი თუ გაქვთ?

- კარგ მეცნიერს ვერც ბუნება, ვერც ღმერთი ვერ გამოიყვანდა ჩემგან. ცუდი მე არ მინდოდა გამოვსულიყავი, თორემ რაც მე მათი ტანჯვისათვის მიყურებია, ხელი შემიწყვია და თვალი დამიხუჭავს, გარწმუნებთ, რომ იმაზე უსარგებლო და არასერიოზული საქმე, რაც ცუდი მეცნიერის ოფიციალური სახელის მოპოვებას ეწირებოდა, არაფერი იყო იმ დროში და იმ სისტემაში.

- რას ერიდებით?

- რაიმეს თხოვნას და თავხედთან ურთიერთობას.

- თეატრი თუ გაინტერესებთ?

- სტურუას თეატრის შემდეგ სხვა სპექტაკლების ნახვა უინტერესო გამიხდა, მაგრამ მაინც დავდივარ ყასიდად - ცოცხალს უნდა მოვლა, თორემ რომ მოკვდება უჩვენოდაც კარგად მოუვლიან.

- ცხოვრებაზე რას იტყვით, რომელი ასაკია საინტერესო?

- ასე მგონია, თუ ჯანმრთელი ხარ და წუწუნიც არ გჩვევია წარსულზე, ცხოვრების დროის ყველა მონაკვეთი საინტერესოა. ახალგაზრდობაში ყველაფრის მოსწრებას ვლამობდი. მაღიზიანებდა ხალხი, ვინც დროს აცდენდა და იმას არ აკეთებდა, რისი გაკეთებაც შეეძლო, ან ქვეყნის ხარჯზე თავის საქმეს ჩარხავდა. ასე მეგონა სოფლის შენებას ვაგვიანებდით. დღეს დაფიქრებაზე მეტი დრო მეხარჯება. ანალიზითაც ვირთობ თავს. და მაინც ეს ქვეყანა ის არ არის, რაც გვგონია - გაცილებით რთულია. ყველაზე საინტერესო კი ქართული სიტყვების ძირში ჩახედვა, მისი უცხო სიტყვებთან შედარება და ბავშვების გაზრდა მგონია.

- რა გსიამოვნებთ?

- ის მსიამოვნებს, რომ სხვას ვასიამოვნო.

- რა მომავალი აქვს ჩვენს დიდ სახელმწიფოს?

- ჯერ სსრკ დაიშლება, მერე, მოგვიანებით რსფსრ.

- ეხლა რა არის მთავარი?

- სირაქლემასავით თავი არ გვქონდეს ჩარგული მიწაში.

- სეპარატიზმი თუ იცით რა არის?

- ვიცი, როგორ არა! ეს ის სენია, კაცობრიობას სახელმწიფოს შექმნის თანავე, თან რომ სდევს და მაშინ დამთავრდება, როცა ერთიანი და დიდი სახელმწიფოების არსებობა აუცილებელი აღარ იქნება. ხომ ყველამ იცის, როგორი ყოვლისმომცველია ეს სურვილი თავისუფლებისა უმეტეს სახელმწიფოებში (მათ შორის ცივილიზებუშიც) მაცხოვრებელი პატარა ერის, ეროვნების ან, თუნდაც, რელიგიური ნიშნით დაჯგუფებული ადამიანებისთვის.

- ესეიგი სენი არ ყოფილა?

- ჩემთვის სენია, იმისთვის არა. იმას ჰგონია, რომ სენი მე მჭირს - სხვაგვარი.

- ვინ უშველის და როდის - ამ პრობლემას?

- დრო, დადგება ის დროც , როცა არავინ არავინ არ უნდა მართოს. მაგრამ როცა ადამიანები - განსაკუთრებით მართველი ადამიანები ორივე მხრიდან - სინამდვილეს აბუქებენ, ტყვიასავით ამძიმებენ და გადაწყვეტას არ უპირებენ, მაშინ ხდება სეპა-რატიზმი აგრესიული. როცა შენ ჩემ ხალხს ჩემ მიწაზე არ აყენებ, ან მე შენ ხალხს შენ მიწაზე არ ვაყენებ, გონივრული გადაწყვე-ტილების მიღების შესაძლებლობა ჩიხშია მომწყვდეული - თუ ძალამ არ გადაწყვიტა თავის ნებაზე.

როცა საკითხს ახლებურად, ახალი კუთხით დაინახავს ახალი თაობა და საერთოსაც სამართლიანად გაიყოფენ გასაყოფს ურთიერთ შორის , აი, სეპარატიზმიც მაშინ ჩაყვინთავს ჩვენში - საბოლოოდ. მერე სხვა ქვეყანაში ამოყოფს თავს სხვა დროს და იქ იქნება ეს პრობლემა მოსაგვარებელი. ასე რომ, ნუ გვგონია კაცობრიობის პრობლემების საერთო ჯამს, ამ პრობლემის გადაწყვეტით, რაიმე მოაკლდება - როგორც კი ეს მოაკლდება, ახალი, ჯერაც ჩვენთვის უცნობი პრობლემა შეემატება ახალ თაობას. უპრობლემობა - უინტერესოა, ოღონდ მსგავს პრობლე-მებს ფრთები უნდა ჰქონდეს შეკვეცილი და შეჭრილი.

- რა არის ლოთობა?

- ლოთობა საშუალებაა სწრაფვისა სრულყოფილობისაკენ - ამ დროს ხომ ადამიანი თავის ნაკლოვანებებისაგან წამიერად თავისუფლად გრძნობს თავს და ასეთი უნდა რომ იყოს.

- რა არის დემოკრატია?

- დემოკრატია - სხვისთვის ანგარიშის გაწევაა.

- ჩვენ პოლიტიკურ ელიტაზე რას იტყით?

- დემოკრიტემ თვალები დაითხარა, მხედველობას აზროვნებაში რომ არ შეეშალა ხელი. აი, თურმე რატომ გვყავს დიდთვალება პოლიტიკური ელიტა!

- იცის რამე თქვენმა მომდევნო თაობამ?

- ჩემი მომდევნო თაობა ერთი - ორი თავით წინ არის ჩვენზე და ამიტომ ჩვენზე მეტი იცის, თუ არა და ეცოდინება.

- მაშ რატომ ვსაყვედურობთ ახალგაზრდობას - ასეთები რომ არიან და არა ისეთები -ჩვენ რომ ვიყავით?

- სოკრატესი არ იყოს - თავის დროზე რომ საყვედურობდა თავის მოწაფე პლატონს თაობის უცოდინარობაზე და მიუხე-დავად თავისი ღრმა განსწავლულობისა მწარედ ცდებოდა, იმიტომ, რომ თავის თავს უფრო კარგად ცნოდა, ვიდრე მომდევნო თაობის თავის თავს! ცუდად რომ იცი და საყვედურობ განა კარგია? არ არის კარგი და არც სწორი!

- რა მომავალი აქვს საბჭოურ სოციალიზმს?

- მოსკოვის აგვისტოს გადატრიალების ჩაშლის შემდეგ ყველგან ყველაფერი მალე უნდა მორჩეს. რუსეთში კი ყველაფერი წინ არის. ძველი სტრუქტურების დაშლა იქ ისე ადვილად არ მოხდება - წესით რამოდენიმე ათეულ წელიწადში ახალ სოცი-ალისტურ რევოლუციას უნდა ველოდოთ - ერის მიდრეკილე-ბიდან გამომდინარე.

- პარტიულ თანამდებობაზე თუ ყოფილხართ?

- მე რომ ვაკვირდები, ჩემი საქმე ხშირად შებრუნებულად მიდის ხოლმე. ყველა კარიერისტი რომ პარტიულ თანამდებობას ეპოტინებოდა, მე ამ საქმეს შინაგანადაც და გარეგანადაც განზე ვედექი. როცა კომპარტიის დატოვება დაიწყეს, მე მაშინ გავხდი პარტკომი ჯგუფისა საბჭოთა მეცნიერებს რომ აერთიანებდა კუბაში (ასე მოუვა ყველას, ვინც ცოლს არ დაუჯერებს!).

- წარმატებები თუ გქონდათ ამ სარბიელზე?

- ჩემი ჯგუფის წევრები ისე აგრესიულად იქცეოდნენ, რომ სიმცირის მომიზეზებით სასწრაფოდ დაგვშალეს.

- რანაირი დროის დადგომას ელოდებით?

- ჩეჩენ-ინგუშებისა და ოსების ტერიტორიული კონფლიქტის გამწვავების კვალობაზე ვგონებ დადგეს დრო, როცა ჩვენც, ოსებსაც და ინგუშებსაც მოგვაწყობს ინგუშების ჩამოსახლება შიდა ქართლის ოსების ნასახლარებში და ოსების ჩასახლება ინგუშების ნასახლარებში. სამივე მხარეს შორის ტერიტორიული პრეტენ-ზიების მოხსნით. ნათესავმოყვარული ინგუში უნდა ამოვიყენოთ გვერდში - ეს უფრო უსაფრთხო და უმტკივნეულო გზაა ჩვენთვის - ჭკუათხელებისათვის, თუმცა უკვე ჭკუანასწავლებისათვის.

- ქალებზე რას ფიქრობთ?

- გარდა იმისა, რომ ისინი ძალიან მიყვარს, იმის დიდი წუხილიც მაქვს, რომ ისინი კანონის წინაშე მამაკაცებთან უფლე-ბებით კი არა, არამედ პასუხისმგებლობით გათანაბრებულნი არიან. დღეს ცივილიზებულ სამყაროში ქალისადმი მოპყრობა იმდენად უდიერია (ამას ქართველი კაცი სულ ადვილად ამჩნევს), რომ მდგომარეობას ქალების მიმართ მოწიწებადაკარგულ, მაგრამ კანონმოყვარული მამაკაცების მიერ ძველების გადახედვა და ახალი კანონების მიღება თუ იხსნის. ქალებისათვის კანონები ერთი, ზოგ შემთხვევაში კი ორი საფეხურითაც დამზოგავი უნდა იყოს. აბა, ვის გაუგია, ვთქვათ, ქალების ციხეში ჩამწყვდევა ან ქალის ზედამხედველობა, უმძიმესი ფიზიკური შრომა ან

სიდუხჭირით გამოწვეული სიძვა. ჩვენი ბავშვების უგვანო სწავლებაც ამის ბრალია. დღეს ყველაფერი კეთდება ოჯახმოზეზრებული ქალებისათვის ოჯახმოწყურებულის ხარჯზე.

- რა გვჭირდება ყველაზე უფრო?

- შრომისმოყვარეობის აღდგენა მატერიალური დაინტერესების საფუძველზე. დიდ პოლიტიკურ და სამეურნეო მოხელეებზე იტყვიან ხოლმე - დღე და ღამეს ასწორებს მუშაობითო. ამდენს იმიტომ მუშაობს, რომ დაინტერესებულია (რითია დაინტერესებული ეს სხვა საქმეა), თავის სტიქიაშია, კი არ მუშაობს, არამედ ახდენს მისი ცხოვრების არსის რეალიზაციას. დემოკრატიულ და თავისუფალ საქართველოში ყველას, დიდ - პატარას, ერის და ბერის მისწრაფება აქეთკენ უნდა იყოს მიმართული, როგორც ეს ყველა ნორმალურ ქვეყანაშია.

- რა არის ქართველი ერის მისია?

- სიკეთის კეთებამ უნდა მოიცვას სრულად საქართველო და უნდა ვაზიაროთ მას საზღვარგარეთი, ამასზე უკეთესი საქონელი არაფერი მოგვეპოვება, იგი ეკოლოგიურად სუფთა და თანაც ულეველია, რადგან ფართო და უკიდეგანოა ქართველი კაცის ბუნება.

- რამ გათქმევინათ ეს ყველაფერი? თქვენ გგონიათ საინტერესოა?

- განშორებამ და ბევრმა ფიქრმა იცის ეს. არაფერი ისეთი არ მითქვამს, რასაც ყველა ჩემი ახლობელი არ ფიქრობდეს (იმიტომაცაა ახლობელი). თუ სხვამ არა, იმან ეგებ მაინც თქვას - ამ კაცმა ზუსტად ჩემი სათქმელი თქვაო!

- თუ გაქვთ რაიმე ჩანაწერები?

- თბილისში არასდროს არაფერი მიწერია, ამისი არც დროს მქონდა და არც სურვილი. ანტარქტიდაში ორი, მოზრდილი რვეული დღიურები ვწერე. ისიც იმიტომ, რომ არაჩვეულებრივ და უცხო ფერებს ვხედავდი. კუბაში კი მოჭარბებული თავისუფალი

დროის გამო და იმის გამოც, რომ არავინ არც ერთხელ არ გამაბრაზა, თავად გავბრაზდი, ავდექი და ამ კითხვებს ვუპასუხე, თანაც ბლოკნოტში ცარიელი ადგილი მრჩებოდა და დამენანა.

- მოსაზრებები თუ გაგაჩნიათ რაიმე და ფურცელზე თუ გადაგიტანიათ?

- დიახ! მაგრამ, თქვენი ნებართვით, ჰიდრომეტეოროლოგის დღეს, 23 მარტს გავბედავ მის საჯაროდ გამოთქმას.

- რისი გეშინიათ?

- მეშინია ამ წიგნის გამო ამბიციურობა არ დამბრალდეს, თუ დამბრალდება, ახია ჩემზე - ხომ ვეუბნებოდი ჩემ თავს, შეინახე ეგ ხელნაწერები და თავი დაანებე მის გამოქვეყნებას, მაგრამ რა მერე...

- ასე და ამრიგად...?

- ასე და ამრიგად... ისა ვარ, რაცა ვარ და ჩემი ორიენტირებია - დრო, სინათლე, წონასწორობა, სიყვარული, ინტელექტი, ნელი სისწრაფე, პატიების ზღვარს მიახლოებული სიძულვილი, მიწიერი სისუსტეები და ის, რომ... მეტი არაფერი ვიცი.

- მე რას შემეკითხებოდით?

- ვერც თქვენ მიპასუხებთ, თორემ შეგეკითხებოდით - რატომ დაიხოცა ამდენი ქალი 9 აპრილს?

1991 წლის ივნის-ოქტომბერი. ჰავანა, კუბა.

15 იანვარი

სახლში ჩემი ჩასვლის დღის შეტყობინებას არ ვჩქარობ. დეპეშებს არეულად ვაგზავნი. წელს სეზონური სამუშაოების დიდი პროგრამაა გათვალისწინებული სხვა, ადრე დაწყებულ სამუშაოებთან ერთად. ამასთან დაკავშირებით დედოფალ მოდის მიწაზე „კაპიტანმა მარკოვმა“ სპეციალისტთა დიდი ჯგუფი ჩაიყვანა. ამ უზარმაზარი ტერიტორიის შესწავლას, რომელიც უმთავრესად სანაპირო მთაგრეხილებს მოიცავს, შეუდგნენ ამ

საქმუნობას: გეოგრაფები, გეოლოგები, მეტეოროლოგ-აქტინომეტრისტები, ბიოლოგები. გლაციოლოგები, ჰიდროქიმიკოსები, ჰიდროგრაფები, ჰიდროგეოლოგები. ოკეანოლოგები, გეოდეზისტები, ასტრონომები, გრავიმეტრისტები, აეროფოტოგადამღებები და მეტეორის კვალზე დამკვირვებლები. 21-ე ექსპედიცია ყველაზე ხალხმრავალია ყველა ექსპედიციებს შორის.

„მარკოვი“ ჩვენთან ჩამოსვლის შემდეგ „დრუჟნაიაზე“ წავა (ასე ჰქვია ახალ, დროებით ბაზას), ნაწილს თვითონ წაიყვანს და ნაწილს „კალინინზე“ გადასვამს, როცა ეს უკანასკნელი იმ არემარეს ჩაუვლის.

ახალი ფილმები მოიტანეს და სიამოვნებით ვუყურებთ. ჩვენი ძველი, მობეზრებფილმების შემდეგ უინტერესოც საინტერესოდ გვეჩვენება, მათ შორის ზოგი ხომ მართლაც ხარისხიანია.

23 იანვარი

სრულიად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ექსპედიციაში ბევრს აშინებს არა მძიმე შრომა მკაცრ და სახიფათო პირობებში, რომელიც ბევრჯერ მთელი ფიზიკური ძალების დატვირთვას მოითხოვს, არამეტ უსაქმობის პერიოდში სახლზე სევდა. თუ ადამიანს შეუძლია თავისი თავის ხელში აყვანა და პოულობს მოწყენილობისა და სევდისაგან გასამიჯნავ საქმიანობას, მაშინ მას აქვს შანსი გახდეს ნამდვილი პოლარელი.

...“აქ საჭირო არ არის მხოლოდ მთელი ენერგიის მობილიზება, არამეტ ყოველდღიური ერთფეროვანი სამუშაოს შესრულებისა და მოთმინების უნარი“ - ეს სიტყვები მეორე ექსპედიციის უფროსს ა. ტრეშნიკოვს ეკუთვნის და მოყვანილია მისი წიგნიდან „ანტარქტიდის გარშემო“. პრინციპში, ეს - სამართლიანი სიტყვებია, მაგრამ წიგნი იმ საერთო შთაბეჭდილებით დავხურე, რომ არსებული ბევრი სიძნელეების (გაუბუქავად - არც ისე ბევრის) გადალახვისკენ თითქოს უხალისოდ, მოუნდომებლად მოგი-

წოდებს. ამაში მით უფრო რწმუნდები, როცა ხედავ, რომ აქ პროგრამად მიღებული შეხედულებები მოზამთრეობაზე, ცხოვრებაზე, ქცევაზე, ურთიერთობაზე, თითქოს მისი წიგნიდან არის გადმოღებული, თანაც შემდეგ ექსპედიციებში - შეუსწორებლად გაგრძელებული. ეს გასაკვირი არც არის - როგორც ინსტიტუტის დირექტორი, პრაქტიკულად ის ხელმძღვანელობს ექსპედიციების საქმიანობას. მაგრამ საერთო დადებითთან ერთად ბევრი რამ გამოსასწორებელი, წლების განმავლობაში გაქვავებულია და ისეა გამჯდარი და დამკვიდრებული, რომ მასზე ზრუნვა თავში არავის მოსდის აზრად, ყოველ შემთხვევაში იმათგან, ვინც ვალდებულია. არადა ახლებურად, სხვა კუთხით რომ შეხედო კაცმა საქმეს, ამ სიძნელეებიდან ზოგი, შეიძლება სულაც არც წარმოიქმნას.

17-დან ისეთი ქარი ქრის, თითქოს ზამთარიაო. დღეს კი შეჩერდა - მოგვინდა ჰაერზე ყოფნა და ღამე, თბილად ჩაცმულები, აივანზე გავედით. ცა აქაც ვარსკვლავებითაა მოჭედილი, სიამოვნებას განიჭებს მისი ყურება. თუ არ დაიზარებ, აუცილებლად იპოვნი სამხრეთ ჯვარს - სამ კაშკაშა და ერთ მკრთალ ვარსკვლავს - გამოირჩევა სხვებისაგან.

14-დან დღემდე, ათი დღე „პოლექსის“ პროგრამით ვმუშაობდით, დღეში ორის მაგივრად 4-5 რადიოზონდს ვუშვებდით. სიზარმაცეს მიჩვეულებს ცოტა გაგვიჭირდა მუშაობა, მითუმეტეს დიდ ქარში, თანაც როცა ზონდი ზონდს გაუთავებლად მისდევს. სამაგიეროდ ლოკაციის ახალი ინჟინერი ჩამოვიდა, ვლადემერ ლიხოლეტოვი, ადრე „ვიზეზე“ და „ზუბოვზე“ მუშაობდა. სადგურის ახალ უფროსს ძლივს გამოვტაცეთ ხელიდან, არ გვაძლევდა, ყველა ახალმა გადმოტვირთვაზე უნდა იმუშავოსო. რამდენიმე დღეში „მარკოვით“ ვალერი ვლასოვი ჩამოვა, აეროლოგების ჯგუფის უფროსად რომ მუშაობდა „ვიზეზე“ შარშან და ერთად რომ ვიმგზავრეთ.

სამი დღე გადმოტვირთვა შეჩერებული იყო ცუდი ამინდის გამო. „ფედოსეევზე“ სამი ციგა ტვირთი დარჩა გადმოსატვირთი, ტრაქტორების ერთი მისვლაღა იყო საჭირო, მაგრამ ვერ მოხერხდა, საშიში იყო. გემზე წყალი აღარ არის, ეჩქარება ძალიან, წასვლით კი ვერ მიდის.

გუშინ შუადღის შემდეგ ყველგანმავლები წავიდნენ პირღია ნაპრალების გადასახურად. ტრანსპორტმა და სითბომ გააფართოვა და თუ არ გაიდო მორები და ფიცრები, ტრაქტორი შეიძლება გადაიჩეხოს. ნაპრალები მყინვარზე, კონტინენტურ ყინულზე თუ ზღვაზე ყოველთვის სახიფათოა და საშიში. გამოუცდელმა თვალმა შეიძლება სულაც ვერ შეამჩნიოს, ან ზომა ვერ განსაზღვროს, იმიტომ რომ თოვლითაა დაფარული და შეუმჩნეველი. აქ დაღუპულთა დიდი ნაწილი ნაპრალებშია ჩაჩეხილი.

ნაპრალების პრობლემა ჩემთვის კარგად არის ცნობილი, იგი მაღალმთიანი ექსპედიციებისათვისაც ერთ-ერთ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

მახსოვს ძია მიტო ობოლაძემ - ქართული ალპინიზმის პატრიარქმა.ახალბედა ალპინისტები ჩამოიყვანა ყაზბეგში და მწვერვალზე მეც გავყევი. ჩემი მეწყვილე ინსტრუქტორი და მე წინ, შორს გავედით და ათ-ათ ნაბიჯში ვცვლიდით ერთმანეთს. ისე გამოვიდა, რომ ბოლო ინტერვალი მე მერგო და მწვერვალზე მე მიწევდა ასვლა. რადგან მე უკვე მესამედ ავდიოდი, ხოლო ჩემი მეწყვილე კი პირველად, ბოლო ნაბიჯები აღარ დავამთავრე და წინ წასვლა შევთავაზე - საშინლად გაუხარდა და თან გაუკვირდა კიდეც, რადგან მწვერვალზე ასვლის სამართლიანად წილად-რგებული პირველობას, როგორც წესი, არავინ თმობს. ამის მიზეზი რომ გაიგოს ადამიანმა, თავად უნადა განიცადოს გრძნობათა ის ზვირთი, გულს და სულს რომ შემოეჭდობა ხოლმე მწვერვალზე პირველად ფეხის შედგომისას.

უნაგირაზე ხალხის ჩამოყვანამ დიდი დრო წაიღო, მეტეო-სადგურზე ჩასვლა გვიანდებოდა. თანაც, რამდენიმე გოგონათაგან ერთ-ერთს ეტყობა ბრმანაწლავის შეტევა დაეწყო - წაწვა თოვლზე და ვერ ინძრეოდა. საგონებელში ჩავარდა ძია მიტო, ამდენი ახალბედებით დაგვიანება საბედისწერო შეიძლება გამხდარიყო. გადავწყვიტეთ ავადმყოფის ზურგით ზიდვა. პირველმა ჯერმა მე მომიწია. შემასვეს ზურგზე, მაგრამ ისეთი კივილი ატეხა, გული კინაღამ გამისკდა. ბევრი ფიქრის შემდეგ, ბოლოს ასე გადავ-წყვიტეთ - დავრჩებით რვა ბიჭი, თოკებგამბმულ კარავზე დავა-სვენებთ და გერგეთის მყინვარის ყინულზე დავასრილებთ ნელ-ნელა. ეს გზა ორჯერ უფრო გრძელია, მაგრამ მასზე ქვა და ლოდები არ გვხვდება, თუმცა დიდია ნაპრალების საშიშროება. მთავარი ჯგუფი სასწრაფოდ დაეშვა ქვევით, ჩვენც ჩავიბით თოკები და ჩავუყევით მყინვარს. ნაპრალები რომ მომრავლდა, გრძელი ჯოხი მოვიმარჯვე და ყველა საეჭვო ადგილს იმით ვსინჯავდი. ამის გამო ისედაც ნელი მოძრაობა სულ შებრკოლდა და მალე საღამოც წამოგვეწია. მე ნაპრალის „გემოს“ ადრე უკვე ნაზიარევი ვიყავი და საეჭვო ადგილების შემოწმება კიდევ უფრო მეტი ყურადღებით დავიწყე. ერთ - ერთ ინსტრუქტორს, ეტყობა, მოთმინებამ უღალატა და ზედმეტი სიფრთხილე დამიწუნა. ჯოხი გადავეცი და წინ გაძღოლა შევთავაზე. ერთ ადგილს - რათ უნდა ამას ამდენი სინჯვაო - და გადაახტა. გადაახტა და ორივე ფეხით ჩაიძირა. ბედად თოვლი შედარებით მაგარი აღმოჩნდა და ხელებგაშლილი ნაპირს ჩამოეკიდა. განძრევა ავუკრძალეთ და სასწრაფოდ გვერდებზე ვიწრო ადგილის ძებნა დავიწყეთ, თოკჩაბმული ორი კაცი მეორე მხარეს გადავედით და ფრთხილად მიუახლოვდით. თვალების გარდა არაფერს ამოძრავებდა. იმითი კი გვეუბნებოდა - სისულელე მომივიდა, ვიჩქარე, მაგრამ ახლა მაგისი დრო არ არის, სასწრაფოდ ამომიყვანეთო.

წინ კიდევ დიდი გზა გვქონდა დარჩენილი, მაგრამ არც წინ წასულა და არც რამე უთქვავს.

სადგურს რომ მივუახლოვდით, საკმაოდ გვიანი იყო. ჩვენი ავადმყოფი უცბად კარგად შეიქმნა და განაცხადა მე თვითონ ვივლიო, საოცარია - ეტყობა სიმაღლის დაკარგვამ იმოქმედა ასე.

აქ, კი წინ წასულებმა, ნაპრალები ასე თუ ისე ამოავსეს და საღამოს სამი ტრაქტორი წავიდა გემისაკენ. მე და ახალი ექიმი ვოვკი ჭადრაკს ვთამაშობდით გვიანობამდე, თანაც იგი ყოველ ნახევარ საათში გვერდზე რადისტების ოთახში გარბოდა გემთან დასაკავშირებლად (ეს საქმე ჰქონდა დავალებული). სინოპტიკოსი სოკოლოვიც პროგნოზს ადგენდა და ჩვენთან ლაპარკით ირთობდა თავს. ვოვკს შეატყობინეს, რომ დატვირთული ტრაქტორები სადგურისაკენ გამოვიდნენო. ზღვაზე ნისლი იყო გაწოლილი, მაგრამ ორ-სამ საათში მაინც უნდა გამოჩენილიყვნენ. 5 საათი გავიდა და ისინი კი არ ჩანან! შეწუხდა ვოვკი, შევწუხდით ჩვენც. არც ისეთი უხიფათო სიტუაცია იყო, რომ არ შევწუხებულიყავით და გადავწყვიტეთ განგაში აგვეტეხა. გავაღვიძეთ ობსერვატორიის ახალი დირექტორი, ეხლა ის არის ყველაფერზე პასუხისმგებელი, ლებედევი კი მისი შემცვლელია. სახელდახელოდ ითათბირეს, გადაწყვიტეს სასწრაფოდ ყველგანმავალით გასვლა. გაემზადნენ წასასვლელად და... ისინიც გამოჩნდნენ! ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ, თითქოს მძიმე ტვირთი ჩამოგვხსნესო ზურგიდან.

თურმე ერთ ტრაქტორს ნაპრალში მხარი ჩავარდნოდა. მეორეს და მესამეს მოუვლია, ჩაუბავთ და ბევრი ცდის შემდეგ, ამოუყვანიათ. ამას ისიც დაერთო, რომ ერთ ტრაქტორისტს, მარტო რომ იჯდა ტრაქტორზე, გადაუწყვეტია მოძრაობაში მუხლუ-ხოების შემოწმება. გამოსულა, ფეხი დასხლტომია და მუხლუხო-ებზე გაგორებულა. ჩაუთრევია ტანსაცმელი და უეჭველად გაჭყლეტა ელოდა მუხლუხოებში. არა და ტრაქტორის გამჩე-რებელიც არავინ იყო. ჯანიანი ბიჭია და რაც ძალი და ღონე

ჰქონდა, უქაჩია ტანი და ტანსაცმელი. ბოლოს, იმ წუთს, საცაა რომ უნდა ჩაითრიოს ქვეშ, უკანასკნელი ძალა მოუკრებია, მოუქაჩავს და შეუხევია კიდეც ტანსაცმელი. მერე, სანამ გონებას მოიკრებდა, კარგა ხანს იწვა, თურმე, თოვლზე, ტრაქტორი კი მიდიოდა და მიდიოდა თავისით. სული რომ მოითქვა, გამოუდგა ტრაქტორს, დაეწია, ააღოღდა და მაინც მოიყვანა სადგურზე. ძალიან ახლოს ვიყავი სიკვდილთანო - თქვა.

27 იანვარი

24-ში „კაპიტანი მარკოვი“ მოვიდა, აეროლოგები ვლასოვი და კიდევ ახალი, პანკრატიევი, ჩამოვდინენ. ახლა ოთხი კაცის საქმეს შვიდნი შევასრულებთ და ნახევრად დაკავებულები ვიქნებით.

31 იანვარი

ანტარქტიდაში ყოფნა და მთაში სიარული, მოქმედების ტაქტიკის მხრივ, ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ხალხიც სათანადო ფსიქიკისაა აქაც და იქაც. აქ თუ მთავარია მოთმინება, დინჯი განსჯა, ყველაფრის წინასწარ დაგეგმვა და აუცილებელი და იძულებითი უსაქმობის გათვალისწინებაც, მთაში სიჩქარე, სწრაფი აზროვნება და ენერგიული მოქმედება წყვეტს ზოგჯერ ყველაფერს. ასეთი პარალელების გატარებისაკენ ფუქსისა და ჰილარის წიგნმა მიბიძგა, რომელიც სულ ახლახან დავამთავრე. ამბავი ორივეს თანმიმდევრულად და დინჯად აქვთ გადმოცემული. ინგლის - ახალი ზელანდიას ერთობლივ ექსპე-დიციას ფილჰნერის მყინვარიდან (უედდელის ზღვა), პოლუსის გავლით, როსის მყინვარზე უნდა დაემთავრებინა ტრანსკონტი-ნენტური გადასვლა ტრაქტორებით. მთავარმა ჯგუფმა ვივიან ფუქსის ხელმძღვანელობით ეს საქმე დინჯად, ყველაფრის დაზღვევით, საფუძვლიანად გააკეთა, მაგრამ სიდინჯე დაგვი-ანებაში გადაიზარდა და კინაღამ მეორე წელი დარჩა ზამთრად.

ფუქსი ძველი, გამოცდილი პოლარელია და საქმესაც თავის გამოცდილებას უდებდა საფუძვლად. დამხმარე ჯგუფი, რომელ-საც ედმუნდ ჰილარი ხელმძღვანელობდა, საწინააღმდეგო მხრი-დან მოძრაობდა. მას მხოლოდ გზა უნდა გაეკვლია და არამც და არამც პოლუსზე არ უნდა მისულიყო. ახალზელანდიელმა ჰილარიმ ჯერ კიდევ - ჯომოლუნმაგზე (ევერესტზე) - ერთხელ უკვე უჩვენა თავისი შესაძლებლობები ინგლისელებს - იგი მწვერვალის დამლაშქრავი ჯგუფის სათადარიგო წყვილში იყო შერპ თენსიგ ნორგეისთან ერთად და როდესაც მთავარი, ინგლისელების ჯგუფი ვერ ავიდა მწვერვალზე, ჰილარიმ, ამ ენერგიის, მოძრაობისა და მოსაზრების განსახიერებამ, გადაარჩინა ინგლისელების პრესტიჟი, პირველად დაიპყრო რა მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი. იქ სისწრაფემ, ამტანობამ, საათებმა და წუთებმა გადაწყვიტა ყველაფერი.

აქაც თავისი საქმე ხუთიანზე შეასრულა - გახსნა სადგური როსის მყინვარზე, ჩაატარა ყველა საექსპედიციო - სამეცნიერო სამუშაო და, რაც მთავარია, საწვავის საწყობებით მოამარაგა ფუქსის მარშრუტი. დარჩენილი დრო, რომელიც მხოლოდ ჰილარის შეიძლებოდა რომ დარჩენოდა, ინგლისელების დაუ-კითხავად პოლუსზე მისვლას მოანდომა. გამოვიდა, რომ ამუნდსენისა და სკოტის შემდეგ პოლუსზე მიწის მარშრუტით პირველი ჰილარი მივიდა ტრაქტორებით - ფუქსზე ადრე. გაღიზიანდნენ ინგლისელები, აქაც დაასწრეს. ატეხეს ჭორი და აურზაური. რა არ დააბრალეს ჰილარის, რით არ ამართლებდნენ ფუქსს - საკვლევ სამუშაოებს ატარებდა და იმიტომ დააგვიანდაო - ფრიად საეჭვოა. წიგნში კარგად ჩანს, რომ საკვლევი სამუშაოები მოძრაობაში ხელს არ უშლიდა და არც თუ ისე ბევრ რამეს აკეთებდა მთავარ მარშრუტზე. საქმე სწრაფმოძრაობისა და დროის გამოყენების უნარში იყო და ამაში ჰილარი ორი თავით სჯობდა ფუქსს. ადამიანის მოქმედების მიზანი - წინსვლა, წინააღმდეგო-

ბებთან ბრძოლა, მიზანდასახულობაა - ამით ხელმძღვანელობდა ჰილარი.

დრო და სივრცე არ არის ერთნაირად მთავარი – მთავარი მაინც დროა, რადგან სივრცე **დროში თავსდება, ამიტომ სისწრაფე და დროის რაციონალურად გამოყენება ხშირად** გადამწყვეტია, მეტადრე – მთაში. მახსოვს, 1961 წელს, ყაზბეგის ჰიდრომეტეოსადგურზე ჩემი მუშაობის პერიოდში, ორი მოსკოველი ყმაწვილი ამოვიდა ჩვენთან – მოყვარული მთასვლელები. მე იმ დღეს ბარში უნდა ჩავსულიყავი და რომ გავიგე მწვერვალზე ასვლას აპირებენ, ვურჩიე – მალე ალპინისტური ჯგუფი უნდა ამოვიდეს და მათ გაყევით, უცნობ მთებში სიარული სახიფათოა - მეთქი.

ორი დღის შემდეგ, შუადღეს ჩემი რადისტი მატყობინებს – გუშინ დილას გასული ის ორი ალპინისტი არ დაბრუნებულაო. ავტეხე განგაში, შედგა მაშველი ჯგუფი, ცხრა კაცს სათავეში დიდებული მოხევე – კუნთმაგარი და გონებაგახსნილი ვახტანგ ქირიკაშვილი ჩაუდგა, ჯგუფს ჩემი მეგობარი დათო ალიბეგაშვილი და ვალიკო სუჯაშვილი შემოუერთდნენ, მთელი დღე მზადებაში გავატარეთ და მეორე დღეს შევუდექით გზას. ოცამდე კილომეტრი გავიარეთ და გამთენიისას ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურზე, 3650 მეტრის სიმაღლეზე ვიყავით. სადგურის თანამშრომლები გვიყვებიან – გუშინ დილას ჭოგრიტით ვაკვირდებოდით, მწვერვალის დასავლეთ უნაგირას თავზე, დაახლოებით 4500 მეტრის სიმაღლეზე, ორი სილუეტი როგორ ეშვებოდა მორიგეობით ამ ციცაბო, მეტად დამრეც, თითქმის დაკიდებულ, გაყინული თოვლის ღარში: ჩამოსრიალდებოდა ერთი, დაამაგრებდა წერაყინს და ახლა მეორე ჩამოეშვებოდა, უფრო სწორად კი ჩამოუქროლებდა პირველს, სანამ დაჭიმული თოკი არ შეაჩერებდა და ასე, მორიგეობით, დაახლოებით 2 კილომეტრი რომ გაუვლიათ და შუა ღარამდე ჩამოუღწევიათ, რაღაცა მიზეზით

გაჩერებულან. მერე ამინდი გაფუჭდა, მხედველობა დაიკარგა და ჩვენც ამის შესახებ თქვენთვის შეტყობინება გადავწყვიტეთო.

ჩვენთვის, ყველასათვის ცნობილი იყო, რომ ამ გაყინული, თოვლიანი ღარით არავინ არც ადის და არც ჩამოდის. მათ, როგორც ჩანს, ძალიან გაუჭირდათ და ძალაგამოცლილებმა მოკლე გზით არჩიეს სადგურამდე ჩამოსვლა. გადავწყვიტეთ ცოტა დავისვენოთ, დავიძინოთ და შუადღეს ისეთი ვარაუდით გავიდეთ, რომ დაბნელებამდე ავაღწიოთ მათ სავარაუდო სამყოფელს. ასეც მოვიქეცით. ჯგუფს სადგურის სამი თანამშრომელი შემოუერთდა, ავიკიდეთ საკაცეები, მოვიმარაგეთ თოკები და გავუდექით გზას. ვახტანგი სწორი აღმოჩნდა – ღარში სიარული მეტად სახიფათოა, მეტადრე კარგ ამინდში და ისიც შუადღეს, როდესაც ყინულის ქერქი მზისგან სუსტდება და ყოველ ნაბიჯზე წელამდე თოვლში ეფლობი. ჩვენც იძულებული ვიყავით ღარისპირა კლდეებს ავყოლოდით და საღამო ჟამს იმ ნაწილს მივაღწიეთ, სადაც, ჩვენი ვარაუდით, ხიფათს გადაყრილები უნდა ყოფილიყვნენ. მართლაც, მალე თოკი შევამჩნიეთ და ღარის განს გავუყევით. თოკის ბოლოს თოვლი გავთხარეთ და ერთ-ერთი აღმოვაჩინეთ. საცოდავი მკვდარი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ თბილი. სწრაფად ავუყევით თოკს და 10-12 მეტრში მეორე ამოვთხარეთ – ცოცხალი. ვეუბნებით – ახლა მთავარია ფეხსაცმელი და ტანსაცმელი სწრაფად გამოგიცვალოთ და შენც უნდა დაგვეხმაროო. იუარა – ამას კიდე გავუძლებ, ოღონდ მაჭამეთ რამეო. გავტეხე ფურნის პური და მუჭა-მუჭა ვაჭმევდი, თან „გრელკით" წამოღებულ თბილ ჩაის ვაყოლებინებდი. პურის მთელი გული რომ შესანსლა, ცოტა მოღონიერდა და გვითხრა – ფეხები მაქვს გაყინულიო. სწრაფად ვუცვლიდით სამოსს და თან გვიყვებოდა თავს რაც გადახდა. უნაგირაზე რომ ასულან, ამინდი მკვეთრად გაუარესებულა და ქვევით ჩამოღწევის იმედი არ დარჩენიათ. თოვლი ამოუთხრიათ და ისე გაუთენებიათ ღამე. დილით,

შედარებით გამხდარი - გვარად მანინი, უფრო ყოჩაღად გრძნობდა თავს, მოსული და ზორბა – ზახაროვი კი გაყინულიყო და მოძრაობაც უჭირდა. გადაწყვიტეს თოკებით ჩაშვება. ერთი რომ თოკის სიგრძეზე დაეშვებოდა, თოკს გაამაგრებდა და მეორეს დაუძახებდა – წამოდიო. ერთხელაც, მანინის თოკმა ზახააროვი რომ გააჩერა, მანინმა ამ უკანასკნელის ხმა ვერ გაიგონა და მიხვდა, რომ ცუდად იყო საქმე; იგი შიშმა შეიპყრო და მეგობრამდე ვერ გაბედა ჩასვლა. ეს რომ გაეკეთებინა, იქნებ ეშველა რამე. ძახილით კი უძახია ბევრი, მაგრამ პასუხი ვერ მიუღია. მერე თოვლში ჩაეფლო და ასე იყო გაყუჩებული დღე - ღამეზე მეტ ხანს.

ცოტა რომ მოსულიერდა წამოვსვით, ორი კაცი მომვლელად დავუტოვეთ და ქვევით ჩავაღწიეთ ისევ, ზახაროვისაკენ, მოვითათბირეთ და რადგან მისი ზურგზე ან საკაცით ჩამოყვანა შეუძლებელი იყო, გადავწყვიტეთ თოკებით ჩამოგვესრიალებინა ყინულის ამ, თითქმის ვერტიკალურ კედელზე. ცხედარს თავსა და ფეხებზე ორი ზურგჩანთა ჩამოვაცვით, ისინი ერთმანეთზე გადავაბით და დავიწყეთ თოკის ნელ - ნელა მიშვება იმ ვარაუდით, რომ ჩვენც მორენაზე გავიდოდით და ნელ-ნელა ჩავყვებოდით. ერთ ასეთ მომენტში თოკი ხელიდან გაგვისხლტა და ზახაროვის უსულო სხეული, როგორც ტყვია, ისე გაქანდა და მხოლოდ ღარის ბოლოში შეაჩერა ქვებმა. რაღას ვიზამდით – როგორ იტყვიან, თავს ზევით ძალა არ იყო. მთავარი ახლა ცოცხლად გადარჩენილის ჩამოყვანა იყო ქვევით. ჯერ მკლავებში ხელჩაკიდებული გავიყვანეთ, დიდი სიფრთხილით, კლდეებამდე, მერე ორმა კაცმა დაზარალებული თოკებით ჩავიბით და ისე დავუყევით ქვევით. ერთმანეთს ვენაცვლებოდით და, როგორც იქნა, ჩავაღწიეთ ღარის ბოლომდე. ამასობაში დაბნელდა კიდეც, მაგრამ შედარებით უკეთესს და ნაცნობ გზაზე სიარული აღარ გაგვჭირვებია და სადგურშიც მალე მივედით. მეორე დღეს,

გამთენიისას დაღუპულის ჩამოსაყვანად ავბრუნდით და დაღა-მებამდე ორივენი ყაზბეგში ჩავიყვანეთ.

იმ პერიოდში ყაზბეგში შესანიშნავი პიროვნება - ოთარ ღუდუშაური მუშაობდა ექიმად. გულდასმით გასინჯა, დაზიანება ვერაფერი აღმოუჩინა და ეკითხება – კიდევ ივლი მთაშიო? მერმის აუცილებლად ჩამოვალ მყინვარწვერის დასაპყრობადო - უპასუხა. არა მგონია ის კიდევ მობრუნებულიყო მთებისკენ, მაგრამ ასეც რომ მომხდარიყო, არაფერი არ არის გასაკვირი – მთებს ისეთი ანდამატური ძალა გააჩნია, რომ მათი ხიბლი, როგორც წესი, გაუხუნარ სიყვარულად გადაიქცევა ხოლმე.

ეს ამბავი იმის მაგალითად მოვიყვანე, რომ ექსტრემალურ სიტუაციებში, განსაკუთრებით მთაში, დროის ფაქტორს, ხშირად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ რომ ბარში მზადებაზე ნახევარი დღე მაინც არ დაგვეკარგა, სადგურზე რომ ამოვედით, ძალიან დაღლილები, არაქადგამოცლილები კი ვიყავით, მაგრამ ჩვენი თავისთვის რომ ძალა დაგვეტანებინა, მოგვეკრიბა ბოლო ფიზიკური შესაძლებლობანი და მაშინვე გაგვეგრძელებინა გზა - იქნებ გვეშველა კიდეც დაღუპულისათვის.

...საუზმის ან სადილის დასრულებისას, ყოველთვის შემორჩება ხოლმე მაგიდას, სამი-ოთხი კაცი, ნელა რომ ამთავრებს ჭამას. მორიგეს კი ყოველთვის ეჩქარება ალაგება, სთხოვს ხოლმე ნაბოლარებს ჭამის დროზე დამთავრებას, მაგრამ, როგორც წესი, მას ყურადღებას არავინ აქცევს. დღეს დრეერი იყო მორიგე. შეატყო რა, რომ სადილი ჭიანურდებოდა, სერიოზულად, ყველას გასაგონად გამოაცხადა - ბიჭებო! ძალიან გთხოვთ, სადილს რომ დაამთავრებთ, კარტოფილის ტომრები მოიტანეს ტრაქტორებით, შენობაშია შემოსაზიდი და მოგვეხმარეთო! - უნდა გენახათ, როგორ თითო-თითო გაიკრიფა ყველა. მერე ჰოლში გამოვიდა, მოგვიყვა ეს ამბავი და ბევრი გვაცინა.

2-ში შაბათობა გამოცხადდა - გემით ჩამოტანილი 25 ტონა ტყვიის რგოლები ეყარა ახალი სახლის წინ, თითოეული 25 კგ-ზე მეტი წონისა და უნდა დაგვებინავებინა. ბევრი ხალხი შეგროვდა, რიგში ჩავდექით, ბიჭების ნაწილი ხის შესაფუთ კარკასს შლიდა, დანარჩენები რგოლებს მხარეზე ვიგდებდით ან ხელს ვუყრიდით და აგვქონდა მეორე სართულზე, კოსმოსური სხივების ლაბორა-ტორიაში და ვაწყოდით განსაზღვრული წესის მიხედვით. ტყვიის ამ მოწყობილობამ კოსმოსიდან მოსული სუსტი სხივი უნდა გამოაცალკევოს, რომ მიმღებმა აპარატმა შესძლოს მისი დაფიქსირება. საქმე ხალისიანად მიდიოდა, დაღლილები ბევრს ვოხუნჯობდით და ვიცინოდით, მაგრამ ყველაზე სასაცილო მაინც ის იყო, როცა ურიგოდ შეძვრებოდა ვინმე და რიგში დგომასა და წესრიგს მიჩვეული რუსები ყვირილს ატეხავდნენ - არ გაუშვათ ურიგოდ, შეწყვიტეთ ტყვიის გაცემა, სანამ შეპარულებს არ გამოიყვანთ რიგიდანო. უმთავრესად კი რიგი წესიერად მიდიოდა. იკითხავდა მოსული - ბოლო ვინ არისო, სთხოვდა რომ დაემახსოვრებინა სახეზე, ისიც პასუხობდა რომ შორს არ წასულიყო, თორემ რიგს დაკარგავდა. უკეთესი პაროდია ძნელია რომ წარმოიდგინო! ბოლოს მადლობა გამოგვიცხადეს კარგი მუშაობისათვის და ვახშმის წინ თითო ჭიქა წყალგარეული სპირტით დაგვასაჩუქრეს.

საინტერესო, მაგრამ გაუთავებლად მოლაპარაკე გამოდგა ვანია პანკრატიევი - აქ ვიყავი, იქ ვიყავი, ჰონოლულუში რომ ვიყავი... ყვება ხოლმე. ჩვენც ავიღეთ და „ჰონოლულუ“ შევარქვით.

მარინსკის ისედაც მოშლილი ნერვები სულ მოეშალა, ვერ შეეჩვია ახალ სიტუაციას. გრძელი ლექცია წავუკითხე. გამოსავალი იმაში ნახა, რომ ორი დღის წინ განაცხადა - სამუშაო ცოტაა, უჩემოდაც კარგად გაუძღვებით საქმესო და მშენებლებთან წავიდა. იქ ეხმარება ხან ერთს და ხან მეორეს. სწორად მოიქცა,

სიტუაციას გამოიცვლის, გამოცოცხლდება. არავინ წინააღმდეგი არ წასულა, პირიქით - მოვუწონეთ საქციელი.

11 თებერვალი

„ვოსტოკიდან“ ძველი ცვლის ნაწილი ჩამოფრინდა - ივანოვი, ალეინიკოვი, პროზოროვი და სხვები, მათ შორის იგორ ნიკაშინი, რადიოლოკაციის ინჟინერი, ჩემი ძველი მეგობარი. იგორი ჩემ ოთახში მოვათავსე, დიდი ოთახია, სამი კაცი თავისუფლად დავეტევით. სამაგიეროდ დროის გაყვანის პროცესი (ახლა, გემების ჩამოსვლამდე - მთავარია დროის გაყვანა) უფრო ხალისიანად წავა.

საოცარი ზაფხულია წელს „მირნიში“. შარშან ამ დროს ახალი თოვლი სულ გამდნარი იყო და ყინული ჩანდა, დღე გამლღვალი თოვლის ტლაპოები იდგა, ზღვა ნაპირზე მიმაგრებული ყინულისაგან ყველგან თავისუფალი იყო. წელს მეტი ნაწილი უამინდობა და სიცივეებია. ზამთარში დადებული თოვლი ჯერ ნახევრადაც არ გამდნარა. ჩვენი პავილიონი ისევ თოვლშია ჩაფლული. ესტაკადის სიმაღლე შარშან 3-4 მეტრი იყო, ახლა კი 2 მეტრს არ აღემატება და ზოგან ისევ თოვლითაა დაფარული. ჩვენი სახლის წინ შარშან კლდეები გამოჩნდა და გზამ 2-3 მ-ით დაიწია. წელს ისევ ისეა, ზამთარში რომ იყო. ზღვაზე ყინულის სისქეს ჯერ არაფერი დაკლებია და ისე მაგარი, რომ ტრაქტორები თავისუფლად მოძრაობენ და მის ძვრას პირი არ უჩანს. 20 წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ დროისათვის „პრავდის“ ყურე არ განთავისუფლებულიყოს ყინულისაგან. წელს შეიძლება ეს უცნაურობაც მოხდეს, იმიტომ რომ თებერვალში თოვლის დნობა წყდება და ზამთარი იწყება. ამით ზამთარში შეიძლება საშიში მდგომარეობა შეიქმნეს - ესტაკადა, აეროლოგიური პავილიონი, პროდუქტების საწყობები, ძველი სახლები, დროებითი სადგომები ღრმა თოვლის ქვეშ აღმოჩნდეს.

ეს ყველაფერი ოცდამეერთე ექსპედიციის სადარდებელი საქმეა, ჩვენ კი, მეოცელებს, წასვლის მეტი არაფერი გვაინტერესებს.

18 თებერვალი

თებერვლის დასაწყისში ორი „ატტ“-თი წავიდა გეოფიზიკოსების ჯგუფი „ვოსტოკ-1“-სკენ. მარშრუტზე რადიოლოკაციის საშუალებით ყინულის სისქის გაზომვას ჩაატარებენ. 3 დღის შემდეგ კიდევ ერთი გამწე წავიდა მბურღავ - ამფეთქებლებით. ერთი თვის განმავლობაში ისინიც თავის პროგრამას შეასრულებენ, და „ვოსტოკ-1“-ზე შეუერთდებიან გეოფიზიკოსებს, იქ ორ ტრაქტორს დატოვებენ და ერთით დაბრუნდებიან. დატოვებულ ტრაქტორს 15 თებერვალს გასული ტრაქტორების მატარებელი წაიყვანს. ეს მატარებელი 11 „ატტ“-სა და 24 „ხარკოვჩანკისაგან“ შედგება. მძღოლებად ახალი ხალხია 21-ე ექსპედიციიდან. შეეცდებიან საწვავი და გენერალური ტვირთი „ვოსტოკამდე“ მიიტანონ, თუ არ მოხერხდა, მაშინ, როგორც შარშან, „კომსომოლსკაიამდე“ მივლენ.

15-ში გასულ მატარებელში, მეორე დღეს, ერთ-ერთ მძღოლს ბრმა ნაწლავის შეტევა მოუვიდა. რადგან სადგურს ჯერ შორს არ იყვნენ დაშორებული, აქედან გაგზავნილმა ყველგანმავალმა ავადმყოფი „მირნიში“ მოიყვანა და „ვოსტოკის“ ქირურგმა სერგეი მოროზოვმა, ახლა აქ რომ არის, ოპერაცია გაუკეთა. ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა.

16-ში ბოლოჯერ ვიყავი სასადილოში მორიგედ. ახლა ორნი ვმორიგეობთ, ერთი ძველი და ერთიც ახალი ცვლიდან - 149 კაცამდე მოგროვდა და ერთი, აბა, რას აუვა. ყელში კი ამოვიდა ყველაფერი, მაგრამ იმის ფიქრი, რომ ბოლო მორიგეობაა, ბევრს გაკეთებინებს. კერძოდ - ორი კასრი კარტოფილისა და ერთი საშუალო ზომის ქვაბი ხახვის გაფცქვნა, მაგიდების გაწყობა, ჭურჭლის გარეცხვა. სამჯერ დაგვა, იატაკის მოწმენდა, ნაგვის

გადაყრა, ყველაფერ ამას იმდენი ძალა მიაქვს, რომ სახლში სიქაგამოცლილი მიდიხარ. სანუგეშოდ ისღა გრჩება, რომ გრძნობ როგორ აიმაღლე კვალიფიკაცია პირველ მორიგეობასთან შედარებით! ეს კი გარკვეული პროფესიული „საიდუმლოებების“ ფლობასაც გულისხმობს. მაგალითად - სულ არ არის აუცილებელი გადაყვე მაგიდებისა და სკამების ხეხვა - პრიალს, გამამართლე-ბელი ფრაზა მომარჯვებული გვაქვს - „очень хорошо, тоже не хорошо“!

სახლში რომ ჩამოვალ, ჭუჭყში რომ ვიხრჩობოდე, ხელს არ გავანძრევ!

გუშინ „ვოსტოკიდან“ ბოლოსწინა თვითმფრინავი მოფრინ-და, ჩვენი მშენებლები და ზოგიერთი „ვოტსოკელი“ ჩამოიყვანა. გაგვეხარდა მათი ჩამოსვლა. ცოტა გამხდარან, მაგრამ ყოჩაღად გამოიყურებიან. თავში ცოტა გაუჭირდათ, მერე შეეჩვივნენ და საქმეც ბევრი გააკეთეს. თვითმფრინავს კოსტია პროცენკოც ჩამოჰყვა. სახლში რომ მოვედი, იქ დამხვდა. უნდოდა აქ სადმე მოწყობილიყო საცხოვრებლად, ჩვენთან ახლოს. ადგილების გასაჭირია და არავინ შეიკედლა. მე შევთავაზე ჩემი ოთახი - მეოთხე იქნები მეთქი. გაუხარდა, მაგრამ ჩემმა თანაოთახელებმა, მგონი, ცხვირი ჩამოუშვეს. აქ თავის ხარჯზე სხვისი დახმარება ეზარებათ. არა უშავს, შეეჩვევიან. ვუხსნი, რომ ასეა მიღებული, სხვანაირად არ შეიძლება და წარმოიდგინეთ მოქმედებს. მეთანხმებიან. ეტყობათ, რომ საერთოდ კი მოსწონთ, მაგრამ თავის ხარჯზე მაინც არ უნდათ.

ჩვენს ორივე სამუშაო ოთახში საღამოს აუარებელი ხალხი იკრიბება. ყველანი გამოვცოცხლდით. ხალხის სამი ჯგუფი შეიყარა: ჩვენ, ახლები და „ვოსტოკელები“, სალაპარაკოც ბევრი გვაქვს.

25 თებერვალი

19-ში „ვოსტოკზე“ ბოლო თვითმფრინავი წავიდა. იქ დარჩა ღამე, იმიტომ რომ ჩვენთან ამინდი გაფუჭდა და ვერ მიიღეს. სიცივეები დაიწყო, ღამე მინუს 50^0-ზე მეტი იყო და ძრავა რომ არ გაყინულიყო მთელი ღამე ამუშავეს. დილას კი მოტორში რაღაც ჩაიმსხვრა და გაჩერდა. 23-ში ამინდი გამოკეთდა. აქედან მეორე თვითმფრინავი წავიდა, დარჩენილი ხალხი და ეკიპაჟი ჩამოიყვანა, თვითმფრინავი კი იქ დატოვეს. ეს პირველი შემთხვევაა, რომ „ვოსტოკზე“ თვითმფრინავი დარჩა, ისიც მთელი ზამთრით. შემოდგომაზე ახალ ძრავას ჩაიტანენ და ყინვამ თუ სულ არ დაჭმუჭნა თვითმფრინავი - აამუშავებენ. ჩვენი სოკოლოვი სამი დღე საჭმელს არ ჭამდა, ძალზე დაღონებული იყო, თავის თავს აბრალებდა მომხდარს, რადგან იმ დღეს კარგი ამინდის პროგნოზი მისცა.

ძნელად თუ ვინმე მოიძებნება ჩვენ ოთახის ბინადართაზე უფრო მაგარი. თავს ყოველთვის ძილის სპეციალისტად ვთვლიდი, მაგრამ ამათ ფონზე მკრთალად გამოვიყურები ... ოთხივეს დღის პირველ საათამდე გვძინავს, გაუნძრევლად. საუზმეზე, რასაკვირველია არ დავდივართ. სადილის აუცილე-ბლობის წინაშე პატივისცემა რომ არა, კიდევ გავაგრძელებდით. ღამე, გვიანობამდე სიცილ -ხარხარის მიზეზი არ გამოგველევა. მერე ვინმე სერიოზული ტონით იტყვის - გვეყოფა ეხლა, დავიძინოთ და ხვალ ძალიან ადრე, პირველ საათზე გავიღვი-ძოთო. ისიც, არც თუ იშვიათად ყოფილა, რომ შუაღამეს აგვშლია ჭამის საღერღელი. პროდუქტების ასორტიმენტი კი, რაც მარ-თალია მართალია, ფართო გვაქვს: ქათმისა და ინდაურის მშვენიერი, ავსტრალიური კონსერვები, ყავა და ა.შ. გვეუბნებიან - მიუხედავად მძაფრი კონკურენციისა თქვენნაირი „ძილისტები“ ობსერვატორიაში არ მოიძებნებიანო. ჩვენ ეს გვსიამოვნებს, ე.ი. ნერვიული სისტემა წესრიგში გვაქს.

... საინტერესო კაცია ველო პარკი. ეროვნებით ესტონელი, ნაკითხ - ნასწავლი, წელს მესამედ ჩამოვიდა ანტარქტიდაში. მეტეოროლოგია და ავიამეტჯგუფს ხელმძღვანელობს. მთაში სიარული ჰყვარებია, სვანეთშიც ბევრჯერ არის ნამყოფი და ჩვენ ალპინისტებთან ერთად რომელიღაც ასვლებშიც მიუღია მონაწილეობა. უყვარს საქართველო და ბევრს, ჩემთვის საამებელს ყვება ხოლმე. ბალტიისპირელისათვის დამახასიათებელ აუღელვებლობასთან ერთად კარგი იუმორიც აქვს. დღეს ერთმა, დიდი კმაყოფილებით, რაღაცა მოუყვა. ამან მთელი სერიოზულობით მოუსმინა, მოუწონა და დააყოლა - Дай бог твоей жене хорошего любовника - თანამოსაუბრე მოულოდნელობისაგან გაშრა, ირგვლივ კი სიცილი ატყდა. მოდი და ნუ გაიცინებ…

4 მარტი

დღეს და გუშინ დიდი აურზაურია ატეხილი. ჩვენი გემი „კალინინი“ დედოფალ მოდის მიწასთან „მარკოვს“ შეხვდა, ხალხი მიიღო და მერე ჩვენსკენ გზის გაგრძელების მაგიერ უკან, კეიპტაუნისაკენ წავიდა - ვიღაც მძიმე მდგომარეობაშია და ჰოსპიტალიზაციაა აუცილებელი, ყველაზე ახლოს კი კეიპტაუნია, სადაც სამ დღეში ჩავა. შესაბამისად - 5-6 დღეს დაკარგავს და 8-ში კი არა, 13-ში თუ ჩამოვიდა ჩვენთან, კარგი იქნება. ყველას სახლში წასვლა გვეჩქარება და გამუდმებული სალაპარაკო ახლა ესა გვაქვს. ადმინისტრაცია გვაწყნარებს, ტყუილ - მართალს გვიყვება, შეიძლება თვითმფრინავებმა ან „სომოვმა“, რომელიც ავსტრალიიდან მოდის ჩვენთან, „მოლოდიოჟნაიაში“ გადაგვიყვანოს, სანამ „კალინინი“ იქ მივა, მაგრამ ეს ყველაფერი ნაკლებად დამაჯერებელია. რაც არ უნდა იყოს 80 კაცი ვართ გასამგზავრებელი. კიდევ ერთიორი ასეთი შემთხვევა და მეორე ზამთარი მოგვიწევს აქ დარჩენა - როგორია?

გუშინ დილას ჩვენი მყუდროება დაარღვიეს და გაგვაღვიძეს იმისათვის, რომ შეგვეხედა როგორ მიჰქონდა ქარს ნაპირს-მოწყვეტილი ყინულის უზარმაზარი მასა. გრანდიოზული, ლამაზი სანახაობა იყო! დავინახეთ როგორ გამუქდა ცა და თითქოს ოდნავ ჩამობნელდა კიდეც. ამ ხნის განმავლობაში ყველაფერს მხოლოდ თეთრს შეჩვეული თვალი, ფერის შეცვლას მკვეთრად გრძნობს. ზღვაც ნორმალური მოსჩანს აქედან - მოძრაობს, ირყევა, ტალღები ბარიერს ასკდება და მოტივტივე ყინულის ნაჭრებს ერთმანეთს ახეთქებს.

კარგი ამინდებია. დღისით პირველი და მეორე სართულების აივნებზე ვართ გამოფენილები და მეზღვიების კვებით ვირთობთ თავს. რა არ მოგვაქვს სასადილოდან: ხორცი, კარაქი, ყველი, თაფლი, თევზი, კონსერვები - ყველაფერს ჭამენ - გაუმაძღრები არიან. არ უთმობენ, ჩხუბობენ და უნისკარტებენ ერთმანეთს. ამ დროს მესამე მიეპარება, მოსტაცებს ლუკმას და გაფრინდება. მიატოვებენ ყველაფერს და ახლა მას დაედევნებიან, პირთან შედარებით 4-5-ჯერ უფრო დიდ ნაჭრებს სანსლავენ, დააქნევენ რამდენიმეჯერ თავს და გადაუძახებენ კუჭში. ჩანს, როგორ გაუსივდება ყელი დიდი ლუკმისაგან, მერე ნელა გადასრიალდება და ბარბაცსაც შეწყვიტავს. გაუმაძღრები ზომას ვერ გრძნობენ და ზოგი ისე იტენება, რომ ვეღარ ფრინდება. რამდენიმე ცდა რომ უქმად ჩაივლის, იძულებული ხდება მიაწვეს კუჭს და საჭმლის ნაწილი უკან გადმოუშვას.

9 მარტი

სამი დღეა ყოველდღე ვიკრიბებით კაიუტ-კომანიაში საერთო სურათის გადასაღებად. ბოლოს, როგორც იქნა, ნორმალური ფირი გამოდგა. დიმა გვყავს გვარად ვუსიკი - ახალი - ამ საქმის ოსტატი (თანაც პოეტი). დღეს, როგორც იქნა, საზეიმოდ დაგვირიგა ყველას თითო სურათი, დაბეჭდლი სიით - ვინ რომელი ვართ რომ

გაარკვიო. ერთი ეგზემპლარი ალბომშიც ჩავაკარით, სიაც დავურთეთ და გავაფორმეთ. ამით ალბომმა ოცი ექსპედიცია დაიტია და დამთავრდა. 21-ე ახალს გახსნის.

5-ში შორს, დასავლეთისაკენ, ბარიერს უკანასკნელი ყინული მოწყდა და ზღვა განთავისუფლდა. აღმოსავლეთით კი მრავალ აისბერგს შორის ყინული მაგრადაა ჩაჭედილი და შეიძლება არც დაიშალოს.

6-ში სამეცნიერო მატარებელი დაბრუნდა. პროგრამა მთლიანად შეასრულეს. ზახაროვი და ბალანდინი უკვე მესამედ იყვნენ მძღოლებად სატრაქტორო ექსპედიციაში. ჩვენი გმირები არიან.

დღეს გემის კაიუტები გაანაწილეს და ოთხივეს ორადგილიანი, ყველაზე კარგი კაიუტა შეგვახვედრეს. განაწილების დროს შეძლებისდაგვარად ყველას სურვილი გაითვალისწინეს და ასე თუ ისე დააკმაყოფილეს. მე შაბანოვთან, დრეერთან და ბარიშევთან ერთად ვიქნები. მეც ასე მინდოდა და იმათაც.

დღეს ტანსაცმელი ჩავაბარეთ-რაც არ გვჭირდება. ბარგი ყველას შეკრული გვაქვს და უკანასკნელ საქმეებს ვაგვარებთ. ავადმყოფი რომ არა, „კალინინი“ უკვე აქ იქნებოდა. გუშინ „სომოვი“ გამოჩნდა ჰორიზონტზე, აქეთ - იქით დადის, ადგილს ეძებს მოსახერხებელს, ვერტმფრენებისათვის. საწვავი დარჩა გადმოსატვირთი 30 კასრი და ავსტრალიაში ნაყიდი სურსათი. ახლებისაგან ბრიგადები შეადგინეს გადმოსატვირთად და სიები დღეს გამოაკრეს. ჩვენ არ გვაწუხებენ. ისევ უსაქმურები ვართ.

ხუმრობა დადის - რომ შეგვეკითხონ, რისი ეშინია ნამდვილ პოლარელს? ვუპასუხებთ - სიცივის, შიმშილისა და მუშაობის გარდა - არაფრის!

13 მარტი

წესით დღეს გემზე უნდა ვყოფილიყავით. 11-ში ყინულმჭრელი „სომოვი“ წავიდა „კალინინის“ მოსაყვანად, გუშინ

ყინულებში შემოიყვანა და დღეს დილას ვერტმფრენებს გემზე უნდა გადავეყვანეთ, ისიც კი ვიცოდით ვინ რომელი რეისით მივფრინავდით. არაფერი არ გამოვიდა! ეს უკვე ღამე ვიგრძენით, როდესაც 10-12-დღიანი უქარობის შემდეგ, ღამე ღმუილი მოგვესმა, ბარომეტრი დაეცა და გასაგები გახდა, რომ ამინდი გაფუჭდა, გაფუჭდა მაინცდამაინც ჩასხდომის დღეს, ერთი დღეც არ დაგვაცადა. დილას ქარის სიჩქარე წამში 35 მ-ს აღწევდა და აფრენას ვინ ჩიოდა - იმას ვდარდობით, ჩვენთან დარჩენილი ვერტმფრენი ქარს ზღვაში არ გადაეჩეხა. ყველანი საბოლოდ გამზადებული ვართ, სტარტზე დგომამ ქანცი გაგვაცალა. მგონი ახლებსაც მოვბეზრდით და ჩქარა ჩვენ მოშორებას და დაწყნარებას ნატრობენ (ჩვენც ასე ვიყავით შარშან!). არადა ახლებმა წუხელ რამდენიმე კაცს მშვენიერი გაცილება მოგვიწყვეს აბანოში რუსულ ყაიდაზე - ორთქლითა და სპირტით.

ახლა ღამის ოთხი საათია. კაცმა რომ თქვას, ქარი ისე ძლიერად აღარ უბერავს, ადვილი შესაძლებელია დილისკენ ჩადგეს და გავფრინდეთ. თუმცა არც ის იქნება გასაკვირი, იმატოს და სამი-ოთხი დღე კიდევ გვაყურყუტოს. მთავარია მოთმინება, ძალიან გვეჩქარება, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის.

15 მარტი

გემზე გახლავართ, ჩემს კაიუტაში! გუშინ დილიდან ქარი ცოტა რომ დაწყნარდა და ძალა დააკლდა, ვერტმფრინავმა, არც თუ რისკის გარეშე, გადაწყვიტა მუშაობა. მოგროვდა ასაფრენ მოედანზე პოლარელების ჩემოდნები, ყუთები, ტომრები, ჩანთები და სხვა ბარგი. გადაიყვანეს პირველი რეისის ხალხი. მიკრო-ბიოლოგმა აბიზოვმა პირველ რეისზე თავისი კერნები ვერ მოაგროვა და ნახევრად ცარიელი რომ არ წასულიყო, ვერტმფრენმა ჩემი თანაკაიუტელები წაიყვანა. ისე რომ ორივე ვალოდია და კოლია გემზე პირველები აღმოჩნდნენ. რადიო აცხადებდა შემდეგ

რეისს და პოლარელები ყველგანმავალზე დატვირთული თავისი ბარგი - ბარხანით მიდიოდნენ ვერტმფრენთან. თავდაპირველად წყნარად, აუჩქარებლად იქცეოდნენ, მერე და მერე უფრო აჩქარებულად და მეოთხე - მეხუთე რეისზე უკვე ფაცი - ფუცითა და ნახევრად პანიკით. ამინდს ცუდი პირი უჩანდა. ჩვენი, მეექვსე რეისის მოღწევამდე ფეთიანივით ოთახიდან ოთახში და დერეფანში გავდი - გამოვდიოდით. როცა ჩვენი ჯერი დადგა, მოსაღამოვდა კიდეც. დავტვირთეთ ყველგანმავალი და ვერტმფრენთან მივგორდით. აბიზოვის მიმობნეული ყუთები კიდევ აქ არის და დაბნეულ - სიქაგაცლილ პატრონს არაფრის კონკრეტულის გაკეთება არ შეუძლია. დაირღვა რიგი, ყველა თავის ბარგს ტენის ვერტფმრენში, მერე აბიზოვის ტვირთისათვის ადგილი არ რჩება. გვთხოვს მივეხმაროთ. უარს არ ვეუბნებით, მაგრამ ჯერ ჩვენ ბარგს ვათავსეთ. დარჩა ადგილი და მისი ტვირთის ნაწილიც დავტვირთეთ. თვითონ უნდა დარჩეს, რომ შემდეგ რეისზე გადმოიტანოს დარჩენილი - გაიყინა საცოდავი.

ჩავსხედით ვერტფმრენში, კარები დახურეს, ასაფრენად მზადა ვართ. ბარგი გავწი - გამოვწიე, ილუმინატორს მივადე ცხვირი, მინდა საბოლოოდ მარტომ, დაწყნარებულად შევხედო „მირნის“ და გამოვემშვიდობო. ამ დროს მფრინავი გამოვიდა კაბინიდან და განაცხადა, რომ ფრენა ხვალამდე შეწყვეტილიაო! ყინულის მოედანი, რომელთანაც გემი იყო მიმდგარი და სადაც ვერტმფრენი ჯდებოდა, ჩატყდა და ახალი ადგილის შერჩევაა საჭიროო. ატყდა ხმაური და აყალ - მაყალი. რომ ვთქვა მეწყინაო, სწორი არ ვიქნები - რაღაც აუხსნელი გრძნობით დავბრუნდი ჩემს არეულ, დაცარიელებულ ოთახში. რატომღაც მინდოდა კიდევ ერთი ღამის გათევა. ალბათ იმიტომ, რომ მართლაც ბოლო ღამე იქნებოდა ჩემთვის. დილას კიდევ ერთხელ საბოლოოდ ვისაუზმეთ და კაიუტ - კომპანიაში დავრჩით ფრენის დაწყების მოლოდინში. ახლა უკვე მომლოდინის კი არა, წამსვლელის

თვალით ვუყურებდი ყველაფერს და ვუსმენდი ყველას. შუადღეს ფრენა განახლდა. ხელმეორედ გამოვემშვიდობეთ დარჩენილებს. იოლი მოზამთრეობა ვუსურვეთ და წითელ - მწვანე რაკეტების ბათქში ავფრინდით. მხედველობასთან დაკავშირებული ყველა ძარღვი და ნერვი დავჭიმე, რომ თვალს კარგად დაემახსოვრებინა ეს ჩემთვის უკვე ძვირადღირებული ერთი ციცქნა ადგილი, სადაც წელიწადი და ორი თვე ვიყავი გამომწყვდეული. ჩემი ქვეყანა რომ არა, ჩემი ოჯახი რომ არა, ჩემი მეგობრები რომ არა - ასეთსა და აქ ცხოვრებას ავირჩევდი - უეჭველად.

ცივილიზაციასთან მივფრინდით - თეთრი, ლამაზი „კალი-ნინი“ გველოდება. გემის წინ, ყინულზე ხალხია ჩამოსული. ზოგი გემის თოკებს ამაგრებს ყინულში, ზოგი ფოტოაპარატს აჩხაკუნებს. ზოგი ბურთს თამაშობს - აქ წყნარი ამინდია. ბარგით ხელში გემისაკენ მივდივარ და ჩემსკენ ზურქშექცეულ, ქურთუკიან უცნობს ვუახლოვდები. უცებ შემოტრიალდა და ქალი აღმოჩნდა - ნამდვილი გოგო, სიმპათიური, შეიძლება ლამაზიც! ბარგი ჩამოვდგი, გავაჩერე, ხელი მოვკიდე, ვთხოვე დამლაპარაკებოდა. გაკვირვებული მიყურებდა, მერე გაიპრანჭა და გაისუსა. ალბათ, რაღაც ეცნაურა. მერე, როცა ვთხოვე - მართალი მითხარი, ნამდვილი გოგონა ხარ თუ არა და თანაც ასე ლამაზი მეთქი - მიხვდა რომ ვეხუმრებოდი და გაიცინა.

კაიუტამდე რომ მივაღწიე ჩემ ბიჭებს ჯერ კიდევ ეძინათ. გემი მოსკოვის დროით მუშაობს და აქ ჯერ დილის რვა საათი იყო. ჩექმებს ილუმინატორში გადავუძახე, დავლაგდი, შხაპი მივიღე, საზეიმოდ კოსტუმში გამოვეწყვე და ძალიანაც კარგ ხასიათზე, რესტორანს მივაშურე. ჩვენი არ ყოფნა ცივილიზაციას არაფრით დასტყობია. ხალხი ისევ ისეთია, რესტორნები და კაიუტები მაღალხარისხიანი. რადგან გემზე ვართ, ყველაფერი გაჭირვება და სიძნელე დაგვავიწყდა. ვიცით რომ ორ კვირაში თუ არა, ერთ თვეში სახლში ჩაგვიყვანს.

20 მარტი

დღეს „მოლოდიოჟნაიას“ ნაპირს მივადექით. აქ ამ დროს ბარიერი დაბალია და ზღვა ყინულისაგან თავისუფალი. ამინდი კარგია და თუ ყველაფერი კარგად წავიდა, ხვალ საღამოსათვის ხალხის ჩასხდომა - გადმოსხდომა უნდა დამთავრდეს და ნაპირს უნდა მოვშორდეთ.

ეს ხუთი დღეც გზაში შეუმჩნევლად გავიდა. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ახალი ხალხი, კომფორტული გემი ყურადღების დიდ ნაწილს შთანთქავს და დროც შეუმჩნევლად გარბის.

გუშინ ოცდამეერთე ექსპედიციამ გამოსამშვიდობებელი კონცერტი მოგვიწყო. ნომრებიც ექსტრავაგანტური იყო, მონდომება და ხალისი არავის აკლდა.

ჩვენს აბიზოვს რამდენიმე წელი კონსერვატორიაში უსწავლია და საკმაოდ სასიამოვნო და დამუშავებული ხმა აღმოაჩნდა. გვიმღერა რამდენიმე სიმღერა, ძირითადად რუსული რომანსები. ამაღლებულად იმღერა ნიკოლაი ივანოვიჩმა (გვარი არ მახსოვს) 21-ე ექსპედიციიდან.

23 მარტი

დღეს ჩემი პროფესიის აღსანიშნავი, საერთაშორისო დღეა და ჩემ არაპროფესიონალურ მოსაზრებებს გთავაზობთ - თუ წაიკითხავთ კარგი იქნება!

- არისტოტელეს უთქვავს - ადამიანი, რომელიც ამბობს პოლიტიკა არ მაინტერესებსო -მონაა!

- ტექნოლოგიური განვითარების პერიოდში, როცა ერთი მხარე რობოტებს იყენებს მოწინააღმდეგე ჯარისკაცების წინააღდეგ - მშვიდობა გარანტირებულია მსოფლიოსათვის. აი როცა მეორე მხარეც მიაღწევს ასეთ ტექნოლოგიურ გარღვევას და

თავის რობოტებს შეასევს მოწინააღმდეგე რობოტებს, მაშინ განახლდება მძვინვარე ომები, დახოცავენ ხალხები ერთმანეთს, მერე ისევ ახალი ტეხნოლოგიები - ასე სპირალისებურად, ომის და მშვიდობის მონაცვლეობით;

- ერს ისიც შველის, რომ გონიერი ქართველი მამაკაცი, დროთა განმავლობაში სერიოზულდება!

- ახლო მომავალში კოსმოსური ხომალდების გაშვებაზე უფრო, კოსმოსური ნაგვის კოსმოსიდან მოცილება იქნება მნიშვნელოვანი!

- ადამიანებს შუბლზე აწერიათ - უყართ წიგნის კითხბა, თუ არა!

- საოცრად დამაიმედებელი და მომგებიანია ჩემი დარგის პოპულარიზაციისთვის, მსოფლიოში თანდათან ფეხმოკიდებული მოსაზრება, რომელთაგან ერთი პენტაგონს ეკუთვნის და გულისხმობს, რომ 30 – 50 წლის შემდეგ, ვინც მართავს ამინდს ის მართავს მსოფლიოს და მეორე - გაივლის კიდევ 100 -200 წელი და მსოფლიოს ქვეყნებს აღარ ეყოლებათ ეროვნული მთავრობები, რადგან მათზე მოთხოვნილება აღარ იქნება, მაგრამ ჰიდრომეტე-ოროლოგიისა და გარემოს მონიტორინგის სახელმწიფო სამსა-ხურის გარეშე სახელმწიფოები სრულყოფილად ვერ იარსებებენ - მეტიც, მისი მუდმივი განვითარება და დახვეწა იქნება საჭირო.

- ერთ ათეულ წელში ყველა ადამიანი გაკონტროლდება!

-კომპუტერი გართობით ასაკის ფლანგვისა და სიკვდილთან მიახლოების უებარი საშუალებაა;

- გადაწყვეტილების მიღების ხარისხი განასხვავებს ადამიანებს ერთმანეთისგან.

- ესპანელებს უყვართ გამოთქმა - „კვადრატო'', ანუ კვადრატული თავი აქვსო.

- იცოდე, ადრე გულითადად რომ გესალმებოდნენ და ეხლა არა, შენი კი არა, შენი თანამდებობის დამსახურება იყო!

- რადგან ასანთს ვერ აგდებინებთ ხელიდან, ის მაინც გააკეთეთ, რომ ასანთის კოლოფი წყალში ამოავლოთ - ცეცხი არ გაუჩინოს ქვეყანას!

- ჩვენში სტიქიურ მოვლენებზე იგივენაირად ვრეაგირებთ, როგორც, ტრადიციულად ახლობლის გარდაცვალების ჟამს - წივილკივილი გარშემომყოფების გასაგონად და დასანახად!!

- თუ პრეტენზია გაგვაჩნია გონზე და ენერგიულობაზე, ჩვენი ვალია ევროპისკენ მიმავლებმა, რუსეთიც თან წავიყოლოთ!

- სანამ არ შევიგნებთ, რომ კეთილი, სტუმართმოყვარე და მხიარული ერი ვართ - რასაც ჩვენზე ამბობენ და მეტი არაფერი - სულ ასეთები დავრჩებით და მეტი არაფერი!

- რუსთაველია ქართველი ერის ჩამომყალიბებელი, ხსოვნა, გონიერება, წესიერება, დედალი მამაკაცების რისხვა, სიყვარული, ენა, მამული და სარწმუნოება - ის აქეთ, დანარჩენი საქართველო იქეთ, რომელმაც მის მსგავსად, დროს უნდა გაუძლოს - რაც შეეხება წმინდანებს - ისინი წმინდანებად ვერ ჩაითვლებიან, სანამ რუსთაველი წმინდანთა შორის უპირველესად არ შეიქმნება.

- შარშან, რესტავრირებული მთავარი უნივერსიტეტის პირ-ველი კორპუსის გახნისას, რომელიც მისი დაარსების 94 წლითავს დაემთხვა, გენიოსმა მეცნიერებმა ყველაფერზე ილაპარაკეს და ერთი მადლობის სიტყვაც არ წამოცდენიათ ამ სამუშაოების შემსრულებელზე და დამფინანსებელზე - მადლობას ვინ ჩივის მისი გვარიც კი არ წამოცდენიათ! ეს ის მემცნიერებია, ვისი მამები და პაპები - მემცნიერები რომ ერქვათ, ყვერების კანკალის გამო, მათგან განსხვავებულ, მეცნიერ ექვთიმე თაყაიშვილის დასაფლავებაზე ვერ მივიდნენ!

- უნიკალური განძის პატრონები ვართ - თანაც გამორ-ჩეულის:

- კეთილშობილი ქართველი ქალბატონები და მსოფლიოს დანარჩენი ქალბატონები!

- კახური ღვინო და მსოფლიოს დანარჩენი ღვინოები!

- საქართველოს შუშუ, ყოფილი პრეზიდენტი და მსოფლიოს დანარჩენი გარდაცვლილი, ყოფილი თუ მომქმედი პრეზიდენ-ტები!

- ჩვენი ვალია ისეთი საზოგადოება ავაშენოთ, სადაც არ იქნებიან, ან სუსტნი იქნებიან აქილევსის და ალექსანდრე დიდის, ფაშისტების და სტალინისტების, პროვინციალი ზვიადისტების და კრიმინალი შევარდნაძისტების, ცანცარა მიშისტების და დამშე-ული ბიძინისტების მიმდევართა მზგავსნი - თორემ ნაპოლეონის მომხრე ბონაპარტისტები დღესაც ბლომად არიან საფრანგეთში!

აპატიის წამალი - თვითკმაყოფილებაა.

- როგორ გამოათაყვანა ადამიანმა შინაური ცხოველები ისე, რომ მოკვდინებას არავითარ, ბუნებრივ წინააღმდეგობას არ უწევენ და ბედს არიან შეგუებულები - მაგათ თუ გონიათ, რომ ერთი ინდაურის შეწყალებით ამერიკის პრეზიდენტი უშველით, ძალიან ცდებიან - მაგას სისასტიკე და ფარისევლობა ჰქვია!!!

- ერთი, ტიპიური, რუსული ანეგდოტი ვიცი - რუსის ძაღლმა კურდღელი შეჭამა და კურდღლის პატრონმა განრისხეგით ჰკითხა, რატომ შეჭამა შენმა ძაღლმა ჩემი კურდღელიო? ძაღლის პატრონმა კითხითვე უპასუხა - აბა შენი კურდღელი ტუჩების ცმაცუნით რატომ აღიზიანებდა ჩემ ძაღლსო? - ასე იცის ტვინის ცმაცუნის ნაცვლიდ ტუჩების ცმაცუნმა! ზოგიერთ დღევანდელ აცმაცუნებულების ყურასაცმაცუნებლად - ფრთხილად ძაღლმა არ შეგვჭამოთ ცმაცუნებო!

- არ ღირს მოსახლეობის თავზე ლაფის დასხმის ხრჯზე, მომავალი თაობების ბედნიერების მიზეზით, რევოლუციური ბრძოლა საკუთარი კეთილდღეობისათვის. ეს არის მთავარი, რაც უნდა ისწავლოს ადამიანებმა და იმაშიც უნდა გაერკვეს - რევოლუციები იმიტომ ხდება, რომ მისი შემქმნელები არიან პირწავარდნილი, უნიჭო ეგოისტები თუ პირწავარდნილი, უნიჭო

ეგოისტები რომ არიან, ჩვენი ხელით წარმოქმნილნი - იმიტომ ხდება რევოლუციები?!

- ერმა უნდა ისწავლოს კატეგორიული რიტორიკის დაწუნება და იმწამსვე განთავისუფლდება უკიდეგანო მორჩილებისა და მლიქვნელობის სინდრომისაგან!

- ჩაკეტილ სივრცეში ხალხის მართვა იოლი, მოსახერხებელი და მომგებიანია - ყოფილ მართველ პარტიაში შეყრილ მართველებს ეს სინდრომი, არასრულყოფილების გამო, ბავშვობიდან ჭირთ და მას „ზოოპარკის სინდრომი“ ჰქვია!

- ბოლო დროს, ეკონომიურად მძლავრ და შესაბამისად იდეოლოგიურად კარგად მომზადებულ ქვეყნებში ადამიანთა სიცოცხლის ხანგრლივობა საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ ზოოპარკის ბინადართა სიცოცხლის გაორმაგებულ ხანგრძლივობას ჯერ მაინც ვერ მიაღწია...

- იმ დღიდან, რაც გონიერების, საზრიანობის. სისხარტის და ფიზიკური ძალის ყურითა და თვალით, ტალანტმზომით, ძალმზომით, წამმზომით და სხვა საშუალებებით შეჯიბრებების გაზომვა მეტნაკლებად შესაძლებელი გახდა, ლამის მთელ მსოფლიოს ვჯობნით ბავშვობის, თინეიჯერობის და ახალგაზრდობის ასაკში ხოლო, როგორც კი ქართული ცხოვრების წესის აღსრულებას შეუდგებით ყველაფერი წყალში გვეყრება! რა ხდება? რატომ ხდება? მიზეზია დასადგენი! - იქნებ მიზეზზე უარესი გვჭირს!

- ჯინიანობა მეტად შემაწუხებელი და გადაულახავი ჩვევაა - ვინც მის მართვას უმკლავდება, იგი თითქმის აღარ არის ჯინიანი!

- როცა მართავ საჭიროა ნამუსი, რისი ფასიც მკვეთრად შევიგრძენით იმ უნამუსობის პერიოდში!

- კი ბატონო გასამდა, მაგრამ გულხელდაკრეფილები არ უნდა ველოდოთ შემდეგი სამი „გენიოსის“ მოსვლას!?

- ისე კაცმა, რომ თქვას სიმართლის თქმა გაცილებით ადვილია და ამ ადვილი გზით უნდა ვიაროთ - სიკეთის საკეთებლად უფრო მეტი დრო დაგვრჩება!

- რა განსხვავებაა წინა და დღევანდელ ხელისუფალთა შორის საგარეო პოლიტიკაში?

წინა ხელისუქლებას სხვა გზა მოჭრილი ჰქონდა და მიჯაჭვული იყო დასავლეთზე, დღევანდელი კი ალტერნატივით ემუქრება დასავლეთსაც და ჩრდილოეთსაც!

- ბიჭო, რა უნდა დემოკრატიის შენებას! - აიღე და ასწავლე ხალხს ერთმანეთს ანგარიში გაუწიონ და ეგეც შენი დემოკრატია!

- დედამიწის არსებობის 24 საათში, ადამიანს ბოლო 4 წამი უჭირავს და როგორ დაანაგვიანა ეს 24 საათი!

- ადამიანის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა - მოიძებნოს ჩვენთვის შესაფერისი ვარსკვლავი სამყაროში (როგორც ეტყობა, მზის სისტემაში ასეთი პლანეტა არ არსებობს) და იქ გადასახლდეს - სიჩქარე ამ საქმეში არ ივარგებს, დრო კიდევ ბევრი გვაქვს - დაახლოებით 4–5 მილიარდი წელი!

- პრიმიტიული კომპუიტერიდან სუპერსიმეტრიის თეორიამდე - შუაში იმდენი სენსაციური სიახლეა, რომ არაპროფესიონალისთვის არ ღირს ამდენ დაუმთავრებელ პროექტებში ღრმად ჩაწვდომა იმიტომ, რომ ჩაწვდომის ბოლოს ახალი სიახლე იწყება და ხელში ძველი, გაუფასურებული გრჩება!

- არასდროს არ გამნელებია გრძნობა, რომ ეს ბინძური, პოლიტიკურად მსუბუქი ყოფაქცევის ინდივიდები ბავშვობიდან ატარებდნენ ბინძურ თვისებებს, მაგრამ მუდმივად იცოდნენ რომ ეს თვისებები ბინძურია!

- ამ ბოლო დროს ცხოვრების ტემპი ისე გახურდა, რომ ადამიანებმა ერთი 150-200 წლის შემდეგ პრიმატები (განსაკუთრებით შიმპანზეები) შესაძლებელია ჩვენ დონემდე მოიყვანონ - ჩვენ თვითონ რა გვეშველება თორემ?

- რუსებმა იციან თქმა - „ესეიგი კარგად ცხოვრობთ, რომ ნაგავი სახლიდან ყოველდღე გაგაქვთ“-ო! მთავრობის საყურადღებოდ ვამბობ - ნაგავს ყოველდღიურად უნდა გატანა, თორემ ვერ ვიცხოვრებთ კარგად!

- პეტრე პირველი და ევროპიელები + რუსი ერი = დაჩქარება და პროგრესი;

სტალინი და არარუსები + რუსი ერი = შრომა, სიძლიერე და ტოტალიტაეიზმი;

ახალი ფორმაციის ხელმძღვანელი და ჩემი რუსი მეგობრების შთამომავალნი + რუსი ერი = კეთილგანწყობა, გონიერება და აყვავებული რუსეთი.

- ყოველგვარი დანახარჯების გარეშე სამუშაო ადგილების და საცხოვრებელი ფართის გაორმაგების მიზნით, მაქვს წინადადება მოვახდინოთ ვარდების მეორე რევოლუცია და გადავიდეთ ცხოვრების ახალ წესზე. მოსახლეობის პირველმა ნახევარმა იმუშაოს ისე როგორც მუშაობდა, უმუშევარმა მეორე ნახევარმა კი შეიცვალოს ცხოვრების განრიგი, დღე ღამით შეცვალოს და დღემომუშავეთა ადგილები დაიკავოს ღამის ცვლაში, ხოლო დილას ღამემძინარეთა საწოლებში გადაინაცვლოს. ამით დიდად და მუქთად გაიზრდება შრომისნაყოფიერება; გაორმაგდება ბიუჯეტი, დასაქმდება უკლებლივ ყველა პოლიტოლოგი, უდროო პენსიონერი და დაუსაქმებელი უსაქმური, შეწყდება ჩხუბი და აყალმაყალი, ლანძღვა, გინება, წყევლა და მნიშვნელოვნად გაიზრდება უფროსის უსაზღვრო სიყვარული; გვეყოლება ორმაგი ჯარი და პოლიცია; ორჯერ მეტი სახელმწიფო მოღვაწე, პოლიტიკოსი და ექსპერტი, მომღერალი, ხაზინის და ჩვეულებრივი ქურდი; დარეგულირდება შრომის ბაზარი და ვიცხოვრებთ არხეინად გაკვირვებულ და ჩვენთან მოცუნცულებურ აფხაზ და ოს ძმებთან ერთად. ამის შემხედვარე მსოფლიო იგივეს მოიმოქმედებს - დამყარდება მსოფლიო მშვი-

დობა, კეთილდღეობა და სიყვარული; აღარ იქნება ომები; გადაწყდება მოშიმშილე ბავშვთა და მოზარდთა სწავლის პრობლემები; გაორმაგდება პროდუქცია და ადამიანთა ინტელექტი. ქართველები ნორვეგიელებს, მითუმეტეს იაპონელებს გადავუსწრებთ შრომისმოყვარეობაში და პირველ ადგილზე გავალთ. ამით გადავწყვიტავთ მსოფლიო პრობლემას - მაინც, ყველაფერში ხომ პირველები ვართ - მთელ მსოფლიოში!

- აგროვებენ, აგროვებენ, აგროვებენ და მერე კვდებიან - რა მერე?!

- ყველაფერი კარგად არის! - ყოფილები, სანამ მთავრობაში არიან, განსაკუთრებით ყოფნის უკანასკნელ პერიოდში, უმუშევრობის აღმოფხვრის მიზნით, არასამთავრობოებს აყალიბებენ, წასვლის მოლოდინში თავის მორჩილებს ამწესებენ, მერე სასწრაფოდ გადასკუპტებიან, თვითონ უდგებიან სათავეში, და ლაყბობენ - ლაყბობენ უაზროდ და გაუთავებლად, დასავლური ფულით და აღმოსავლური მენტალიტეტით! მერე ისინი დაბრუნდებიან და ესენი შექმნიან ახალ არასამთავრობოებს და ამ მახინჯ წრეში ჩადგებიან, სამაგიეროდ ხალხი იატაკზეა გართხმული, თქვენ კი მუჯლუგუნებით წინ მიიწევთ მიწაზე გართხმულების ხარჯზე - თქვენი ყოფილა ეს ქვეყანა! მაგრამ იცოდეთ წამოდგებიან!!! - აქ არაფერ შუაშია ჩვეულებრივი, ნორმალური არასამთავრობო ორგანიზაციები!

- ვერავითარ შემთხვევაში ერი გონიერ ერად ვერ ჩამოყალიბდება თუ მისი უნიჭო პოლიტიკოსები ერს თავს ნიჭიერებად შემოასაღებენ და ერი ამას ჭამს!

- დღეს კრიზისია ცოცხალ სამყაროში და თუ ასე გაგრძელდა დედამიწა, ადამიანების არაბუნებრივი საქციელის გამო, უკუსვლას დაიწყებს და სიცოცხლესაც დაამთავრებს.

- ისე, კაცმა რომ თქვას - ექიმები სიკვდილის კარამდე გამცილებლები არიან.

- ქართული ჯიშის დამახასიათებელი თვისება - ჰაერში გამოკიდებული, სტრატეგიული ოპტიმიზმია.

- დედამიწის ყოველი, ცოცხალი არსება ფეხით დადის - ადამიანების გარდა!

- ერთხელ კიდევ ნათელი გახდა ჩემთვის, რომ საქმისათვის უსარგებლო, მაგრამ სასიამოვნო, გაუთავებელი ინფორმაციით თავის დამძიმებამ ახალგაზრდების აზროვნება გაამსუბუქა - ასე იცის ცივილიზაციამ თავისი დადებითი და უარყოფითი გამოვლინებებით. ის დროც მოვა - მაგათ რომ გონიათ იმაზე ადრე – მათი აღარც გამჩატებული (ეს სიტყვა თბილისურად „ცანცარად“ ითარგმნება) აზროვნება იქნება საჭირო; ცანცარათა ასაკობრივად ტოლი გონიერი ახალგაზრდები მათ ვითომსაქმიანობას რობოტებით შეცვლიან - მაშინ ნახე მათი მონობა რობოტისადმი!

- დემოკრატია მაინც ყველას და ყველაფერს ჯობია, იმ პირობით, რომ არჩეული ლიდერი ჯანსაღი ტვინის, სიბინძურეების დროზე აღმკვეთი, მხნე და დროზე წამსვლელი იქნება!

- ჩვენი საყვარელი სამშობლოს, უფრო საყვარელი შემომ-ქმედნის დამოკიდებულება სიახლისადმი, კეთილშობილი ვასო გოძიაშვილის გმირის მსგავსია - მერე მე არაფერი მომივაა?!

- სამწუხაროდ, ცხოვრება სიკვდილამდე დროსტარებაა, გართობა კი სიკვდილისაკენ მიმავალი, უფრო სწრაფი და არხეინი გზა! - ვითომ უფრო მაღალი ღირებულება არ არსებობს?

- არასამთავრობონიზაციების უმეტესობა - ჯამაგირიდან ჯამაგირამდე დემოკრატიისათვის მებრძოლნი არიან! თუ გამოიკვლევთ, პირდაპირ კორელაციას დაინახავთ ჯამაგირის დაგვიანებასა და მათ პასიურობას შორის და პირიქით.

- ყველაზე სუსტი ადგილი თანამედროვე სახელმწიფოს მართვაში მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაა: - პირ-ველ ხანებში, ემოციურ ტალღაზე გადაწყვეტილების უსიტყვოდ

შესრულება; - შემდგომ, უახლოეს პერიოდში, უემოციოდ, კანტი-კუნტად შესრულება; გრძელვადიან პერიოდში კი აკადემიური მივიწყება და საერთოდ არ შესრულება! მერე, ყველაფერი ისევ თავიდან იწყება. სპირალისებურად, ერთი და იგივეს გამეორება, 24 საათიანი წყლის ნაყვა, კარგი საქმეების კეთებისათვის დროის უკმარისობა. შედეგი? ინებეთ - პარიჟში ტერორი; თბილიში და დევდორაკზე ღვარცოფი. რისი ბრალია? - გაუნათლებლობის! ვისი ბრალია? - მშობლების! რა დროის ბრალია? - ბავშვობის!

- ჩინელებს უთქვამთ ძველათ - ყველა დროის ყველა ქვეყნის მართველების გასაგონად „იყავი ძლიერი, მაგრამ მოქნილი მართველი“ ო, - გაიგონეთ ჩვენი დროის, სუსტო და მოუქნელო მართველებო!!!

- დღევანდელ თბილისში ამდენი: კარისკაცის, დარაჯის, პორტიეს, „სტაიანშიკის“, „ტელოხრანიტელის“, დაცვის, პირადი დაცვის, საგზაო მარეგულირებელი, საშვთა ბიუროს, უსაფრ-თხოების, ვიდეოკონტროლის, სიგნალიზაციის, მიყურადების, მუშაკების გადაჭარბებული სიმრავლე - ალბათ, გაჭირვების და უმუშევრობის ბრალია და არაალბათ - ახალგაზრდა თაობის სიჩლუნგის სიმრავლის ნიშანს მოასწავებს.

- ბინძურმა კაცმა, წყალი თუ აქვს, სხეულთან ერთად სულიც უნდა დაიბანოს!

- სამყაროს არსი მრგვალი ფორმებისკენ სწრაფის ენერგეტი-კული მიდრეკილებაა, რასაც თავისთავის სპირალისებური გამეორება უდევს საფუძვლად - რაც უფრო ძველია, მით უფრო მრგვალია!

- მოტრაბახეთა საყურადღებოთ: - არ შეიძლება ტრაბახი, რომ შენ სრულიად ჯამთელი ხარ, დიდხან იცოცხლებ და ავტომანქანას ამდენი ხანია მართავ და ერთი ავარიაც არ მოგვსლია - მეტად საშიში ტრაბახია! არ შეიძლება ბევრი მოლაპარაკე, ენის მიმტან-მომტანი არ იყოს!

- დადგა დრო, როცა ერმა მიცემული სიტყვის პატივისცემა უნდა ისწავლოს; ადამიანი დათქმულ ადგილზე დროზე მივიდეს საქმიან შეხვედრაზე, შრომას შეუდგეს და დროზე გვიან დაამთავროს; ეშმაკობა დაიცხროს გულწრფელობის ხარჯზე; კეთილი ინებოს და ზურგზე მოკიდებული უკუღმართი საქციელის ტვირთის გუდა სიცოცხლის ბოლომდე ღირსეულად ათრიოს; სიტყვების კორიანტელში თუ არა, სახლში რომ მივა, მაშინ მაინც გააკეთოს ანალიზი და თავისთავს უსაყვედუროს- დანარჩენი ისედაც მოჭარბებული გვაქვს ბრძენი ერის უფრო ბრძენ - გენიოსა ნაწილს!

- ცივილიზირებული ადამიანის წყარო - მოთმინებაა!

მოხუცებულობა - სტუმრად ყოფნა რომ კარგია, მაგრამ ინქვეყნიურ, შენ სახლში გირჩევნია - ის არის!

- რა არის სიმდიდრე? ვინ არის მდიდარი? - თანამედროვე იტალიაში მსოფლიო ხელოვნების ნიმუშთა ორი მესამედია(!) თავმოყრილი - ეს არის სიმდიდრე და იტალიელებიც - უკლებლივ ყოველი მათგანი. ვერც ყოველი ქართველი ჩაიყოლებს სიმდიდრეს სამარეში!!!

- ნარკომანია - ეგოიზმის უკიდურესი გამოვლინებაა - დანარჩენი წვრილმანია!

- მე იმ ქვეყნიდან ვარ, სადაც კონკურენცია არ არის მთავარი, მითუმეტეს ასეთი აგრესიული და დაუნდობელი - ანტარქტიდაში გონი და შრომისმოყვარეობაა მთავარი და არა უღირსი ბრძოლა თვითგადარჩენისათვის სხვის გადაურჩენლად!

- მეტად სამწუხაროა, რომ ბოლო 40 წლის მანძილზე არცერთ ქართველს არ მიუღია მონაწილეობა არცერთი ქვეყნის, არცერთ ანტარკტიდულ ექსპედიციაში - იქ იურისტები, ბანკირები და ქვეყნის მართვის მენეჯერები, მუქთადაც რომ იყოს, არ სჭირდებათ, ხოლო დღევანდელებმა მუქთა ფულის შოვნის და ასფალტის ტკეპნის გარდა არა იციან რა!

- სანამ ერი კეთილშობილებას არ დაიბრუნებს, კულტურა და მეცნერება საქართველოში ვერ განვითარდება!

- ის დროც მოვა და სულ მალე - პროფესიონალი ჟურნალისტები აღარ იქნებიან საჭირო, როგორც მწერლები - იმიტომ, რომ ყველა, ჩვეულებრივი ადამიანი - ჟურნალისტი და მწერალი გახდება;

- კაცობრიობავ ნუ გეშინია - ყველაფერი კარგად იქნება!

25 მარტი

გუშინწინ საბოლოოდ დავტოვეთ ანტარქტიდა. სანამ გამოგვიშვებდა, ორი დღე მაინც გვაწვალა და გვაწრიალა. თუმცა, 21-შიც კარგი ამინდი იყო და ვისაც უნდოდა „მოლოდიოჟნაიაში“ წავიდა, მათ შორის, მეც.

ობსერვატორია ისეთივე დამხვდა. მხოლოდ სუსხის სიმკაცრე უფრო ეტყობოდა. ვინახულე ძველი ნაცნობები, ვნახე, რისი ნახვაც მჭირდებოდა, ჩემს კოლექციას კიდევ რამდენიმე ქვა დავუმატე და უკან წამოვედით, ფეხით. სულ 2-3 კმ იყო გასავლელი. ამ დროს ხალხის მოძრაობამ აპოგეას მიაღწია. ახლები თავისი ბარგი-ბარხანით ყველგანმავლებში იტვირთებოდნენ. მიდიონენ თავის სამუშაო ადგილზე, სადაც მათ წასასვლელად გამზადებული კოლეგები მოუთმენლად ელოდნენ. ელოდნენ, რათა სასწრაფოდ აეხსნათ - თუ კი ეს შესაძლებელია რამდენიმე წუთში - სიტუაცია, მეთოდები და სამუშაოს წარმოება, სად რა დევს, რომელი დანადგარი ან იარაღი მუშაობს ან არ მუშაობს. ახალი ვერაფერს იმახსოვრებს, ძველს არ აინტერესებს ახალი იმახსოვრებს თუ არა, სასწრაფოდ იკრავს თავის გუდ - ნაბადს და გემისაკენ მოეშურება.

საღამოსათვის რაც კი საჭირო იყო დაიტვირთ - გადმოიტვირთა და გემზე ახლებიდან 6 თუ 7 კაციღა დარჩა თავისი საქმეების საბოლოოდ მოსაგვარებლად. 21-ე ექსპედიციის

უფროსი ბარდინი, დაბალი ტანის, შუახნის სიმპათიური და მხიარული კაცი, ჩვენს კორნილოვთან ერთად მიღება - ჩაბარების უკანასკნელ აქტებს აფორმებდნენ, ქარიშხალი ამოვარდა და სულ რამდენიმე წუთში სიტუაცია შეიცვალა – დაიწყო გემის რყევა. ქარი ნაპირიდან იშორებდა გემს, რომელსაც ბარიერზე ჩაყინული ფოლადისა და კაპრონის თოკები აკავებდნენ. მერე ქარმა იმატა და უეცრად ისეთი მკვახე ჭახანი გაისმა, რომ მივხვდით – რაღაც არანორმალური მოხდა. მართლაც, აღმოჩნდა, რომ თოკებმა დაძაბულობას ვერ გაუძლეს და დაწყდნენ. გემი ნაპირს მოშორდა და გვერდულად ღია ზღვაში გავიდა. სასწრაფოდ აამუშავეს ძრავები, გაისმა მკვეთრი ბრძანება – ყველა მეზღვაური თავის ადგილზე!

ორი დღე ქარი ნაპირთან მისვლის საშუალებას არ გვაძლევდა. 22-ში „კალინინი“, როგორც იქნა, მიუახლოვდა „მარკოვს“ და თოკი გადაუგდო. ჩაებნენ ერთმანეთს, წყლისა და საწვავის მილები გაჭიმეს და დაიწყო მათი გადმოქაჩვა. 23-ში ქარმა იკლო, გემი სასწრაფოდ ნაპირს მიადგა და დარჩენილი ხალხი გადასვა.

წინ „კაპიტანი მარკოვი“ გაგვიძღვა და კოსმონავტების ზღვაში გავედით. მსუბუქი ყინულების მასა მალე ნატეხ - ნამსხვრევებმა შეცვალეს და გზა გამცილებლის გარეშე გავაგრძელეთ.

დღეს კი უკვე „ღრიალა“ 50-იან განედებში ვართ. ცხრაბალიანი შტორმი ჩვენს გემს ნაფოტივით არყევს. გამოდის რომ ანტარქტიდა, მართლაც, უკან მოვიტოვეთ, რადგან ილუმინატორში ყინულის ერთი ნატეხის დანახვაც კი ვერ მოვახერხე. ანტრაქტიდის ზღვარიც წყალზე ხომ სწორედ აქ გადის!

მშვიდობით, თეთრო მდუმარებავ, მშვიდობით ანტარქტიდავ!

30 მარტი

ცხელა, გემის აუზში წყალი ჩაგვისხეს...
...ჩემი პოლარული ეპოპეაც დამთავრდა.

Terra Australis Inkognita

ასეთი "ჭრელი საბანი" აკრავს ირგვლივ ანტარქტიდას ზაფხულში. შემდგომში ყინულის ეს ნაფლეთები ერთიან მკვრივ მასად იქცევა.

როსის ზღვა - ხმელეთის შესაყართან...



აისბერგი ღია ზღვაში

ანტარქტიდაში ჯერ კიდევ ბევრია დაუპყრობელი მწვერვალი. ვინ იცის რა უფრო ძნელია -მათზე ასვლა, თუ მათთან მისვლა...

„მასპინძლები“

კონტინენტის ერთ-ერთი აბორიგენი - საიმპერატორო პინგვინი

ანტარქტიკული პინგვინი -Pygoscelis antarctica

ტრადიციულ "ფრაკებში" გამოწყობილი ეს რესპექტაბელური წყვილი სამართლიანად მიიჩნევს თავს ამ ქვეყნის " მასპინძლად"



ოჯახური იდილია

წინ, მომავლისკენ!

სელაპები მზეს ეფიცხებიან

ეს სელაპიც ერთ-ერთი "მასპინძელთაგანია"

„სტუმრები“

რობერტ ფალკონ სკოტი

ერნესტ შეკლტონი უედდელის ზღვაში ყინულების მიერ გაჭყლეტილი მისი გემის -"ენდურანსის" ნამსხვრევებთან

ფადეი ბელინსგაუზენი

რობერტ სკოტი

რაულ ამუდსენი

ვილჰელმ ფილჰნერი



კარსტენს ბორხგრევინკი



რიჩარდ ბერდი

სადგური "ვოსტოკი"

ამერიკელთა პოლარული სადგური "მაკ-მერდო"-ყველაზე დიდი ანტარქტიდაში.



ზედ სამხრეთ პოლუსზე მოწყობილი ეს ამერიკული სადგური "ამუნდსენ—სკოტი" დღეს უკვე ხალისით ეგებება სტუმრებს



თვითმავალი ლაბორატორია ნაპრალის წინ

„სტუმარ - მასპინძელი“



ძაღლები ადამიანებს მეგობრობას პოლარეთშიც უმტკიცებენ

„დავითი და გოლიათი"

სტუმრად "მასპინძლებთან"

სამხრეთ პოლუსზე დამოწმებული მარკები



"სტუმარ-მასპინძლები"

"სტუმარ-მასპინძლები"(მარჯვნივ -ლ.ფულარიანი)